

# კაბა

(მონოპიესა ერთი მსახიობისათვის)

მე ვარ კაბა.

\*\*\*

მე ვარ კაბა და ძალიან მიწდა, დავწერო დღიური.

\*\*\*

პირველად ვწერ დღიურს. რიცხვებს არ დავწერ... შეიძლება ამერი მს. ჰო, მართლა, უფრო ზუსტად, ჩემს შესახებ: უკვე ვთქვი, რომ კაბა ვარ, ოღონდ, სარაფანი თუ სარაფანა — მგონი, ასე ეძახიან ჩემნაირებს, ძალიან წვრილ სამხრეებს, შავი აბრეშუმის ქაფით ნაქსოვი. შიგ შეუმჩნევლად ვერცხლისფერი სირმები მაქვს ჩაყოლებული, მუხლამდე, არსად ნაქერი არ მაქვს, მხოლოდ გვერდებში, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის. ჩაცმული ლამაზ ფორმებს უფრო ლამაზს ვაჩვენ ვარ გამხდარი, ტანზე მომჯდარი და, რაც მთავარია, გაუთოება არ მჭირდება, საერთოდ არ ვიჭმეუჭნები, ამიტომაც ყოველთვის კარგად გამოვიყურები.

\*\*\*

წარმოშობით ფრანგი ვარ. პარიზში დაბადებული, მართალია, დიდი ხა ნია, იძულებით ემიგრაციაში ვიყყოფები და აღარც მშობლიური ენა მახსოვს, მაგრამ, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ხასიათით ნამდვილი ფრანგი ვარ.

\*\*\*

ვგიჟდები, ისე მიყვარს კლასიკური მუსიკა. შინაბანად სულ რომელიღაც მელოდიას ვლიღინებ და ამის გამო ჩემი ბოლოები სულ სხვადასხვა რიტმში ირხევა. აი, ახლაც, ტა-ტა ტა-ტა, ტამ ტამ ტამ ტამ ტაა... ბეთჰოვენის მეორე სონატა, მეორე ნაწილი... კაბა რომ არ ვყოფილიყავი, ვიოლინო ვიქნებოდი. ისე, რაღაცით ვგავარ ვიოლინოს, მე ასე მგონია, არამართო გარეგნულად.

პარიზიდან პირდაპირ მოსკოვში აღმოვჩნდი. დიდვითრინებიან მაღაზიაში, ქალაქის ცენტრში. რამდენი ხალხია... თოვლი მოდის აქ. ნუთუ სულ ასე ცივა?!

\*\*\*

ვინც შემოდის, ყველა ხელს მავლებს, აქ ჩემზე გაბედულებიც არიან, მაგრამ მე ხომ ფრანგი ვარ... ამ ნუთას ლისტს ვლიღინებ, ძალიან ავყავი რიტმს, დანარჩენებს ნერვებს ვუშლი... რა ვქნა, რაფსოდიაა.

\*\*\*

მომწყინდა... ენაც არ მესმის. მეორე ბოლოში კიდევ ერთი ფრანგია, ნითელი, გრძელგვლები, მაგრამ, მგონი, არ უნდა ჩემთან კონტაქტი.

\*\*\*

ჩემს წინ ორი გოგონა დგას, აუ, რა თვალებით მიყურებს ერთი. ალბათ, სამხრეთელია, მუქი კანით და მწვანე თვალებით. ზუსტად სარგომა, ჩანთაც გახსნა... ოჰ, არ დავისვენე... მეგობარს რაღაცას ელაპარაკებ... სალაროსთან მივიდნენ... და კარისკენ მიდიან... ეს როგორ?! ქუჩიდან ერთხელ კიდევ შემომხედა... ეჰ...

\*\*\*

არ მიწდა ამ ქალთან... ხანში შესულია... ჩამოგვიდგას გარდერობში და შეიძლება, ერთხელაც არ გავახსენდე... ვერც ამ სუნამოს სუნს ვიტან... გასახ დელში ვარ. ვცდილობ, გავუძლიანდე... ა? ახლაც გიჩვენებ სეირს! ჩამოგდებულ მუცელს ვერცხლისფერი სირმებით კიდევ უფრო ვუჭრავ... რაც შეიძლება ძველთ ვინები, რომ მკარდთან ყველა ნაოჭი გამოვუჩინო. ტრიალდება... საშინელებაა,

შეიძლება დავირღვი, ანან რომ მიყიდოს?! უჰ, კიდევ კარგი, გადავრჩი...

\*\*\*

თვალეზს არ ვუჯერებ. ის სამხრეთელი მწვანეთვალეზა ისევ მოდის. მარტოა, მე ისევ განსახდელინკენ მიმაძროლებენ. შეხედე, სხეულიც რა ლამაზი ჰქონია?! ვეტიმანები პატარა, ლამაზ მკერდზე და კონხთა თეძო ეზზე. ჩვენ აღარაფერი დაგვაცდილებს.

\*\*\*

მოსკოვს ვემშვიდობები. მგონი, თვითმფრინავით მივფრინავთ... ეს, მართალია, შედარებით პატარა ქალაქია, მაგრამ ამ უფრო თბილა. ყველგან აღტაცებით მხვდებიან. ვცდილობ, სულ ფორგაპი ვიყო, მე ხომ ფრანგი ვარ.

\*\*\*

ჩემს პატრონს ტატა ჰქვია. ტატას მეგობრები დიდად აღფრთოვანე გულნი არ არიან ჩემით, მათ ახლა ამერიკელები უფრო მოსწონთ, ასეა თურქე მოღაში... მოღაში?!  
ავიწყდებათ, რომ მოდის დამფუძნებლები ჩვენ ვართ, ფრანგები... სამაგიეროდ, ტატას დედა მოიხიბლა ჩემით, მაგრამ ეს, მგონი, არც ისე ბევრს ნიშნავს... არაფერია, მე და ტატას ქალიან მოგვწონს ერთმანეთი. ამიტომაც, ქალიან ხშირად ვართ ერთად, მაგრამ, ჯერჯერობით, სახლში, სარკის წინ.

\*\*\*

მონყენილი ვარ... ასეთ დროს რატომღაც დავიუსი ამეკვირება ხოლ მე, ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე... ესეც ამოვიჩემე, ვინ არის?! არც კი მახსოვს... ეტყობა, ნოსტალგია შემომანვა... ისე, რა სულელი ვარ, რა ჩემი საქმეა პიკნიკი. რას განხარებდა, ჩემ უკან რომ ჯინსები ეკიდა, რომ გაეგო, პიკნიკზე მიზრქანდებოდა. კინაღამ თავისით გაიარა... ჰა-ჰა-ჰა, ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდება და ახალ ამბებს მოჰყვება. ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე...

\*\*\*

ვანიზე, ისეთი მთვრალი ვარ, ლამის საკიდიდან ჩამოვვარდები. რა კარგი იყო?! არა, ამ ჯინსს ნამდვილად არა აქვს გამომწვება. მშვენიერი ბიჭია, რა ნაზად მეხეზოდა?! კომპლიმენტები თითქმის თანაბრად მივიღეთ მეც და ტატამაც... ცეკვის დროს მკერდისაკენაც შემოატურა ხელი, მაგრამ ტატამ არ მისცა ნება, მე მგონი, უფრო სილიკონის ბიუსტჰალტერის გამო, რად უნდოდა სულელს? ისედაც მშვენიერი მკერდი აქვს, გაიდიდა, ბავშვია... აუ, რამდენი ვიცეკვე, ქალიან ხამამალლი კი იყო მუსიკა. ვალსს ველოდებოდი, მაგრამ, ეტყობა, იმ რესტორანში არ იცინან ვალსის დაკვრა, არადა, რას ვიცეკვებდი ტა-რა, ტარა, რამ-ტამ-ტა... ტარა-რა-ტარა-რამ-ტამ-ტამ.

\*\*\*

დღეს ჯინსი წავიდა პაემანზე. გარდერობში უკვე ვერავინ გვიტანს, ჩვენზე რაღაცების ჭორაობაც დაიწყეს, არადა, ნამდვილად მხოლოდ მეგობრები ვართ, შემიძლია, დავიფიცო.

\*\*\*

საკიდიდან ჩამოხსენს... ა?! ეს ტატას მეგობარია, ანი. აკი არ მოვწონდი?! კარგი, ჯანდაბან შენი თავი, წამოვალ... იმდენი ხანია, გარეთ არ გავსულვარ, გარდერობს მაინც ემჯობინება. ეს ანი ნამდვილი ჭკუამხიარულია, მთელი საღამო გიჟივით მაცეკვებდა... იმდენი ვჭამე, იმდენი ვჭამე, ვეღარ ვსუნთქავ, ყავაც გადავისხი, არა, წყალი თუ არ გადამავლეს, გული წამივა. არ მეკადრება, ბოლოს და ბოლოს, ფრანგი ვარ...

ემორე დღეა ეზოს ვათვალთვარებ, ბავშრი, მაგრამ სახლში მაინც არ მივდი, ისე, ღამით ცოტა კი მეშინოდა. მეზობლების აღტაცება დავიმსახურე.

\*\*\*

ტატამ სულ დამივიწყა. დაქაბული ვარ. ტატა და დედამისი რაღაცაზე ჩხუბობენ, ტატამ კარი გაიჯახუნა, დედა ტირის. მგონი, ამ ყველაფრის მიზეზი ის ვაჟია, რესტორანში ერთად რომ ვიყავით. ისე, აქამდე თავს არ ვუტყდებოდი, მართალი იყო ჯინსი, იმას თავიდან არ მოეწონა, პირველივე პიკ-

ნიკოზა... ახლა მალე დაბრუნდება და ახალ ამბებს მოიტანს. ვერდის „ტრავიატა“ ამეკვინათა. არ მესმის, რატომ გიჟდებიან იტალიურ ოპერაზე, მაშინ, როცა არის მოცარტი, ან, სულაც, ვაგნერი.

\*\*\*

წუხელ ჯინსი სახლში არ დაბრუნებულა. ტატას დედამ მთელი ღამე ფანჯარასთან გაატარა, არც მე მიძინებია...

\*\*\*

დილანა, ჯინსს ვერ შევხვდი, ეტყობა, აპაზანაშია. ტატა და დედამისი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. გარდერობის შეღებული კარიდან ვხედავ ტატას ლოგინს. წევს, ვითომ სძინავს, კედლისაკენ არის გადატრიალებული და თვალები ღია აქვს. გარშემო ისეთი დაბავებული ყველაფერი, გულშიც კი არ ვლიწინებ. ეს ჩემი ცნობისმოყვარე მეზობლები, ლამის არის, გარდერობიდან გაქრნენ.

\*\*\*

ჯინსს ისევ ვერ შევხვდი. ამიტომ არაფერი ვიცი.

\*\*\*

მე და ტატა ერთად ვართ, აი ისიც — მანქანა გაბვიჩიარა. არც ერთი არ ვართ ხანიათჟა... არა უშავს, რესტორანში მაინც კარგია, მუსიკა... არა? ეს რესტორანს არ ჰგავს, მგონი, ქალაქბარეთ მივდივართ?! ლაბადიდან ჩუმად ვიყურები, იქნებ რამე დავინახო. — ეს კაბა რად გინდოდა?! — წარმოგიდგინებ?! ჩემზე ეუბნება. ტატაც თავს იმართლებს, მეგონა, რესტორან ში მივდიოდითო. მეც ასე მეგონა, ეგლა მაკლდა, ვინმეს ქალით ვეტიმანსო. რა ჩემი საქმეა პიკნიკები, ეგლა მაკლდა. ცარიელი სახლი... მცინვა, აქ არ უნდა წამოვსულიყავი, ჩემს ცხოვრებაში ასე უხერხულად არასოდეს მიგრძენია თავი. ის გუხარს ან-თეებს, შამპანურს ხსენის, ცოტა თუ არ დავლიე, ლამის კრუნჩხვები დამეწყოს...

უჰ, კარგია შამპანური. საერთოდ, რაც კარგია, ყველაფერი ფრანგების მოგონილია, ერთი უნდა გავაპოლო. ბევრი მოწევა არ მიყვარს, ათნახში ერთხელ სექსუალურიც კი არის სიგარეტის მოწევა. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა, შამპანურმა შემაჟუჟუნა, უჰ, მოვითენეთ, სავარძელზე მივებდა... ხანიათჟაც მოვედი, ტარა-ტარა, ტარა ტა ტა ტა, ბეთჰოვენს მაინც სულ სხვა ჰანგები აქვს, ზვავით მოდის, შენს წინ ისე ჩერდება, რომ სუნთქვას გიკრავს.

დავთვარი, გუხარი გიზგიზებს... შამპანური... რაღაცას მეჩურჩულება... სიტყვები არ მესმის. მაგრამ მისი სუნთქვა მსიამოვნებს... ახლა მესმის ტატასი, რაც უნდა ის თქვას ჯინსმა. მე და ტატას ერთმანეთს გვაცდილებენ. სავარძელზე ვარ მიგდებული, უკუღმა, იქით! ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი, ეს რომორ ინერება. არ ვიცი, იმიტომ, რომ... არ... ვიცი... ჯოგია... ბევრი... წერტილი... დავსვა... წერტილი... წერტილი... წერტილი... წერტილი... წერტილი... .. .. .

\*\*\*

მე ისევ ჩემს ადგილზე ვარ. ტატას მეორე დედა, სძინავს. დედამისი განგებ ახმაურებს ნივთებს. ტატას სახეზე გადნიერი ღიმილი აქვს. დედა გარდერობს აღებს, რატომღაც ხალი შემახსო და დამყნოსა. რა უნდა? ჯინსი ცნობისმოყვარეობით კვდება, მაგრამ არაფერს მაკითხება. მეც, ვითომ არაფერი... გარეთ წვიმს, ალბათ, ასეთ ამინდში დანერა შოპენმა მე-12 ეტიუდი.

\*\*\*

მოწყენილი ვარ, ტატამ დამივიწყა, თანდათან სულ უკან-უკან ვინაცვლებ, რა დავაშავე?! თვითონაც მოწყენილი დადის, მხოლოდ ტელეფონის ზარზე შეკრთება ხოლმე და გიჟივით მივარდება. მერა რამ დენიმა ზარს დააცდის და დაყენებული სიმშვიდით ამოგზს „ალო?“... შემდეგ იმავე სიტყვაზე ვხვდები, რომ „ის“ არ არის... ნეტავ, რა მოხდა?!

\*\*\*

სახლში თეთრხალათიანები დადიან, დედა სადღაც მიჰყავთ. ტატა გვიან დაბრუნდა. მაგიდასთან ზის და სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. ჯინსმა თქვა, იქ არ შეგვიშვებს, სადაც დედა წევსო. არ მიყვარს ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია, ალბათ, არც თვითონ უყვარდა, უბრალოდ, წინათგრძნობა დაანერინა...

დუ-დუ-დუ-დუ — მართლა როგორ ჰგავს კაკუნს, მეშინია...

ტატას დედა ისევ არ ჩანს. ტატას თვალები ჩაუღამდა. გუშინ ფარ დები ჩამოაფარა და თითქმის ყველაფერი მოიზომა, მეგონა, მეჩვენებოდა, სანამ ჩემი ჯერი არ დადგა. მუცელი აშკარად გაზრდილი აქვს, ჯინსი საერთოდ ვეღარ შეიკრა.

\*\*\*

სახლში ბევრი ხალხი დადის... გარდერობი შავი ტანსაცმლით გაივსო, მეშინია... ტატას დედა ალარ მინახავს...

\*\*\*

თითქმის ერთი წელია, აქეთ-იქით დამატარებენ ტატას მეგობრები. ღამეებს ვათენებ. ხან ვინ მისვამს ხელს, ხან ვინ...

დავიღალე...

ოღონდ არ გამაჩუქოს, ოღონდ...

\*\*\*

გავშვის ტირილი გავიგონე. თუ მეჩვენება?!  
არა, ნამდვილად გავშვი ტირის. ვინ არის? რა საყვარელი ხმა ამოსდის.

\*\*\*

ერთი წელია, სახლიდან ფეხი არ გამიდგამს. მივეჩვიე უაზრო ხეტი ალს, ასე მირჩევნია. მგონი, გაზაფხულია... ეჰ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო ჩემს ნარკომოგაზე და მომხიზველოგაზე, გოლოს და გოლოს, მაინც კაბა ვარ, მათარებენ, მათარებენ და ერთ მშვენიერ დღესაც მივაგდებენ. ჯერ მაინც მაქვს იმედი, რომ ყველაფერი არ დამთავრებულა, არც გავხუნებულვარ, არც შევთელილვარ, ერთი ნაოჭიც კი არ მაქვს, ჯინსიც სულ ამას მეუბნება. ჩვენანიკები მოდიდან არასოდეს გადიანო. ისიც ჩემსავით მოჭიმისტია.

მაინც ამ გოლო დროს ერთი აზრი ამაკვირბა. რა თქმა უნდა, ჯოჯა, რომ ვიოლინო ვყოფილიყავი, მაშინ გულში კი არ ვიღიღინებდი, თამამად ამოვიღებდი ხმას. ტა-ტა-ტა-ტა ტა-ტა-ტა-ტა... რატომ ჰქვია შუბარტის სიმფონიას დაშთავრებელი, ჩემთვის დამთავრებულა. ერთ ნოტსაც არ მივაგატებდი.

\*\*\*

უი?! ეს ვინ არის?! ერთი ციცქნა ხელი გარდერობის კარს აღებს: ვიცანი... ამას უყურე ერთი... როგორ ჰგავს დედამისს. ამასაც დიდი მწვანე თვა ლები ჰქონია. მოდი... მოდი... მინდა, თავზე გადავუსვა ხელი. შეშინებული ისე უცებ ხურავს კარს, რომ შიგ მიყოლებს და გარბის... ისევ ბრუნდება, მთელი ძალით მქაჩავს... კარი მაინც გამოაღე, შე სულელო, მოიცა, მოგეხმარები, ვაი... ვაი... ვაი... რა ძალა აქვს ამ ნამცვეს... ორივე ძირს გავკოტრიალდით.

ტირის.

შეშინებული ტატა მორბის და ხელში აჭყავს, მე ისევ ძირს ვგდევარ და მეცივება. პატარას ტირილში ეძინება, ტატა საწოლში აწვენს, თვითონ ნაც დაღლილი მიწვება... ახლად შეამჩნია, ნამოდგა, ხელზე გადამიკიდა ისევ გარდერობისკენ... ჩერდება, მერე უცებ ხალათს გაიძრობს და... რამდენი ხანია ჩვენ ერთად ალარ ვყოფილვართ. სარკის წინ ვტრიალებთ, როგორც მაშინ, პირველად... შენცვლია ფორმები, უფრო დახვედია, მკერდით გაზრდილა... აი, რაც მართალია, მართალია, ასე არასოდეს მომწონებია ჩემი თავი. სარკეს თვალს ვერ ვაცივებ.

\*\*\*

ამას უყურე ერთი?! პატარა ხელები ახლა უფრო გაბადულად აღებს გარდერობის კარს და ისე მქაჩავს, რომ ლამის სამხრები ჩამომწყდეს. ეს თავს არ დამანებებს, ჩათრევს ჩაყოლა სჯობია.

რა ჭკვიანია ეს ნამცეცა, ესა, ნამდვილი ძალია, რა მოხერხებულად გადამიცვა თავზე, ფეხებს მაბიჯებს, ახლა ორივე ზღართანს მოვადენთ. რაღა მე ამომიჩემა იმდენ ტანსაცმელში, ალბათ, ვერცხლისფერი სირ მეზის ბრალია. არა, არა, სირმები რა შუაშია, გავშვები გულწრფელები არიან, მოვეწონე და მორჩა. რა ვუმდერო ამას, რა მოეწონება, რა, რა, რა და ვაუ?!... თვითონ დაიწყო სიმღერა,

რას ღიღინებს ეს სულელი... მგონი, საყვარელია... ა?! ნელა, ნელა დავიხევი, დავიხევი! ტატა! ტატა! მიხვალე! ხომ ვთქვი, წავიძტავით-მეთქი. ეეჰ, სადა ხარ ამდენ ხანს?!... პატარა სულელმა ფეხი იტკინა, რა ჩემი ბრალია?!

ტატა პირველად ბრაზდება ჩემზე და პარკში მდებს, სულ ზემოთ თაროზე შემომავდებს. ამ ნამდვილად ვეღარ მომწვდება პატარა ხელეპი, მაგრამ... რა მინდა თეთრეულთან?! რას ვიზამ, პედს ვემორჩილები.

\*\*\*

ეჰ, რაზე უნდა ველაპარაკო თეთრეულს. კლასიკა ამათ არ ესმით! თანდათან სულ უკან-უკან მივიწევი, ნეტავ, ჯინსს მაინც შემახვებდა.

\*\*\*

არც ვიცი, რამდენი წელი გავიდა... რამდენი თარო გამოვიცვალე... რამდენი პარკი, სახლიც კი... მსოფლოდ ერთხელ მომეცა იმედი, ტატამ პარკიდან ამომიღო, ხელში მაკრატელი უჭირავს... რას მივირბებს?!...

— აუ, დედა, მაჩვენე, რა?!... რა ლამაზი კაბაა?!

ეს ხომ ის პატარა სულელია, თვალეპით ვიცანი. რამდენის იქნება? რაღაცას წერს, ჩანთაც უდევს, ალბათ შვიდი-რვა წელი იქნება, რაც მზის სინათლე არ მინახავს. რამხელა გაზრდილა... ტატა სარკესთან დგას.

— დე, მე მომეცი, რა?!... არ დაჭრა!

ზარი ირეკება, ვიღაც მოდის... გადავრჩი, ისევ ძველ ადგილას მაგ რუნებენ. რა ვიცი, იქნებ, ჯოჯობა, დავეჭვარი... ახლა ყველაფერი სულერთია, მეძინება... აქ ისეთი მოწყენილობაა, სულ მძინავს. სხვა რა ვაკეთო, ახლა სიზმრებით ვცხოვროვ, სიზმრებში ძველებურად დავრბივარ, ხან სად — ხან სად, აღტაცებაში მომყავს ყველა, კომპლიმენტებს მიუხეობიან. ხან შეყვარებული ვარ, ხან ვეჭვიანობ, ხან ვიბუტები, მოკლედ, ვცხოვროვ, ამიტომაც რეალობას ისევ ძილი მირჩევნია... ეს, ალბათ, სიბერის ნიშანია, ეტყობა ვბერდები, არადა, ერთი ნაოჭიც არა მაქვს.

ვიძახი ასე, ნაოჭი არა მაქვს, ნაოჭი არა მაქვს! გავაჭირე საქმე, დიდი ამბავი თუ ნაოჭი არა მაქვს; როცა არავის სჭირდება, ეს უკვე... არა, წუწუნე არ მიყვარს... რომც დავბერდე, მერე რა მოხდა?! სიბერესაც თავისი ხიზლი აქვს, რა მაქვს საწუწუნო. რამდენი კაბა ინატრებდა, ჩემ სავით ეცხოვრა, რამდენი თავგადასავალი, რამდენი სიხარული... მაშინ ამ თეთრეულმა რაღა უნდა თქვას, ლოგინს არ გასცილება...

\*\*\*

ოგია... მრცხვენია, რომ კაბა ვარ და თანაც ვერცხლისფერი სირმებით. მინდა ისე დავიმალო, რომ საერთოდ დავავიწყდე ყველას. შორიდან მესმის სროლის ხმაები. კიდეც კარები, რომ კაბა ვარ და აქედან ვერაფერს ვხედავ. ნეტავ, ხმაც არ აღწევდეს ჩემამდე, სიცოცხლე ალბათ მინდა. არასოდეს მძო ნია სურვილი, რომ აღამიანი ვყოფილიყავი, მეცოდებიან აღამიანები; ეტყობა ოგს ისეთი აღამიანები იწყებენ, ვისაც მუსიკა არ უყვარს... არ შეიძლება, მუსიკა გიყვარდეს და ოგი მოგიხდეს... რას ვკოდავ, რა ჩემი საქმეა ფილოსოფია, ბოლოს და ბოლოს, ერთი ჩვეულებრივი კაბა ვარ, ჩვეულებრივი, ვამბობ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მიჭირს ამის დაჯერება.

საიდანღაც ხშირად მესმის ვიოლინოს ხმა, ნეტავ, ვინ უკრავს?

რაღაც ძალიან გვერი დრო გავიდა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ის, რაც აქამდე იყო, ჩემი მოგონილია და სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა, სინამდვილეში კაბა ვარ, რომელიც პარკში დევს დაკეცილი და თაროზეა შემოდებული.

იქნებ, მართლაც ასეა...

\*\*\*

თვალეპს არ ვუჯერებ, გული ისე მიცემს, მეშინია... მეშინია, არ გა ვიფხრინო. საიდან გავახსენდი?! ეს ხომ ის პატარა ბავშვია, ალბათ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის იქნება, ტატაც ასეთი იყო, არა, ეს ცოტა უფრო... ცოტა არა, უფრო ლამაზია, მაღალიც, ჩვენ სარკის წინ ვტრიალებთ.

— ძალიან გიხდება, მაგრამ?! — ამბობს ტატა, თმებში აქა-იქ ჭაღარა შერევიან.

— რა მაგრამ? დედა, გინდა თქვა, რომ მოდიდან არის გასული?

— ჰო, რა ვიცი, ისე კალიან გიხდება, მე ასე არ მიხდება.

— დედა, ასეთი რამ მოდიდან არასოდეს გადის.

ისე დამაჯერებლად ამბობს, რომ მეც ძველებურად თავდაჯერებული ვხდები და მახსენდება, რომ ფრანგი ვარ, ნამდვილი ფრანგი... ისე, რამდენი ხანია, აღარ გამხსენებია ეგ.

\*\*\*

არ ვიცი, სად მივდივარ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივ ადგილას უნდა მივდიოდე. ჩუმი ფუსფუსი ისმის, ჩვენ ფარდებს შორის ვიხედებით, ვიოლინოს მოვკარი თვალი, მე ხომ ვიოლინო ახლოდან არასდროს მინახავს... კი, ნამდვილად.

იქით, მგონი სცენაა, მგონი კი არა, ნამდვილად. ორკესტრი?! ვი ოლინო! თვალებს არ ვუჯერებ! ვიოლინოს ვიღებთ და სცენაზე გავდივართ. ისმის ტაში, სიჩუმე... და სიჩუმეში, სიჩუმეზე ჩუმად პიანისიმოზე ისმის ვიოლინოს ხმა, ჯერ მე მესმის, ჩემთან ყველაზე ახლოსაა. ორკესტრიც შემოვიდა. რა არის ეს? ა? მოცარტი?! არა, შოპენი, შოპენს სადა აქვს სავიოლინო კონცერტი?! რა მემართება?... თვალები მიჭრელდება... მგონი, გული მიმდის...

აღარ ვიცი, ეს, რაც მოხდა, მართლა იყო თუ არა?!... რა ემოციური ვარ... ემოციური კი არა, ძარაფშუტა... რას იზამ, მე ხომ? რა მე ხომ... მე მგონი, კაბა ვარ... კი ნამდვილად, შავი... პერცხლისფერი სირამებით... რხევის დროს ოდნავ, შეუმჩნევლად ვგრძნობ... წარმოშობით?! რომ აღარ მახსოვს?!... სამაგიეროდ, ვხედავ, რომ არსად ნაოჭი არ მაქვს... კარგად ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ. საერთოდ, ყველაფერში მთავარია გრძნობა, იმასაც ვგრძნობ, რომ საკიდზე ვარ, მეტი არაფერი ვიცი. ვნახოთ, რა მოხდება მერა... ტრა-ტა-ტა, ტრა ტა ტა...

2003 წელი

## ცოტნე

— მარჯვენაში გამიკეთეთ, აქეთ ვენები არ მივარება, — მე თვითონ მეუცხეობა ჩემი ხმა.

— გიჟო, ვის ეუბნები?!.. ეეე... ცოტა აზრზე მოდი, — დაეღმებულნი თვალებით დასცქერის კოხა ნემსის წვერს.

— კანი, ხოო.

მჯიჯბნის. არ ვიყურები. გაღიმება ვცადა, ლოყის კუნთები ამიტაცხ ცახდა, — დროზე რაა?!..

— ეს მართალი ყოფილა, ხო იცი?! ეგეთი ჭრალი ხარ თუ ნერვიულოვ? ნახეთ, როგორ დაიფოთლა! მანიტა, მანიტა მარჯვენა.

— აჰა, გითხარი რა?!..

\*\*\*

მივქრივარ.

ყველაფერი ერთი ფერია, ოღონდ, არ ვიცი, რა ჰქვია ამ ფერს, გუნებაში ასეთი ფერი არ არსებობს. ლურჯთანაც ახლოს არის, ცისფერთან, ფირუზისფერთან, პერცხლისფერთანაც, მაგრამ არც ერთი არ არის.

მივქანები მთელი სინნრაფით. ვარ მეტალის დალუქულ ყუთში, ყუთიც იგივე ფერია — კონკრეტული და უსახელო. არ ვიცი, როგორ ვეტივი, ყუთი სულ უფრო და უფრო პატარავდება, — სინნრაფე მათულოვს და მათულოვს. ყუთი პატარავდება — სინნრაფე მათულოვს, ყუთი პატარავდება — სინნრაფე მათულოვს, პატარავდება, პატარავდება, პატარავდება.

— ცოტნეა!!.. ცოტნეა!!.. ცოტნეა!!.. — მოქრის ჩემთან ერთად მეტა ლიკინს ექო.

სული მეხუთება, ერთი წერტილიდან დავრჩი, ერთი ამოსუნთქვა, ერთი ამოსუნთქვა და მორჩა!.. გათავდება...

მთელმა ცხოვრებამ ჩამიძროლა, ნამაჲ უმოკლეს დროში, თანაც ისე, რომ არც ერთი კადრი არ გამორჩენილა.

**კადრი # ????.**

გუმ!! გუმ!! გუმ!! — მიწას ტკეპნიან. მტვრის და გუდრონის სუნი ერთმანეთში ირევა. ერთადერთი დამთავრებული მრავალსართულიანი კორპუსის აივნებიდან ვიყურები და თბილ მსხალს უაზროდ ვჭამ.

— ცოტნე, შამო სახლში, ბაბო გენაცვალოს, მზე დაგკრამს. ეგრე ნუ გადაეყუდები, გესმის?! საშიშია, ბიჭო, საშიში...

— ძირს უნდა ჩავიდე.

— აბა, უყურე ხელს ანასა?!.. მერე სად გაქვო? მოვა შენი დედ-მამა და საცა გინდა, წადი, ვაა?!..

— არა, უნდა ჩავიდე.

— ნუ ხარ შენი ნათქვამა, ბაიბა?!.. რა გინდა დაგლა, შენ ტოლს ვისა ხედავ, ცოტაც მოიცა, ნახვალ სკოლაში, იქ იმოტოლა გალღებ განიცნოგ!..

სახლიდან ჩუმად ვიპარები.

ჩემ წინ ორნი დგანან. ბიჭი ჩემი ტოლი იქნება, გოგო — ცოტა ჩემზე უფროსი, ასე, ალბათ, ცხრა წლის. ბიჭს ჭუჭყით დატენილი შავი ფრჩხილები აქვს და ხელეზე ნაფხანი თეთრი ზოლები აჩნია.

— აქ ცხოვროვ? — მეკითხება გოგო, თან რკინის ზოქა კვრება და სრიალით ეშვება ძირს.

— აი იქ, — ვაჩვენებ თითით.

— რა გქვია?

— ცოტნე.

— რაა?

— ცოტნე.

მუცლებს წინ სწევინ და სიცილით სკდებიან. მე არ მწყინს, მწყინს კი არა, ეს გოგო მიყვარს.

— თქვენ რა გქვიათ? — ვეკითხები.

ერთმანეთს ყურში რაღაცას ეუბნებიან, ჭინკაპივით ხტუნაობენ და ისევ იცინიან. მე არ მწყინს, იმიტომ რომ ის გოგო უფრო და უფრო მიყვარდება.

მზისგან ბახუნებული თმა, გარუჯული კანი და თვალები თითქმის ერთი ფერისა აქვს, კბილები აქვს მხოლოდ ქალიან თეთრი.

— ეე, რა გქვია? დამავიწყდა, — ისევ მეკითხება გოგო და ახლა ზოქის გარშემო დარბის, თან ცალი ხელი ჩავლავული აქვს.

— ცოტნე, — ვპასუხობ.

ისევ იცინიან.

გოგო წინ ღმინჯით მიდგება: — გინდა თამაში?

— გინდა.

— მიდი, მოიტანე!

— რა მოვიტანო?

— ყველაფერი, რაც სახლს სჭირდება, არ იცი? მე დედა ვიქნები, შენ...

— საიდან მოვიტანო? — ვანწყვითინებ, რომ არ გადაიფიქროს.

— აი, — თითს იშვებს ჩემი სახლისკენ.

გავრბივარ, რაც ქალი და ღონე მაქვს, გავრბივარ. ბებიაჩემს არც ჩემი შესვლა გაუბია, არც გამოსვლა, ისეთი ხმაურია.

გუმმ!!.. გუმმ!!.. გუმმ!!.. ისევ ტკეპნიან მიწას.

კიბაზე ვეშვები, იმდენი რაღაც მიმაქვს, ვეღარ ვიჭირ და გზადგზა მეფანტება. ვტრიალდები, ვკრეფ და ისევ გავრბივარ.

— მეტი არა გაქვს? — მეკითხება უფროსი ჭინკა.

— კი.

— მერე მოიტანე!

— რა მოვიტანო?

— რა და ისა... რა ჰქვია?!.. კიდევ ბევრი რამე უნდა სახლის მოწყობას.

ავრბივარ-ჩამოვრბივარ, ავრბივარ-ჩამოვრბივარ. უკვე ისე მიყვარს, ისე, ისე, რომ მზად ვარ, მთელი ცხოვრება მისი სურვილების ასრულებაში ამომხდეს სული. წამასწრეს:

— ცოტნე!!.. რას აკეთებ? რა დროს ჩაიხამ სიციხეში, მოგშვიდა, ბაბო?!..

— ბაბო, ბაბო... გეხვეწები რაა, ჩაიხამ არ მიწადა, ეზოში უნდა წავიღო.

— სადა? — დაბნეული კითხვით გეპიარებოდა.

— იცი, რა კარგი გავიწყობი გავიწყობი, და-ძმა არიან... თეფხები, ჩანგლები, ყველაფერი გვაქვს... სუპს ვაკეთებთ, ესეა ადუღებულ წყალში გვჭირდება. გეხვეწებო რაა, გეხვეწებო!..

— მინცა, მინცა ზედ არ გადაიხსნა, გიჟო! არ დაიფუფქო, გაუშვი ხელი, გაუშვი, — გეხვეწებო ცხელ ჩაიდანს მართლაც. დავიღუპები, ყველაფერზე ნამსვლელი ვარ.

— გეხვეწებო, გეხვეწებო, — გეხვეწებო ხმა.

— კარგი ხო, მე თვითონ ჩამოვბრუნდები.

— შენ არა რაა?!..

— რაო? მაშ არ უნდა ვიცოდე, ვინთანა ხარ? ან ამ ადუღებულ წყალს განდობ კიბებზე?

— კარგი... ოღონდ დროზე.

კიბებზე ჩავდივართ. ვერ ვითმენ, წინ ვსწრებ, მერე ისევ უკან ამოვრბობარ.

— იცი, რა მგაბრია, გეხვეწებო?!.. ესეა სამზარეულოში სუპს ვაკეთებთ ისა.

— ჰო დაამატა, კარგი... გინდა, თავ-პირი დავიმტვრიო?.. რა გვარისა არიან?

— ვინ, გეხვეწებო?.. ა? არ ვიცი, არ მიკითხავს.

— პირველ რიგში ეგ უნდა იკითხო, შენ თუ გკითხავენ... რომელ სართულზე ვართ? ალბათ ჩავედი?

— ორი სართული დაგვრჩა, — ვასუსტოვებ ქოხინით.

— შენ თუ გკითხავენ, არ უთხრა, გიჟო, ხერხეულიძე რომ ხარ, გაიგებ?..

— ოო, აბა რა ვუთხრა, მამამ ხო თქვა, რაღა დროს ეგ არისო?!..

— მაინც ახალი უბანია, ჭრელა-ჭრულა ხალხი ცხოვრობს. უთხარი, ნახვიდანთ ხონჩრიდან გადმოსული ხალხი ვარ-თქო, გაიგებ?

— ნახვიდანთ არა ისა! დროზე რა, გეხვეწებო.

— თქვენის ყველაყინსა, უყურე ერთი, მითომ რითა ვარ თქვენზე ნაკლები?!..

— ჩქარა რა, გეხვეწებო, ჩქარა, გეხვეწებო.

უცებ თვალები მიფართოვდება და ერთ ადგილას ვეხვეწები.

— რა იყო?

— სად არიან? აქ იყვენენ?!..

— ხო არ გეხვეწებო?

— არა, არა...

— უი, ძაა, ეს ხო ლიზიკოს უთუა?!.. რათ ნამოიღე?!.. რამდენჯერ უნდა გითხრა, შენი დის სათამაშოებს ხელი არ ახლო-მეთქი. გამოვიდეს ერთი საავადმყოფოდან, დაგიბაკუნოს ფეხები, როგორი გაგრაზება იცის?

— სად არიან? გეხვეწებო, სად არიან?

— სად არიან? სად არიან და გავარულან, ვერა ხედავ?.. ეს უთოცა, ალბათ, სიჩქარეში გაუვარდით, გავარულან, გავარულან, წამო, გაბო გენაცვალოს, წამოდი.

— რატომ გავარულან? — უფრო ჩემს თავს ვეკითხები.

— რა ვიცი, აბა, რატომ, აქი გითხარი, ჭრელა-ჭრულა ხალხი ცხოვრობს-მეთქი.

გეხვეწებო ადუღებულ წყალს მიწაზე დვრის. მე ისევ იმ ადგილას ვდგავარ და დავცქერი, როგორ ასდის ორთქლი ჩემს პირველ ნამოსახლარს.

**კადრი # ????.**

— დე! გამიღე კარი! დე! კარი გამიღე!

— გიჟო, რა დაგეგმართა, ჩაიბრუნე მინა. სძინავს მამაშენს. კვირა დღეა, აცალე.

— დე, გამიღე!

— გიჟო, რა გააჭირე საქმე?! წადი, ლიზიკოს ეთამაშე.

— დეე!

— ცოტნე! ოო, რა ჯიუტი ხარ?!..

ორივე მეზიზღება, ვიცი, რაც ხდება იქ, უფრო სწორად, არ ვიცი, მაგ რამ მაინც მეზიზღება ორივე. კარი იღება.

— აჰა, მოგრაქანდი! — კარს აღებს დედაჩემი და თავზე ხელის გადასმას მიპირებს, თავს ვნებ დაბლა, არ ვაფერებინებ. ორივე მეზიზღება. დედაც და მამაც.

**კადრი # ????.**



- მოდი, ბიჭო, აქ! — ჩემი ტოლი ბიჭი მეძახის. მივდივარ.
- რა გქვია?
- გელა.
- იმ კაცს იცნობ?
- ვა, ბიძაჩემი ჩამოსულა?!
- ბიძაჩემი კი არა, ცამეტი წლის ვირმა საკუთარი სახელი არ უნდა იცოდეთ?
- შეეშვი რა, აქ სხვა ამბავია! — აჩერებს მეორე.
- ბიძაჩემი მკოცნის და კარგა ხანს ხმას არ იღებს, სიგარეტს ეწევა.
- ცოტნე, რაში დაგჭირდა სახელის მოტყუება?
- რა ვიცი, გამანაბა ამ ჩემმა სახელმა...
- ბიჭო, შენი სახელით უნდა ამაყობდე, ხან გელაო, ხან მაღსაზიო, რა არის ეს?
- სახელში წამიყვან?
- წაგიყვან, ცოტნე, წაგიყვან.
- ლიზიკო გამოიყვანეს საავადმყოფოდან?
- შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ცოტნე...

**კადრი # ????.**

- ცოტნე!..
- ჩუუუ.
- რა იყო?!.. გავიხადო?..
- ფანჯრებს დავხურავ.
- დავიხრჩობით, მოდი...
- შენ რა მაგარი ყოფილხარ.
- როგორ?! ცოტნე ვარ, ხერხეულიძე!
- მე კიდე ყველაზე მაგარი ანკა ვარ.
- რა გვარი ხარ, ანკა?
- რა შენი საქმია, ვუუუ!!
- ჰმ! ვერც მიხვდა, რომ ჩემთვის პირველი ძალია.

**კადრი # ????.**

- მიყვარხარ.
- მეც.
- ცოლად გამომყვები?
- კი, სახლი რომ არ გვაქვს?
- ყველაფერი გვექნება გარდა...
- ეს არის? — ნინო ჩერდება და თვალებში მიყურებს.
- ჰო, — ვპასუხობ.
- დედა როდის გარდაიცვალა?
- ლიზიკოს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში.
- ჰგავხარ დედას.
- ჰო, ამგობან... დაჯექი რაა!..

**კადრი # ????.**

სამსახურიდან გამომავლენს, ანუ შემამცირებს, ანუ გამათავისუფლებს, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს?!..

**კადრი # ????.**

- მამა, სად, სად მიგაქვს ეს წიგნები?
- იცი, რას გეტყვი?! მე ესენი უკვე ბევრჯერ წავიკითხე, აღარ მჭირდება.
- სახლიდან წიგნები როგორ მიგაქვს, მამა, სირცხვილია!..
- შენ რა სულ რაღაცის გრცხვენი, ცოტნე?!
- აბა, ვინმემ რომ გნახოს, წიგნებს ყიდი...

- იცი, რას გატყვი, წიგნებს კი არა... ნელს ნაკვეთში იმდენი ლოპიო მოვა!..
- მამა, არ მითხრა ახლა, რომ ლოპიოსაც გაყიდი გაზარში?
- ჩემს მოყვანილ ლოპიოს გავყიდი, ახა ხომ არ გადავყრი?
- რაა?
- იცი რაა, შენ და შენი ცოლი თუ გაზარში დამინახავთ, თვალი მომარიდეთ, გაიარეთ, ვითომ არ მიცნობთ, ვითომ მამაშენი არა ვარ.
- „ნეტა საერთოდ წამიყვანა ამ სახლიდან, არაფერი აღარ მინდა“.

**კადრი # ????.**

- ცოტნე, ჰონორარი ავიღე, ასი დოლარი.
- აუ, დაგლიჯა! ვა, რა ნიჭიერი ცოლი მყავს, თანაც ლამაზი.
- შენას მივიღებ, დავიღალე. მამაშენი სად არის?
- არ ვიცი.
- ნინი სააბაზანოში გადის.
- ნინი, სიბარტის ამოვიტან!
- ქურთუქს ვხსნი საკიდიდან, ნინის ჩანთას ეღებ, ჩანთა ძირს ვარდებ და ორასი დოლარის კუპონურები ცვივა.
- რა თქვი, ცოტნე? ვერ გავიგე, საყვარელო.
- ახლა გესმის?
- კი, რა მოხდა?!
- რა და შენი დედაც მოვტყან!

**კადრი # ????.**

- რა იყო, რაღაც ძალიან ბლატნოი გახდი, რაც დალევს დაიწყე.
- ველარ მცნობ?
- ვერა.
- ცოტნე ვარ, ხერხეულიძე, ეხლაც ვერა მცნობ, შე ნაბოზარო?
- ბიჭო?!..
- ბიჭო კი არა!..

\*\*\*

საავადმყოფოში ვწევარ, ოთხი ნაქვი მამკვს ჩამტვრეული და ბარძაყზე რვა ნაკერი მაღვს. როგორც კი ფეხზე გავივლი, იარაღს ვიშოვი და ვაჟს მოვკლავ, მერე ნინისაც მივწყობებ.

\*\*\*

საკუთარ შვილს დედა როგორ მოვუკლა.

**კადრი # ????.**

- გეგო, შემომხედე, გეგო, ცოტნე ვარ, რა გამართება?
- არც ცაზე ვკიდობარ და არც მიწას მიღბას ფეხი. ხურჯინში ვზივარ და ქარაფებს ზემოთ დავყურებ.
- გეგო, შემომხედე, გეგო, მე ვინა ვარ? ცოტნე ვარ, გეგო.
- მე კიდეა ნასყიდანთ ხონჩრიდან გადმოსული ბაღლი ვარ, აი, დედაც მოდისა გადმომიყვანს ხურჯინიდან და ნავალთ...

**კადრი # ????.**

- მესამე დღეა, სველი ბათინაკები ისე გაიბღისა შიგნიდან ჭუჭყით და ტალახით, რომ ფეხი მისრიალებს და მიბრუნდება.
- ეეე, ბიჭო, გაიხედე რა ეგ ჩაქმა!..
  - მერე, მე რა ჩავიცვა?
  - გაიხედე-მეთქი!..
- ნეტა მისროდეს ხურგში და ყველაფერი დამთავრდებოდა, ეს ზღვაც მიზიზღება, სისხლის სუნად

ყარს.

### კადრი # ????......

ჩემს მეორე ცოლს ნონა ჰქვია. რატომღაც სულ თავის მართლებას უნდა, ყველაფერი ყოველთვის წესრიგში აქვს, უამრავ საქმეს აკეთებს, ერთადერთი, ავადმყოფ მამაჩემს ვერ ხანს, ფრიად სამართლიანი მიზეზის გამო — ჩასვრილი ავადმყოფი კაცია. რომ დაბანოს, უნდა გააშიშვლოს, ამიტომაც, წევს თბილად, საკუთარ განავალში გატონი როსტომ ხერხეულიძე და ჩემს მოსვლას ელოდება. მეც მამაჩემი ხელში ამყავს და აბაზანაში პატარა ბავშვივით გამყავს. თანდათან ისე გამსუბუქდა, სულ აღარ მიჭირს მისი ტარება.

როცა ბავშვი მენატრება, ნინისთან მივდივარ. ეს უფრო ღამით ხდება, ამიტომ თითქმის სულ მძინარეს ვნახულობ, ძილში ვკოცნი და ვეფერები.

ორ კვირაში ნონა სახლიდან წავა, თავის ყოფილ ქმართან დაბრუნდება, სამ თვეში მამაჩემი გარდაიცვლება, მე ისევ სმას დავინწყებ და ლექსების წერას.

ისე მაინც აღარასოდეს აღარ მტკენია, იმ ჭინკამ რომ მომატყუა. პირველი მაინც ყველაფერი სხვანაირია. ნეტა, სად არის? ეს სახლი უნდა გავყიდო, არ მიყვარს, არც არასოდეს მყვარებია.

\*\*\*

— ეეე!.. ცოტნაე!.. ცოტნაე!.. — ლოყაზე ხელს მიტყავუნებს კოზა, — ბიჭო, გამოფხიზლდი, გენმის?

— სადა ვარ? რა ხდება?

— მორჩა, ყველაფერი კარგად არის, უკვე პალატაში ხარ, ესლა გააგრძელე, რას ყვებოდი, შუა მოყულაში რომ მიითიშე.

— რას ვყვებოდი, რა ვიცი? კარგად ჩაიარა ოპერაციამ?

— აბა კლასელს ხომ არ დავპრიდავდი?!.. მერე, მერე, რას ყვებოდი?

— აღარ მახსოვს, რას ვყვებოდი.

— ნინი წუხს, ბინა, ბინა რომ არა გვაქვსო, მგონი.

— ნინი? რაღა დროს ნინია? იმდენი რაღაც მოხდა ეს რომელი ოპერაციამ?

— დანიძნე, დანიძნე, ასე ჯობია. ჯერ ნინისაც არ შემოვუშვებ, — მეუბნება კოზა და საბანს მისწორებს.

— იცი რაა, ესეც უკვე იყო.

— რა?

— აი ეს მომენტი, მე ვინაქი და შენ საბანს მისწორებდი, განმეორდა. არ გქონია?

— მქონია, დანიძნე, დანიძნე.

ნეტა საიდან გაგრძელდება? ერთი ვიცი მხოლოდ, რომ იმ ჭინკასავით არავინ მეყვარება და ისე ვერც ვერავინ მტკენს გულს. ნეტა, საიდან გაგრძელდება?!.. სად გავჩერდი?..

## ქანა დ'არკი

ჯუანხერი კონიაკით სავსე ბოთლს ჩაის ჭიქაში ცლიდა. ხელი უკანკალებდა და ბოთლსაც და ჭიქასაც ნკარუნი გაუდიოდა. მეორე ხელში დი დი დანა ეჭირა, შეგოლილი სულგუნი პირდაპირ მაგიდაზე დაექუცვამცვებინა. საფარფლიდან გადმოსული ნამწვავი და ყველის ნაფხვენები ერთმანეთში არეულიყო.

ცარიელი ბოთლი მთელი ძალით დაანარცხა მაგიდაზე, გალივლი პეპული ჭიქა პირთან მიიტანა და

ხანაში გადაუქანა ისე, რომ მიორე ხელი დანისთვის არ გაუშვია... ცხოველივით ამოიფშვინა და ჭიქა იატაკზე მოისროლა. არც ჭიქა გატყდა. ამან უფრო გააცაცხლა, აიღო ზოთელი და გამეტიპით დასცხო ჭიქას. ორივე დაიფშვინა. ჯუანშერს მარცხენა ხელი სისხლით შეეღება.

— ვაი! — უხმოდ დაიკვივლა მის წინ მდგომმა მოცანცანა მაცაცომ. ჯუანშერმა ჯერ გაჭრილ ხელზე დაიხედა, მერე მაცაცოს ამოხედა ამღვრეული ცისფერი თვალებით.

— გეცოდები, არა? ჰე!

მაცაცო ხმის ამოღებას ვერ გადავდა, ცანცანებდა, დანას თვალს არ აცვილებდა. ჯუანშერს დანის ტარი ისე მაგრად ჰქონდა ხელში ჩაჭერილი, რომ მაჯაზე ქარღვები ასკდებოდა.

— შემომხედე! — დაიღრიალა ისევ ცხოველივით.

მაცაცო მყისვე დაემორჩილა. ჯუანშერს სასმელი თანდათან ეკიდებოდა და თვალებიც უფრო და უფრო ემღვრებოდა.

— გემუდარები, — ძლივს გასაგონად ამოიკნავლა ქალმა.

— გვინან არის! — გამოსცრა კბილებში ჯუანშერმა.

„მორჩა, დღეს დამთავრდება ყველაფერი, ახლა ამ დანას კისერში გამომისვამს, ან გუცელში გამიყრის, მერე? მერე რაღას იზამს? ალბათ, თვითონაც თავს მოიკლავს. ჭანა?! ჭანა! სად არის ჭანა?! ეეე... როგორ ვერ გავსწარიტ? მორჩა, მომკლავს, ახლა მომკლავს!“

მაცაცოს ადრე ქალაქში მომხდარმა რამდენიმე ტრაგიკულმა ისტორიამ გაუბრინა თავში. „ეჭყობა, ისინიც ჩემსავით გოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ სასიკვდილოდ განმეტიებდნენ. ჭანა! სად არის ჭანა ამდენ ხანს? საცოდავი ბავშვი.“

— გემუდარები! უფრო ჩუმად, — უკანასკნელ კვნესასავით აღმოხდა მაცაცოს.

— ხმა-მეთქი! — დაიღრიალა ჯუანშერმა და ისევ დაჰკრა დანა მაგიდას. ყველის ნაფშვინები და სიბარათის ნამწვავი ერთმანეთში აიზილა. დანის პირი თვალებთან ახლოს მიიტანა და ხელის თითებით დანის პირს სიბასრე გაუსინჯა.

როგორც ზღვა ძლიერი დღევის დროს, ჯუანშერის თვალები ცისფრიდან ჭამბისფერში გადასულიყო და აქა-იქ სისხლისფერი და ტალახისფერი ლაქებიც შეეროდა.

„ახლა მომკლავს, აი, ახლა აპირებს, ალბათ კისერში გამომისვამს, ან გამომფატრავს. დროზე მაინც დამთავრდეს, რა საშინელი დანაა, აქამდე როგორ არ შემიმჩნევია, როგორ არ გადავებოდე.“

ჯუანშერმა ისე ჩაახველა, როგორც დიდი საქმის დანყების წინ.

— გემუდარები, ჯუნა, შემიბრალებ, — მაცაცოს თავისი ხმა თვითონვე ეუცხოვა. ჯუანშერმა იდაყვამდე წამოსულ სისხლის წვეთს თვალი ააყო ლა, უცებ ბავშვივით აზღუქუნდა:

— რატომ, რატომ... რა დავაშავე?

— გეფიცები, — ჩუმად, ხმის კანკალით რაღაცის დამტკიცებას ავი რეზდა თითის წვერებზე შემდგარი მაცაცო.

ჯუანშერს მორეული სასმელი ძილისკენ ექაჩებოდა, დრო და დრო თვალებს ხუჭავდა და ისევ ფნიზღებოდა.

„ღმერთო, ოღონდ ახლა, ოღონდ ახლა გადამარჩინე და... სად არის ჭანა? როცა მოვა, შეიძლება, ორივე დახოცილები დავხვდეთ, სისხლის გუბეში. საცოდავი ბავშვი... რა დავაშავე?!“

ამ დროს კი ცხრა წლის წვრილკანჭებიანი გოგო მიწაზე ფხს არ აღ გამდა, ისე ამორბოდა აღმართზე, როგორც მღვებრადვენებული შველი.

\*\*\*

ერთი კვირა იყო, ჯუანშერი გადაბგულად სვამდა. ჭანა რომ არა, მაცაცო, ალბათ, აქამდეც გასცილდებოდა ქმარს, მაგრამ ჭანას სიგიჟემდე უყვარდა მამა. ჭანა ერთადერთი იყო, ვისაც პირუტყვად ქცეული ჯუანშერისა არ ეშინოდა.

რე ექნა მაცაცოს, ჯერ ხომ სულ ახალგაზრდა იყო. ოცდაათი წელი ერთი კვირის წინ შეუსრულდა. თხელი, მაღალ კანჭებზე შემდგარი, ჭრე ლი ქერა თმებით და შუააზიური ნესვივით კუქუბით. დღემდე თავისი მდიდარი დაქალების გამონაცვალნი ტანსაცმლით იყო შემოსილი, ისიც და მისი ოჯახიც.

სხვების მოგებრებულ კაბებს ისე გამოაღამაზებდა ხოლმე მაცაცოს მკვრივი სხეული, რომ

ვერაფრით ჩაუვლიდა კაცი გულბრილად. თუმცა, მის ბრწყინვალე დაქალაქს მაცაცოს წარმატების მიზანი ხშირად საკუთარი ქონება ეგონათ და, არცთუ იშვიათად, ნაჩუქარს უკან იბრუნებდნენ, სანაცვლოდ კი უფრო ახალსა და უფრო ძვირფასს სჩუქნიდნენ. მაცაცოს მათ ასეთ საქციელზე არასოდეს ჰქონდა რეაქცია, უპრობლემოდ ასრულებდა მათ ყველა „კაპრიზს“. დამთმობი და რბილი ხასიათის გამო მასთან ურთიერთობა ყველას სიამოვნება. ხშირად დაბეჭდილი მწვერვლით დაჰყავდათ თან ძვირფას რესტორნებში მამაკაცების ხაფანგში გასაგებლად. მაცაცოს დაქალაქს შორის ყველას ჰქონდა ბევრი ფული, სახლები, აბარაკები, მანქანები, მათ ჰყავდათ წარმატებული მეორე ნახევრები, რომლებიც ცოლებს მხოლოდ „სინარულით“ მიმართავდნენ. ჯუანხერი კი მათ ყველას „ნაბოზრებს“ ეძახდა.

„ნაბოზრები“, მაცაცო და ჯუანხერი ერთ დროს ერთად სწავლობდნენ. სტუდენტობის წლებში ჯუანხერზე „მაგარი“ ბიჭი აკადემიაში არ დადიოდა. არც მასზე სიმპათიური იყო ვინმე და, როგორც მხატვარსაც, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ნამდვილი ყოფი იყო. ერთიანად უხდებოდა ქალაქიც და მთაც. მასთან ერთად „კახოლში“ წასული გოგონები ყურბანგამდე შეყვარებულნი ბრუნდებოდნენ უკან. და საერთოდ, როგორც შემდეგ ბევრი გამოტყდა, მთის სილამაზეს, თურმე, ჯუანხერ გვერდით ყოფნის სურვილმა აზიარა. დრო შეიცვალა. ყოფი ფარას ჩამოიწია, დაქაზუნდა, თითქმის ნაადრევად დაბერდა კიდეც და ხელმოცარულმა მას მიჰყო ხელი. ყველა ღოთს აქვს საკუთარი ბალოთების რკინისგაბეჭდილი ვერსია და, მათ შორის, ჯუანხერსაც. მაგრამ ეს ისტორიები ისევე ჰგავს ერთმანეთს, როგორც მათი გმირები. საბოლოო შედეგი კი სავალალო და კატასტროფული აღმოჩნდა — ხელმოცარული მხატვარი, დაწყვიტილი ნერვებით, ღოთი, რომელსაც აბრახამა დღითი დღე ემატებოდა. მისი სახლიდანაც სულ უფრო მეტი სიხშირით გაისმოდა ჭურჭლის თუ ავეჯის ლენვა-მტკრების ხმა. ბინებს და ავეჯებს გარეთაც მიჰყო ხელი და თავიკრდასიხსლიანებულნიც ხშირად დაბრუნებულა სახლში. უკანასკნელ კავიკებს სასმელში ხარჯავდა, მერე სიკვდილის პირას მყოფი საავადმყოფოში ხდებოდა, გადასხმები, გადმოსხმები, ხვეწნა, მუდარა, ფიცნი, შერცხვენილი ფხიზელი თვალები და ისევე თავიდან ყველაფერი. ოღონდ თუ ადრე საგი-ოთხი თვე გაინც იყო ფხიზელად, ახლა ეს დრო თანდათან შეგვირდა და მონაცვლეობა მხოლოდ ნასვამობასა და უბორო სიმთვრალეს შორის დარჩა.

როცა მთვრალმა ჯუანხერმა პირველად ატეხა აყალმაყალი, მთელი უბანი ფეხზე დადგა. ასეა კველ უბნებში, ყველა ერთმანეთის ცნობისმოყვარე გულშემატკივარია, ყველას აქვს შენს პირად ცნობრებაში ჩარევის უფლება, რჩევის მოცემის და, არცთუ იშვიათად, გადაწყვეტილების მიღებისაც კი. მაგრამ თანდათან გულშემატკივართა რიცხვმა იკლო. ბოლოს, როცა მოხარბანავე მხატვრის გამოჩენას ცოტა ხანში ლენვა-მტკრების და ბინების ხმაც მოჰყვებოდა ხოლმე, კველი გულშემატკივრები ფანჯრებს და დარბაზებს ხურავდნენ — „დაუხოციანთ ერთმანეთიო“. ერთი სიტყვით, ჯერ მეზობლებს მოაბეზრა თავი, მერე მეზობრებს და ბოლოს მაცაცოსაც, რომელიც ბოლომდე აღმერთებდა ჯუანხერს და არასოდეს შურდა დაქალაქის ფულით გაქაძილი ქმრებისა.

არც ჯუანხერივით უყვარდა ვინმეს ცოლი. მაგრამ რა ექნა, ცნობრების ასეთმა წესმა თავისი ქნა, სასმელის ოხშივართი გაჟღენთილ საწოლში ზოგჯერ დილაზე იბრძოდა კველი პატივმოყვარეობის დასაბრუნებლად, მაგრამ სასმელს ეჯობნა მისი კაცობისათვის და ახლა კველი გამხდარიყო კველი ღირსების დაბრუნება.

— „თავი დამანებე, აღარ შემიძლია,“ — აღმოხდა ერთხელ მთელი დამის ნათანჯ-ნაჯიჯგნ მაცაცოს. და ამ ფრაზას შეეწირა ჯუანხერის ბეჭის ნაფიქრითი, პარიზიდან ჩამოტანილი სარკე, ორი ვენეციური სკამი, ოჯახის სიამაყე კლავიკორდი და წინა კონფლიქტებს გადარჩენილი კუხნეცოვის ოთხი თეფრი. მეზობლები გარეთ იდგნენ და ამჯერად შესვლას ვეღარ ბედავდნენ. კარი ნიხლისკპრით გაიღო და გამძვინვარებული ჯუანხერი გარეთ გამოიჭრა. შებროვილ მეზობლებს არ ელოდა...

— დედაც მ..... — გამოსცრა კბილებში. ეს, ალბათ, უფრო მეზობლების მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ რადგან ადრესატი არ იყო მითითებული, ვერავინ მოედავებოდა. ჯუანხერმა სიბარბის ხელის კანკალით მოუკიდა და დაღმართზე დაეშვა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. საწოლში ნახევრად შიშველი, აცახცა ხეზული მაცაცო იჯდა და უხმოდ ტიროდა. მხარი სარკის ნამსხვრევს გაეკანრა და სისხლი სდიოდა. მეზობლების ფეხის ხმაც გაისმა. მაცაცომ ხელები სახეზე აიფარა. არ შეეძლო ახლა მათი დანახვა და არც მათი ხმის გაგონება. მეორე ოთახში ჟანა იწვა. მას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ მეზობლებმა დაანწრეს შემოსვლა. მაცაცოს გარშემო ჩამწკრივებული მეზობლები ერთმანეთს არ აცლიდნენ ბალოთებული „კარგი კაცების“ ტრაგიკული ისტორიების მოყოლას. მაცაცოს ერთი სული ჰქონდა, როდის ნავიდოდნენ. თავი მაღლა არ აუწევია.

— სასწრაფოს ხომ არ დავუქახოთ? — თქვა ერთ-ერთმა და მაცაცოს მხარზე შეეხო.

— არაფერია, გამეკანრა, თუ შეიძლება, მარტო დამტოვეთ, — ქლივს გაბედა მაცაცომ საკუთარ სახლში. ეს ბოლო ფრაზა არ უნდა ეთქვა. ძველ უზნეობი ამგვარი ფრაზები გინებაზე უარესია, მაგრამ ერთმა მაინც იპოვა გამოსავალი.

— ბავშვი? სად არის ჟანა?

— სახლშია, სძინავს, — უკანსუნა თვითონაც ნირნამხდარმა მაცაცომ.

— სძინავს? — ეს უკვე მეტისმეტი იყო შეურაცხყოფილი ცნობისმოყვარეებისთვის.

— სძინავს?! — ჩაილაპარაკა ცინიკურად ამ ვიზიტის ინიციატორმა ქალბატონმა ანჟელამ და იძვე დასძინა, — მთელი სოლოლაკი გააღვიძა მამამისის ლანძღვა-გინებას და მებას სძინავს?!

ჟანა კარგად იცნობდა ანჟელას და ისიც იცოდა, რომ ამ ინფორმაციას აუცილებლად მოჰყვებოდა გადაგონება, ამიტომაც სასწრაფოდ ჩაძვრა ლოგინში და თავი მოიმაძინარა. კარი გაიღო.

— ჟანა, ჟანა! — ბანისმა მეზობელი ქალის ხმა.

— დიახ, — წამოწია თავი ვითომდა მძინარე ჟანამ.

— რას აკეთებ?

— არაფერს, მძინავს.

— სძინავს, ჰე! აქედანვე რომ ტყუილებს დაეჩვენა, ჰე!.. ნაკვდით, ნაკვდით. თავში ძვაც უხლიათ, — ჩაილაპარაკა კიბეებზე ჩასვლისას. დანარჩენებიც თან გაჰყვნენ. ეზოში გასაჩერებლად და საძმის გასარჩევად არავის ეცალა, რადგან წინა დღეს ნანახ ბრაზილიურ სერიალს იმეორებდნენ, ეს კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ მათ ცხოვრებაში.

სწორედ მაცაცოს მაშინდელი ნათქვამი ფრაზა „თუ შეიძლება, მარტო დამტოვეთ“, გახდა ახლა იმის საბაზი, რომ მიუხედავად კარგა ხნის წინ დაწყებული ლენვა-მტვრების და გინების ხმისა, მაცაცოს არავინ გამოსარჩლებია. უფრო მეტიც, სადღაც, გულის სიღრმეში, იქნებ, კიდევ გახსრებოდათ, ერთი კარგად ნაცემ-ნაგვემი რომ ენახათ. — „ჰა... მარტო გინდოდა? მიიღე მარტო!“

\*\*\*

— დე, — გამოვიდა, როგორც იქნა, საძინებლიდან ჟანა, — მე ნავალ, მოვქებნი.

— მეც ნავალ, — მაცაცოს ხმაში გადაწყვეტილება ჩანდა.

— სად? — შეეცადა, დედის თვალებში ეპოვნა პასუხი.

— რა ვიცი, მაგრამ აქ რომ ალარ დავრჩები, ვიცი.

ჟანამ ვითომ ვერ გაიგო, დედა რომელ ნასვლაზე ელაპარაკებოდა.

— მოვქებნი, — თქვა და გარეთ გავიდა. ანჟელა ღია ფანჯარაში იდგა და გლინებს აცხოვდა.

— შე დამავალ, შენა, ქალს ქმარი წაართვი და ახლა სასიკვდილოდ იმეტიპ არა, — ეს ბრაზილიური სერიალის ბოროტი პერსონაჟის მისამართით იყო ნათქვამი. ჟანა ცოტა ხნით გაჩერდა, გაახსენდა, რომ შიოდა. ანჟელამ გამოხედა, მაგრამ მასაც გაახსენდა, რომ ამ ოჯახზე გაბრაზებული იყო.

— რა იყო, ჟანა? — შეეკითხა წყენაგამოყოლილი ტონით. სხვა დროს აუცილებლად შესთვავებდა,

ახლა კი ხაზგასმით, ჟანას დასანახავად გადმოიღო თეფხუცა პლინები და თვალი თვალში გაუყარა.

- მამაჩემი ხომ არ დაბინახავთ, საით წავიდა?
- მე რა ვიცი მამაშენი?!
- კარგი, უკაცრავად, ბოდიში, — ჟანა მიხვდა, რომ აქ აღარ უნდა გაჩერებულიყო.
- არაფერს, ბენაცვალე, რა არის საბოდიშო, — გურტყუნით მოშორდა ფანჯარას ანუქლა.

ჟანა დაღმართზე სირბილით დაეშვა და ქუჩის ბოლოს შეგროვილი ხალხი დაინახა. გულმა უგრძნო

— რაც იმ ხდებოდა, აუცილებლად ეხე ბოდა მას. წამებში გოთლმოდერებულ კაცს ხელში ჩააფრინდა და

მკლავზე ჩამოეკიდა.

- ხელი არ ახლოთ! — დაიკივლა მთელი ხმით.
- ხელი არ ახლოთ, მამაჩემია!

მთვრალ ჯუანშერს სადაც იყო თავ-ყვას გაუერთიანებდნენ. ბოღმაზე უგონოდ დათრობა უკვე მოეხსნო და ახლა ორი უცნობი მამაკაცის დაუმ სახსრებელი შეურაცხყოფისთვის დამსახურებული მითითება ელოდა.

— მერე, მამაშენი თუა, ამ ჩემისას ტვინი არა აქვს თავში? — კაცმა მკლავზე ჩამოკიდებული ჟანა უხეზად მოიშორა.

— ძალიან გთხოვთ, ავატიეთ, მე მავატიეთ, კეთილია, ძალიან კეთილია, გთხოვთ, ავატიეთ, მე მავატიეთ, კეთილია, ძალიან კეთილია, ახლა მთვრალია და იმიტომ... გამოფხიზლდება და ბოდიშს მოგიხდით, — ყელგამონეული, ჩქარ-ჩქარა ელვაპარაკებოდა ჟანა კაცებს და თან ცდილობდა, მოგარბაცე ჯუანშერს აფარებოდა.

— რა ბოდიში?! ბოდიში კი არა, მაგათ დედაც... — ძლივს ლულულუღებდა ჯუანშერი.

— არ მოუსმინოთ რა, ხუმრობს, მამაჩემია, გემუდარებით, — ჟანა თან უღიმოდა კაცებს, თან ჯუანშერს უკან-უკან სწევდა. ჯუანშერი ასფალტზე გაგორდა. გარშემო ხალხი შეგროვდა.

— წამო, წამო, ფუ, მამის ღორი დედაც, — ჩაილაპარაკა ნაკლებად აქტიურმა და მიგობარს ხელკავი გამოსდო. წავიდნენ. ჯუანშერი ასფალტზე წამოწადა. ჟანამ ომბადახდილივით მოიხსვა შუბლზე ხელი და მიმავალ კაცებს თვალი გააყოლა. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ საფრთხე აღარ ელოდა.

რამდენჯერ ჰყავდა ასე გადარჩენილი, რამდენჯერ გადაჰყარებინა, რამდენჯერ შეუშვერია სახე მოღერებული მუშტისთვის თუ იარაღისთვის. მაგიური ძალა ჰქონდა ჟანას. მთავარი იყო, მიეხსნო.

ერთხელ პოლიციელებსაც კი გამოჰგლიჯა ხელიდან მამა. ჟანაც ამიტომ შეარქვა ჯუანშერმა — ეს

ჩემი უშიშარი ჟანა დ'არკიაო, — ერთხელ თქვა.

- ვინ იყო ჟანა, მა? — ჰკითხა ძალიშვილმა.
- მამარი ტიპი, ძალიან მამარი, მამრამ შენ იმაზე მამარი ხარ.

ბავრი ვერაფერი გაიგო ჟანა დარკის შესახებ, მამრამ ერთხელ ფოტო ნახა ფილმიდან და იმ დღესვე ისე შეიჭრა თმა. მოუხდა, მოეწონა და იქიდან მოყოლებული გახდა ჟანა. სალომე — მისი ნამდვილი სახელი — რომ დაბე ქახათ, არც გამოიხედავდა. გარშემოც ყველას დაავინყდა, ადრე თუ სხვა სახელი ერქვა. მასწავლებლებიც ჟანას ეძახდნენ. როცა მოეპრინებოდა, სკოლაში მაშინ მიდიოდა, როცა არ იყო ხასიათზე — არა.

— რა არის, ეს ბავშვი უნატრონოდ ჰყავთ მიგდებული, — ხანდახან რომელიღაც „მზრუნველი“ მეზობელი მიაყოლებდა ხოლმე ზურგში სკოლის საათებში უხანში მოსეირნე ჟანას. ასეთ დროს ჟანა

კბილებს ერთმა ნეთს ისე დააჭირდა, ვიდრე ნესტობს შორის ტკივილს არ იგრძნობდა. შეპასუხებით არ შეეპასუხებოდა, მაგრამ სამაგიეროს გარეშე არ დატოვებდა. სამაგიერო კი ბევრნაირი იცოდა. ყველაზე ნაკლებმანებლური ტალახიანი ბურთის თეთრეულზე შემთხვევით მოხვედრა იყო. ტელეფონის კაბაელის გადაჭრა, მინების ჩამტვირთვა, სასწრაფოს ან სახანძროს გამოქანება და, ვინ იცის, კიდევ რა ახალი იდეა მოუვიდოდა ფანტაზიებით სავსე კატარა თავში. თუმცა, დანაშაულს ვერანდროს უმტიცივებდნენ და ეჭვიც იშვიათად ჰქონდათ მასზე. ისეთ გულუბრყვილო გამომეცხველებს მიიღებდა, ხშირად მასვე ავალუბდნენ დამნაშავის მოქმედებს.

\*\*\*

ჯუანშერი ისევ ასფალტზე იჯდა, ჟანა ცდილობდა, წამოეყენებინა. სირცხვილი ისეთ ღროს შეახსენებდა თავს, როცა საფრთხე ჩავლილი იყო. ყურები უნითლდებოდა და ცხვირის ფხანა ეწყებოდა. ახლაც ასე მოუვიდა.

— ჟანა? — თითქოს ახლა აღმოაჩინა საკუთარი ძალიშვილი ჯუან შერმა, — აქ საიდან, მა? აქ რა გინდოდა? — ჩაეხუტა ჟანას.

— მე? კლასელთან ვიყავი, — იცრუა ჟანამ.

— წუხელ სახლში არ იყავი, მა?

— მაგი, მგია, — ყურში ჩასწურწულა ჟანამ. არც ისე შიოდა, მაგრამ იცოდა, ამ სიტყვებით უცაბელოდ აუწუყებდა გულს ისედაც გულწუყებულ ჯუანშერს. ახლა კი ეს აუცილებელი იყო. ჯუანშერი თითქოს გამო აფხიზლა ამ სიტყვებმა, წამოდგა და ჯიბეები მოიქეცა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— წამო, მარკეტი გავტეხეთ, ამათი დედაც.

— ჰა-ჰა-ჰა, — აკისკისდა ჟანა ნერვიულად, რომ ნათქვამი იუმორში გაეტარებინა. ჯუანშერმაც სიცილი დაიწყო. შეგროვილ ხალხს უინტერესო სანახაობა მოგაზრდა და თანდათან შემოეცალნენ.

— დედაშენი ნახე?

— კი!

— როგორ არის?

— კარგად!

— მე გიშლით, არა, ხელს?

ჟანამ შეკითხვა განუხა აუბლო.

— მაგი, იცი სად წავიდეთ?

— სად?

— მაგარი პეროგი არ გინდა?

— რუსოსთან?

— ჰო, რუსნიკოსთან.

— ცოლო.

— რატომ?

— ვუყვარვარ, ჩვენ კიდევ „პეროგის“ საჭმელად დავდივართ. ტეხასს, არ ტეხასს?

— რა ვიცი!

— თუმცა, წავიდეთ, მაგის დედაც, არა?

\*\*\*

ჯუანშერი და ჟანა რუსოს კართან იდგნენ და ზარს რეკავდნენ. ამ ღროს კი მაცაცო თავისი ერთ-ერთი დაქალის სახლში ყველაფერს ფქვავდა, ძველსაც და ახალსაც. მუდამ ერთმანეთზე შურით მომზირალი „ნაბოზრები“, მაცაცოს „უბედურებას“ ისე შეეპრა და ისე გააერთიანებინა ჯუანშერის წინააღმდეგ, რომ მზად იყვნენ, იმ წუთიდან დაეწყოთ მაცაცოსთვის „პრინცი“ ძებნა, ხოლო სანამ „პრინცი“ გამოჩნდებოდა, ამ ეტაპზე ვინმე „მანუბეგებელი“ რომ აუცილებელი იყო, ეს საკითხი იმავე



დღის გეგმაში ჩაიხსნა პირველ კუნძულად. გეგმიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ და შუადღისას, როცა რუსუდანს გაეძურებინათ „ქარონის“ ზემოთ ამოსული „პერობი“ სიამაყით გამოჰქონდა, „ნაგოზრების“ ახალ „შემოტკეპში“ „გაზმანული“ მაცაცო ორ უცნობ ყვანვილ კაცთან და, რაღა თქმა უნდა, დაქალბთან ერთად ქალაქბარეთ რესტორანში შამანურს წრუპავდა.

ჯუანზერი რუსუდანის ტახტზე შინაურულად, ბათინკებით მიწო ლილიყო და ისე გვვიდად ხვრინავდა, როგორც საკუთარ სახლში. მისი მოსვლა აქ ყოველთვის დღესასწაული იყო, ყველა დროს და ყველანაირ მდგომარეობაში. რუსუდანი მას მთვრალსაც ისეთივე სიხარულით და ალტაცებით ეგებებოდა, როგორც ფხიზელს. რა უნდა ჩაედიანა ჯუანზერს ისეთი, რომ რუსუდანს მისთვის ხელი ეკრა, ჭურჭელსაც დაამტკრებინებდა, ავეჯსაც და მთვრალსაც დიდი სიხარულით მოუვლიდა. რუსუდანი ერთადერთი იყო, ვისთვისაც ჯუანზერი ისეთივე ჯუნა იყო და ძვეყნად მას ვერც ერთი მამაკაცი გვერდით ვერ დაუდგებოდა. არც მასზე სიმხათიური ეჩვენებოდა ვინმე, არც მასზე ნიჭიერი, არც მასზე კეთილშობილი. მოკლედ, ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, სადაც სიყვარული ბრმაა. ჯუანზერის ყველა გამორჩენაზე რუსუდანს ზუსტად იბივე ემართებოდა, რაც პირველად გავშვობაში.

ქვირფას ჩარჩოებში ჩასმული ჯუანზერის ფერწერული ნამუშევრები კედლებიდან უდიდესი პატივით და მოკრძალებით დასცქეროდნენ საკუთარ შემქმნელს.

— სუუ, — გააკავა ცხელი „პერობით“ ხელში მომავალი რუსუდანი ჟანამ.

ჯუანზერმა ძილში გრძელი ფეხები ერთმანეთს გაუსვა და ბათინკები ძირს გადაყარა, უფრო მოხერხებული პოზა მიიღო ტახტზე. ეს იმის ნიშანი იყო, რომ თუ ვინმე ქალის გამოყენებით არ შეეცდებოდა მის გამოფხიზლებას, ეს მდგომარეობა, სულ ცოტა, ოცდამოთხ საათს მაინც გაგრძელდებოდა.

— სუუ, — გაუმეორა ჟანამ — ჩქარა, კლდე!

რუსუდანი აფორიაქდა და „პერობს“ იძვე მოუქებნა ადგილი, ფეხზე გაიხადა და კლედის მოსატანად თითის წვერებზე გაიძცა.

გადაფარებას კი ჟანა ვერავის ანდობდა. ახალჩაძინებული ჩვილის დე დასავით ფრთხილად იძცემოდა, ზუსტად იცოდა, როდის, რომელი ამოხვრინვის დროს მიეფარებინა.

რუსომ კლდე გაუნოდა, ჟანამ გადააფარა და კმაყოფილი მოტრიალდა.

— ეს ხვალამდე აღარ გაიღვიძებს, ტელეფონი გამორთე და ტელევიზორი არ ჩართო!

— კარგი, როგორც იტყვი, — მორჩილად დაუპრა თავი რუსომ, ის ჟანას ყველა ბრძანებას უწყყმანოდ ასრულებდა.

ჯუანზერს კარი გამოუხურეს და სამზარეულოში გავიდნენ. ჟანამ ნახევარი „ქარონა“ ცხელი

„პეროგი“ მიირთვა და დიდი ჭიქით ცივი წყალიც მიიყვლა.

— წავიდი მე, — თქვა და წამოდგა.

— სად? — შეეკითხა რუსო.

— მაცაცო უნდა მოვძებნო.

— რაა?

— არაფერი, სახლში მივდივარ, თუ რამე... დამირეკე, კარგი? — გულზე დაადგა ცხელი ცომი.

— კარგი, როგორც შენ გინდა.

— ორ ნაჭერს წავიღებ.

— აბა რაა, სულ წაიღე, მე მაინც არ ვჭამ.

— სულ არ გინდა.

— მოიცა, ამას ჯუანშერს დავუტოვებ და დანარჩენი წაიღე, — თქვა რუსომ, ნამცხვარი პერგამენტის ქაღალდში ლამაზად შეუხვია და ჟანას გაუწოდა.

— კარგი, გმადლობთ, — ჟანა წავიდა. რუსუდანი მძინარე ჯუანშერს წინ დაუჯდა და მოურიდებლად ისეთი ალტაცებით დაუწყო თვალღებობა, როგორც ბალიაში პირველად ნანახ უცხო ცხოველს. ჯუანშერს ისევ მშვიდად ეძინა.

\*\*\*

ჟანა სახლში შევიდა, „პეროგის“ ნაჭრები მაგიდაზე დააწყო და ნომარ სახლს თვალი მოავლო. დონჯემოკრული განცქეროდა სარკის ნამტვრევებს (საიდან დაეწყო, ვერ გადაეწყვიტა), ერთი ყველაზე დიდი ამოარჩია და თავის ოთახში შეიტანა. უცნაური ფორმის სარკის ბრძლი ნატეხი კედელზე მიაყუდა და ზედ ჩალის შლავა ჩამოკიდა. მერე ლეიზის ძველთ შუაგულზე ხელი, დიდხანს აფათურა, ბოლოს სიბარათის გაბრტყელებული ღერი გამოაქვრინა. შლავა თავზე დაიმხო, სიბარათი პირში გაიჩარა, ფეხი ფეხზე გადაიდო და სარკის წინ დაჯდა. მოკრწული პატარა წითელი ტუჩებიდან მალე ბოლიც გამოუშვა ისე, რომ ერთიც არ წამოუხველებია. სიბარათი ხან ერთ ხელში გადაჰქონდა, ხან მეორეში, ვიდრე ტელეფონის ზარმა არ გამოარკვია. სიბარათი სწრაფად გასრისა ფეხით და ტელეფონს ეცა.

— ჰო, რუსო?! ცოტა ხმამაღლა, არ მესმის, ა, გაიღვიძა? არა უშავს, თუ ითხოვს, ერთი ჭიქა დაალევიდე და ისევ დაიძინებს. სულ ერთია, კონი აქი ჯოგია. მაცაცოს კითხულობს? კარგი, რამეს მოვიფიქრებ, — ჟანამ ყურმილი დაკიდა. ისევ გაისმა ზარი.

— ჰო, რუსო, — ამჯერად მაცაცო რეკავდა. დაძალებისგან დამოქვრილს ხმაში სიმტკიცე და დამაჯერებლობა შესქენოდა.

— არ გინდა, სახლში ვიქნები, არ მშია, — ჟანამ ისევ დაკიდა ყურმილი და გასრისილი სიბარათი მოქებნა. ცეცხლი აღარ მოეკიდებოდა. ნაგავზე მოისროლა და საძმეს შეუდგა.

\*\*\*

ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს ყველაფერი წინასწარ იყო ჩანდობილი, თუ თავისთავად მოხდა, მაგრამ რესტორნიდან აგარაკზე გოგა და მაცაცო მარტონი აღმოჩნდნენ, თანაც, უმანქანოდ. მანქანაშიც გოგას გვერდით იჯდა. გაკრიალებული, წვერბაასრული, ხავერდოვანი კანით. მაცაცოს აღარც ახსოვდა, თუ ასეთი წერიალა, სასიამოვნოსუნებიანი კაცებიც არსებობდნენ. სიამოვნება კიდეც გზაში შემთხვევით ლოყის ლოყაზე შეხება. არც მაშინ შემოუკრავს თავში ხელი, როცა დარ-

წმუნდა, რომ აბარაჰმა ორნი არიან. ბევრი რომ არ ეფიქრა, 2 ჭიქა კონიაკიც კი გადაჰკრა შემდგომი ქმედებების სასმელისთვის გადასახრალეზად. გოგას მაცვივრიდან ნაირ-ნაირი სასუსნავი გამომჟღავნდა. მაცაცოს წინ მაგიდაზე აწყობდა.

— აუ, აუ, აუ, — იქანდა ყოველ წუთს, კომპლიმენტებს შორის, — წამო ბასიენთან, — ხელკავი შესთავაზა მაცაცოს და მიორე ხელით სინზე დალა გეზული სასუსნავი დაიჭირა. მაცაცო გაჰყვა. გოგამ აუზთან ეგზოტიკურად მოწყობილ კუთხეში მაგიდაზე დააწყო ყველაფერი და მაცაცოს სკამი გამოუწია. მაცაცო დაჯდა. იქაურობა მოათვალაირა.

— წუ გეშინია, აქ არავინ მოვა და ვერც ვერავინ დაგინახავს, ამაზე ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იჩაღიჩა ბაიოზმა, მამაჩემმა. იცი, რა მამა მყავს? ეგეთი არ არსებობს, გაგაცნობ აუცილებლად.

მაცაცო წამოდგა და აუზთან ჩაცუცქდა, მერე ფეხზე გაიხადა და თითები ოდნავ ჩაყო წყალში.

— ცივია, არა?! ისე, ჩემი ცოლი ზამთარშიც ბანაობს, — „გიჟიანო“, ჟესტიმით რაღაც ამდაგვარი მოძრობა ჩაატარა.

— აუ, აუუ, იცი რა ლამაზი ხარ?! — აკოცა მხარზე და ხელები მოხვია. — ისე მეც ვერ ვიტან, თუ წყალი ოდნავ ცივია. გინდა, ზღვაზე წავიღეთ სადამე? ერთი კვირით.

— ჯერ ზღვაზეც ცივია წყალი, — მაცაცოს ფანტაზია საკუთარ სამშობლოს საზღვრებს ვერ გასცდა.

— აქ კი, მაგრამ სადმე ხმელთაშუა ზღვაზე, აზრზე ხარ, მე, შენ... ზღვა, პალმები...

— ბავშვი? — უცებ წამოიხროლა მაცაცომ.

— რამდენის არის ბავშვი?

— ათის გახდება მაღი.

— მერე, წავიყვანოთ, რა პრობლემაა?!

მაცაცომ მხრები აიჩიჩა, ვერ ხვდებოდა რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. „ცოლოვანს მთავაზობს თუ?!...“

— აქედან შეიძლება დავრეკო?

— კი, რა პრობლემაა, — გადმოუდგა გოგამ ტელეფონი.

— ახლავე მოვალ, კარგი, ცოტა ხანს, სულ 2 წუთით დამელოდა.

გოგა ორ წუთზე მეტ ხანს დაიკარგა. მაცაცოს კი მხოლოდ ასეთი ფრაზები მოსდიოდა თავში — „ღიანაც!“ „აბა, რა ეგონა?!“ „ტვინი არ მქონ და თავში!“ — ვითომ ჯუანპერის დასავიწყებლად წამოსულს.

\*\*\*

ჟანას ოთახი მიეღობებინა. „პეროგის“ ერთი პატარა ნაჭერიღა იღო. იქით არ იყურებოდა, რომ გული არ არქოდა. ზარის ხმა გაისმა.

— რას შვრები, საჭმელი ჭამე?

— ვჭამე, როდის მოხვალ? — ჰკითხა ჟანამ.

— გინდა, ზღვაზე წავიღეთ?

— რაა? — ხომ არ მომესამო, გაუკვირდა ჟანას.

— კარგი, ჰო, არაფერი!

— სად ხარ?

— გეტყვი, როცა გნახავ.

— არ მოხვალ?

— არა!

— მთვრალია, ძებნა რომ დაგინწყოს?

— ჟანა, მე მანდ აღარ დავბრუნდები, სვალ გნახავ და ყველაფერს აგისხნი.

— მე მოვალ, სად ხარ?

- ვერ მომაგნებ.
- სად ხარ, მომაგნებ.
- ჟანა, მომისმინე, აქ ცუდად იქვარს.
- ტელეფონი მომიცი და მე გადმოგიჩვენებ.
- კარგი! დაგიჩვენებ. მაღე დაგიჩვენებ.

მაცაცო ნვენს მიირთმევდა და აუზს გაჰყურებდა. სხეულში რაღაც სასიამოვნოდ ჭინაჭვილებივით დაუდიოდა. სკამზე შემოწყობილ საკუთარ ფეხებს მუხტრის თვალით შესცქეროდა. მოსწონდა... დამდეგოდა, თვალები დახუჭა. ხველთაშუა ზღვა... მზე... პალმები, გარუჯული მაცაცო და გოგა, ოღონდ სახე ვერ აღიღვინა, ჟანაც იქვე მდიდარ ბავშვებთან ერთად, აუზში ჭყუმბალაობს. და ჯუანხერი... ჯუანხერი? ოჰო, რომ მოკვდეს? მკვდარი ჯუანხერი, დასაფლავება, პროცესია, გოგა, ოღონდ სახე ისევ ვერაფრით აღიღვინა. კუბოს თავს ახურავენ, ჟანაც იქვე დგას, დიდი ქალივით, არ ტირის. მორჩა, ჯუანხერს მიწას აყრინა, უკან ბრუნდებიან, თავისუფლები არიან. სასაფლაოდან ბრუნდებიან. „ფუ, რაზე ვფიქრობ“, შერცხვა მაცა ცოცხალი საკუთარი ფიქრის, სახლს გახედა. საათი არ ჰქონდა, ვერ მიხვდა რა დრო გავიდა. ისე კი უკვე გნელოდა, თანაც შესცივდა. სახლში შევიდა.

- გოგა! — დანიძახა. არავინ გამოეპასუხა.
- გოგა, სად ხარ?

აბაზანის კარს ოდნავ მიანვა, მერე შეაღო. გოგა იქ არ დახვდა. ჯერ სას ტუმრო ოთახი დაათვალიერა — ხომ არ მემალეპო! მერე საძინებლისკენ გასწია.

- გოგა! — ისევ დანიძახა, — სად ხარ?

საძინებლის კარი შეაღო. ღამის ბრა ოდნავ გაუტავდა. გოგა ლოგინზე ზემოდან იწვა. კარის გაღებისას მთელი ენერგია მოიკრიბა, რომ როგორც ფხიზელი და მოღივარი გამომეტყველება მიეღო, მაგრამ უაზრო თვალები მხოლოდ ერთი წამით გაახილა, გაუბეზრად ოდნავ წაილულულა — აუ, აუ, აუ, — და გაჩუმდა.

- გოგა! გოგა! — დააცქერდა მაცაცო, — რა მოგივიდა, ცუდად ხარ?

გოგას მცდელობა ისევ ჰქონდა, თუნდაც იგივე გაემეორებინა, მაგ რამ ამჯერად ჯანი აღარ ეყო. მაცაცომ შუბლზე დაადო ხელი. შუბლი გრილი და დაცვარული ჰქონდა.

- რა მოგივიდა, ცუდად ხარ? — საწოლს მერე მხრიდან შემოუარა და ძირს დაგდეგულ შპრიცს ფეხი წამოჰკრა. ოთახიდან გამოსარდა და ტელეფონს ეცა.
- ეკა მიშველე, მგონი კვდება, არა, რა ჯუნა, გოგა! ჩქარა, არ ვიცი, რამე უშველე. ვერ დაგელოდები, — ყურმილი დააბდო და ეზოში ჭიშკრისკენ გაიქცა. გასაღები კარში ეკეთა, გააღო და გარეთ გავერდა.

\*\*\*

- ცუდი ბიჭი ხარ, — ეუბნებოდა რუსო ჯუანხერს.
- რატომ?
- რატომ და იმიტომ.

ჯუანპერს გაღვიძებოდა, ახლა ტახტზე იჯდა და ფეხსაცმლის თას მებს იკრავდა. რუსუდანი კი მის წინ ისეთი ჩაცმული იდგა, თითქმის ეს ესაა სპექტაკლის პრემიერიდან დაბრუნდაო. ჯუანპერმა, როგორც იქნა, თასები შეიკრა და რუსუდანს ხელები მოჰხვია. ქალს მთელ ტანში თითქმის დენა დაუარა.

- ჰუ, ჰუუ, — ამოიფშვინა ჯუანპერმა, რუსუდანის თეძოებს დაეყ რდნო და ფეხზე წამოღება.
- დავპერდი, დავპერდი.

წელზე ნაივლო ხელი და რუსუდანს ისე აკოცა, როგორც დიდი ხნის უნა ხავ ნათესავის ბავშვს. თუმცა, ქალს ეს არ უბრძვინია, მისთვის ჯუანპერის ყველანაირი კოცნა ერთნაირად ვნებიანი და სასიამოვნოდ დამანგრეველი იყო.

— კარგი რა?! სად მიდიხარ ამ შუალამისას, გარემ გამოიძინე, — არ ეშვებოდა თავბრუდახვეული რუსუდანი.

- მე გამოვიძინე და შენ მთელი ასე ღამე დარაჯივით უნდა მეჯდე?
- კარგი, დანძი და გეფიცები, მეც დავწვი.
- ციც?! — პატარა ბავშვივით დატუქსა და საჩვენებელი თითი ცხვი რის წვერზე მიაჭირა.
- რა „ციც“? შენ რა იფიქრე, მე არ ვიცი, მაგრამ თუ გინდა, ლოგინს გაგიშლი და აღამიანურად გამოიძინე.
- არ გრცხვენია?! ცუდად რა უნდა მეფიქრე. ნავალ, ნავალ, ჟანაც ცოფოა, ალბათ, მელოდება.
- ქალიან საყვარელია.
- ჰო, არა?!

ერთ-ერთი, ვინაც, მშობლების გარდა, ჟანას შეყვარება გულ წრფელად შეეძლო, რუსუდანი იყო. რუსუდანი მზად იყო, ჟანაც ჯუანპერთან ერთად მიეღო და მისი ყველა სურვილი შეესრულებინა. არასდროს აღიზინებდა ეს „უზნეო“, „თავხადი“, „გაუზრდელი“, — როგორც მეზობლები და მაცაცოს დაქალები მოიხსენიებდნენ. მათ შვილებსაც ხომ ხშირად ხვდებოდა ჟანას „პანწური“, ხან უსამართლოდ, ხანაც დამსახურებულად.

რუსუდანთან სტუმრობა ჟანას იმიტომაც უყვარდა, რომ მისთვის აკრძალული არაფერი იყო. ყველაზე კვირფას ფეხსაცმელებს ქუსლები მოურყია, ყველაზე ღამაჟ კაბებსაც დედა უტირა, ხან სად გამოსდებდა, ხან სად, გიჟუტერიან ხომ ყველა მისვლაზე... „მიხდება?!“ — მხოლოდ ერთი შეკითხვა და ნივთი ჟანასი ხდებოდა. ერთი სიტყვით, რუსო „ყურძნის სიყვარულით ღოგეს ეფერებოდა“.

არც სკოლაში ჰქონდათ ჟანაზე საუბრეთესო აზრი. ერთის გარდა. რეზო მასწავლებელს უყვარდა ჟანა გამორჩეულად, რის გამოც ხშირად ეკამათებოდა სხვა მასწავლებლებს. ერთხელ, როცა რეზო მასწავლებელმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა და დიდხანს არ გამოჩნდა სკოლაში, ჟანამ მისამართი გაიგო და ქალაქის გარეუბანში თავზე დაადგა. პატარა სახლი, პატარა ეზო, საგულდაგულოდ მოვლილი, მსხმოიარე ხეხილით, ყვავილებით, კენჭებით მოპირწყლული ბილიკებით და რეზო მასწავლებლის მამის ხელით შექმნილი წყარო — ონკანი, რომელიც ყოველ დაღვებაზე

ასხენებდა თავს დამლევს წარწერით: „საყვარელ ოჯახს გრიგოლისგან“. ვინაიდან იმპროვიზებული წყაროც წყლის ჩვეულებრივ გრაფიკში იჯდა, დღეში რამდენჯერმე დაშრებოდა ხოლმე. ასეთ დროს „წყარო-ონკანი“ საფლავის ქვას ემსგავსებოდა. ოჯახის ორმა წევრმა, ერთმანეთზე გადაბეჭულმა დედა-შვილმა, რაღა თქმა უნდა, გრაფიკი კარგად იცოდა. დათბებოდა თუ არა, გვინან შემოდგომამდე, წყლის ჩუხჩუხის ფონზე, ბუნების წიაღში რკინის მაგიდაზე მოკრძალებულ, მაგრამ გამრიეულ სადილსა თუ ვახშამს მიირთმევედნენ. ქალბატონი ეთერი ყველანაირად ცდილობდა, რომ ენერგია იმ დღემდე შემოენახა, ვიდრე „ბიჭის“ მოვლას მის მიერ ნახევარს გადააბარებდა. ეს დღე გვინადებოდა და წლებიც თავისას შვებოდა.

ჟანას სტუმრობას დედ-შვილი დიდი სიხარულით შეხვდა და სუფრაც გაიშალა. წამოსვლისას ნახევრად მკვანე ბლის წვერზეც მოექცა და ბოლომდე ირწმუნებოდა — „მნიფა, მნიფო“.

მას შემდეგ არცთუ იშვიათად სტუმრობდა რეზო მასწავლებელს. მასწავლებელი რომ დაემშვიდებინა — „ამხელა გზაზე მართო არ მოვსულვარო“... გამობრუნა „აქვე ახლოს ბიძაჩემი ცხოვრობსო.“ აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ცხრა წლის ბავშვი სამ ტრანსპორტს იცვლიდა ამ მოსასვლელად. ჟანას ყველა სტუმრობა კარგი ვახშმით მთავრდებოდა, არც ჟანა მოდიოდა ხელცარიელი, რეზო მასწავლებელს მაცაცოს დაქალებისთვის ანაწილ სანთებლებს ჩუქნიდა — მაგამ გამობიგზავნათო. ეთერი ბაბინასთვის კი ვირდავირ თოკიდან ჩამოხსნა საპერქეთიდან ჩამოტანილი ანჭელას თბილი პონჩო, რომლის მომხარავის ამომცნობი კომისიის ერთ-ერთი წევრიც გახდა.

შემოიხვევდა თუ არა ეთერი ჭრელი ორნამენტებით მოხატულ პონჩოს და კარგად ჩათბებოდა, აუცილებლად იტყოდა — „რადაც დააბვინან ჩვენმა ჭინკამ!“ და ჭინკაც მალევე გამოჩნდებოდა.

ამ მოსული ხან რის კეთებას წამოიწყებდა, ხან რის. განსაკუთრებით კი იმას ეკალებოდა, რაც ეთერი ბავოს უჭირდა და რეზო მასწავლებელსაც არ ხელენიფებოდა. მაგალითად, კარადის თავების გადმონმენდა, გალერაში ზედა ფანჯრების განმენდა, ხის ყველაზე მაღალ კენწეროზე ხილის ჩამოკრეფა და, ბოლოს, სადილების კეთებაში აქტიური მონაწილეობა.

რამდენჯერ უფიქრია ქალბატონ ეთერს, „ეს რომ ჩემი შვილიშვილი იყოს, რაღა მომკლავდაო.“

ვიდრე რეზო მასწავლებელი სკოლიდან დაბრუნდებოდა, ცდილობდა მიესწრო, ქალბატონ ეთერს „შეეკრა“. ეთერმა კი ჟანას შესახებ თითქმის არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ მათ მეზობლად მისი

არარსებული ბიძა ცხოვრობდა თავისი ოჯახით.

— რატომ დანიშვინან ჟანამ, რა ხდება, ხომ არ იცი? — გაუგებრა ეთერმა შვილს შეკითხვა.

— არ ვიცი, სვამს თურმე მამამისი.

— უი, რას ამბობ, — გული დაეწვა ეთერს, — ეს რა მითხარი! — თვალზეცა ცრემლი მოადგა და

ფიქრებში წავიდა.

ჯუანხერი მემრედ გაინირა სასიკვდილოდ, მაცაცო კიდეც ერთხელ ენია ბედს, ამჯერად „ბუტილიკა“ „ლევისაგის“ ერთგული რეზონს მემრე ნახევრად. ეთერსაც შერცხვა საკუთარი ფიქრის და პირველადი გადაინერა. მერე რეზონს მიუტრიალდა და მკაცრი ტონით მოსთხოვა:

— ხვალვე გაიბე, რა სჭირს გავშვს, თუ სკოლაშიც არ დავდის, იქნებ რა უჭირს, სირცხვილი არ არის? წადი და სახლში მონახე.

რეზონს მასწავლებელი მაინც ავირებდა, ჟანა მოეკებნა და ახლა დედის მკაცრმა ტონმა საბოლოოდ მიადებინა გადაწყვეტილება.

\*\*\*

მაცაცო ტრასაზე ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, კანტიკუნტად მომავალ მანქანებს ემალებოდა, „ახალი შარი არ ავიკიდეო“. გზა განათებული იყო, შიშით არ შეშინებია, მაგრამ გოგას გალურჯებული ტუჩები არ ამოს დიოდა თვალებიდან. ირიქრაჟა და პირველი ავტობუსიც გამოჩნდა. საზოგადოებრივ ტრანსპორტს აღარ მოერიდა, ხელი აუწია და თითქმის ცარიელ სალონში ავიდა.

— სად მიდინარეთ? — ჰკითხა ყოველი შემთხვევისთვის მძღოლს.  
— სადგურში, — უპასუხა!

ბოლო პუნქტს არც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. მთავარი იყო, ქალაქში ჩასულიყო.

\*\*\*

კარი გაიღო და ოთახში ორი კონიაკის ბოთლით და შეგოლილი სულ გუნით ხელში დარცხვენილი ჯუანხერი შემოვიდა. ჟანამ შემკრთალმა წამოწია თავი ტახტიდან.

— მა?! შენ აქ გძინავს, მა?! — მივიდა და ჟანას კისერში ხმაურით აკოცა, — უჰ, რა დაუმხინათ რუსოს „პეროგი“ თავზე?  
— ეს მე, ეს დედაშენს, — მაგიდაზე სხვადასხვა ფირმის ორი კოლოფი დააგდო, — ესეც შენ, — გულისჯიბიდან „ჩიფსები“ ამოიღო. — ვა?! გეგონა დამავინწყდებოდა?! — ლოყაზე აკოცა და ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა:

— რუსომ დამაფინანსა. მიდი რა, მა. . . ჭიქა მომიტანე!  
— ოო, უნდა დალიო? — გაიჭმორა ჟანა.

— ორი ყლუპი, მა, სულ ცოტა, — ცუდლუჭი გავშვივით დააღრიჯა ჯუანხერი ქალიშვილს. ჟანა „ჩიფსების“ ხრაშუნით წავიდა ონკანისკენ და გასარეცხი ჭურჭლის გროვიდან პატარა ჭიქა გამოაკვრინა. თან ჭიქას რეცხავდა ცალი ხელით და თან ათასი ფიქრი უტრიალებდა პატარა თავში — რომელი ჯობდა, ფხიზელს გაეგო თუ მთვრალს, რომ მაცაცოს ღამე სახლში არ გაუთენებია.

ჯუანუერმა კონიაკი ჩამოასხა და გადაჰკრა, მერე შეგოლილ სულგუნს კატარა ნაჭერი ჩამოაჭრა და

მეორე ჭიქაც მიიყოლა.

— აკი, ერთიო? — დაუდგა ჟანა წინ ღოინჯით.

— ეს ერთის ტოლია, მა, ნახე, ერთი ბენოა.

„არა, ჯოგია დანიძინოს, დათვირეს და დანიძინოს, სანამ ბანიღვიძებს, მაცაცოსაც მოვქებნი, რამ დაგაძინა ამდენ ხანს“.

— ჰა, მაშინ ერთი დიდი ჭიქა და მორჩა! კარგი? — იეშმაკა ჟანამ. ჯუანუერმა ჟანას თვალებში ჩახედა:

— შენ გარდა ჩემი არავის ესმის, მა, მოდი ჩემთან.

მაგრად ჩაიხუტა. ჟანას გულს მაშინაც კი არ გაუდიოდა ისეთი ბაბა-ბუბი, როცა ანჟელას საბერძნეთიდან ჩამოტანილ ჰონჩოს სარეცხის თოკიდან ხსნიდა.

— არ დავლებ! — თქვა ჯუანუერმა და ჭიქა თითებიტ უკან გასწია, — მორჩა, არ დავლებ. მაპატიე, მე ცხომელი ვარ, ნამდვილი ღორი, ასეთი ცოლ-შვილი მყავს და... ნაბავი ვარ, არ ვარ თქვენი ღირსი, ნაბავი ვარ... ჩამოსდიოდა ჯუანუერს ლოყებზე ცხელი ცრემლები, — დაუქანა დედაშენს, გოდიში უნდა მოვუხადო, შენ წინ დავუდგები მუხლებზე და პატიებას ვთხოვ. არასოდეს, არასოდეს, ჩემს ცხომრებაში გულს აღარ ვატყენ. შენ წინ დავუდგები მუხლებზე.

ჯუანუერი ტიროდა, ჟანა მის წინ იჯდა გახევებული, „ჩიფსები“ დაემთავრებინა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

\*\*\*

— გედი შენი, რომ იმ ჩათლახმა დარეკა, თორემ რა უნდა მექნა, აგერ აქვე ჩამოვიკიდებდი თოკზე თავს, — თქვა ბაიოზმა.

— აუ, აუ, აუ, ვინ ჩათლახმა?! — ამოილულულა სანიძინოს გზიდან მობრუნებულმა გოგამ, მამას შეხედა და მშვიდად გადაბრუნდა. ამ კაცის გვირდით ტყუილის მოგონებაც კი არ იყო საჭირო, თავისით გვირდებოდა ყველაფერი. ბაიოზმა პირჯვარი გადაიწერა და მალა აიხედა.

\*\*\*

მაცაცომ მოლარეს ბილეთები გამოართვა და ერთხელ კიდევ გა დაამონდა.

— მეოთხე ვაგონი?! აღგიღები — ოცდაცამეტი, ოცდათოთხეტი.

— დიახ, ბატონო, — უკასუსა უაზრო შეკითხვებს შეჩვეულმა მოლარემ.

— ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლია, — დაასწრო შეკითხვამდე პასუხი.

— ლიანდაგი?

— რა ლიანდაგი?

— რომელი ლიანდაგიდან გადის?

— მეორე!

— ერთიც, უკაცრავად.

— გისმენ, გენაცვალე.

— რომელზე იქნება ქოზულეთში?

— დილას! დაახლოებით, შვიდზე.

— დიდი მადლოვა, კარგად ბრძანდებოდეთ.

მაცაცომ ბილეთები ჩანთაში ჩაიხყო. „ხვალ დილას ზღვაზე ვიქნებით მე და ჩემი გოგო, გაგიჟდება ჟანა. ერთი კვირა გვეყოფა ეს ფული, ერთი კვირა ზღვაზე. კიდევ კარგი, ეს ასლარინი მქონდა გადაღებული. ახლა სეზონი არ არის. სამ ლარადაც ვიშოვით ბინას, დანარჩენი საჭმელზეც გვეყოფა, ჩვენ რა ჭამა გვინდა, ერთი ხაჭაპური ორივეს თავზე გადაგვივა. ჯერ სეზონი არ არის, ამინდები რაღა



ახლა გაფუჭდება. გინდაც გაფუჭდეს, ვისხდებით მე და ჩემი გოგო სადღე ზღვის ნაპირას „გუნგალოში“, მე ყავას დავლევ, ჟანას ნაყინს ვუყიდვით და ორივე ძალიან კარგად ვიქნებით. ამ ერთ კვირაში მეც გადავწყვეტ რადიკალს საბოლოოდ და იქნებ ჟანაც რამეს მიხვდეს. ჟანამაც უნდა იფიქროს, ვისი დათმობა შეუძლია და ვისი — არა, ან რისი კი და რისი არა, მოკლედ, ეს ერთი კვირა ყველას გაგვაბედნიერებს საბოლოოდ. შეიძლება მერე ჯუნაც ჩამოვიდეს, ძველებურად მორცხვი, შეყვარებული თვალებით მოგვხვდის ორივეს ხელი და...“ ამ ფიქრებში ნასული მაცაცო სახლს უახლოვდებოდა.

\*\*\*

დიდი ორჭოფოვის შემდეგ ჯუნაშერს მაინც დაეღია დიდი ჭიქით კონიაკი და ჩვეულებისამებრ მაგიდაზე ჩამოედო ყვა. მიინარა მაგის ხელს ოსტატურად დაღწეული ჟანა მეზობელთან შესულიყო და მაცაცოს დაქალებს ურეკავდა. ცოტა არ იყოს, შეფიქრინდა, როცა ვერც ერთისგან გაიგო დიდის ადგილსამყოფელი.

— მოგიღუპრხე ხომ არ რეკავ? — გადაამონვა ანჭელამ კიდეც ერთხელ.

— არა! — ისეთი სახით უკანსხა, რას არ დაუჯერებდნენ. თუმცა, არც ეგრე იყო, ჟანასგან გვერდი კარგი ახსოვდათ უბანში. რა უნდა დაგე ვალებინა, რომ უარი ეთქვა.

— ჟანა, ნამალი მომიტანე.

— ჟანა, პურზე ჩაირბინე.

— ჟანა, გაიგე, სინათლე რატომ გამორთეს?

— ჟანა, რადიკულიტი მაქვს, წელი დამიზილი.

— ჟანა, წნევა გამიზომა.

— ჟანა, ლუდი ამოგვიტანე.

— ჟანა, სახურავზე ადი და ანტენა გაასწორე.

— ჟანა, ჟანა, ჟანა, — ჟანაც უარს თითქმის არასდროს ამგოვდა და ზოგჯერ რისკზეც კი მიდიოდა იქ, სადაც საკუთარ — ჟანაზე უფროს — შვილებს არ უშვებდნენ. „ეს მაგარი“ და ყველგან გზავნიდნენ.

ამიტომ ანჭელაც ჟანას დედაზე იყო გამწყრალი, თორემ თვითონ ჟანას არაფერში ადანაშაულებდა.

— ნწუ, ნწუ, ნწუ, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი, როცა მისითვის საჭირო ახალი ინფორმაცია შეიტყო. „სად წავიდა? რუსუდანთან ხომ არ მივიდა?“ ტელეფონი ჩანერილი ჰქონდა, მაგრამ ახლა სახლში მიგრუნება სარისკო იყო, შეიძლება, ჯუნაშერს გაღვიძებოდა. ჟანამ ღრმად ამოისუნთქა და რუსოს სახლისკენ გასწია.

\*\*\*

რუსუდანი კი ამ დროს ემოციებისგან დასაცლელად ძილს მისცა მოდა. ტელეფონიც გამორთო. იცოდა, სულ ცოტა ერთი კვირა აღარ გამომჩნდებოდა ჯუნაშერი, დანარჩენი ზარები კი ერთნაირად უმნიშვნელო იყო მათთვის.

ჟანამ ისეთი ბრაგუნე ატეხა რუსოს კარზე, რომ იტალიური ეზოს ყვე ლა ბინადარი შიშმა შეიპყრო,

ჩვენს ძვირფას მეზობელს ნამდვილად რაღაც უბედურება სჭირსო. ასეთი აზრიც წარმოიშვა, კარი ხომ არ შევანგრიოთო.

— იქნებ არ არის სახლში, — წამოიხსროლა ვიღაცამ ყოვლად უსარგებლო ფრაზა, რომელიც იქვე ერთხმად იქნა უარყოფილი. ახლა ცნობისმოყვარეობის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ მათი შეჩერება მხოლოდ რუსუდანს შეეძლო, რომელსაც ღრმა ძილში ყრუდ უკვე ჩაესმოდა კარზე ატეხილი თავებანნირული ბრაგაბრუბი. ამ ჟანას ყველა იცნობდა, როგორც რუსუდანზე პლატონურად შეყვარებული დიდი მხატვრის შვილს და თუმცა მათ შორის ერთიც არ მოიძებნებოდა, ვინც რეპროდუქციას ხელით შესრულებული ნახატისგან ბაარჩევდა, ჯუანზერი მათთვის სამყაროში ყველაზე დიდი მხატვარი გახლდათ.

ის იყო, რკინის საკეტს ებრათ წოდებული „სვერლო“ დაუმინჯნეს, რომ რუსუდანმაც ბაალო კარი და ჟანას დანახვაზე ისედაც შეშინებული იქვე ჩაიკეცა. რუსუდანი მალე მოასულიერეს, განვილებულეზება ერთი მაინც მოავლეს ოთახებს თვალი, კიდეც ერთხელ გამოხატეს აღფრთოვანება „ნწუ-ნწუს“ ძახილით ჯუანზერის შედევერების მიმართ და დაიშალნენ.

ჟანა ჩაფიქრებული მიუყვებოდა სახლის გზას.

„სად უნდა იყოს. ჯოჯია, სახლში ნავიდე, თვითონ დამიჩვენებს, რაც იქნება, იქნება“.

ქუჩის დასაწყისში მარკეტთან შეჩერდა, ჯიბეები მოიძებნა, „შავი დღისთვის“ გადანახული ხუთლარიანი მოქებნა და შევიდა. ყველი ჰქონდა დათ სახლში. თუ დღევანდელი დღე მშვიდობიანად დასრულდებოდა, პურის საყიდლად მაინც მოუწევდა ჩამოსვლა. დაღლილი იყო და საქმეს წინ ნავიგებოდა.

— ერთი პური, ერთი კარაქი და... აი, ეს საღებო რეზინიც, — გაუნოდა გამყიდველს ფული.

— მოიცა! ამან შაქრის ფული მოიტანა? — ჩაერია მეორე გამყიდველი.

ჟანა ვერ იტანდა ამ მეორეს. უფრო დროს გააძროგდა თორმეტფურცლიან რვეულს, სადაც ერთი ასანთიც არ გამორჩებოდა, რომ არ ჩაენერა. რაც უფრო მატულობდა ნისიად წაღებული პრუდუქტების რაოდენობა, ეს უღვაშაბიზინებული ქალბატონიც სულ უფრო და უფრო ზიზღით უყურებდა ჟანას. მისი ნება რომ ყოფილიყო, ნისიოგა დიდი ხნის გაუქმებული იქნებოდა, მაგრამ მაღაზიის მენეჯერმა გერონტი, იგივე გენა, თავადაც ამ უბანში გაზრდილი კაცი იყო, აქაურ კანონებს არ დალატობდა. თუმცა უღვაშა ქალბატონი თავისი ინიციატივით ხშირად აკრავდა მარკეტის შესასვლელთან შედეგი სახის ტექსტებს: „გქონდეთ სინდის-ნამუსი, დააბრუნეთ ვალი“ ან „არ გრცხვენიათ ამ ქუჩაზე ჩუმად სინარული? როდემდე დაიმალებით?“, ან ყველაზე მარტივად: „ფული მოიტანეთ!“. ეს წარწერები იმ სიხშირით იცვლებოდა, რა სიხშირითაც მას განაწყენებული მოვალეები ჩამოფხრინდნენ ხოლმე. ახლაც „უღვაშამ“ ის ავად ხსენებული რვეული ამოიღო და ხმაგაღლა დაიწყო ფურცვლა.

— ვნახოთ ერთი, ამათ შაქრის ფული თუ გადაიხადეს, — გურტყუნებდა უკმაყოფილოდ.

— ახლა გადაიხადა დედამისმა, — უპასუხა მეორემ. ჟანამ ყურები ცქვიტა.

— ნამდვილად? — შეეჭვდა „ულვაშა“.

— გადაიხადა-მეთქი, არ გესმის?! — შეუღრინა მეორემ.

— მერე, არ უნდა მითხრა, რომ ნავშალო?! —

— ო-ო, — გაბრაზდა პირველი.

— როდის გადაიხადა? — იკითხა ჟანამ

— აქ იყო ცოტა ხნის წინ. ვური იყიდა, მინერალური წყალი და შაქარი.

ღანარჩენი ჟანას ალარ გაუგონია. ალარც პარკში ჩაწყობილი პროდუქტები გახსენებია და არც საკუთარი ხუთლარინანი, შურდულივით გამოვარდა მარკეტიდან და სახლისკენ გაიქცა. ისე გარბოდა, მთა რომ დახვედროდა, მთასაც კი გოლიათივით გაანგრევდა ეს ერთი ბენო სიფრიფანა გოგო.

\*\*\*

მაცაცომ სახლის კარი შეაღო და ჩანთა იქვე საკიდზე ჩამოკიდა. კა რის ხმაზე ჯუანშერს გამოეღვიძა, მაგიდოდან თავი წამოსწია. ერთმანეთს შეხედეს. მაცაცომ მის მხერას ვერ გაუძლო და გვერდზე გაიხედა, ჟანა ვერ დაინახა. მაგიდაზე დაწყობილი „ნატურმოტი“ შეაფასა, მიხვდა, საქმე კარგად არ იყო.

— სად იყავი? — შეეკითხა ჯუანშერი.

უცებ წამოდგა და ხელით შეაჩერა საძინებლისკენ მიმავალი მაცაცომ. საძინებელში თვითონ შეიხედა.

— სად იყავი? გეკითხები! — გაუემორა ჯუანშერმა.

— ჟანა სად არის? — შეუბრუნა კითხვა მაცაცომ.

ჟანა უკვე კართან იყო ატუფული, ყური კარზე ჰქონდა მიღებული და ვერ გადაეწყვიტა, შემოსულიყო თუ გარეთ დარჩენილიყო.

— არ ყოფილხარ ღამე სახლში? — აუწია მაცაცომ ნიკაპი და თვალებში ჩახედა.

ჯუანშერის გაგრობილებულმა მხერამ რენტგენის შუქივით დაუარა მთელ ტანში. ხმა ვერ ამოიღო. ჯუანშერმა ხელი მოჰკიდა და სამზარეულოში შემოაგდო. ეს ხელიც უცხო კაცის ხელი იყო.

— გავვება იცის, სახლში რომ არ ბრკანდებოდით?

მაცაცომ კანკალმა აიტანა, ხმას არ იღებდა. ჯუანშერმა ბოთლში დარჩენილი კონიაკი მოიყუდა და ბოლომდე ჩაცალა.

— ესღა მაკლდა?! — მწარედ ჩაიციინა და ხელი მაგიდას დაჰკრა.

კარის უკან მდგომი ქანაც აცხვავდა. ეს მამამისის ხმა არ იყო. ფეხებში სისუსტე იგრძნო, თვალები აუჭრელდა, ეზოს კუთხეში საერთო ტულატიისკენ გაიქცა, შევარდა და კარი შეიკეტა. მაგრამ ტყუილად — შარდის გუშტი მთლიანად დაცლილი ჰქონდა. ტრუსიკიდან ფეხები ამოყო და იქვე ჭუჭყიან ვედროში ჩააგდო. მერე კარი გამოაღო და ჩუმად მოათვალიერა თოკები. ზინას იქვე გაეფინა სარეცხი, გამოსვლა არც კი დასჭირვებია. ხელი გამოყო და ზინას ნაპოლარას, ოთხი წლის ყიმიხს, ლურჯი ტრუსიკი ჩამოხსნა, ძლივს ამოიწია ფეხებზე, გარეთ გამოვიდა და ისევ სახლის კიბეზე აირბინა.

— რა ხდება? — გადმოხედა საკუთარი სახლის კართან ატუზულ ქანას ანუქლამ. ქანას სახეზე ფერი არ ედო, კიბეზე ჩამორბინა და ანუქლასთან შევარდა.

— ჩქარა, ჩქარა, მიშველე! — შემოეხვია და კოცნა დაუწყო, — მოკლავს, მოკლავს.

ანუქლას ქანას კოცნამ წამსვე მოუღვო გული.

— კიდეც მთვრალია, ეგ ბასიაკი? შევარცხვინე მამის ვაჟკაცობა! ფუუ, — გადააფურთხა ანუქლამ, რატომღაც წინსაფარი მოიხსნა და ქანას სახლისკენ გასწია.

ჯუანშერს ორივე ბოთლი ჩაეცალა, ხელში დანა ეჭირა და დანის პირს თვალს არ აცლიებდა. მაცაცო გაფითრებული იდგა მის წინ.

„ახლა ყველაფერი დამთავრდება... ყველაფერი. ქოგულეთი... გუნგალო... ზღვა. ქანა? ახლა ყველაფერი დამთავრდება.“

ანუქლამ კარი ჯიქურ შეაღო, მაგრამ იქვე გახევდა. ასეთ სურათს არ ელოდა. ალავლავებული დანის დანახვაზე მასაც დაუხდა წირი.

— გამარჯობათ, — თქვა და გაჩერდა. ცოტა ხნის მერე უაზროდ დაამატა: — ვაა?!

მაცაცოს ანუქლას დანახვაზე რალაცის იმედი მიეცა და გულისცემამ უმატა.

— გამარჯობათ, — უპასუხა ჯუანშერმა.

— ხო მშვიდობაა? — იკითხა ისევ ანუქლამ.

— ვინთვის მშვიდობაა, ვინთვის ომია. თუ შეიძლება, ანუქლამ დეიდა, გოდიუს ბიხდით, მაგრამ დავგტოვებთ მე და ჩემი ცოლი — ხაზი გაუსვა ბოლო სიტყვას.

— ჯუნაჯან, მე და შენ ხომ კმაკაცები ვართ, გენაცვალე? — წამღერებით და ხმის კანკალით გადადგა ერთი ნაბიჯი ანუქლამ.

მაცაცომ კართან ქანას სილუეტს მოჰკრა თვალი. ქანასაც რომ ვერ გაეხედა სახლში შემოსვლა, ამან უფრო დაარწმუნა სიტუაციის სიმძიმეში. ანუქლამ მაცაცოს წინ გადაეფარა და ხელით ანიშნა,

„ბადიო“. მაცაცომ ერთი კი გახედა ჯუანხერს და ღია კარში გიჟივით გავარდა.

— სად წავიდა? — იკითხა ჯუანხერმა.

— ვინა, შვილო? — სულ მთლად გამომიშტერა თავი ანუქლამ.

ჯუანხერმა გაღებული კარისკენ პორძიკით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ მაცაცოს თვალი ვეღარ მოჰკრა.

— წავედი, შვილო, მეც, დანისვენე, დანიძინე და, — ლანდვიტით განიჰარა ანუქლამც.

მაცაცო გარბოდა და ახლა დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა კაცვი, რომელიც მას დაეწყოდა. მის წინ კი ქურციკივით მიხტოდა ჟანა.

ჯუანხერი შემოგზუნდა და კარი მიხურა. საკიდზე მაცაცოს ჩანთა შენიშნა. ჩამოგლიჯა, ხელში ჩაგლუჯა, სკამისკენ ლასლასით წავიდა, ჩამოჯდა და თავი მაგიდაზე ჩამოღო.

\*\*\*

განვიმდა. მაცაცო და ჟანა უცნობი საღარბაზოს კიბეზე იხედნენ. ხმას არც ერთი არ იღებდა. უცებ მაცაცო წამოდგა და ჯიბეები მოიძეა.

— კიდეც კარგი, ფული აქ მქონია, წავედით.

— სად წავედით?

— ზღვაზე. ოღონდ გავიგოთ, რომელი საათია. ჩქარა, იქნებ მოვასწროთ.

ჟანამ დედას გამოცეხულმა შეხედა, ხომ არ გაბიჟდაო?!

— საათი? რომელი საათია? — მაცაცო საღარბაზოდან გამოვარდა და ვიღაც ხანშიშესულ მამაკაცთან მივიდა. მოხუცმა მაჯა გაუწოდა. მაცაცომ საათს დახედა და სახე გაუბრწყინდა. ისევ უკან შემოგზუნდა და ჟანას ხელი ჩაავლო.

— ვასწრებთ. ჩქარა წავიდით.

— რა ზღვაზე, დედა? — თვალებში ჩახედა ჟანამ.

— მერე აგისხნი ყველაფერს, — მაცაცომ ტაქსს ხელი დაუქნია.

— რკინიგზის სადგური, — უთხრა მძღოლს.

მაცაცომ ჟანას უკანა კარი გაუღო, თვითონ წინ დაჯდა. მანქანა გზას გაუყვა. ჟანა უცებ კარგ ხასიათზე დადგა, საზურგეს მიეყრდნო და თავი ფილების გმირად წარმოიდგინა.

— რა რიცხვია დღეს? — დააბრუნა რეალობაში დედის ხმამ.

— თხუთმეტი მაისი, — გაისმა მძღოლის ჩახლეჩილი ხმა.

— სომო, — ჩაილაპარაკა მაცაცომე

„თხუთმეტი მაისი“ — გაიფიქრა გონებაში ჟანამაც ისე, რომ თვალები არც გაუხელია. ტაძნი რკინიგზის სადგურს უახლოვდებოდა.

\*\*\*

თხუთმეტი მაისი, ეს ის დღე იყო, როცა საბამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ცოლი ალარ მოეყვანა. უფრო სწორად, გადაწყვეტილება შეეცვალა. ყოფილ სასიდედროს, ძალბატონ გურანდას, რომორც იქნა, თავი დააღწია და სადარბაზოდან გარეთ გამოვიდა. წვიმა მოსულიყო და კიდეც გადაეღო. ნაწვიმარ ქუჩას დაუყვა. გრილოდა, თითქოს დიდი ტვირთისგან გათავისუფლებული, მსუბუქად მიაბიჯებდა. სიგარეტი გემრიელად გააგოლა. გაჩერდა, ვერ გადაიწყვიტა, რომელ მხარეს წასულიყო. ჯიბიდან მოგილური ტელეფონი ამოიღო და გათიშა. არავისთან ახსნა-განმარტების თავი არ ჰქონდა. ჯერ კიდევ გუშინ ამგვარ ფინალს ვერც წარმოიდგენდა. არადა, სულ ორი სიტყვის თქმა მოუწია, ორად ორის.

სასიდედრო ქალიან გვერს ლაპარაკობდა, დიდხანს ნაფიქრი ფრაზებით. საბას არც ერთი სიტყვა არ ესმოდა. ერთი აზრი აეკვირებოდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ძალბატონი გურანდას ქალიშვილიც ზუსტად ისეთი გახდებოდა. ამ აზრმა ისე ჩაითრია, რომ თანდათან სახეზე ზიზღი გამოეხატა. მხოლოდ სასიდედროს შეცვლილმა ინტონაციამ გამოარკვია.

— ვაჭყო, რომ, რასაც გეუბნები, არ გსიამოვნებს, მაგრამ სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. მე ისე გავზარდე ჩემი ქალიშვილი, ახლა ხალხს ვერ ავალაპარაკებ. ან ასე გადაწყვიტე, ან ისე. არ არის ლამაზი, წესიერი გოგოა, — სასიდედრო გაჩუმდა.

საბა ისედაც ჩუმად იჯდა, თავი დახარა. პასუხს ეძებდა, სასიდედრომ კი იფიქრა, რომ ახლა ყველაზე კარგი დრო იყო თავდასხმისათვის და ასეთი საბედისწერო შეკითხვა დაუსვა.

— თუ მზად არა ხარ ოჯახის შესაქმნელად, ესეც უნდა თქვა. ნანიმ ისეთ ბიჭებს უთხრა უარი. ან ასე გადაწყვიტე, ან ისე?

საბა წამოდგა, სასიდედროც.

— არ ვარ მზად, — თქვა.

დრამად ამოიხსნებოდა და სასიდედროს თვალი თვალებში გაუყარა. არც ძალბატონი გურანდა აღმოჩნდა მზად ამგვარი პასუხისთვის და კინაღამ ენა დაბაყლავა. ამ დროს კი საბრალლო ნანი — დედის წინასწარ მოფიქრებული სცენარის მიხედვით — კარის უკან იდგა საბას სიტყვებისგან თავზარდაცემული.

წამებში დააღწია თავი საბამ ყველაფერს. როცა ნანი მის საქმეზე დაეკავშირა, საბამ უკვე კარგა შორს იყო. ტელეფონიც ზუსტად ერთი წამით ადრე გამოერთო, ვიდრე ნანი ასოციატორმატჟერ აკრეფდა მის ნომერს.

არც საკუთარ სახლში დიდად დაბრუნება. ასე იოლად არ ჩაუვლიდა ეს ამბავი. მერე რა, რომ შარს ვერაფერში მოსდებოდა. წესიერად ვერც კი აკოცა გოგოს. ორჯერ დარჩნენ მარტონი სამზარეულოში და ორჯერვე გარეცხილი ჭურჭლის ხელმეორედ რეცხვას იწყებდა ნანი. დანარჩენზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

— რა სულელი ვიყავი, კინაღამ არ გავიგე მახეში? — ვერანგის საკინძე შეიხსნა და ფეხით განაგრძო გზა.

ვერც კი მიხვდა, როგორ აღმოჩნდა მათარებლის სადგურზე. მგზავრები გაქნებინებენ მიემართებოდნენ. ჯიბეში ხელი ჩაიყო. „კიდე კარგი, გეჭიქი არ ვიყიდე“. გუშინდელი ხელფასი ჯიბეში ედო.

„მათარებელი ხუთ წუთში გადის,“ — გამოაცხადეს. ფული გადათვალა. „რად მინდა მომზადება. ორ მაისურს და ერთ შარვალს იქაც ვიყიდი“, — თავისი გადაწყვეტილებით სულ უფრო აღტაცებაში მოდიოდა.

სალაროსკენ გაეშურა. ამ დროს მათარებელმა მკლავრად დაიქვინა და ერთი შექიპიგდა. არ გამანდროსო, გაიფიქრა საბამ და პირველივე ვაგონში შეხტა. ცარიელ კუპესთან შეჩერდა, შევიდა და ფანჯარასთან დაჯდა, საფულე და მოკილური ტელეფონი ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დააწყო.

— ეს არის მეოთხე კუპე? — იკითხა ჟანამ და პასუხს არც დაალოდა, ისე შეხტა შიგნით. — ოცდაცამეტი და ოცდათოთხმეტი ჩვენი ადგილებია. — მიაშტერდა ჟანა საბას.

საბამ წამოდგა და მორე მხარეს გადაჯდა.

— მოდი, დე, — გასკახა მაცაცოს — თქვენი რომელი ადგილია? — ისევ მიუბრუნდა საბას.

— მე ბილეთი არა მაქვს, — უპასუხა საბამ.

კუპეში მაცაცოც შემოვიდა.

— ამათ საერთოდ არა აქვს ბილეთი, — ჩუბად უთხრა დედას.

მათარებელმა დაიქვინა. მაცაცომ და საბამ ერთმანეთს შეხედეს. მაგრამ ისე, როგორც ცარიელ კედელს. მისაღებად მქანნიკური იყო, თუმცა ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ. ახლა ერთსაც და მეორესაც ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდა, ვიდრე მოქიპიგე მათარებელი ადგილიდან არ

ღანიკვროდა.

სამაგიეროდ, ჟანა იჯდა რაღაცნაირად უცნაური განწყობით, რეალობადაკარგული, სიუპრიზების მოლოდინში, ყველანაირი თავგადასავლებისთვის მზად მყოფი. გამხდარ კისერზე ქარღვი უთრთოდა.

მატარებელი ქალაქს კარგად გასცდა. არც ერთი არ იღებდა ხმას. სამივე უაზროდ იყურებოდა ფანჯრიდან. განწყობა შემოსულმა გამცილებელმა დაარღვია.

— თქვენი ბილეთი? — თქვა და ხელი გამოიშვირა.

ჟანა რეალობაში დაბრუნდა.

— ოცდაცამეტი და ოცდათოთხმეტი, — თქვა და დედას ანიშნა „მაცალეო“.

მაცაცო წამონითლდა. საბამ ფული ამოიღო და გამცილებელს გა უწოდა. გამცილებელს სახეზე ჩუმი კმაყოფილება გამოეხატა. ფული ჯიბეში ჩაიღო და ახლა მაცაცოს მიაჩერდა.

ჟანა დიდხანს იქექებოდა ჯიბეებში, მაცაცოს ფანჯრისთვის თვალი არ მოუცილებია, სინითლე თანდათან ემატებოდა.

— აუ, დაგვრჩა, უფრო სწორად, მე დამრჩა, — საცოდავი სახე მიიღო ჟანამ.

— დაგვრჩათ? ეგ ჩემი საქმე არ არის, მე რა ვიცი, მე ბილეთი მინდა.

— დედას გეფიცავით თუ გატყუებდეთ, მეოთხე ვაგონი, ოცდაცამეტი და ოცდათოთხმეტი.

— არა, გენაცვალე, ეგრე სად არის, სხვაც მოვა და იტყვის, ეს ადგილი ჩემიაო. მეჩე მე რა ვქნა, რევიზია რომ მოვიდეს?

— სხვა ვერ იტყვის, ეს ადგილები ჩვენი, ხომ სწორია, დედა? — შეხედა მაცაცოს.

— კი. მეოთხე ვაგონი, ოცდაცამეტი და ოცდათოთხმეტი, ამ დილას ავიღე ორი ბილეთი, — წამოდგა ფეხზე მაცაცო. სიმაართლე დამაჯერებლად წარმოთქვა და სინითლეამაც რამდენიმე გრადუსით დაუწია. საბამ მხოლოდ ახლა შეხედა ნორმალურად მაცაცოს. „ვან!“ ინტერესით დაუწყო თვალთვლება და რატომღაც ნანისთან დაიწყო მისი შედარება. თავის გადაწყვეტილებით კიდეც ერთხელ აღფრთოვანდა. გამცილებელი მთელი ტანით შემოვიდა კუხეში და ისეთი ოხშივარი შემოიტანა, საბამ ფეხზე წამოდგა.

— რაჟია საქმე? — იკითხა უხერხულოზისგან.

— რაღა რაჟია, ქამო... მე რაღა ვქნა? ამათი გულისთვის სამსახური დავკარგო?

— ნამდვილად ავიღე ბილეთები ამ დილას, — ისევ გაიმეორა მაცაცომ ერთადერთი სიმაართლე.

— გავიბა, რამდენჯერ უნდა თქვა, აიღე, მაგრამ არ არის, მე რა ვქნა?



— კი მაგრამ, ამათ რა ქნან? — შეუბრუნა კითხვა საბამ.

— აი, ნახავთ თუ მოვა ვინმე ჩვენს ადგილას, — ისევ გაისმა ჟანას ხმა.

— ეგ მე არ მაინტერესებს.

— კანი, რამდენია გადასახდელი? — იკითხა საბამ.

— ახლა, რა ვიცი... ეს გავშვია?!

მაცაცომ ხელი წაიღო ჯიბისკენ.

— თუ შეიძლება, — წინ დაუდგა მაცაცომს და გამცილებელს მუჭში ფული ჩაუტანა. — ვსიო, მორჩა, ხო სკამარინია?

— არა, არა, ხურდას მოგიტანთ. — დაიბნა გამცილებელი.

— არ არის საჭირო, — უკანაშვა საბამ.

გამცილებელი უცებ ისე შეიცვალა, როგორც დიდი მსახიობი გადასაღებ მოედანზე მაგიური სიტყვის „მოტორის“ შემდეგ, და სრულიად სხვა ხმით თქვა:

— აჰ თუ ვინმე შემოვა, უთხარით, გილეთები გამცილებელს მივე ცით-თქო, — გავიდა და რატომღაც კარი მთელი ძალით ისე მოიხურა, თითქოს კუპეში გაქცეულ ვატიმრებს მაღავედა.

სამივეს სიცილი აუტყდა. გოლოს, როცა მიწყნარდნენ, ჟანა წინ წამოვიდა და საბას ახედა.

— მე ჟანა მქვია, თქვენ?

— მე — საბა.

— ეს მაცაცოა, დედაჩემი.

— ძალიან სასიამოვნოა, — ჩაილაპარაკა საბამ.

მაცაცო ისევ წამოწმობდა. შვილის სითამამისა შერცხვა, თუმცა უცნობ მამაკაცს შენობით რომ არ მიმართა, ეს იამოვნა.

— რამე ვითამაშოთ, არ გინდა?

საბას გაეღიმა.

— ჟანა, — მკაცრი ტონით გადახედა შვილს მაცაცომ. მერე საბას შეხედა, — დიდი მაღლოვა. რატომ შენუხდით?

— რას ბრძანებთ?

— რამდენი მიეცი? — შეეკითხა საბას ჟანა. საბას გაეღიმა.

— ჟანა? — დაუბრიალა თვალები შვილს.

— ორმოცდაათი ლარი, — უპასუხა საბამ.

— დე, შენ რამდენი გადაიხადე?

— ოცდაათ ლარამდე. ჟანა, დანყნარდი?

— გინდა, რამე ვითამაშოთ? — ისევ გაუმიმორა საბას.

— რა ვითამაშოთ? — გაეღიმა საბას.

— კარტი გაქვთ?

— მე? არა! — გაეცინა საბას.

— მაშინ „ჰოპოზანა“.

— ეგ რომ არ ვიცი.

— გასწავლი. ძალიან ადვილი თამაშია. ვიწყებ დათვლას. დე, შენც გინდა?

მაცაცომ ღიმილით გააქნია თავი.

— მერე?

— მოკლედ, ვიწყებთ რიცხვების დასახელებას, იმ რიცხვების ადგილას, რომლებიც სამჯე იყოფა ან სამი ურავია, ვიძახით „ჰოპ“.

— რაღაც კარგად ვერ გავიგე.

— აი, დავიწყებ და უფრო მიხვდები, ერთი...

— ორი, — თქვა საბამ.

— „ჰოპ“, — დაიქანა ჟანამ.

— ოთხი.

— ხუთი.

— „ჰოპ“, — დაიქანა საბამ.

თამაში კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ხაშურის განა თეზული სადგური.

— ჰოო, მე ჩავალ ერთი წუთით, — წამოავლო ხელი საფულას.

— მოგილური თუ არ გჭირდება, ვითამაშებ, შეიძლება?

— ა?! — წამით შეყვინდა საბა, — კი, გატონო.

— ჟანა! — თითქმის დაუყვირა მაცაცომ. — რა წესია?

ჟანა აიბუზა.

— კარგი არ მინდა.

— რა პრობლემაა, — საბამ მოგილური ჩართო, — აი, აქ შეხვალ, თამაშებში.

საბა გავიდა. ჟანამ თამაში დაიწყო.

— დე?

— რა იყო?

— რამხელაა ზღვა?

— დიდია.

— მაინც, მაინც.

— როგორ გითხრა, ნახავ, რა?!

— თბილისის ზღვაზე ორჯერ დიდია?

— რა ორჯერ!

— ათჯერ?

— თბილისის ზღვა და კუს ტბა რომ ოცჯერ ავიღოთ. ჟანა თუ თამაშობ, ითამაშე, სისულელეებს ნუ მეკითხები.

— როგორ მაინტერესებს?!

— ნახავ, ხვალ დილას უკვე ზღვაზე ვიქნებით და ნახავ.

— კი ვერ წარმოგიდგინია... დე, დე?

— რა იყო?

— რა კარგი კაცია, არა, დე!

— ცოტა წესიერად, ჟანა!

— რა დავაშავე?

— არაფერი, მაგრამ უფრო მორიდებულად.

— ო-ო, კაი რა, დე!

მოგილურმა დარეკა. ჟანამ მექანიკურად დააჭირა დილაკს ხელი, კუხედან განიხიდა და აპარატი ყურზე მიიღო.

— გათიშე, რას იპოვნე.

ჟანას სახე შეეცვალა და მოგილური გათიშა.

— რა იყო? — მაცაცო ჟანას გამოგნებულმა სახემ დააეჭვა.

— დე, — ახლოს მიჩოჩდა მაცაცოსთან, — ვიღაც ქალი იყო.

— მერე რა?

— ასე თქვა: „ღმერთის მაინც არ გეშინიაო, როდემდე დანიმალეზიო?“

— რა?

— ვუთხრა საბას?

— არ ვიცი. დაღე რა, ძალიან გთხოვ.

ქანამ ტელეფონი ძველ ადგილას დააბრუნა. ისევ განისმა ზარი. ქანამ დახედა.

— ისევ ის ნომერია.

— დაანებე თავი.

კუხეში სანოვებით დატვირთული საბა შემოვიდა. ზარის ხმაზე სასწრაფოდ დააწყო პარკები მაგიდაზე, ტელეფონს ეცა, ნომერს დახედა.

— ოჰ?! — ჩაილაპარაკა მრავალმნიშვნელოვნად.

მოხილურის ზარი არ ჩერდებოდა.

— ქანა, აღარ გინდა თამაში?

ქანამ მაცაცოს გადახედა და მხრები უცნაურად აიჩიჩა.

— არა, — თქვა დაბალ ხმაზე.

ახლა მაგიდაზე დალაგებული სასუსნავეები უფრო საინტერესო იყო მისთვის.

— მაშინ გავთიშავ, ამის თავი არა მაქვს, — თქვა საბამ და ტელეფონი გამორთო.

მაცაცო საბას დააკვირდა. „ვინ არის, ნეტავ? იქნებ, მკვლეელია, ან ქურდი. რაღაცაში რომ არის საქმე, ორი აზრი არ არსებობს. ეს მინდოდა? ფრთხილად უნდა ვიყო. ისე, თითქოს არ ჰგავს დამნაშავეს, მაგრამ რას გაიგებ“.

საბაც ცოტა ხნით ფიქრობდა წაიღო. ფანჯრიდან უაზრო თვალებით იყურებოდა. მათარებალი დაიძრა.

— მიირთვით, რა?! — სასუსნავეების ამოღებება დაიწყო.

ქანამ ისე შეხედა დედას, თითქოს ნებართვას ელოდა მისგან. სხვა დროს თუ შემოთავაზებას არ დაელოდებოდა, ახლა გაუნძრევლად იჯდა.

— ძალიან მომშივდა მე. აიღეთ, რა?!

ქანას „ჩიფსები“ და შოკოლადები ხელში მიაჩიჩა.

— გმადლობთ, — ისევ შეხედა დედას და რახან მაცაცომაც გახსნა შემოთავაზებული მინერალური

წყალი, თვითონაც აღარ დააყოვნა.

საბამ ხელსახოცები დააფარა მაგიდას, ძეხვი, ყველი და პური დაჭრა და ლამაზად დააწყო, გოლოს პატარა ბოთლი კონიაკიც ამოიღო.

— ცოტა ხომ არ დაგველია?

— დედამიერი არ სვამს, — დაასწრომ შენამ.

— არც მე ვსვამ. ერთი-ორი ჭიქა, კარგად დაგვექინება.

— ცოტა დამისხით, — თქვა მაცაცომ. „ეტყობა, ვიღაც ქალს აწყენინა, მიატოვა. აბა, სხვა რა უნდა იყოს?“

— ჭიქებს მოვიტან, — საბამ ისევ გავიდა კუხიდან.

— ის ქალი ახალაგაზრდა იყო? როგორი ხმა ჰქონდა? — ჩუმად ჰკითხა მაცაცომ შენას.

— არა, მგონი, მოხუცი, კიოდა.

— კიდეც რა თქვა?

— „ღმერთის მინც არ გეშინია?“ „ღმერთის მინც არ გეშინია?“ სულ ამას იმეორებდა.

— მოხუცი? — გაიკვირვა მაცაცომ.

— რა, დე, ცუდი კაცია?

— არა მგონია, რაღაც გაუგებრობაა.

— რეზომ მასწავლებელს ჰგავს რაღაცით.

საბამ სამი ჭიქით დაბრუნდა, ჭიქას წყლის წვეთები აჩნდა. ეტყობა, ბა რაცხა. ორ ჭიქაში კონიაკი ჩამოსხა, ერთში კოკა-კოლა და შენას გაუწოდა. შენა ჩვეული კმაყოფილებით ახრახუნებდა „ჩიფსებს“. საბამ ჭიქა ასწია.

— აბა, გაგიმარჯოთ, კარგ დასვენებას გისურვებთ. ხო დასასვენებლად მიდიხართ?

შენამ დედას ახედა. მაცაცომ თავი დაუქნია.

— კარგ დასვენებას გისურვებთ, — განიმეორა საბამ და კონიაკი ბა დაქრა.

— გმადლობთ, — უპასუხა მაცაცომ.

— დე, უნდა გინდა? — შენამ „ჩიფსების“ ახალი შეკვრა აიღო. მაცაცომ უარის ნიშნად თავი გააქნია და კონიაკით სავსე ჭიქა აიღო.

— გმადლობთ, თქვენც გაგიმარჯოთ, — თქვა და ჭიქა გოლომდე დაცალა.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა. კონიაკი ჩაცლილიყო.

— სამოცდასამი, ჰოჰ, ჰოჰ, შეშეშალა, — ისმოდა საბას ხმა.

— სამოცდაოთხი, — იცინოდა მაცაცო.

— სამოცდახუთი. დე, მეძინება.

— ო, ახლავე, ახლავე. რომელი საათია?

საბა წამოდგა და გამცილებლის კუპესკენ წავიდა, კარზე მიუკაკუნა. გამცილებელმა ნამძინარევი სახით პოროტი მზერა სტყორცნა გამღვიძებულს, მაგრამ შეიძნო თუ არა საბა, რომელმაც იმ კვირის ფინანსური პრობლემა სრულიად მოუხსნა მის ოჯახს, ჯერ ორი შეკვრა თეთრეული მინოდან ღიმილით და შემდეგ მესამეც დააბლო ზემოდან.

— აი, ინებეთ, — შეანოდა საბამ მაცაცოს თეთრეული და კარი მიიხურა.

დერეფნის ღია ფანჯრიდან გაიხედა. ისეთი ბრძნობა ჰქონდა, როგორც თხუთმეტი წლის ბიჭს, რომელსაც გუშინ მერხზე, გვერდით, ულამაზესი გოგონა მოუსვენს, დღეს კი გულის ფანცქალით ელოდება, რომ ახს ღი კლასელი კარგად შეათვალნიროს. საათმა დააინტერესა და ტელეფონი ჩართო, საათს დახედა და ტელეფონს ხმა ჩაუნია. ამ დროს კარიც გაიღო.

— გაგიშალეთ, — უთხრა მაცაცომ.

— გმადლობთ, არ მეძინება. — თქვა საბამ და მაცაცოს გაბრწყინებული თვალებით შეხედა.

— არც მე. ნეტავ, რომელი საათია?

საბამ ჯიბიდან მოგილური ამოიღო და დახედა.

— ორის ნახევარია, — თქვა და სახე მოედუშა. ხმაჩანეული ტელეფონი ისევ გაბმულად რეკავდა. საბამ მოგილური გათიშა.

— ვის ეგალებით?

საბას თითქმის ესნიამოვნა კიდეც ეს შეკითხვა.

— ო, ეს ბრძელი ისტორიაა — თქვა და ხელი ჩაიქნია.

— მაინც?

— ჩემი ყოფილი... საცოლის დედაა.

— აა. ყოფილი? ყველაფერი განსაგებია, გამნარეგული დედა. მოგბაზრდა და მიატოვა. ფხმძიმედ არის?

— არა, ღმერთი, რჯული, არ გავკარებოვარ.

— მართლა?

— გეფიცები.

— ვაა! მაშინ აღვილად დააღწევ თავს. დიდი ხანია?

— რამდენიმე საათი.

— შეიძლება ისევ შერიბდეთ.

— ეგ გამორიცხებულია.

— რატომ?

— იცი, რა ბედნიერი ვარ?! — საბამ თვალები დახუჭა და ვაგონის კედელს მიეყრდნო.

— მერე, „ღმერთის არ გეშინია?!“

— არა, შემთხვევით არაფერი ხდება.

მაცაცომ საბას მზერას ვერ გაუძლო და კუჭები შეიხედა. ჟანას პირძვე ეძინა, ზენარი გადახდოდა და ყივს ტრუსიკის ამარა ეგდო. ისეთი გამხდარი იყო, ნაკები დაეთვლებოდა. გახუნიებული ტრუსიკი ერთ ადგილას ამოგლეჯილი ჰქონდა. მაცაცომ ზენარი გადააფარა. საბა ისე იდგა კარში, რომ გამოსვლისას მათი სხეულები ერთმანეთს შეეხო. თუმცა გამიზნულად არ დამდგარა იქ. უცებ ჟანამ სანოლიდან თავი წამოსწია და დაიხვირა.

— მამაჩემია, მამაჩემია! ხელი არ ახლოთ! — თავისივე ხმამ გააღვიძა, შეშინებული თვალები დააჭყიტა, უაზროდ შეხედა ორივეს და ისევ მოწყვეტით დაეშვა სანოლზე. რაღაც არ ესინამოვნა და თითქმის კიდისაკენ გაიწია. მაცაცომ შეწუხდა. ლოგინთან ჩაიცუცქა და ლეიბი ხელით მოსინჯა. თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— რა იყო? — საბა ვერ მიხვდა, რა ხდებოდა.

— ნწუ, ხანდახან ემართება. უროლოგთან უნდა მივიყვანო, გაეპარა.

— უი, ეტყობა კოკა-კოლა მოუვიდა გევერი.

— არა, კოკა-კოლა არაფერ შუაშია. დიდი ემოციების დროს ემართება, ეტყობა, რაღაც ნახა სიზმარში. ხან ისედაც იფსამს ხოლმე, — რატომღაც ყოველნაირი უხერხულოების გარეშე თქვა მაცაცომ.

— ჩემი და პედიატრია, რომ ჩამოხვალთ, პრობლემა არ არის.

მაცაცომ გოლოს სიტყვები აღარ გაუგონია. მძინარე ჟანა მორე სანოლზე გადააწვინა და ტრუსიკი გახდა. ზენარი კარგად შემოუკაცა. სინათლე გამოურთო.

— ზემოთ დანაქით, მე არ მეძინება მაინც, — უთხრა საბამ.

— არა, გგაღლოვთ. თუ ძილი მომეარია, ჟანას გვერდით მივუწვები, — თქვა და ტუალეტისკენ წავიდა.

ცოტა ხანში დაბრუნდა. ხელში გარეცხილი ტრუსიკი ეჭირა. ჩაფსმულ ლობინზე მგრალი ადგილი მონახა და გასაშრობად დააფინა. გარეთ გამოვიდა. კარი ოდნავ შეღებული დატოვა.

— გამოსაცვლელი არა აქვს... ისე უცებ წამოვიდით... სანამ ჩავალთ... სიგარეტი გაქვით?

— კი, — საბამ ჯიბეები მოიძეძა — ეწევით?

— ათასში ერთხელ, — თქვა მაცაცომ და სიგარეტს მოუკიდა. საბას გვერდით დადგა და ღია ფანჯრიდან გააბოლა.

მაცაცოს ძარი თმებს უფრიალებდა და ხანდახან საბას სახეზე ედებოდა. ყოველი შეხება დენივით უვლიდა მთელ ტანში.

„რა დებენე რატი ვიყავი, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, სად ვყოფდი თავს. ასეთი რამ ხომ ნანისთან ერთხელაც არ მიგრძნია“.

მატარებელი გვირაბში შევიდა. სინათლე გამორთეს. უკუნი სიბ ნელე ჩამოწვა. საბას ისევ შეეხო საფეთქელთან მაცაცოს თმა. „ახლა მოვხვევ ხელებს და მთელი ძალით ჩავიკრავ, ისე, რომ ხელიდან ვერავინ გამაგდებინებს. რა ლამაზია, რა ბედნიერებაა, ახლა რომ ჩემ გვერდით დგას. ნეტავ მთელი ცხოვრება არ დამთავრდებოდა ეს გვირაბი. ეს ის არის, ვისთანაც არასოდეს მოგბეზრდება, არასოდეს. რა ლამაზია!“

მაცაცოს ტუჩები ისე ეწვოდა, როგორც გაშმაგებული ხანგრძლივი კოცნის შემდეგ, ღია ფანჯარასთან იდგა ისევ.

„ახლა, ალბათ, ხელებს შემომხვევს და ჩამიკრავს, მე რას ვიზამ, არ ვიცი?! ვერ ბედავს... ყურთან ვგრძნობ მის სუნთქვას, უფრო მომიანს ლოვდა, ყური გამიგუჟდა, შეიძლება გონება დავკარგო. ასეთი რამ თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინაც არ მომხვლია... რა მჭირს, რა მემართება?“ — ფიქრობდა მაცაცო და სულ უფრო ახლოს გრძნობდა საბას სუნთქვას.

„რა საოცარი სურნელი აქვს, რა ასხია, ნეტავ? ეს სუნიც მაგრუებს, მეტი გაძლება აღარ შემიძლია... ერთი... ორი... რომ გამართყანს? მერე რა, გამართყანს...“

სუნთქვა ორივეს გახშირებოდა, თითქმის ერთ რიტმში სუნთქავდნენ, მაგრამ მატარებლის ხმა მაინც სჭარბობდა.

მაცაცოს თმები მთელ სახეზე დაეფინა საბას. „ამის გაძლება უკვე აღარ შეიძლება, ამ ძალის



გარეშე ვეღარ ვიცხოვრებ. სადაც წავა, თან წაყვები.“

„ახლა მაკოცებ... კი, ახლა... აი, ვგრძნობ, მიახლოვდება, ცხვირთან ვგრძნობ მის სუნთქვას... თვალები მხეშება... ვინ დაიჯერებს, რომ ჯუნანსთვის დღემდე ერთხელაც კი, ფიქრშიც არ მიღალბა. აბა, ახლა რა მემართება... თვალები მიხელოვდება, შეიძლება გონება დავკარგო, მაგრამ ეს საუკეთესო რაღაც იქნება... ვაიგი, ცუდად ვარ. მეტი აღარ შემიძლია. თვალებს ვეღარ ვახელო.“

მაცაცოს ტუჩები უფრო დაეხერხა, ლამის დაუსკდა, ისე ჭარბად მოაწვა სისხლი გაგებთან.

„შემთხვევით არაფერი ხდება — დღეიდან ეს ქალი სულ ჩემს გვერდით იქნება. შემთხვევით არაფერი ხდება. ეს ის არის, რაც მთელი ცხოვრება მინდოდა და მერე დამავინწყდა. ეს ნამდვილად ის ქალია.“

გვირაბი დამთავრდა და გზაუთავი სინათლე აინთო. წყვილი ოდნავ დაუმორიუმოდა, მაგრამ მორიდებული გზარით არც ერთი არ იყურებოდა. პირიქით, ისე ურცხვი ინტერესით აკვირდებოდნენ ერთმანეთს.

— მეც გამოვქეცი ქმარს, — თქვა მაცაცომ.

— მივხვდი, — უკანსუნა საბამ — ახლა სად მიდისარ?

მაცაცომ მხრები აიჩჩა.

— შენ?

საბამაც აიჩჩა მხრები და ორივეს სიცილი აუტყდა.

— „შენთან მინდა“.

— „მეც“.

— სად ჩამოვიდეთ? — იკითხა საბამ

— სადაც გვერი ხალხი არ იქნება.

— მეც ეგრე მიჩვევია.

— თუ შენამ არ გააპროტესტა.

— შენა რატომ დაარქვით?

— სალომე ჰქვია.

— აბა?

— შენა მამამისმა შეარქვა, არაფრის არ ეშინია და ამიტომაც შეარქვა.

— ა-ა?! ესე იგი ეს შენა დ'არქვია?!

— ასეა თუ ისე, ნამდვილი სახელი ყველას დაგვაპინწყდა.

— ალბათ, თვითონ მოსწონს ჟანა.

— ჰო, აბა?!

— შენ?

— რა მე?

— შენც არა ხარ მშიშარა?

— მე ძალიან მშიშარა ვარ, ძალიან.

— და ძალიან ლამაზი, — დაამატა საბამ.

— შენი ძმარი რომ ვიყო, გვერდიდან არ მოგიშორებდი.

— არც ის მიშორებს.

— ეჭვიც არ მეპარება. ასეთი რა დააშავა?

— სვამს... ბევრს... დავიღალე, — ცალ-ცალკე წარმოთქვა სამივე სიტყვა.

— ცოფოა. „ასეთი ქალი რო მიგატოვებს, ბოლომდე განწირული ხარ.“ საბა ჩაფიქრდა.

— თუ ასე განიცდი, შევურიგდები.

— პირიქით. საბაბს ვეძებ, რომ დაგავინწყო და საბოლოოდ დაგაშორო.

თენდებოდა, კარგად დაკვირვებული თვალი ზღვასაც დანინახავდა, მაგრამ არც მაცაცოს და არც საბას არ შეუმჩნევიათ. მატარებელი ახლა უღრან ტყეში მიქროდა. დგნ-დგნ, დგნ-დგნ, დგნ-დგნ...

\*\*\*

რუსოს ჯერაც ვერ მოესწრო გამოქინება, როცა კარი გაიღო და ოთახში ფერდაკარგული ჯუანზერი შემოვარდა. ხელში მაცაცოს ჩანთა ეჭირა.

— ჯუნა, რა იყო? — თითქმის შეჰკივლა რუსომ.

— შენი მანქანა უნდა მათხოვო.

— რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი, ახლა ნურაფერს მკითხავ. შეგიძლია, მათხოვო?

რუსუდანს ჯერ არავისთვის ცხოვრებაში ერთი საათითაც კი არ ეთხოვებინა მანქანა, მაგრამ რა ეძნა, არ იცოდა.

— კარგი, თუ არ შეგიძლია, თქვი, დრო არა მაქვს.

რუსუდანმა იცოდა, ახლა ერთი უარი და მორჩა, მთელი ცხოვრება ნაფიქრებ ჯუანზერს საგუდაგოდ

დაკარგავდა.

— მე ნაბიყვან, საღაც მიტყვი.

— არა, არა ვარ ნასვამი, მათხოვებ?

რუსუდანმა ბროლის ვაზაში ჩაყო ხელი, იძიდან გასაღები ამოიღო და ჯუანშერს გაუწოდა. ჯუანშერმა ჩვეულად შუბლზე აკოცა და გასაღები გამოართვა.

\*\*\*

ჯუანშერი რუსუდანის მანქანით ორი საათით გვიან გამოვიდა ქალაქიდან. მაგრამ ისეთი სინდრაფით მიქროდა მთელი ღამე, ქოგულეთის რკი ნიგზის სადგურზე მისულს უთხრეს, მათარებელი ჯერ არ შემოსულაო. რვა წუთი კიდევ ჰქონდა. უკანა სკამზე დადებულ მაცაცოს ჩანთა აიღო, იძიდან ბილეთები ამოიღო. კიდევ ერთხელ დახედა. ხელები უკანკალებდა. „თუ არ დავლიე, დავიბრძობი“, — გაიფიქრა და მანქანიდან გადმოვიდა.

სადგურის მაღაზიაში არაყი იყიდა და იქვე ბაქანზე რამდენიმე ყლუპი მოსვა. კანკალმა გადაუარა, თვალები უფრო ჩაუნთილდა, ხელი ჯინსის ჭილატის შიგნით შეატურა, იარაღი ხელით მოსინჯა.

გამოაცხადეს. მათარებელი ბაქანზე შემოდგოდა. ისევ მოსვა არაყი და ბოძს ამოეფარა. „ხომ შეიძლება, აქ ჩამოვიდნენ.“

ამსვლელები და ჩამომსვლელები ერთმანეთში აირივნენ და მალე ბაქანი დაცარიელდა. მათარებელმაც ერთი მაგრად დაიქვინა, ოდნავ შეძიბიბდა და დაიძრა. ჯუანშერი მათარებელში შეხტა.

— ეს რომელი ვაგონია? — შეეკითხა კარში ჩამდგარ გამცვილებელს.

— მეშვიდე.

ჯუანშერი მოთხე ვაგონისკენ ნავიდა. მათარებელი ზღვის სანა პიროს მიუყვებოდა.

საბა ტამგურში იდგა და სიბარეტს ეწეოდა, კარი გაიღო და ჯუანშერი შემოვიდა. არ გაჩერებულა, გზა განაგრძო. საბას გულმა უბრძნო, რომ ეს კაცი შემთხვევითი გამვლელი არ უნდა ყოფილიყო და თვალი გააყოლა.

ჯუანშერი კუპეს კართან გაჩერდა, კარი ღია იყო. მაცაცო დახრილიყო და მძინარე ჭანას ზენარს უსწორებდა. საბას ეჭვი აღარ შეჰყარვია, რომ უცხო მამაკაცი მაცაცოს ქმარი და ჭანას მამა იყო.

მაცაცომ შემოტრიალება ვერც მოსწრო, რომ კისერთან რკინის ცივი შეხება იგრძნო. იარაღის ლულა კანკალებდა.

„დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა, ახლა ველარაფერი მიხველის, მორჩა.“

— ბავშვს მაინც ნუ აყურებინებ, — გაისმა მაცაცოს მშვიდი ხმა. ჟანამ თვალები დაჭყიტა. კარი თავისით მიიკეტა.

„რამე უბედურება არ მოხდეს“, — საბამ სიბარატი მოისროლა და ჯუანზერს თითქმის უკან გამოჰყვია.

ჟანას პირდაპირ სახეში უყურებდა პისტოლეტის ლულა. ჯუანზერი ხმას არ იღებდა. წამები საუკუნედ გადაიქცა. კარი გაიღო. ჯუანზერმა მხოლოდ თავი მიაბრუნა.

— გადი აქედან!

— აქ ჩემი ადგილია! — უკანსუხა საბამ.

— გადი აქედან! — იარაღზემართული ჯუანზერი მთელი ტანით მოტრიალდა. მაგრამ საბამ დაასწრო, მარცხენა ხელით ზედა საწოლის კიდეს დაეყრდნო და მარჯვენა ფეხი მთელი ძალით მოუქნია იარაღზემართულ ხელს. ჯუანზერმა ხელის განევა მოასწრო, მაგრამ ბარძაყში ნაგლეჯმა ნიხლმა ინერციით პირველ დაამხო, თუმცა არ დაზნეულა. წამსვე ორივე ხელით ჩაბლუჯა პისტოლეტი და თავი ისე ჰკრა ნიკაპში, რომ საბამ კუხის კარზე მიმაგრებული დაბინდული მინა თავით ჩაამსხვრია.

— მამა, მამა, მამა, მამა, მამა, — თანდათან უნებდა ხმას ჟანა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა.

საბა ჯუანზერს ხელეხში ჩააფრინდა, მერე ერთი ხელი ზურგიდან შემოახვია, თან კისერზე მთელი ძალით აჭარდა ნიკაპს. მეორე ხელით კი ცდილობდა, იარაღი გაეგდებინებინა.

— მამა, მამა, მამა! — უფრო მაღალ რეგისტრში, მაგრამ მონოტონურად იმეორებდა ჟანა.

ჯუანზერს სისხლი გაუჩერდა მაჯაში და თითები თანდათან მოეშვა... ისევ შეენარცხნენ მინას და დარჩენილი ნამსხვრევებიც პირწმინდად ჩამოიყარა.

ჯუანზერმა ერთი ჩაისუნთქა, კრიჭა ისე შეკრა, რომ კინაღამ ერთმანეთს მიაფხვნა კბილები... ოდნავ გაინია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საბას თავით ეძებრა მუცელში. მაგრამ საბამ მოასწრო ისევ ზემოთ შეხტომა, საწოლების კიდეებს მოეჭიდა და მთელი ძალით ჩასცხო ორივე ფეხი იარაღმომარჯვებულ ხელში. იარაღი ბავარდა. საბამ მხარზე ნაივლო ხელი, მაისური სისხლით შეიღება. გულნასული მაცაცო მაგიდან გადაეკიდა. ჯუანზერს ცხვირიდან სისხლი წასკდომოდა. თითქოს უცებ მოეგო გონს.

— ჟანა, ჟანა, მიხველე, ჟანა.

სროლის ხმაზე კუხეებში შეკეტილი, შეშინებული მგზავრები სათითაოდ რეკავდნენ პოლიციელებს.

მატარებელმა სვლას თანდათან უკლო. ეტყობა, ჩერდებოდა.

— ჟანა, მიშველე, ჟანა, მიშველე, — ცახცახებდა ჯუანხერი.

— ნამოდი, ნამოდი, ჩქარა, — ხელისკვრით გამოიყვანა ჟანამ ჯუანხერი, გასასვლელისკენ მიათრევდა. დერეფანში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. გამცილებელიც მაგრად შეკეტილიყო კუხავში. ჟანა მატარებლის კარს დაეჯაჯგურა, კარი გააღო.

— ჩადი, ჩადი, ჩქარა, თორემ დაგიჭირენ! — ყვიროდა ჟანა.

ჯუანხერი თითქმის დაკატარავებულიყო, ცახცახებდა.

— მოვკალი?

— ჩახტი, ჩახტი, გაიქეცი, ჩქარა, დაგიჭირენ.

მატარებელი ჩერდებოდა, ჯუანხერი შეშინებული თვალებით შესცქეროდა ჟანას. ჟანამ ჯერ იარაღი გამოგლიჯა ხელიდან და მატარებლიდან მოისროლა, მერა მთელი ძალით ორივე ხელი ჰკრა. ჯუანხერი ვიღაცის ახლად ბათონხნილ ყანაში ბურთივით ჩაბორდა. ჟანამ მანამ არ მოაშორა თვალი, ვიდრე არ დაინახა, რომ ჯუანხერი ფეხზე წამოდგა და შარვლის ჩამოგერტყვა დაიწყო. გაქანზე პოლიციელები და თეთრხალათიანები გამოვრდნენ. მატარებელი გაჩერდა.

ჟანა სირბილით წამოვიდა კუხისკენ. საპირისპირო მხრიდან გამცილებელი მიუძღოდა პოლიციელებს, კუხესთან ერთდროულად გაჩერდნენ.

მაცაცო გონს მოსულიყო, მაგრამ ქანდაკებასავით იჯდა და ერთ წერტილში იყურებოდა. საბა დაჭრილ მხარს დაფხრენილი ზენრით იხვევდა.

— რატომ არის ეს ბავშვი შიშველი? — იკითხა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

ჟანამ მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ არაფერი ეცვა, საკიდიდან კაბა ჩამოხსნა და სასწრაფოდ გადაიცვა.

— ექიმს დაუქახეთ! — ბასცა განკარგულება იმავე კაცმა.

— მოდიან, — უპასუხა გამცილებელმა.

— ვინ გასროლათ? — იკითხა ხმელმა პოლკოვნიკმა კაცმა.

— მე, მე ვესროლე, — უპასუხა ჟანამ, — შემთხვევით გამივარდა.

კუხეში დანარჩენმა პოლიციელებმაც შემოყვეს თავი, რომ ჟანა დაენახათ.

— მართალს ამბობს? — მოუტრიალდა საბას პოლკოვნიკი.

ჟანამ საბას თვალი თვალში გაუყარა. საბამ მის მზერას ვერ გაუძლო.

— ჰო, — ჩაილაპარაკა ჩუმად, — შემთხვევით გაუვარდა. არაფერი, ოდნავ ვარ გაკანტული.

მაცაცო ისევ ერთ წერტილში იყურებოდა.

— იარაღი სად არის?

— გადავადგილე — ისევ გაისმა ჟანას წვრილი ხმა.

— საიდან გქონდა?

— გქონდა, — სხვა პასუხი ვეღარც მოიფიქრა ჟანამ.

ვაგონში თეთრხალათიანები შემოვიდნენ. შეშინებულ მგზავრებს კუპებიდან თავები გამოეყმით, მაგრამ გამოსვლას ვერ გადავდნენ.

— აქეთ, — ანიშინდა პოლიციელმა და გზა ეჩიმიებს დაუთმო.

— წამოიყვანეთ, — პოლკოვნიკი კუპიდან გავიდა.

ჟანა მიხვდა, რომ ეს გოლო ფრაზა მას ეკუთვნოდა. მაცაცოსთან მივიდა და ყურში უჩურჩულა.

— დე, რა უყავი ჩემი ტრუსიკი?

მაცაცო არც ახლა ბანძრეულა. ჟანამ აკოცა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად არის. მოგქებნი.

— დროზე, — თქვა რომელიღაცამ.

ჟანამ გასვლისას სახას ახედა და მაღლიერად გაულიმა. ვაგონი პოლიციელებით გაივსო. ჟანა ჩამოიყვანეს, აქეთ-იქით ორმა პოლიციელმა ხელი ჩაჰკიდა. ლოყაზე ხელშემოდეგული ხალხი „ნნუ, ნნუ“ ქახილით მინაცხვებდა პატარა ტუსაღს.

მიმართულება შეიცვალეს, კიბეებზე ჩამოვიდნენ თუ არა, იქვე მდგომ მანქანაში ჩასვეს. აქაც აქეთ-იქიდან მიუსხდნენ. მანქანა დაიძრა და ტრასაზე გავიდა.

— რა გქვია? — მიუტრიალდა პოლკოვნიკი ჟანას.

— ჟანა, — უპასუხა.

— ჟანა? — გაიმეორა.

— გვარი? — შეეკითხა პოლიციელი.

ჟანამ ხმა არ გასცა. პირდაღებული გაფართოებული თვალებით იყურებოდა ფანჯრიდან.

— ზღვა... ეს არის ზღვა, — ჩაილაპარაკა ისევ, რომ თვალი არ მოუცილებია ზღვისთვის.

ზღვა იყო მშვიდი, კრიალა, ფირუზისფერი. სიღრმეში გემი ჩანდა და მის გარშემო — თოლიების გუნდი.

ჟანამ ფეხებზე სისველე იგრძნო და უცებ გამოერკვა.

— გამიჩერეთ! — დანიძახა.

— რაშინა საქმე? — ირონიულად იკითხა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

— ტუალეტში მინდა, გამიჩერეთ, თორემ ჩავიფსამ.

— გაუჩერეთ, — თქვა პოლიციელმა.

ჟანა და ერთი პოლიციელი მანქანიდან გადავიდნენ.

— რაღაც დიდი ჩახლართული ამბავი ჩანს, არა, გატონო თემურ? — შეაკითხა ერთ-ერთი პოლიციელი პოლიციელს.

— გავიგებთ, — ჩაილაპარაკა პოლიციელმა უხალისოდ.

— მაგისტრანები აგვილაპარაკებია?! — თქვა მეორე რიგითმა, — თოთხმეტის არც ერთ ვარიანტში არ იქნება. მაგას მუხლს ვერ მიუყვანებ.

— რატომ იყო შიშველი? — ისევ მოინდომა პოლიციელთან საუბარი პირველმა რიგითმა, — აქ რაღაცაშინა საქმე. არა, გატონო თემურ?

— გავარკვევთ, — ისევ უხალისოდ ჩაილაპარაკა პოლიციელმა.

ჟანა და მისი თანმხლები პოლიციელები დაბრუნდნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

ჟანა ისევ ზღვას განცქეროდა, გაბრწყინებული, ალტაცებული თვალებით.

— რა დიდი ყოფილა ზღვა! — ჩაილაპარაკა ისევ თავისთვის.

— პირველად ხედავ ზღვას? — ჰკითხა პოლიციელმა.

ჟანამ თავი დაუქნია, მაგრამ ისე, რომ პოლიციელისთვის არ შეუხედავს. ისევ გარეთ იჭურებოდა.

პასუხის მოლოდინში მყოფი პოლიციელი მოტრიალდა და ჟანას შეხედა. მისი სახის დანახვაზე გაიღიმა. მის გამხდარ კისერზე ათრთოლებული ნერვიც არ გამოჰყვარვია.

— რა გვარია ჟანა? — იკითხა პოლიციელმა.

— ჟანა დ'არკი — მექანიკურად უპასუხა ჟანამ.

2006 წლის სექტემბერი

**ს ა რ კ ე**

მოქმედი პირნი: ორი მოხუცი ქალი, 70 წლის ზემოთ.

**ლალა** — მაღალი, ფორმებიანი (მიუხედავად ასაკისა), ახალგაზრდობაში, ალბათ, ქალიან ლამაზი.

**ჩიო** — კაფანდარა, ხმელი (კაბა რომ არ ეცვას, სქესს ვერც ხმით და ვერც გარეგნობით ვერ დაადგენ).

დილა.

მოქმედება ხდება ბაღში, სადაც ერთი გრძელი, საზურგინი სკამი დგას.

მოხუცები ბაღში ქოშინით შემოდინან, როგორც ჩანს, დიდხანს იარაღს. ჩიოს ხელში პატარა ჩანთა უჭირავს, რომელიც ისეა დატენილი, რომ არ იკე ტიბა, დიდხანს ეძებს ჩანთის ადგილს. ლალა ალტაცებული ათვისებულ იქაურობას, გოლოს ორივე სკამზე ჯდება.

**ჩიო:** — ესეც ასე!..

**ლალა:** — სუნე?!.. როგორი ოი?!.. ჰაერი.

**ჩიო:** — ზუსტად ესეთ ადგილს ვეძებდი.

**ლალა:** — სარკე?!.. გაძვს სარკე ?

**ჩიო:** — ხო ვამბობდი, სკამი არის-მეთქი... აი, სკამი.

**ლალა:** — მე... იცი რაა?!.. ვიცოდი.

**ჩიო:** — რა იცოდი? იცოდი არა, ისა.

**ლალა:** — არა კაცო... როგორ?

**ჩიო:** — ესეც რა უნდა გავაკეთოთ და...

**ლალა:** — ქალიან კარგი, არა?!.. მე გგონი, არა?

**ჩიო:** — შენი სახელი დამავიწყდა?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — როგორ თუ რატომ? დამავიწყდა, არ შეიძლება? ორი დღეა, რაც გაგიცანი, არ შეიძლება?

**ლალა:** — ჰა-ჰა-ჰა (იცინის), მეც.

**ჩიო:** — რა შენც?

**ლალა:** — არ ვიცი ?

**ჩიო:** — ჯიჯრში მიდგები, არა?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — აბა, არ ამბობ, რა გძვია?

**ლალა:** — ლალა.

**ჩიო:** — ლალა!.. მერე თქვი... არ ვიციო, იტყუები აქ...

**ლალა:** — არა, არ ვიცი.

**ჩიო:** — რა არ იცი?... სახელი?

**ლალა:** — სახელი?

**ჩიო:** — ე!... უ-ტუ-ტუ-ტუ, აფრენ?

**ლალა:** — აი, შენ თვითონ უ-ტუ-ტუ-უუუ... რა კარგია, არა?

**ჩიო:** — ახალი ამბავი?!... ჰმ! მაშ, მე რა ვთქვი?

**ლალა:** — როდის?

**ჩიო:** — გამახსენე შენი სახელი?

**ლალა:** — არ ვიცი.

**ჩიო:** — არ იცი და არცა მჭირდება! (ბრაზდება.)

**ლალა:** — ნუ, მერე რაა, რატომ? (ჩიო არ იმჩნევს, ჩანთას ხსენის, თან ხრინინიანი ხმით დიდხანს, სარკეს ამოიღებს, საკუთარ თავს გულმოდგინედ აკვირდება.)

**ლალა:** — მომეცი, რაა?!

**ჩიო:** — ააა?!... ვერ გაქელი, არა?!

**ლალა:** — არა.

**ჩიო:** — რა არა?

**ლალა:** — არა, მომეცი?!

**ჩიო:** — ვერ ხედავ, რომ მჭირდება?! (ისევ დიდხანს.)



**ლალა:** — მერე, მერე... ეხლა კი არა... მერე, ხო? როცა შენ მორჩები.

**ჩიო:** — მე არ მოვრჩები, ბავრი საძმე მაძვს.

**ლალა:** — სადა, კაცო?

**ჩიო:** — აქა, აქა. აჰა!.. ჩაიხედე (მიაჩეხებს სარკეს, ლალა სიხარულით ართმევს). უ, რა ამბავია ახლა ატეხილი? ოჰო, ჰო-ჰო-ჰო.

**ლალა:** — სადა, კაცო?

**ჩიო:** — გვეძებონ და გვეძებონ, რო გასკდნენ, მაინც ვერ გვიპოვნენ. ლა-ლა-ლა-რა-რა. გვეძებონ და გვეძებონ, აი, ებრაე?! ლა-ლა-ლა.

**ლალა:** — ნნუ, ნნუ, ნნუ (აჰყვება სიმღერაში, თან სარკეს არ აცილებს თვალს). ოჰ, რა კანია!

**ჩიო:** — აბა, მაჩვენე! (ჩაიხედავს და ისევ უბრუნებს) არ გატეხო!

**ლალა:** — არა, როგორ?...

**ჩიო:** — მე რა ვიცი, როგორ? არ გატეხო-მეთქი... შენ დეიდარჩები, ტასო, ხო იცი არა, სანყალი, რა ახალგაზრდა მოკვდა.

**ლალა:** — როგორ, მერე?

**ჩიო:** — კარგად გღეროდა, იცი, როგორ გღეროდა?..

**ლალა:** — კარგად გღეროდა.

**ჩიო:** — ... რო მაჩუქა ძიშმირის წვრილყვავილებიანი კაბა... რო მაჩუქა, აი, აქ (ყელთან ისვამს ხელს).

**ლალა:** — აქ იყო ბროშა, ოი, რა ლამაზი?!.. ჰე!

**ჩიო:** — აქ არა, აქ იყო (მხართან იღებს ხელს).

**ლალა:** — ჰა-ჰა-ჰა, როგორ, კაცო?

**ჩიო:** — შენ მასწავლი?! მომეცი სარკე.

**ლალა:** — ჰე, კი გატონო, ... იცი რაა?!.. სახლი სად არი?

**ჩიო:** — სახლში მოგინდა?! აკი ხმას არ ამოვიღებ, ოღონდ წამიყვანეო... ეხლა ფიშტ, სახლი აღარ არის, რად გინდა სახლი? აქ უფრო კარგი არ არის? ა? არ არის კარგი?

**ლალა:** — კარგი არის.

**ჩიო:** — რედოკულიც აქა მაძვს, კარტი ჩავდე? სად არის ჩემი კარტი, შენ აიღე?

**ლალა:** — ავიღე.

**ჩიო:** — რატომ აიღე ჩემი კარტი დაუკითხავად?

**ლალა:** — მე? როგორ? ჰე!

**ჩიო:** — მერე, არ უნდა მითხრა?

**ლალა:** — გითხარი... ხო გითხარი.

**ჩიო:** — ჰე! მითხრა?!.. კარგ დროს მეუბნები (ჩიო ფეხებს აძნევს, თან ზედ იყურება. კაბას ცოტა მაღლა ასწევს და თავის ფეხებს კარგად დააკვირდება. ლალაც დააკვირდება მის ფეხებს, მერე თავისას და ისიც ფეხების ძნევას დაიწყებს).

**ლალა:** — ჰა-ჰა-ჰა.

**ჩიო** (ჩანთას ხსენის და სარკეს ჩადებს. რაღაცას დაინახავს და ისევ გახსენის. კარტს ამოიღებს): — აქა ყოფილა, რა ტყუილად მაძებნიდები? ძებნა იქ უნდა ნახო, მილიცია, პოლიცია, კაღლები (მეძებარი კაღლივით დაყნოსავს ლალას).

**ლალა:** — ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

**ჩიო:** — ოთახში არ არიან, აივანზე არ არიან, ტუალეტში არ არიან, სანოლის ძველ არ არიან, არსად არ არიან, ფა-ფუუუ.

**ლალა:** — ხოო, ეხლა იძით, აქეთ, სად არის, ესა, ისა... ფაფუუ, ჩვენ კიდე აქ!.. არა?

**ჩიო:** — გვეძებონ, რამდენიც უნდათ, ძლივს სუფთა ჰაერზე გამოვადით, არა?

**ლალა:** — არა.

**ჩიო:** — როგორ თუ არა, აბა, იმ ოთახში ჯოგდა, დამწყვდეული რომ იყავი, თუ აქა?

**ლალა:** — აქა.

**ჩიო:** — იცი, რამდენჯერ ვუთხარი?... რა იქნება, რო მიღიხართ, მეც წამიყვანეთ, სადმე პარკში დამტოვეთ... უკან წამოხვალთ, წამოგყვებით, არც საჭმელი მინდა, არც სასმელი, ერთ ვაშლს ჩავიგდებ ჩანთაში. რა, არ შეიძლებაოდა?!.. ა?!

**ლალა:** — აბა რაა!

**ჩიო:** — ცუდია, ახლა აქ რო ვართ?

**ლალა:** — რატომ?!

**ჩიო:** — გაუბნები, ვერც გვიპოვნიან, თავში აზრადაც არ მოუვამთ, რომ აქა ვართ, მთელი ღამე!.. ეე, რას აგზობ?!  
**ლალა:** — რას ვამბობ?  
**ჩიო:** — სამ-ოთხ საათამდე შეიძლება ვერც გაიგეს, არაა?  
**ლალა:** — არა.  
**ჩიო:** — მაგ დროს წვებიან? შემოიხედავდნენ და ფაფუუ...  
**ლალა:** — ფაფუუ... კარგია, იცი რა, მომეცი რაა, სარკე! შეიძლება?  
**ჩიო:** — იქნებ, სძინავთ? შეიძლება ღამე ვერც გაიგეს, თუ არ შემოიხედავენ..  
**ლალა:** — რატომაც არა.  
**ჩიო:** — მეც ეგრა მგონია, შემოიხედავდნენ, შენ ჯერ მაინც ახალი ხარ, გული არ გაუძლებდათ. რას იტყვი?  
**ლალა:** — სარკე... მომეცი, კარგი?  
**ჩიო:** — თუ ვერ გაიგეს, მაშინ... ჯერ ისევ სძინავთ.  
**ლალა:** — ვინა?  
**ჩიო:** — შენ ბიჭს და ჩემს ქალიშვილს.  
**ლალა:** — სად?  
**ჩიო:** — თუ ბიჭია ჩემი და ქალი შენი?  
**ლალა:** — არა! ჩემი ბიჭი!.. იცი, როგორი იყო? პატარა ოი, ოი, ოი, ესეთი თმები, ეჰ, რა კანი?!.. ჩემი ბიჭი!  
**ჩიო:** — ჰო, სწორი ხარ (ლალა წამოღება და ფოთოლს აიღებს, მემრეს, მესამეს. ჩიო ვერ ამჩნევს, ფიქრებშია დასული. ერთ წერტილში იყურება, ლალა მემრე მხრიდან მოაღება და მხარზე დასად შეახებს ხელს, რომ ფოთლები აჩვენოს).  
**ჩიო:** — ააა! ააა! (მთელი ძალით დანიკვილებს.)  
**ლალა:** — ააა! (მასაც შეეშინდება ჩიოს კივილზე.)  
**ჩიო:** — რატომ შემაშინებ?  
**ლალა:** — მე?  
**ჩიო:** — ესე მიხდი, არა, სიკეთეს?!.. ერთი დამეტოვებინებ მართო?.. ესე მიხდი, არა?  
**ლალა:** — მე?  
**ჩიო:** — რა გქვია შენ?.. ვინცა ხარ ერთი, დამაცადე!.. ეს რა მიქნა, დამაცადე!  
**ლალა:** — გაბრაზდი?!.. რატომ?!.. მიყვირე...  
**ჩიო:** — მე მიყვირე? მე მიყვირე? ერთი ამას უყურე?!  
**ლალა:** — აბა? — ააა! — შენ ყვიროდი.  
**ჩიო:** — მე ყვიროდი? ვინც ახლა ჩვენს შორის მტყუნან-მართალი იყოს?!..  
**ლალა:** — იცი?... ტულები... სად არის?  
**ჩიო:** — მე რა ვიცი.  
**ლალა (წამოღება):** — არა?!..  
**ჩიო:** — დაჯექი, გასმის? მე მოვნახავ (ჩიო მიდის, ცოტა ხანში სკამის უკნიდან ამოყოფს თავს).  
**ჩიო:** — უუუ (დაიყვირებს და ისე იცინის, ბჭირდება, სკამს შემოუვლის, კაბა ტრუსებში აქვს ჩატანებული).  
**ლალა:** — უ-უ-უ კარგია, ესეც კარგია! ჰე! (ჯიბიდან სიბარბის ამოიღებს და პირში ჩაიღებს, ვითომ ბოლს უშვებს).  
**ჩიო:** — აღარ გინდა, თუ უკვე შიშისგან გაგეპარა? (ლალა ერთს გადმოსხდავს ზემოდან და იგავს გააბრძობებს.)  
**ჩიო:** — ვის მოჰყარა? თქვი, ვის მოჰყარა პავიროსი?  
**ლალა:** — რატომ?  
**ჩიო:** — ძურღოო, ძურღოო, პავიროსის ძურღოო...  
**ლალა:** — ტრა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა.  
**ჩიო:** — აბა, მონი, მონი, მატრაკვეცა.  
**ლალა:** — სადა?  
**ჩიო:** — სადა და აქა.  
**ლალა:** — ის არ არის?.. ფიშ, ფიშ (ასანთიო, ანიშნებს).  
**ჩიო:** — ტრა-ტა-ტა (ჩანთას გახსნის და ასანთს ამოიღებს, გაჰყარავს და უყურებს, როგორ იწვება). ტრა-ტა-ტა.

**ლალა:** — მოიტა, რაა?

**ჩიო:** — ვერ მოგცემ, მჭირდება, უსანთოდ ხომ არ...

**ლალა:** — მოდი, რაა, გეხვეწები, მიდი-დი რაა?!

**ჩიო:** — ... დავ-რჩე-ბით (ერთიდან მეორე ასანთზე მოუკიდებს). მართლა რომ დავიკარგოთ, კოცონი არ უნდა დავანთოთ? დღეს შეიძლება აცვიფდეს... შენ გახსოვს, საით არის ჩვენი სახლი? (დამარცვლით, წამლერებით).

**ლალა:** — მოიტა რაა... კაი რაა... (სიბარებით ჰირუი ასანთისკენ მოძრაობს.)

**ჩიო:** — ოო, აჰა, აჰა (მოუკიდებს).

**ლალა:** — უჰ, რა კარგია, ეეჰ... კაია.

**ჩიო:** — მოგწონს შენი თავი? მატრაკვეცა! დიდი ვინეა გგონია თავი, ჰე!

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — მე რა ვიცი?.. რაღაც ისა!.. (გამოაჯავრებს) ფუ-ფუუუ, ფუ-ფუ-ფუ.

**ლალა:** — აჰა, შენ (სთავაზობს).

**ჩიო:** — გახსნი, ფუჰ, მაგას ჩავიდეუ ჰირუი?! გახსნი...

**ლალა:** — Так, так, так... ничего?!..

**ჩიო:** — რას იმუქრები?

**ლალა:** — რატომ? არა?.. მია?

**ჩიო:** — ჰოო, შენ! იმუქრები. ესეა ატკაზუი არ გახვიდე.

**ლალა:** — გირე რაა?

**ჩიო:** — მე უყვარვარ და უხასიათოვარ და უვირეუარ ვერ ვიტან.

**ლალა:** — არა კაცო, არც მე.

**ჩიო:** — არც შენ? (თვითონაც ამოიღებს ტარინან პაპიროსს, საგულდაგულოდ დამალულს და გააბოლებს).

**ჩიო:** — შენ სად უნდა დაიძინო?

**ლალა:** — არა?

**ჩიო:** — რა არა? სად უნდა დაიძინო? ისევე ჩემს ოთახში?

**ლალა:** — იტყვის.

**ჩიო:** — ვინ იტყვის?! ვერავინ ვერ იტყვის!.. თუ გინდა დარჩი... გინდა?

**ლალა:** — გინდა.

**ჩიო:** — აქამდე მეორე ბიჭთან ცხოვრობდი?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — მე რა ვიცი, რატომ, მე მეკითხება?!.. ჰოუუ!.. ფრუტ-ფრუტ-ფრუტ.

**ლალა:** — ტრა-ტრა-ტრა.

**ჩიო:** — ამას ცოტა სკლეროზი აქვს.

**ლალა:** — ვინა?

**ჩიო:** — აქ ერთი რო არის... ჯერ შენ ყველას არ იცნოუ უუუ, ფრუტ-ფრუტ-ფრუტ.

**ლალა:** — დაცა, სადა?

**ჩიო:** — იიი. აბა მოდი, ხელი გადამიწე.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — ვნახო ერთი, რა ჯანიანი ხარ!

**ლალა:** — Давай (ორივე ხელეუბს დაიკაპინებს, ჩიო ძალიან მონდომებულა, მაგრამ მაინც ლალა აჯობებს).

**ჩიო:** — ებრა არა.

**ლალა:** — Вот так!

**ჩიო:** — არ ჩაითვალა.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — იმიტომ, რომ შენ იდაყვს მაღლა ენეოდი, წააბე (მღერის ჩახლეჩილი ხმით).

„ნაგებულო თხაო,  
ნაგებულო თხაო,  
წიხლი არა მკრაო,  
წიხლი არა მკრაოო“.

**ლალა:** — იცი, რა გითხრა?!.. შენ ისა, რაღაცნაირად რატატა-რატატა, რატომ?

**ჩიო:** — ოო, გაბრაზდა, გაბრაზდა, ჰა-ჰა-ჰა.

**ლალა:** — შენ იცი, რაა?! ჰმ! Кто она такая?

**ჩიო:** — გუტია?! გუტია?!.. ეხლა იცი, ვის გავხარ? გიგიშას, აი, ზუსტად გიგიშას, რომ გამეგუტება.

**ლალა:** — ვინა?

**ჩიო:** — ვინა და, გიგიშა არ იცი? ჩემი შვილის-შვილის-შვილის შვილი, სათამაშოს რომ ნაპარტოვ... ჰა-ჰა-ჰა გუტია! გუტია!.. „სახლიდან გავიდა ერთი გუტია და აღარ დაბრუნებულა, თუ ვინმე ნახოთ“... (ვითომ „ხუმრობს“). გიგიშა ესე მოვა ხოლმე, წინ დამიდგება, თავს ჩაღუნავს და ტუჩებს გაუჭიკავს (გიგიშას თამაშობს). ვეუბნები: — იცოდა, თუ არ მირიგდები, ჩემსკენ არც გამოიხადო, გაიგე?!.. დგას, დგას, დგას და მერე ჩუმ-ჩუმად გამოაპარებს ქვემოდან თვალს. აბა, აბა! თითხ დავუქნებ, ჩასწავს თავს, მერე ისევ, ჩასწავს, მერე ისევ...

**ლალა:** — მოიცა, მოიცა, ვინა?

**ჩიო:** — გიგიშა. მერე ამოვიღებ კანფეტს და ასე ვაკეთებ. — ვინაც ჩემთან თამაში უნდა, აიღოს კანფეტი. ესე ვიქნებ ხელს, ერთი, ორი, სამი, უცებ ჰუპ! და გარბის, გარბის, გარბის.

**ლალა:** — აბა, ერთი, ვინა?

**ჩიო:** — გი-გი-შა! ვაა, რა ვინა, რა ვინა? ეხლა ბოლოს რომ იყო მოსული... ვაი! (გაჩუმდება და თვალები გაუფართოვდება) ჩქარა! დავიმალოთ, აქეთ მოდიან, ჩქარა! ჩქარა! (თვითონ სკამის ქვეშ შეიკრება, ლაღად მას მიგაქაპვს.)

**ლალა:** — რა არი?... რა არის? მეშინია...

**ჩიო:** — ჩუუ, ხმა!.. იცოდა, თუ დაგვიჭირებს, შენ იტყვი, რომ შენ ნამომიყვანა... ხო იტყვი?

**ლალა:** — ვიტყვი.

**ჩიო:** — აბა, როგორ იტყვი?

**ლალა:** — კარგად.

**ჩიო:** — ნავიდნენ... (გამოქვრება და მუხლებს ჩამოიბერტყავს.)

**ლალა:** — ვინა?

**ჩიო:** — მე რა ვიცი.

**ლალა:** — ჩაი არ გინდა? მე — კი.

**ჩიო:** — გინდა, ოღონდ შექარს მე თვითონ ჩავიყრი, გუშინ ტკბილი იყო, არ გითხარი.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — რატომ და მატრაკვეცა ნუ ხარ, მე რამდენიც გინდა, თვითონ ჩავიყრი.

**ლალა:** — კი გატონო, ვააა!..

**ჩიო:** — რა ვააა? შენ არ ჩამიყარე? ეხლა ყველა თვითონ ჩამიყაროს თავის ჭიქაში.

**ლალა:** — გინდა ჩაი.

**ჩიო:** — შენ ისა თქვი, თუ ველარ ვიპოვებთ სახლი, მაგრამ ნუ გეშინია, ჩვენს ფოტოებს ტელევიზორში აჩვენებენ, შეიძლება ხეივანზე იყოს უკვე გაკრული, აბაა!.. ნეტა ჩემი რომელი ფოტო ნაიღებს?... ეჰ, ეგ სულ აღარ გამხსენებია სიჩქარეში.

**ლალა:** — შენ... ისა, შენ რა გქვია?

**ჩიო:** — ჰმმმ! ეხლა მოგინდა ჩემი გაცნობა? არ გეტყვი.

**ლალა:** — მართლა, მართლა, კაი რაა!..

**ჩიო:** — მე, ჩიორა.

**ლალა:** — უი! კარგია.

**ჩიო:** — ჩიტო-ჩიორა, ასე მექახოდა დედაჩემი, ჩიტო-ჩიორააა.

**ლალა:** — კარგია, ჩაი არ გინდა? ჩიტო-ჩიო.

**ჩიო:** — ან ჩიო დამიქახე, ან ჩიორა, გაიგე?

**ლალა:** — კარგია, გინდა ჩაი? მე — კი.

**ჩიო:** — არა უშავს, ცოტა მოითმინე, არაფერი მოგივა, რა სუ ჩაი-ჩაის გაიქახე, თათარი ხარ?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — რატომ და იბიტომ, რომ ჩვენი სახლში დაბრუნება ჯერ არ შეიძლება.

**ლალა:** — მართლა, უუუ, იიიი...

**ჩიო:** — იქ ეხლა მთელი მილიცია-პოლიცია-მეზობლები... სასწრაფოები...

**ლალა:** — მართლაა? სადა?

**ჩიო:** — სადა? სადა და ჩვენთან სახლში. მთელი ღამე სახლში არ ვიყავით (თითებზე ითვლის), თითქმის თორმეტი საათია, დაკარგულები ვართ.

**ლალა:** — მართლაა?

**ჩიო:** — აბაა? შენ რომ ღამე არ გაძინება, სხვაც ეგრე ნუ გგონია.

**ლალა:** — გაძინება.

**ჩიო:** — ეხლა მეც მიძინება, მაგრამ ჯერ არ შეიძლება, ჯერ ერთი კარგად უნდა დავუფრთხოთ ანგელოზები.

**ლალა:** — ვისა?

**ჩიო:** — შენ სკლეროზი ხომ არ გაქვს? ფრუტი!..

**ლალა:** — ამას უყურე, რაა? ჰა-ჰა-ჰა.

**ჩიო:** — მიყურე (დაამთქნარებს).

**ლალა:** — ჩაი მინდა, არ შეიძლება?! (ისიც დაამთქნარებს.)

**ჩიო:** — ვერ უნდა მიხვდე?.. შეიძლება ყველანი გულნასულეები ყრინან ძირს და ვერ ასულიერებენ.

**ლალა:** — აბა, ერთი მითხარი კარგად, ვინა?.. მე ვერ ბავიბა...

**ჩიო:** — უიშეეეე! რამდენჯერ უნდა გითხრა, ყრუ ხომ არა ხარ?!

**ლალა:** — აბა, აბა, ძალიან გთხოვ, მერე, მერე?

**ჩიო:** — იცი, სად მოგიყვანენ?

**ლალა:** — კი, მერე, კარგია.

**ჩიო:** — კი, ჯერ ორი დღეა და მოგეწონება, მა რა იქნება?!.. საჭმელი არ გაკლია და სასმელი.

**ლალა:** — ძალიან კარგი.

**ჩიო:** — რა არის კარგი, მასე კატეგორია ჰყავთ.

**ლალა:** — უი, მიყვარს, როგორ მიყვარს?!..

**ჩიო:** — იცოდე, კატას არ მოგაყვანინებ, მე არ მიყვარს კატები.

**ლალა:** — უი, მე, იცი, რამდენი?! უჰ, ბავრი, ესეთიც, ესეთიც, ისეთიც, ისეთიც, უუუ.

**ჩიო:** — არაფერი გაგივია, არც მე მიყვარს კატები და არც ბიბიშას, შენ თუ გინდა, დარჩი, კატას არ მოგაყვანინებ.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — ვა, ძალაზე ხარ? არ მიყვარს და...

**ლალა:** — მიყვარს, ძალიანაც, მერე რა?

**ჩიო:** — გიყვარს, არა?.. იმ კატებს ეფერებიან მაინც, ხელს გადაუსვამენ, გაუბრაზდებიან ან...

**ლალა:** — კი, როგორც მიყვარს, აი ესე... ესე...

**ჩიო:** — იცი ჩემთვის... რამდენი ხანია ჩემს შვილს არ უკოცნია?.. ერთი?.. ხუთი?.. ათი წელი, შეიძლება მეტიც.

**ლალა:** — არა?! მე მწუ, მწუ სულ ესე მაკოცა... ძალიან კარგად... ყველაფერი.

**ჩიო:** — შენ მაკოცა?

**ლალა:** — კი!

**ჩიო:** — მასე მეც მაკოცნის, ახალ წელს, დაბადების დღეზე, როცა სადმე მიემგზავრებიან დიდი ხნით, ან ბრუნდებიან... ჰე! აკოცა?!..

**ლალა:** — კარგია.

**ჩიო:** — ისიც, თუ შევხვდი მამ დროს. ხან ისე ბავა... რა ვიცი, რამდენი დღე, რომ ვერც ვნახულვ.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — გაიგებ რატომაც?.. მოგინდება დალავარკება, ხან სიცოცხლე გაიგონებ, ხან სიმღერას... ხან ჩხუბიც ისმის...

**ლალა:** — ვინა?.. ჩხუბი არა, არა.

**ჩიო:** — რაც უნდა ჩუმად გაფრატუნდე, შუა გზაში, რომელიმე შემოგხვდება და ძალიან ზრდილოვანად შეგეკითხება:

— დედა, გინდათ რამე?..

— ვეუშაოვთ...

— ჯოჯია დაიძინოთ...

— ჯოჯია დაისვენოთ...

— ჯოჯია... ჰე!.. საერთოდ... (ხელს ჩაიქნევს.)

**ლალა:** — მერე შენც თქვი, რომ... აი ეს ესე! ეს ისა! და ეს ისა! აი?!.. ჰო, BOT TAK!

**ჩიო:** — ამას უყურე, რა... ვთქვა?

**ლალა:** — ჰო.

**ჩიო:** — ვთქვი!

**ლალა:** — კარგია.

**ჩიო:** — რაღა უნდა ვთქვა, ყველაფერი მაძვს... საუზმე, სადილი, ვახუშაძე, პირველი, მეორე, მესამე, მეათე... ხილი, ნამცხვარი, ტორტის ამხელა ნაჭერი, ზოლოდზე ვერასოდეს ვერა ვჭამ, რა ვთქვა?

**ლალა:** — უჰ, კარგია, არ გინდა ჩიო? მე კი.

**ჩიო:** — არა-მეთქი. შენც ყველაფერი გექნება, წამალი, ტელევიზორი, გარეცხილი, კიდე რა გინდა?

**ლალა:** — ისა... ან ფუ... რა ქვია? ან, ესეთი რომ არის უჰ, არ იცი? ან ესეთი ისა... რომ... რომ.

**ჩიო:** — ამდენ ხანს არავინ მოგისმენს. გეტყვიან, მოიფიქრე და მერე გვითხარო.

**ლალა:** — უი, რა კარგია.

**ჩიო:** — მიხვდი, ის პატარა მაგიდა რატომ შეამოიტანეს?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — სამზარეულოშიც აღარ გავალთ... ისე, მაინც მარტო ვსადილოვდი... იქნებ ასეც ჯობს... მე და შენ... ან, ესეა გვექვამონ და რეკონ მილიციისში. ჰა-ჰა-ჰა.

**ლალა:** — ვანიმე, მეშინია, მილიცია რატომ?

**ჩიო:** — რისი გეშინია, ჩვენ რომც დაგვიჭირონ, მაინც არ ჩაგვსვამენ ციხეში.

**ლალა:** — კარგია! აბა რა...

**ჩიო:** — ესეა შენი ბიჭი, ან, ასე იპუტავს თმებს: „ვანი, ვანი, დედა დავკარგე, მიშველეთ! მიშველეთ! დედა დავკარგე!“

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — აბა რას იზამს, ორი დედა, რაც დედა თავისთან გადმოიყვანა და ფაფუუ! უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ფაფუუ!

**ლალა:** — მათხოვე?! შეიძლება, სარკე?

**ჩიო:** — კიდე სარკე გინდა, კაცო? ამ ტყეში ვის ეკრანჭები? (შორიდან მილიციის მანქანის გააყრუებელი ხმა გაისმა.)

**ლალა:** — მომეცი, რაა?!..

**ჩიო:** — ვანიმე! ეს ან მილიციაა, ან სასწრაფო (ტაშს შემოჰკრავს), ესეც ესეა...

**ლალა:** — ესეა (ისიც შემოჰკრავს ტაშს), მომეცი?..

**ჩიო:** — აჰა, არ გაშიტხომ, მოიცა... (ჯერ თვითონ ჩაიხედავს სარკეში და დაამთქნარებს).

**ლალა:** — აქ ტუალეტი... არის?

**ჩიო:** — მე რა ვიცი?!..

**ლალა:** — გინდა.

**ჩიო:** — (ისევ გაისმა რაღაც ხმა, ჩიო დაიკაპავს.) შენ ხომ არ გგონია, შორს ვართ, ან, ამ ღობის იქით მოკლეზე გადავალთ და ჩვენი სახლიც აქვია.

**ლალა:** — მართლა?!.. აბა?!..

**ჩიო:** — ესეა მიხვეულ-მოხვეულებით გატარე.

**ლალა:** — ნნუ, ნნუ, ნნუ (ნაოჭს თითს გააყრუებს), ничего?!.. ეეჰ...

**ჩიო:** — აბა, მაჩვენე? მე რომელი ვარ? (ორივენი ერთად იყურებიან სარკეში, ხან ერთი ამთქნარებს, ხან მეორე).

**ლალა** (გვერდზე დაიდებს ხელს): — ან... ან... რაღაც...

**ჩიო:** — გტკივა?

**ლალა:** — ხო, იცი, რატომ?

**ჩიო:** — მიდი, აბა, ერთი იმათ უთხარი...

**ლალა:** — ვისა?

**ჩიო:** — არც მოგისმენენ, არა, როგორ არ მოგისმენენ, თქმასაც ვერ მოასწრებ, ექიმი დაგადგება თავზე. ჯოჯია, იმას მოუყვი... რა თქმა უნდა, ავადმყოფს ექიმა უნდა მოუსმინოს.

**ლალა:** — კარგია.

**ჩიო:** — კარგია, კარგია, აბა ნახე, რა დღეში არიან პენსიონერები?..

**ლალა:** — ოი, ოი, ოი, იცი?..

**ჩიო:** — გინახავს, ნაბავში როგორ იქმეებიან?

**ლალა:** — კი, კი, ნნუ, ნნუ, ტელევიზორშიც...

**ჩიო:** — ნეტა რამეს რომ ვოულოვან, მარტო ჭამენ, თუ... შვილები ჰყავთ?

**ლალა:** — კი, რატომაც არა?!

**ჩიო:** — ისე რა... ახალგაზრდებიც...

**ლალა:** — ჰატარა, აი, ეგეთი... ისეთი ლამაზი, ლამაზი, ესეთი თვალები... თმები, ნწუ, ნწუ... ტელევიზორში...

**ჩიო:** — ჰო, შეიძლება მთელი ოჯახი საჭმელს ნაგავში ეძებს, მერე სახლში მიაქვთ და ერთად ჭამენ... ერთი ოთახი აქვთ და... შეიძლება, ოთახიც არა აქვთ და სადმე კიბის ქვეშ არიან შეყუჟულები... ერთად, ერთად!

**ლალა:** — აბა რაა... ნწუ.

**ჩიო:** — რაც კარგია, იმას ბავშვებს მისცემენ, არა?!..

**ლალა:** — არა, რატომ?... იცი რაა? (ყურში ეჩურჩულება, როგორც ჩანს ტუალეტში უნდა.)

**ჩიო:** — აი, იქით წადი, გუჩქის უკან, აი, იქ, ხედავ?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — ეე? მაშ აქ სად მოგიტანო გუჩქი?

**ლალა:** — აა? ძალიან კარგი. ტრა-ტა-ტა (გაღის. ჩიო მარტო რჩება, დაამთქნარებს და ცოტა ხანში ჩაეძინება, ლალა გრუნდება, ხელში ფოთლები უჭირავს).

**ჩიო:** — ააა! (შეშინებულს ეღვიძება, მის კივილზე ლალასაც შეეშინდება).

**ლალა:** — ააა! ააა!

**ჩიო:** — ააა!

**ლალა:** — ააა!

**ჩიო:** — ეს რა ხუმრობაა?! ეს რა ხუმრობაა?

**ლალა:** — რატომ, კაცო?

**ჩიო (უყვირის):** — რატომ? მოიცა შენა, შეშინება როგორ უნდა, გაჩვენებ! (ჩუმად სხედან სკამზე. ლალა გაინძევა. ჩიოც დამონსტრაციულად გაინძევა. ლალა ფხეხვის ქნევას დაიწყებს, ჩიოც, მერე ფხეხვს ბაჭკრავს.)

**ჩიო:** — გინდა, მამარი რამე გითხრა?

**ლალა:** — მართლა?

**ჩიო:** — მართლა, ... ჰა?! ჰა-ჰა?! ტუ! ტუ! ტუ!

**ლალა:** — ტა! ტა! ტა!

**ჩიო:** — მე ძალიშვილი ვარ! ტუ! ტუუუუ!

**ლალა:** — ოჰო-ჰო, კარგი, კარგი.

**ჩიო:** — იძახე ოჰო-ჰო და იყავი, ეგ ჩემი არ არის. ავიყვანე. აბა დაითვალე, ორმოცდათორმეტი წლისა როგორ გავაჩენდი? მწუ, ეგაც შენ!

**ლალა:** — ტორტი არის იქ? ისეთი? უჰ, კანია, არა?! გუშინ, არა?

**ჩიო:** — მანიცა, რა დროს ტორტია.

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — არ არის! ერთი შენ მითხარი, გვერი კაცები გყავდა?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — არა, ბიჭო, ისე გაჩერდებოდი?!

**ლალა:** — მართლა?

**ჩიო:** — დიახაც, მართლა.

**ლალა:** — კარგია.

**ჩიო:** — გამოტყდა (ლალა თითებზე დაიხედავს, მერე მაღლა ასწევს ხელს და ისე შეათვალნიერებს, რამ-ჰამ-ჰა-ჰა, რამ-ჰამ-ჰამ-ჰამ — „გაღების ტვიღან“ ელოდის ღიღინებს და ხელს აყოლებს).

**ჩიო:** — სვეტაკლში მყავსარ ნანახი... მგონი, შენ იყავი.

**ლალა:** — მართლა, კანია,... რამ ჰამ-ჰამ-ჰამ ჰა (აბრძელებს).

**ჩიო:** — მეც კი დავდიოდი ბალებზე, არ გჯერა? გინდა, შვაკატში ჩავჯდე? გაინდი... (ცდილობს სკამზე შვაკატში ჩაჯდომას) ოო, ესლა არ მაცვინა ისე...

**ლალა:** — უი (დაამთქნარებს), მეძინება.

**ჩიო:** — ცოტა მოიცადა.

**ლალა:** — მოიტა რა, სარკე?

**ჩიო:** — არა, გაყოფა... ზედმეტი არაფერი ვარბა...

**ლალა:** — ჰე!

**ჩიო:** — ... იცი, ანდრო როგორი იყო?... ესე რომ შემოგხედავდა და შემოგანათებდა ცისფერ თვალებს... შენც ცისფერი თვალები გაქვს, არა?... კი...

**ლალა:** — აბა!.. ცისფერი თვალები, ტრა-ტა-ტა (ისევ დაამთქნარებს).

**ჩიო:** — კარგი, ახლა არ დანიძინო... გესმის? არ დანიძინო (დაამთქნარებს და თვითონ ჩაეძინება).

**ლალა:** — ამას უყურე, რაა? უი, რა კაია, სარკე შეიძლება? (ლალა ღიღინებს, სარკეში იყურება, ჩანთა ვარდება და ძირს იყრება, რაც შიშ ალბანი. ლალა სასწრაფოდ აწყობს უკან, ნახევარი ძირს რჩება. ისევ სარკეში იყურება, უცებ ძირს დაგდებულ ფოტოს შენიშნავს და აიღებს.)

**ლალა:** — Ой, Андрей, ნნუ, ნნუ, откуда?!.. (ფოტოს დააცქერდება, ეშმაკურად ეღიმიება, გადმოატრიალებს და დამარცვლით იწყებს კითხვას).

**ლალა:** — „ახ-ლა კი-არა...“

ოღეს-ღაც მყავ-ღა

ვინც ძალ-ღმერთს-გავდა...“

რა-ტა-ტა- ტუ-ტუ-ტუ,

ფუუ, надоела (მონისვრის სურათს. უცებ ანკრიალდება ტელეფონი. ჩიოს შეშინებულს ეღვიძება.

ორივე წამოხტება. ზარი რამდენჯერმე გაისმება და გაჩერდება).

**ჩიო:** — აქ იყო?

**ლალა:** — აბა, სადა?

**ჩიო:** — შენ გაძვს?

**ლალა:** — მაძვს.

**ჩიო:** — რა გაძვს?

**ლალა:** — რა მაძვს?

**ჩიო:** — ტელეფონი?

**ლალა:** — არა.

**ჩიო:** — როგორ არა? (ისევ გაისმება ტელეფონის ზარი. ახლა უკვე ჩიო იწყებს აქტიურად ძებნას, როგორც იქნა, იკოვის ლალას ჟაკეტის ჯიბეში. ამოიღებს და ცხვირთან მიუტანს.)

**ჩიო:** — ეს რა არის?

**ლალა:** — აბა?

**ჩიო:** — ეეე, ეს ხომ ჩემი შვილის მოგიღურია?! კი, ნამდვილად, შენ საიდან გაძვს?

**ლალა:** — არა.

**ჩიო:** — რა არა, მოიპარე?

**ლალა:** — რატომ, კაცო?

**ჩიო:** — აბა, შემთხვევით აიღე?

**ლალა:** — კი, არა.

**ჩიო:** — კარგი, კარგი, ეხლა ამას უხსენი, ეს გვინდოდა?

**ლალა:** — რა?

**ჩიო:** — იფიქრებენ, რომ გავძურდეთ და ისე გამოვიქცებით, ეჰ (ტელეფონს ატრიალებს ხელში).

**ლალა:** — რა არის?

**ჩიო:** — ტელეფონი! ტელეფონი! ჩემი შვილის. ეტყობა, აივანზე რომ გაგიშვი, იმ იდო მაგიდაზე.

**ლალა:** — იდო, ჰა-ჰა-ჰა.

**ჩიო:** — კიდევ რა წამოიღე?

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — მაჩვენე, მაჩვენე (ჯიბეებს ამოუტრიალებს). ვაიმი?!.. საათი, სარეცხი „შვილკები“, ეს რაღად გინდოდა? („შვილკებს“ ტანსაცმელზე მიუმაგრებს.)

**ლალა:** — მათე? ჰმ! არაფერი, просто красиво.

**ჩიო:** — იცი დარაკვა?

**ლალა:** — კი.

**ჩიო:** — აბა მიდი, დარაკე! (მიანვდის მოგიღურს. ლალა უაზროდ აჭერს ხელს ღილაკებს. ჩიო გამომართმევს და ყურთან მიიტანს.) — გასულია მომსახურეობის ზონიდან.

**ლალა:** — ვინა?

**ჩიო:** — ვისაც შენ დაურაკე.

**ლალა:** — კარგია!

**ჩიო** (იწყებს ღილაკებზე ხელის დაჭრას და ლალას ანიშნებს): — ჩუუ!

**ლალა:** — რა არის?

**ჩიო:** — მგონი, ჩემი გოგო იყო, კი, სახლში დავრაკე, აი, ამას დავაჭირე.



**ლალა:** — მერე, მერე?

**ჩიო:** — ალო, ალო, ალო, გისმენთ და ტუ, ტუ, ტუ... მოიცა, მოიცა, კიდევ უნდა დავრეკო (ისევ დააჭირს ღილაკს). ჩუ! (ბასუსულია კარგა ხანს და იწყებს ხითხითს) ეხლა მე ვიცი, მაგათ რასაც ვუზამ, დამაცადონ!

**ლალა:** — აბა, მერე?

**ჩიო:** — ვითომ... მე ვარ ჩემი დაქალი, ხმას შევიცვლი და ვეჭყვი: თუ შეიძლება ჩიოს სთხოვით? ხო კარგია?

**ლალა:** — ხო, კარგია.

**ჩიო:** — უჰ! ხედავ, სამსახურშიც ალარ წასულა. რას ნავიდოდა, შენი ბიჭი შეიძლება საერთოდ გულწასული გდია ძირს. კი, კი...

**ლალა:** — კი.

**ჩიო:** — ეხლა სუ, ხმა არ ამიოლო (რეკავს). ლალას მოხსენის „შვილკას“ და ცხვირზე მიიმაგრებს: გამარჯობათ, მე ელისო ვარ, ჩიორას მეგობარი, კლასელი. თუ შეიძლება, სთხოვით ჩიორას? რაა?.. სძინავს? კარგად ბრძანდებოდეთ ... .. .

**ლალა:** — რა არის, ეი, გოგო, რა არის, მითხარი.

**ჩიო:** — არც გაუგიათ. სძინავსო.

**ლალა:** — Ну спит человек?!

**ჩიო:** — არც შეუხედავთ ოთახში.

**ლალა:** — ოთახში, ოთახში, თორტი, ჩაი, ნავიდით.

**ჩიო:** — არსადაც არ ნავალთ!

**ლალა:** — რატომ?

**ჩიო:** — აი, ეგრე! აქ დავიძინებ აქ გავიღვიძებ, და აი, აქ უნდა მოკვდი!

**ლალა:** — კარგი რაა... ნამცხვარი... იცი რა?!..

**ჩიო:** — არა! ნამცხვარს ხელსაც არ ახლება. ერთი დღე ვერ შეამჩნევინ, მეორე, მესამე, გოლოს აყროლდება და სუნი მაინც ხო შეაწუხებთ?.. ბაინი, მე არსად არ მოვდივარ, აქ უნდა დავიძინო!

**ლალა:** — გიჟო!

**ჩიო:** — ვინ არის გიჟი?

**ლალა:** — წამიყვანე, გიჟო, რა გინდა?

**ჩიო:** — მიბრძანდი!.. მე არ გიჭერ! აი, ეს ნახევარი ჩემი ტირიტორიაა, ჩანთა გააყოფი იყოს!

**ლალა:** — გეხვეწები (ხმაში ტირილი შეეპარება).

**ჩიო:** — არაფერი არ გაგიკვა, ფრუტ-ფრუტ! შენ არ იყავი? ფრუტ-ფრუტ!

**ლალა:** — Дурак! აბა ჩქარა ეხლა... ამას უყურე ერთი!

**ჩიო:** — მიყურე!

**ლალა:** — აქ არ მინდა, ცივა...

**ჩიო:** — არაფერიც არა ცივა, ეხლა წამოვწვები და კარგ ძილსაც გამოვაცხობ.

**ლალა:** — ააა? გაგიჟდა.

**ჩიო:** — დიახაც, გავვიჟდი (ჩიო მკვეთრ მოძრაობას გააკეთებს და სკამიდან გადავარდება, ალარ დგება, არც ინძრება).

**ლალა:** — ვაი, რა არის? ვაი, დედიკო... ნნუ, ნნუ, ცუდად... ეს როგორ შეიძლება, აბა ხელი, მოდი, დედიკო, ნნუ, ნნუ!..

**ჩიო (კვნის):** — აა... აა... (ლალა რის ვაი-ვაგლახით წამოაყენებს ჩიოს და სკამზე დასვამს, მტვერს ჩაუბერტყავს.)

**ლალა:** — გეტყინა, დედიკო? (ეფერება, კოცნის.)

**ჩიო:** — აი, მტკივა აქ (ფეხზე მოიკიდებს ხელს.)

**ლალა:** — აბა, აბა, სად? ოი-ოი-ოი.

**ჩიო:** — ნელა, ნელა, მტკივა.

**ლალა:** — საწყალი... წამოდი, წამოდი სახლში... დაინკენე (ეფერება). რატომ?!.. რატომ?! ეჰ... მოდი, დედიკო, წამიყვანო.

**ჩიო:** — შენ რომ გზა არ იცი?

**ლალა:** — არ ვიცი.

**ჩიო:** — აბა, როგორ წამიყვან... არც წამოვალ.

**ლალა:** — დედიკო, არ შეიძლება, ეს ცუდია, ეძიე აუცილებლად... კალიან ცუდია.

**ჩიო:** — არა! რეებს ზოდავ?... მთელი ღამის გარჯა ტყუილად გინდა წყალში ჩაყაროთ?

**ლალა:** — მეძინება.

**ჩიო:** — რიბრიგოპით დავიძინოთ.

**ლალა:** — არა, სახლში მეძინება.

**ჩიო:** — სახლში? ჰმ!.. შენც კალნან გელოდება სახლში ვინმე.. ვაიმა?!.. (გაშტერდება.)

**ლალა:** — რა არის?... რა არის?..

**ჩიო:** — ვაიმა!.. ამ დროს რატომ იყვანე სახლში, თუ არ გაუბიათ ჩვენი ბავარება... ა? რატომ იყვანე?... ამ დროს სამსახურში არიან (წამოღება).

**ლალა:** — რა იყო? რა იყო, მითხარი, რა?..

**ჩიო:** — თორმეტ საათზე სახლში რა უნდოდათ? ა? გამოვიჭირა თუ არა?... თავს იკატუნებენ... რატომ არ მითხრეს არაფერი?

**ლალა:** — ყველაფერი კარგად... აი, ნახავ, ყველაფერი, წავიღეთ დედოქო...

**ჩიო:** — ვაიმა, დავიღუპე!

**ლალა:** — Боже мой!

**ჩიო:** — ოთხშაბათი... ხუთშაბათი... თორმეტი — პარასკევი... დავიღუპე! შაბათი ყოფილა... მოიცა (კიდევ ერთხელ გადაითვლის თითებზე) კი, წამდვილად შაბათია. ჩქარა! ჩქარა!

**ლალა:** — რა უნდა ამას?!

**ჩიო:** — შაბათია, გაიბე, შაბათი, დღეს გიბიზს მოიყვანენ, ჩქარა წავედით.

**ლალა:** — სად?

**ჩიო:** — სახლში. ის ეგრევე ჩემს ოთახში გამოიძევა და დაიყვირებს: — „ჩიო, მომეცი ჩემი მოტოციცკლეთი“! მე ვეტყვი, რომ ზოროტმა ჯადოქარმა წაიყვანა, მერე მივცემა პისტოლეთს, მე ხმალს ავიღებ და...

**ლალა:** — რატომ? რატომ? ცუდია.

**ჩიო:** — გინდა, შენ ზოროტი ჯადოქარი იყავი, გინდა?

**ლალა:** — Нет, я спящая красавица!

**ჩიო:** — მერე მოვკლავთ ზოროტ ჯადოქარს და მოტოციცკლეთსაც დავიბრუნებთ.

**ლალა:** — როგორ? მართლა?

**ჩიო:** — წამოდი, წამოდი და ყველაფერს ნახავ. ჩქარა, ჩქარა, თორემ გიბიზს შეიძლება უკვე მოვიდა!.. ვაი! (ფეხზე დაიღებს ხმალს.)

**ლალა:** — კარგი, კარგი, მოდი, დედოქო (ლალა მხარს შეაშველებს, ჩიოც დაეყრდნობა და წალასლასდებიან).

**ჩიო:** — სარკე ჩაღე?

**ლალა:** — აბა?! კი!

**ჩიო:** — თუ დღეს არ მოიყვანეს გიბიზს, ხვალ აუცილებლად მოვა.

**ლალა:** — ვინა, ვინა?

**ჩიო:** — ჩემი შვილის-შვილის-შვილი, მგონი, შენიც არის.

**ლალა:** — კარგია.

**ჩიო:** — იცი, როგორ ვერთობით?! ნუ გეშინია... ხმალს ისე, ოდნავ დაგაღებ, ვითომ გაბა იაბა იქნები.

**ლალა:** — Нет, я спящая красавица!

**ჩიო:** — ეს ორი დღე დავრჩით და მერე უფრო მომზადებულად წავიღეთ, ხო კაი იყო? უჰ, უჰ (ფეხზე).

**ლალა:** — კი, დედოქო... ნელა.

**ჩიო:** — დედაჩემი სულ მეუბნებოდა, ფრთხილად იყავი, ფეხი არ მოიტიხმო (ასკინკილით მიჰყვება ლალას), ფეხი არ მოიტიხმო...

**ლალა:** — გტკივა?

**ჩიო:** — ეხლაც გადავრჩი, აი, ეხლაც როგორ გადავრჩი?!..

**ლალა:** — კარგია, ჩიტო-ჩიო.

**ჩიო:** — ხომ მითხარი, ან ჩიო დამიძახე, ან ჩიორა. დედაჩემი, იცი, როგორ მეძახდა?

**ლალა:** — აბა?

**ჩიო:** — ჩიტო-ჩიო-რა!.. ჩიტო-ჩიორაა!..

(სიღრმეში გაუჩინარდებიან)

# შეხვედრის აღბილი

(პიესა ერთ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:

- მათხოვარი** — 50 წელს გადაცილებული
- ჯუანხერი** — 70 წლამდე
- ნიკა** — 25 წლის
- ბურაში** — ნიკას მამა და ჯუანხერის მეგობარი
- თემო** — 37 წლის
- ანა** — ახალგაზრდა გოგონა
- გია, ბესო** — თემოს ძმაცაცები
- აპოსტოლი** — ხანში შესული მუსიკოსი
- კახა, გიგი, ტათო** — ახალგაზრდა ბიჭები, ნიკას მეგობრები
- სალომე** — ტათოს და
- ნათია** — გიგის ცოლი
- დათუნა** — გიგის ვაჟი, 6-7 წლის
- აკა** — ნათიას და გიგის მეზობელი გოგონა

ცარიელ სცენაზე გამოდის შუახანსგადაცილებული, წელში ოდნავ მოხრილი, ჩამოქონძილი კაცი. მხარზე მსხვილი დახვეული თოკი აქვს გადაკიდებული. დიდხანს ათვალიერებს დარბაზს. ხან ნაღვლიანი სახე აქვს, ხან ილიმება, გიჟივით ყოველ წამს ეცვლება გამომეტყველება. გაუგებრად რაღაცას ღიღინებს.

**მათხოვარი:** — დახურეთ, რა, კარი!.. უკვე დროა, რომ დავიწყოთ. ჩააქრეთ დარბაზი სინათლე. მე მომანათეთ ვისტოლეთი. კარგად ვჩანვარ? მოხილურების გამორთვა არ დაგავიწყდეთ... ჰო (ჯიბიდან დაკეცილ აფიშას ამოიღებს, აფიშაზე პიესის სათაური წერია — „შეხვედრის აღბილი“). თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ დღეს ამ სასიყვარულო ისტორია უნდა წარმოგიდგინოთ — „შეხვედრის აღბილი“ (მიუთითებს აფიშაზე). ასე გეგონათ?! ნუ... ცდებით, არც ვიცო, აქედან რამე გამოვა თუ არა, ცარიელია ყველაფერი, არც დაკორაცია, არც კოსტიუმები. მეც არ ვიცო, რას მივად-მოვადები. არა, არა, ერთი წუთით! განწყობას წინასწარ ნუ გაიფუჭებთ, ახლა არც ეგება საქმე, ამ სიყვარულიც იქნება და გვერი სხვა რამეც... მთავარია, მე და თქვენ არ დავკარგოთ კონტაქტი და როგორც ბოლომდე გავუძლოთ ერთმანეთს. ისე, მეც მიყვარს სასიყვარულო ისტორიები, განსაკუთრებით, თუ კარგად მთავრდება, და საერთოდ, ჩემი ოცნება იყო, ისეთი სასიყვარულო ამბავი მენახა, სადაც ორ ადამიანს, ძალიან კარგ წყვილს ეყვარებოდა ერთმანეთი. არავინ მესამე არ არის, არც აქედან, არც იქიდან, არავინ არ კვდება, ყველას უნარია, რომ ძალიან კარგ გოგოს და ძალიან კარგ ბიჭს უყვართ ერთმანეთი, იმის მშობლებსაც, ამის მშობლებსაც, იმის მეგობრებსაც, ამის მეგობრებსაც, ყველაფერი კარგად არის, არის მზე, ზღვა, სითბო და გვერი სიყვარული. ხომ კარგია?! არსად არ არის შიმშილი, სიცხე, ომი.

ოჰი, ოჰი. თქვენ ხომ უკვე ყველას ნანახი გაქვთ ერთი ომი?! ზოგს ორი... მეტიც... ხომ არ ჰგავს ეს არაფერს, არც მონაყოლს, არც ნაქითხულს, არც ფილმებში ნანახს, არც წარმოდგენილს. სულ სხვანაირია, არა?! (ამ ლაპარაკის დროს სცენაზე აქედან ორ ბოძს, რომელზეც მთელ სიბრძეზე ჭივავს თოქს და დაღლილი ჩამოეკიდება.)

რატაც ძალიან გვერს ვლავებო, არა? აზრები მიხტის აქეთ-იქით, აქეთ-იქით, სჯობს, ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. „შეხვედრის აღბილი!“ — ასე ეწოდება ამ აღბილს. ეს სასაფლაოა. არ შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ?.. მეჩე რა, რომ არაფერი არ არის. თუ დაგამძიმეთ რომელიმე და

ასეთ განწყობაზე არა ხართ, აი... ხუთ წუთს გაძლევთ, შეგიძლიათ დატოვოთ დარბაზი, ხუთს არა, ხუთი ქალიან გვერია, სამს! (ზურგით ტრიალდება მაყურებლისკენ და საათიან ხელს მაღლა ასწევს, ისმის საათის ხმამაღალი ნიკნიკი და გამაყრუებელი მონოტონური ნაბიჯების ხმა.)

**მათხოვარი:** — სამი!.. ორ-ნახევარი... (სცენის სიღრმიდან, თოკის მარცხენა მხარეს შემოდინა ულაგაზისი თეთრკაპრანგინი ბიჭები.)

**მათხოვარი:** — ორი!.. ერთ-ნახევარი... (წინა ოთხეულს შავი მაგიდა მოაქვს კუბოსავით, რამდენიმე — სკამები, ზოგს — რკინის ჯვარი. სულისშემხუთავი პროცესია, ხმაური, მუსიკა, საათის ნიკნიკი და მათხოვრის სასოწარკვეთილი ხმა.)

**მათხოვარი:** — მორჩა! დრო ამოიწურა (ტრიალდება, იცინის). გმონი, არავინ წასულა, რა ვქნა?! მე გაგაფრთხილეთ, ჩემთვის მთავარი იყო, რომ ერთი კაცი მაინც დარჩენილიყო დარბაზში. მე ხომ ამ ამგის მოყვლას ერთი კაცისათვის ვაპირებდი. და ის ერთი ახლა ყოველი თქვენგანია. „შეხვედრის ადგილი“, ასე ეწოდება ამ ადგილს. თოკის აქეთ მხარეს ჩვენ ვართ — ცოცხლები! (დარბაზს) თოკის იქითა მხარეს კი ჩვენა ვართ (გაქრება თოკის ქვემოდან), ჩვენ... გარდაცვლილები. მე ვინ ვარ?! მე იქითაც ვარ და აქეთაც. ჩემნაირები არც ისე გვერია ამქვეყნად, რომ სულ მათზე იფიქროთ და არც ცოტა, რომ საერთოდ დაგავიწყდეთ, მე აღარავინ მყავს, არც გმობლები, არც და-ძმები, არც შვილები, არც მეუღლე, არც მეგობრები. არც მეზობლები. მეზობლები საიდან მეყოლება, როცა სახლ-კარი არ გამაჩნია... არც არავინ მიცნობს. ვინც მიცნობდა, ვეღარც ისინი მცნობენ, ვეღარც მე ვცნობ მათ. მართალი გითხრათ, დიდად არც მაღარდებს. ხანდახან ვიღაცის მზერაში თუ დავიჭირ შეჩერებულ ფიქრს, — „ეს სადღაც მინახავსო“. სულ ეგ არის და ეგ. არც ამათიანი ვარ და არც თქვენიანი. ამ რომ მოგაკლდეთ, ვერც თქვენ შეამჩნევთ და იქ რომ დავემატო, ვერც ისინი. მე თავისუფალი ადამიანი ვარ, დროში და სივრცეში (წინ ნამოვა და აპანსცენაზე ჩატუცქდება).

**მათხოვარი (მაყურებელს):** — ერთი ეგ ჩანთა მომანოდეთ, რა. (მიანვლიან) ო, დიდი მაღლოვა. რამსიგძიება (მიღის თოკთან). ბიჭებო! ეა!! აჰა, გამომართვით (ერთ-ერთი სიზნელიდან გამოვა და ჩანთას ხელს დაავლებს). მოიცა?!.. (ჩანთიდან ზოთლით არაყს, რომდენიმე ნაჭერ კურს და ყველს ამოიღებს), ჭიქაც იქნება... (ჭიქაც ამოაქვს) კარგი, წაიღე.

**ბიჭი:** — აიღე კიდეც რამე, არ გინდა?!

**მათხოვარი:** — იყოს, ამ არა ხართ? (ბიჭი სიზნელში უჩინარდება.) რა ხდება, რა დღეა დღეს?

**თეიმო:** — დღეა?! დღეს ჩემი დაბადების დღეა.

**მათხოვარი:** — რომელი ხარ შენ?

**თეიმო:** — თეიმო ვარ.

**მათხოვარი:** — ვაა, გილოცავ, რამდენის გახდი?

**თეიმო:** — ოცდაჩვიდმეტი... მოდი, დაგვეწვია.

**მათხოვარი:** — თქვენ დაიწყეთ და შემოგიერთდებით (თეიმო გადის). ჯერ აღრეა, შეიძლება კიდეც ამოვიღეს ვინმე (ფულს გადაითვლის). სამი ლარი მაკლია და ის გათინკები უნდა ვიყიდო, თორემ ფეხი რომ მისველდება, ვერ ვიტან. ყველაფერს ვიტან, ოღონდ ფეხი ნუ დამისველდება, თან ცალი. სხვათა შორის, ქალიან კარგებია, აი, ესეთ სქელ ძირზე, შემოკერილი, შიგნიდან დათბილული, ზაფხულში, თუ გინდა, იმას ამოაცლი... (ფულს შეინახავს და სიგარეტს გააბოლებს), მაგის დედა მ...ნ (კბილებში გამოსცრის და შარვლის ტოტს ჩამოიზარტყავს).

...ფეხი ნამკრა, ამ ნუ ზიხარო! ქვემოთ ვიჯექი, თონესთან, გაათ რიეო, მერამდენად უნდა გითხრაო... მაგის... ვითომ ჩემზე ნაკლები მათხოვარი იყო. რა მნიშვნელოვა აქვს, სად გაქვს ხელი განვდილი, ქუჩაში, სახლში, ხიდის ქვეშ თუ სვატეპიან დარბაზში. არც იმას აქვს მნიშვნელოვა, ხელს გაინვდი თუ არა... არა?! რა განსხვავებაა ჩემსა და თქვენს შორის, რა, ცუდად გაცვია?! თუ ცუდ ადგილას დავმალავით ერთმანეთს... ის კი არა, ის კი არა... ეკლესიაშიც ნახევარზე მეტი მათხოვარი დადის, იმათზე კი არ ვამბოვ, ჩემნაირებზე! არა! იცი, ვისზე? ეკლესიას რომ მოუახლოვდებიან, საფულეს რომ გახსნიან, იქვე სუპერმარკეტში ვატარა კუპირებად გადაახურდავებენ და ყველას მოწყალე სახით ჩამოგვირიგებენ, ვითომ ასე უფრო მეტ სიკეთეს აკეთებენ. ერთს მიეცი რა, თუ სიკეთე გინდა! მერე შევლენ ტაქარში, სანთლებს იყიდნიან, დაანთებენ და იმდენ რამეს ითხოვენ, თითქოს ერთი სანთლის დაანთებაში ჰუმანიტარულ დახმარებებს იძლეოდნენ, თეიმო, რა საშინელებაა! (გადააფურთხებს. სასაფლაოს მხარეს განათდება და გამოჩნდებიან სუფრასთან მსხლომი ბიჭები.)

**ბიჭები:** — ვაა! (ოვაციით შეხვდებიან სინათლის მოსვლას და ჩვეულებრივი ქეიფის ხმები გაისმა.)

**მათხოვარი:** — ვა, თეიმო! ვიღაცას გაახსენდი, ეხლა მეც შეამოგიერთებო, სიზნელს ვერ ვიტან (ახალგაზრდა გოგონა დაჩოქილი ლოცულოვს სანთელთან სახით სცენისაკენ. როცა გოგონა აანთებს სანთელს, ბიჭებთანაც მოდის სინათლე).

**თეიმო:** — რომელი ხარ? ვერ გიცანი?

**ანა:** — ანა ვარ. (მხოლოდ გარდაცვლილები ხედავენ ცოცხლებს და ესმით მათი ლაპარაკი.)

**თეიმო:** — ანა?! ვერ ვიხსენებ, ეტყობა, თავში ისე აშავდა ყველაფერი... დიდი მადლოვა, ანა.

**ანა:** — გაახსენებ... ერთი წლის წინ, ბაღს მოკლეზე გადავჭრი-მეთქი. უცებ დამიღამდა. ორი ლენი რაკი ამეჭოროვალა. ერთმა ხელემა გადამიტრიალა, მეორე ყურთან რაღაცას გაურკვეველად მეუბნებოდა, მეშუქრებოდა. ფეხებში ძალა წამერტვა, დაყვირება მიწოდდა და ხმას ვერ ვიღებდი.

**თეიმო:** — ცოტა მოკლედ მოყვები, რა, ბიჭები მელოდებიან.

**ანა:** — როცა გამოვერკვიე, შენი ცისფერი თვალები დავინახე, ისინი ძირს ეყარნენ და ტკივილისგან იკლავებოდა...

**თეიმო:** — მერა?

**ანა:** — მერა, ტაქსში ჩამსვი და სახლში გამიშვი.

**თეიმო:** — გამახსენდა. იმ დღეს კაზინოში გლომად ფული წავაგე, გარეთ გამოვედი და იქიდან დაბინახე, გამახსენდა. მაგრამ შენ არ მახსოვხარ, ის დამე ბაღში სკამზე გავატარე, მეორე დილას იმ ორმა ნაბიჭვარმა მიძინარეს მცემა.

**ანა:** — ვიცი, ეგეც გავიგე.

**თეიმო:** — მართლა?

**ანა:** — მერა იმ ხშირად დავდიოდი, რომ მადლოვა მეთქვა. ერთხელ პატარა ბიჭთან ერთად დაბინახე.

**თეიმო:** — ჰო, ჩემი ბიჭია.

**ანა:** — მერა სახელიც გავიგე შენი და დაბიძახე, მაგრამ ვერ გაიგონე.

**თეიმო:** — რა ვიცი...

**ანა:** — შენი ამბავიც შემთხვევით გავიგე... თავი ჩამოიხრჩო...

**თეიმო:** — რა ვქნა, რომ არ მახსოვხარ...

**ანა:** — მე მამახსოვრები სულ.

**თეიმო:** — კაი ახლა, რა ვქენი ასეთი. რამდენი წლისა ხარ?

**ანა:** — ოცდაერთის.

**თეიმო:** — გმადლოვებ, ანა... (მიღის. სუფრასთან სხედან ნიკა, ტატო, კახა, გიგი, აბესალომი. ჩვე-ულეზრივი ქეიფია. აბესალომს გიტარა უჭირავს, რაღაცას უკრავს. თოქს აქეთა მხრიდან ერთმა-ნეთმა გადაკიდებული ორი მთვრალი ბიჭი უახლოვდება. ერთს გიტარა უჭირავს.)

**გია:** — თეიმო, თეიმო, ბიჭო! მოვედით, მე ვარ და გესიკა.

**თეიმო:** — ვაა, ვაა, ჩემი ლოთი ქააკაცებიც მოსულან.

**გია:** — დღეს ხომ შენი დაგადების დღეა, გუშინ დამიდან დავინწყეთ, პირველები ამოვედით.

**თეიმო:** — პირველები ჩემი და და დედა ამოვიდნენ, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს?!

**გია:** — თეიმო, გაბიბარჯოს, ბიჭო (თეიმოს ჭიქა უჭირავს, გია ბოთლით მიუჭახუნებს ჭიქაზე). ხომ მაგრამთა ხარ?!

**თეიმო:** — თქვენი ჭირიმა.

**გია:** — ახლა შენი საყვარელი სიმღერა უნდა გიმღერო.

**თეიმო:** — ვაა, ვაა, ჯიბრები ხართ, მე აქაც ჩემი კამანდა მყავს ლოთების, აბა, როგორ გგონიათ. აბესალომ, მოდი აქ (აბესალომი წინ გამოდის გიტარით ხელში). მაგარი ტიპია, არ გახსოვთ, რადაქცინის ქვემოთ გადასასვლელში იჯდა ხოლმე ბაბოჩკით, მანამდე ფილარმონიაში უკრავდა, აბესალომ, უთხარი რა... გესო, მოუსმინე! აბესალომ, რა არ მოგ წონდა?

**აბესალომი:** — მზის სისტემა!

**თეიმო (იცინის):** — გაიბათ... თურმე, მზის სისტემა არ მოსწონდა, დაბიძახებდნენ გიჟს, აბა რა იქნებოდა. რატომ არ მოგწონდა?

**აბესალომი:** — შეცდომა თვითონ გალაქტიკაშია.

**განო:** — აუ, გამახსენდა, მაგრამ უკრავდა ბანჯოზე.

**თეიმო:** — ჰო, ეგ არი.

**აბესალომი:** — გალაქტიკაა არასწორად შექმნილი.

**თეიმო:** — კაი, კაი, ყველაფერს ჯობია, შენ დაუპირა (გია უპირავს რაღაც თემას და შემდეგ ამ თემას იმპროვიზაციას უკეთებს აბისალომი. დუბტი უპირავს, შემდეგ იწყებენ სიმღერას. ვითომ საფლავს უყურებენ).

**გია:** — ბიჭო, ეს თემოს გეგია არ არის?

**თეიმო:** — ჰო.

**განსო:** — აუ, რა მაგარი ტიპი იყო, გახსოვს?

**განსო:** — როგორ არ მახსოვს, ნამალს რომ ვახარებინებდით, — ჩქარა, ჩქარა, გამაგრდამო, — ყვირილს რომ დაიწყებდა.

**თეიმო:** — ო, როგორ ეცოდებოდა განსო, ასე ახალგაზრდას კუჭის წყლული რამ გაუჩინამო, ეგონა, კუჭის წყლულის ნამალს ხარშავდა.

მე არაფერ შუაში ვარ, გავშვებოდიან ნემსის ისე მეშინოდა, მაგას როგორ გავიკარებოდი.

**გია:** — ე, შე „სლაპო“ შენა... ესეა აქ რატომ უნდა ვიყოთ.

**თეიმო:** — მაგას რა ჭირს, ხმას რომ არ იღებს?

**გია:** — ამას, ჩემო თეიმო, შენს ძმას, გაქანებული ნევროზი აქვს, ესეც დაგვიანვადმყოფდა. სულ პულსზე აქვს ხელი, აი, ახლაც, ნახე. ჰო, კაი, არაფერი მოგივა, მოგივა და შენთანაც მოვალთ ხოლმე, წინასწარ რას იხეთქავ გულს. აი, თემოსთან ხომ ამოვადით, მერე შენთან ამოვალთ... ერთი მე დავრჩები მარტო... ყველაფრის ანალიზი გაიკეთა, რაც მაგაში ფული გადაყარა, მე ეგრევე დავუსვი დიაგნოზი. არაფერი გჭირს, ძამო, გაქანებული ნევროზი გაქვს-მეთქი. ეგრე არ არის? მოიტა, დამისხი ერთი, ალარ დარჩა? (თეიმო იქიდან ერთ გოთლს გადმოდგამს.) აი, ვიღაც მაღლიანს დარჩენია.

**განსო:** — მოიცა, რა, იცი, რა არის?

**გია:** — აი, ნევროზი... რა უნდა იყოს, საფლავზე დგას (დაყმოსავს). არაყია... ა, ბატონო, პირველი მე დავლევ. აუჰ, სუფთა ჭაჭაა.

**თეიმო:** — აბისალომ, შენ თუ გიფიქრია, ფილოსოფოსი კაცი ხარ, რა არაჩვეულებრივი გამოსავალი იკვთა ამ საუკუნის... ჯანმრთელმა საზოგადოებამ?

**აბისალომი:** — რა ვიცი, აბა, რაზე ამბობ?

**თეიმო:** — ყველაფერს, რასაც დიაგნოზი ვერ დაუსვებს, ნევროზი დაარქვენ. თავი გტკივა — ნევროზი გაქვს, გული განუხებს — ნევროზი გაქვს, კუჭის შეკრულობას უჩივი — ნევროზი გაქვს, შარდს ვერ იკავებ, ძალთან ვერ წვიბი — ნევროზი გაქვს! და თუ ეს არც ერთი არ განუხებს და მარტო იქ, სადღაც, რაღაც გტკივა, მაშინ? მაშინ გიჟი ხარ, ცოფიანი გიჟი, იმიტომ, რომ ტკივილი სახელი უნდა ერქვას. სხეულის კონკრეტული ნაწილის სახელი. სულის ტკივილი არ არსებობს, აბა სად არის სული, აბა, სად არის? (იცინის.)

**გია(განსოს):** — ბიჭო, ეს შედიგანი არ არის? (სხვს საფლავთან) ვა, რატომღაც ებ ძველ სასაფლაოზე მახსოვდა... რა უბედურებაა, ეს რა ხდება, ავანაც თავი მოიკლა, ხო იცი? (თითქმის საფლავებს შორის დადის.)

**თეიმო:** — რა ექნა, მხატვარმა კაცმა ფერები ვეღარ დაინახა და ალარ მოუნდა სიცოცხლე.

**გია:** — თუ ძმა ხარ, რა, მასე ბეთქოვინი ყრუ იყო, მაგრამ... კიდევ რომელი მხატვარი იყო?! მაგას რა გამართლება აქვს, ჩემამდე არ დადის, რას ფიქრობენ იმ წუთას, კარგი არაფერი ალარ ახსენდებათ, არაფერზე წყდებათ გული, ან არაფერი ენატრებათ?

**თეიმო:** — მენატრება!.. (აბისალომი გიტარაზე უპირავს ლირიკულ მელოდიას.) მენატრება... ზამთარი... თოვს... ფანჯრის რაფაზე ვარ შემომჯდარი და გარეთ ვიყურები, სახლში თბილა, გვიანია, მაგრამ მთელი ქალაქი გაჩახჩახებულია. სვლიდან სკოლაში ალარ მივდივარ, ზამთრის არდადეგები მიწყება... სამზარეულოში ჩემი ორივე ბებია დაფუსფუსებს, გოჭინაყისთვის ნიგოზს ჭრიან და თან ერთმანეთს ამბავის მოყოლას არ აცლიან, დედაჩემი წინ და უკან დადის და ათ საქმეს ერთად აკეთებს. დროდადრო კარზე ზარი ირეკება და მაგაჩემს დიდი პარკებით მოაქვს და მოაქვს რაღაც. ჩემი და მოცარტის სონატას უპირავს და თან ხმამაღლა ითვლის... ერთი... ორი... სამი, ერთი, ორი, სამი. ათჯერ უნდა დაუპირას და მერე თავისუფალია, მერე ერთად მოვრთავთ ნაქვისხეს.

პირდაპირ სახლში მესამე სართულზე სამი დღეა, რაც უკვე მორთულია ნაქვისხე. ნაქვისხეც რა ლამაზი აქვს, — ვფიქრობ და ვუყურებ თორმეტი წლის კიკინებიან გოგონას, რომელიც დორ-თქლილ ფანჯარას ხელით წმენდს და ვითომ ჩვენსკენ არ იყურება. ათი! — იქახის ჩემი და, და სონატის გოლო აკორდებს იღებს. ფანჯარას ვშორდები, ჩემამ დამ თუ დამინახა, მიხვდება,

საითაც ვიყურები. ჩამოსვლისას ერთხელ კიდევ ვაპარებ თვალს მესამე სართულისაკენ, ნაძვისხეც რა ლამაზი აქვს?! ალბათ, ყველაზე ლამაზი... ოცი წლის შემდეგ ის პატარა გოგონა ჩემი ცოლი გახდება. ჩემი ბიჭის დედა.

**აბესალომი:** — შენ, ბიჭო, აბსრულებია ოცნება?

**თეიმ:** — კი, იცი, რა ბიჭი მაჩუქა?!

**აბესალომი:** — მერე?

**თეიმ:** — მერე თანდათან ყველაფერი შეიცვალა. მშობლები სხვაგან გადავიდნენ, ჩემი და ბათხოვდა, ბებიები დაიხოცნენ.

**აბესალომი:** — რაღა დროს ბებიებია, თუ ქმა ხარ?

**თეიმ:** — დავრჩით ჩვენ სამნი, მე, ის და ჩვენი ბიჭი. ახლა იმას ვურთავდით ნაძვისხეცს. არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ მართლად ვერაფერს ვუკეთებდი, ყველაფერი აკლდა, სახლიც თანდათან დაკველდა, ყველაფერი დაკველდა, აღარც სითგო იყო ამ სახლში, აღარც სინათლე, დროდადრო ცარიელი მაცივრის გაღების და დაკეტვის ხმა მესმოდა და ის სუნიც სადღაც გაქრა, ყველაზე ახლოებული და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის.

**აბესალომი:** — კანი რა, ძვეყანა გადატრიალდა, რომელ სუნებზე მელაპარაკები, შენ მართლად ბიჭი ხარ, ძამო.

**თეიმ:** — აბესალომ, შენ ხომ ფილოსოფოსი ხარ?! ამას როგორ ვერ ხვდები, რომ ყველაფერს სუნი აქვს, სახლს, დედას, შვილს, საყვარელ ძალს, სამშობლოსაც.

**აბესალომი:** — ყარს ებ შენი სამშობლო (თავს დაადებს ბიჭარას), აი, სუნი ამასა აქვს, თუ აქვს, ნახე, ნამდვილი ცოცხალი ხის სუნი.

**აბესალომი:** — სუნზე გამახსენდა, ერთი მეზობელი მყავდა, ჯუმბერა. ერთხელ მისი ცოლი ჩამოდიხ და მეუბნება — ჯუმბას დაბადების დღეა და ბთხოვა, რომ შენი ბიჭარინად ამოხვიდო. უბიჭაროდ არ მიმიღებს-მეთქი? — ვკითხე. მაგიდაზე ახლოლარინა დადო, — თქვენთან გამომათანაო. ეს ქალი თვითონ სტომატოლოგი იყო. ქალბატონო ცილა-მეთქი, — მე ვუთხარი, მე რომ თქვენ ჩემს დაბადების დღეზე დაგვატოვებთ და ბითხრათ, ამ ვინც სტუმრები არიან ყველას, ყველას კბილები დაუბურდეთ და „დაუბლომათ“-მეთქი. ეეეე?!.. დილიდან ქუჩაში ვზივარ და ვუკრავ, ახლა დასვენება მინდა, თქვენ კიდევ მეუბნებით, რომ მუშაობა გავაგრძელო... კი მაგრამ, ისე ხომ არ მოვსულვარო, ფულზე „დამინამიოკა“, — ებ კანს ცოტაა-მეთქი, მე როცა აღარ მშია, აღარ მცივა და დაღლილი ვარ, ათასი დოლარიც რომ მომცეთ, ძილი ყველაფერს მიჩვენებ-მეთქი... ავალბინე თავისი ახლოლარინა და ბავუშვი. მერე ბუღმა არ მომიტმინა, წვერი გავიპარსე, გამოვიპრანჭე, გაპოჩკაც გავიკეთე და ავედი.

**თეიმ:** — ბიჭარით.

**აბესალომი:** — აბა!.. მაგრამ გაუსწორდა ჯუმბერას, დილაგდე ვმდროდნი, მაგარ უდარში მოვედი. რომ მოვდიოდნი, პატარა გოგონით ადეკალონი მაჩუქა. აი, ეს ყველაზე ძვირფასია, რაც დღეს საჩუქრად მივიღე. მაგარი სუნი ჰქონდა მართლაც, იმის სუნს ათასში გამოვარჩევ, ისე მეზიზღება.

**თეიმ:** — მეზიზღება? რატომ?

**აბესალომი:** — ერთხელ ვიტრინაში დავინახე, ისეთივე იყიდებოდა. თვალზე არ დავუჯერე, ფასი რომ წავიკითხე, სპეციალურად შევედი შიგნით და ვკითხე, ხომ არ მეუბნება-მეთქი. იცი, რა ღირდა? ორას ორმოცდაათი დოლარი. აზრზე ხარ?! იმის მერე მეზიზღება ძვირფასი სუნები. ყველა ძვირფასი სუნი ასი ჰური მაინც ღირს, გაიხადეთ გვერდით, თქვენი დედაები... სად არის თქვენი კეთილშოგილება?!

**თეიმ:** — ეე, შენ ახლა სულ სხვა მხარეს გაუბერე. ებ რა შუაშია?

\*\*\*

**კახა:** — შეცდომა დაუშვი, ჯუანშერისთვის არ უნდა გეთქვა.

**ნიკა:** — რასაც ვფიქრობდი, ის ვუთხარი, აბა, ჩუმად ხომ არ წამოვიდოდი?!

**კახა:** — ე რას მიხსნი? ახლა ვხვდები, რომ ყველაფერი აქედან იწყება.

**ნიკა:** — მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ამ საქმეში ჯუანშერის ხელი ურევია.

**კახა:** — მოგიწევს დაჯერება, დღეს თუ სხვალ მაინც ყველაფერი გაიკვებება.

**თეიმ:** — ო, ესენი ხომ ვეღარ მოჩვენ. იმ საქმეებს არჩევდნენ, ამ საქმეებს არჩვენ, ჩამოახსით, ა, ამ მაინც დაისვენეთ.

**ნიკა:** — ეგ ღროც მოვა.

**თემო:** — „ეგ ღროც მოვა“... „ეგ ღროც მოვა“... გახსოვს, რომ აგზობდი, ჩვენი ღროც დადგებოდა?

**ნიკა:** — გახსოვს.

**თემო:** — იმ არ დადგა, ძამო, „შენი ღროც“, აქ მაგას უკვე მინიშნებლობა ალბათ აქვს, გაიგებთ?!

**ნიკა:** — აქვს! ჩემი სიკვდილი ასე გუბუნით მოცული არ უნდა დარჩეს.

**თემო:** — ცოტა მოითმინე, სულ ცოტა. აქ ყველანაირი საქმე იხსნება, ცუდიც და კარგიც. ასეთი რა უთხარი გატონ ჯუანხერეს, რომ ყველა შენ გადანაშაულა?

**ნიკა:** — მივდივარ-მეთქი, აქ ჩემი აღბილი არ ყოფილა, შევცდი-მეთქი!

**თემო (კახას):** — ესე იგი, „ორბაზის“ საქმოდან წამოსვლა გინდოდა? სულ ეგ არის?

**კახა:** — ეგ იყო მთავარი. ნიკა რომ წამოვიდოდა, მეც თან გავყვებოდი, ჩვენ დანარჩენები გამომგვყვებოდნენ და ჯუანხერეს ციხესიმაგრე ხუხულასავით დაენებრეოდა.

**თემო:** — რა გიპასუხა?

**ნიკა:** — მოსვლაც შენი ნება იყო და წასვლაც შენი ნებაა, ოღონდ, ცოტა მაცალეო.

**თემო:** — ცოტა რამდენი იყო?

**ნიკა:** — ერთი კვირა. ერთ კვირაში ორივენი აქ ვიყავით, ჯერ მე და მერე ესეც მომაცალეს.

**თემო:** — შენ როგორ დაგასწრეს გასროლა, ეგ მიკვირს.

**ნიკა:** — ჩიხში მომიმწყვდიეს, კინარი მქონდა გაშეშებული, თავს ვერ ვაბრუნებდი. სანამ მანქანა გავეჩერე, ექვსი ტყვია უკვე დახლილი მქონდა.

**თემო:** — მარტო იყავი?

**კახა:** — იმ ახვრებამ როგორ მიგატოვეს?! თან საჭესთან. რომ გაკითხა?..

**ნიკა:** — რამდენჯერ უნდა გითხრა, არ მივუტოვებივარ. როცა მივხვდი, თავს ვეღარ დავალწევი, ორივე თვითონ ჩავყარე მანქანიდან.

**თემო:** — და ისინიც ჩახტნენ? ჰე!

**ნიკა:** — ჩავყარე! აბა, ისინიც დახოცილიყვნენ?

**თემო:** — ხო, კარგი, კარგი, ამას ბავშვიც კი მიხვდება: შენ, ჯოჯო, „ორბაზ“ მომკვდარიყავი, ვიღრა „ორბაზზე“ განაწყენებულს გეცოცხლა. ამას რას ერჩოდნენ?

**კახა:** — როგორ, ნიკა რომ ჩემზე აღრე მოექლათ, მე ხომ ცოცხალს არც ერთს არ დავტოვებდი, თანაც, ჯუანხერეს „პატრიოტიზმი“ და „ვაჟაკობა“ კანი ხნის გაშიფრული მქონდა.

**თემო:** — ესე იგი რა, ისიც ტყუილია, რომ განდითხების ოპერაციის ღროც?..

**კახა:** — ტყუილია, ჩემო კარგო, განდითხები როგორ ჩახოცეს, ამას ჩემი თვალთ ვუყურე. მკვდრები ვერ ისვრიან. ზურგზე ხელის დარტყმა ვიბრძენი და უკან მივიხედე, მერე აღარ მახსოვს.

**ნიკა:** — ეე, არ ვიცი, არ ვიცი...

**თემო:** — ვიღაცამ გაგყიდათ.

**ნიკა:** — ჩვენები მაგას არ იზამდნენ, ტყუილია.

**თემო:** — ეჰ, ჯერ სადა ხარ, აქ ისეთ რამეებს გაიგებთ?! (თავზე დაადგებათ ნიკას მამა.)

**ნიკა:** — მამა?!

**მამა:** — ჰო, მე ვარ.

**თემო:** — ვა! მე ესეც თქვენი ძმაცატი მეგონა.

**მამა:** — არა, მამა ვარ, ახლა ჩვენს შორის მხოლოდ სამი წელია სხვაობა.

**თემო:** — რამდენი წლის იყო, როცა დატოვე?

**მამა:** — შვიდის.

**თემო:** — ჩემი ბიჭიც შვიდის ხდება.

**მამა:** — შენც ბიჭი გყავს?

**თემო:** — ჰო, არ გინახავს? მოდის ხოლმე. ერთი ვაჟცატი დავტოვე, სულ ეგ არის ჩემი გაკეთებული საქმე.

**ნიკა:** — აღვილი სათქმელია, დატოვე. მერე, ვის დაუტოვე? ვისი იმედით დატოვე? ა?

**მამა:** — შენ ამას ვერ გაიგებ, შვილო.

**ნიკა:** — რას ვერ გავიგებ? რას ვერ გაუქვლით? თუ აქედან მიხედავთ? ლაჩრებო, მოლაღატებო! იცი, როგორი ოცი წელი ვიცხოვრეთ უშენოდ?

**მამა:** — ვიცი.

**ნიკა:** — ხსენებთაც არ მიხსენებინარ მთელი ცხოვრება.

**მამა:** — ვიცი.



**ნიკა:** — რა უფლება გქონდა, დედაჩემი, ჩემი და, გეზინაჩემი...

**მამა:** — მანათი, მეგონა, გადაბარჩინე. რა შენი საქმე იყო იარაღი. ისეთი კაცის გვერდით იყავი, იარაღის აღება რამ გაფიქრებინა. შენგან ხომ დიდი მწერალი დადგებოდა.

**ნიკა:** — რა დროს მწერლობაა, „მამა“, როცა ძვეყანა ინებრევა.

**მამა:** — „ძვეყანა“, „სამშობლო“... ეს სიტყვები იმისათვის მოიგონეს, რომ ამის უკან ათასობით ადამიანი სისხლმა წაღებოს.

**ნიკა:** — ტყუილია.

**მამა:** — ასეა, დრო გავა და ყველაფერს თავად მიხვდები. მილიონობით გედს სულ სამი-ოთხი კაცი წყვეტს. მერე მათი გადაწყვეტილი საქმეები ორი სიტყვით ინებრება ქალაქში, ზოგში ომი წერია, ზოგში — ზავი და ზოგში — ღალატი.

**ნიკა:** — ეგ ყველაფერი მეც კარგად ვიცი. სხვები არ მინტერესებს, მე ჯუანშერს გავყავი. მე მისი მჯეროდა, შენც ხომ იცნობდი? მეუბნებოდა, მე და მამაშენი მეგობრები ვიყავითო, ატყუებდა?

**მამა:** — არა, არ ატყუებდა, ჯუანშერიც შენსავით მართალი და ვაჟკაცი ბიჭი იყო.

**ნიკა:** — იყო? ახლა?

**მამა:** — ახლა არ ვიცი, მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა.

**თემო:** — ადამიანები არ იცვლებიან თუ იყო, ახლაც იქნება.

**მამა:** — არ იცვლებიან, მაგრამ ხშირად ბევრ რამეს ვერ საზღვრებენ და ტყუვდებიან.

**ნიკა:** — მე თუ მოვტყუვდი, ჩემს უკან მთელი უზნის ბიჭები დგანან, ისინი ხომ მე გამომყვანენ.

**ახესალომი:** — იცი, რა ბიჭები არიან?! სულ ნარჩევ-ნარჩევი, საჯიშე.

**მამა:** — ვიცი, მაგრამ გვიან არის.

**ნიკა:** — რა არის გვიან?

**მამა:** — ჩვენ ველარაფერს ვუშვებით. ცოტა ხანში მგლებივით დაერევიან ერთმანეთს, მერე კი დარჩენილებს სათითაოდ, უკლებლივ ამოხოცავენ.

**ნიკა:** — როგორ, ტატოსაც?

**მამა:** — ტატოსაც.

**ნიკა:** — გაჩუმდი! გეყოფა! რატომ? რა დააშავეს, ვინ დგას ყველაფერ ამის უკან?

**მამა:** — არ ვიცი, ისეთი კაცის მოგონილია ეს მახე, ეშმაკიც ვერ გაართმევს თავს.

**ნიკა:** — ვერ დავიჯერებ, არ მინდა ამის დაჯერება, არ მჯერა შენი.

**მამა:** — მე შენთვის არასდროს მიღალატი.

**ნიკა:** — გაჩუმდი! პირველმა შენ მიღალატი!..

**თემო:** — მაგას ნუ ამბობ, შენ არა გაქვს მაგის უფლება.

**ნიკა:** — რა იყო, გულზე მოგხვდა?! ადვილია, არა? ჩამოიკიდე თოკზე თავი (თემოს), დანიხლა შუბლში ტყვი (მამას), მოიხსენით ყველა პრობლემა, ადრე თუ გვიან შენი შვილიც გეტყვის ამას.

**თემო (ეცემა ყელში):** — მეორედ არ გაგედო მაგის თქმა, ჩემმა შვილმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, გადნიერი უნდა იყოს.

**ნიკა:** — შენ? შენ რა გააკეთე ამისათვის, შე ნაჰირალა. (თემო და ნიკა ერთმანეთისკენ გაინევენ, ბიჭები ჩაერევიან, უცებ სროლის ხმაც გაისმება ამ ჩოჩოლში და ყველა გაჩერდება.)

**მათხოვარი:** — სსუ, მოკლეს! გაიგათ?! ვიღაც მოკლეს...

**მამა:** — ჯუანშერი!

\* \* \*

(ჯუანშერი იცინის, ხარხარებს.)

**მამა:** — გამარჯობა, ჯუანშერი.

**ჯუანშერი:** — გურამ! კი ვიცოდი, რომ ამ ვიღაც დამხვდებოდა, მაგრამ შენ? შენ ყველაზე ნაკლებად გელოდი.

**გურამი:** — სამაგიეროდ, შენ გელოდება ბევრი.

**ჯუანშერი:** — ვიცი, უნდათ, ყველაფერი ჩავეუკაკლო, რომ მერე სათითაოდ მაფურთხონ სახეში, არა?! მოდით, აჰა, ამ ვარ, მაფურთხეთ, რამდენიც გინდათ, მიჩვეული ვარ (იცინის).

**გურამი:** — დანყნარდი.

**ჯუანშერი:** — ჩემი შვილიც ამ ხომ არ არის?

**გურამი:** — არა.

**ჯუანშერი:** — როგორ მოხდა, რომ არ მომეყოლა. თუმცა, მაგას ახლა რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არ

გაახარებენ!

**გურამი:** — ამიხსენი, რა მოხდა?

**ჯუანხერი:** — თავი დამანება, რა.

**გურამი:** — ვერ დამანებებ.

**ჯუანხერი:** — რა უნდა ამიხსნა, ყველაფერი ხომ დღესავით ნათელია. გავპოვდი, ერთი ადგილი მივიცი, მერე ერთხელ გიზამენ თუ ასჯერ, ამას უკვე მნიშვნელოვან არ ჰქმნის (ხითხითებს).

**გურამი:** — იცი, რამდენი არიან?

**ჯუანხერი:** — ვიცი, ვიცი, შენ შეიძლება შეგეშალოს, თორემ მე ყველა შვილივით მიყვარდა. შვიდნი იყვნენ, ერთი გადარჩა მხოლოდ. იცი, ამასწინათ რას ამბობდა ის ერთი? როგორ ტყუილსაც მივდა, ისეთს მოვიგონებ ჩემს ბავშვობაზე, კაციშვილი არ დამრჩა გამომსარჩლებელიო. თან იცინოდა, თან ტიროდა. მეც ვიტირა, მბაბრია?!

**გურამი:** — ვერ გავიგე, რას ამბობ?

**ჯუანხერი:** — რა ვერ გაიგე, შვიდი ძმაკაციდან ყველა გაასაღეს, ერთი დარჩა ცოცხალი.

**გურამი:** — ასე რამ გადაგვარა ჯუანხერი? მე სხვანაირს ვიცნობდი.

**ჯუანხერი:** — სხვანაირს? სხვაში ხომ არ გეშლებით?

**გურამი:** — არ მეხუმრება.

**ჯუანხერი:** — როგორს — სხვანაირს?

**გურამი:** — წესიერს, კარბ მოჯახიშვილს.

**ჯუანხერი:** — კარბ მოჯახიშვილობას რა წამართმევდა.

**გურამი:** — გეყოფა, ჯუანხერი.

**ჯუანხერი:** — რას იტყობ ჩემგან? გინდათ ყველა ცოდვა მე, ამკიდოთ? ეგრა იყოს, სანდნალმდებო არაფერი მაქვს.

**გურამი:** — მე არაფერს არ გკიდებ.

**ჯუანხერი:** — აბა, კარგი მოჯახიშვილები ეგენიც იყვნენ, ჩემზე კარგად აღზრდილებიც, განათლებულები, ნიჭიერები, საჯიშე ბიჭები, არა?!

**გურამი:** — მერე, ამიტომ წამოიკიდე მხარზე?

**ჯუანხერი:** — მე წამოვიკიდე? მე რა შუაში ვარ?! თვითონ დაერივნენ ერთმანეთს.

**გურამი:** — შენ შეუწყე ხელი, რომ ასე მომხდარიყო.

**ჯუანხერი:** — იცი, რა? მაგათი ტოლი რომ ვიყავი, მეც შემიწყეს ხელი, მაგრამ ვერ გამტახეს, არ გავფუჭდი. იქნებ, მე და შენ არ ვიყავით, თავისუფლების იღებზე მოცნებასა და კამათში დაგეგმეს რომ ვათენებდით. „სამშობლოს“ ხსენებაზე კისერზე ქარღვები რომ გვებერებოდა და თვალზე ცრემლი გვადებოდა. იქნებ, ვაჭარებ? იქნებ, არ გახსოვს?!

**გურამი:** — მახსოვს.

**ჯუანხერი:** — ჰოდა, თუ გახსოვს, მაგისტრის ოცი წელი გზის სინათლე არ მიანახავს, ოცი წელი საკუთარ მძღვერში ვინძეძი, ოცი წელი ტანი არ დამიხანია და გარეცხილი პერანგი არ მცვია, ოცი წელი ბაღიშე არ დამიღია თავი, აყროლებულ, შმორიან ლეიგზე ვებდე. ოცი წელი რწყილების ნაკბენებიდან სისხლი და ჩირქი მდიოდა. ოცი წელი ქალთან არ ვმოლივზარ-მეთქი ვერ ვიტიყვი, მაგრამ ისეთ ქალებთან ვინძეძი, სახეში არ ვუყურებდი, რომ ღამე არ მომლანდებოდნენ. დანარჩენიც გაინტერესებს? არ გინდა, თორემ სული შეგეხუთება! რა მივიღე ამის საფასურად? დავპრუნდი და ყველამ ზურგი შემაძვინა. ისინი კარგი, წესიერი კაცები დადგნენ. მე კი, საეჭვო წარსულის მქონდე პიროვნება, სტუმრად რომ მივიღოდი, კარს არ მიღებდნენ. თუ გაგიღებდნენ და იმნამსვე მოგაშორებდნენ თავიანთ შვილებს, კეთროვანივით მოგარიღებდნენ, რომ ჩემგან რამე არ გადასდებოდათ.

**გურამი:** — მერე, ამან გავაბოროტა ასე?

**ჯუანხერი:** — გამაბოროტა? საიდან მოიტანე, რომ გამაბოროტა? შენ არ იცი „ბოროტებს“ ვის ეძახის მთელი ქალაქი? ისე, „ბოროტი“ სალანქლავი სიტყვა ხომ არ გგონია? ა? რას ამბობ, „ბოროტების“ სასტავის ბიჭები ყველაზე პრესტიჟული სასიძოვები არიან.

**გურამი:** — რეებს ბოდავ, ჯუანხერი?

**ჯუანხერი:** — მე ვკოდავ? აგერ, კითხე ამათ. ტარასა ხომ გახსოვს, ჩვენი ძმაკაცი?

**გურამი:** — მახსოვს.

**ჯუანხერი:** — ანგელოზივით გოგო მიათხობა ერთ-ერთ „ბოროტს“. შემხვდა და დიდი სიამაყით მითხრა, მამარი შენსიანი ბიჭია, „ბოროტების“ სასტავიდან არისო. მაშ?!

**გურამი:** — მერა?

**ჯუანხერი:** — რა მერა? „პრესტიჟული სიქა“ საკუთარ ქორწილში ინფარქტით გარდაიცვალა (ხითხითებს).

**გურამი:** — ინფარქტით?

**ჯუანხერი:** — აუ, ახლა ამას უხსენი, რა? გვერი მოუვიდა, გვერი (ვენაში წამლის გაკეთებაზე მიუთითებს).

**გურამი:** — რასაც გაკითხავი, იმაზე მივასუსხე, ჯუანხერ.

**ჯუანხერი:** — დამაცადე, რა, ცოტა აკლიმატიზაცია გავიარო, ვაა. ერთ დღესაც დამიძახეს და მითხრეს: გაეყო, რაც ენაზე და ენვალე, აჰა შენ ფული, გვერი ფული და შენს თავს მიხედო. ეტყობა, ჩემი ისევ შეეხინდათ, ამ ახალ დემოკრატიაში არ ჩაგვიქაქოსო. რატომ გაქვით-მეთქი ამდენ ფულს? გაქვითე და აიღო, რა! მეც ავიღე, მერა რაც მოხდა, დანარჩენი შენც იცი.

**გურამი:** — ფულით მოიხსიდე ყველა?

**ჯუანხერი:** — არა, რატომ? ახლოს აღარავის გავკარებოვარ. ახლა თვითონ გავახსენდი ყველას, შვილებიც თვითონ მომიცუქცუქეს თავისი ხელით, მიხედო, შენზე პატივისცემა, შენზე ვაჟკაცს, შენზე სანდო კაცს სად ვნახავთო. მეც ჟმოტი არასოდეს ვყოფილვარ, ვინც მოვიდა, ყველას იმდენს ვაქლავდი, რამდენსაც მთხოვდნენ. მეც იმდენს გაქლავდნენ, რამდენიც მომინდებოდა.

**გურამი:** — და იარაღიც ასე გულუხვად დაურიგა, არა? ერთმანეთის დასახოცად.

**ჯუანხერი:** — იარაღი მე არც ერთისთვის არ მიმიცინა, ყველა თვითონ შეიძინა. ჯერ თითო-თითო, მერა — ორ-ორი, სამ-სამი, ზოგს უკვე მთელი არსენალი ჰქონდა სახლში. მანქანები, ქალები, კაზინოები. იცი, რას გეტყვი? არც ერთის მამა არ მოსულა ჩემთან და არ უკითხავს, საიდან აქვს ჩემს შვილს ამდენი ფულიო.

**გურამი:** — იქნებ, არ იცოდნენ?

**ჯუანხერი:** — არ იცოდნენ? მთელმა ქალაქმა იცოდა და მაგათ როგორ არ იცოდნენ?

**გურამი:** — მე კი მითხრას, შენი შვილი სხვისი შარვალ-კოსტუმით დაასაფლავესო.

**ჯუანხერი:** — შენთან სხვანაირად იყო საქმე. შენს ბიჭში ჩემს თავს ვხედავდი, ჩემს ახალგაზრდობას. ჩემსავით მართალი იყო, ნიჭიერი და ჭკვიანი. მეძებარი ძალღივით ყნოსვით იბრძნო, რისკენაც მიდიოდა ყველაფერი. მოვიდა და მითხრა: მივლივარო. აი, სად დაუშვა შეცდომა — მივლივარო.

**გურამი:** — წასულიყო მერა, შელეოდი ერთი კაცის წასვლას.

**ჯუანხერი:** — ერთი კი იყო, მაგრამ ერთ-ერთი არასოდეს ყოფილა, რჩეული იყო შენი ბიჭი, გურამ... ამას ყველა ბრძნობდა. მაშინ პირველად დაფიქრდი, რომ იქნებ არ ღირდა ეს ყველაფერი, იქნებ... მაგრამ მე უკვე ველარაფრს შევცვლიდი. გასკდა ეს ამბავი, ეგ რომ წასულიყო, სხვებიც გაჰყვებოდნენ და ქალიან გვერნი, სხვათა შორის. ყველაფერი აირეოდა. ჩაიფუშებოდა მითი ჩვენს „ორბეზზე“.

**გურამი:** — ჩაუშვი?

**ჯუანხერი:** — გასკდა ეს ამბავი, ჩემო გურამ, სხვაგანაც ჰქონია ნათქვამი.

**გურამი:** — სად სხვაგან?

**ჯუანხერი:** — თავის მებობრებთან.

**გურამი:** — გაყიდეს?

**ჯუანხერი:** — რა ბიკვირს?

**გურამი:** — ვინ?

**ჯუანხერი:** — აკი ბითხარი. თავისინაებმა. ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი. ამის მომწყობის დედა მ.....ნ. თუ კაცმა ერთხელ თავის თავზე აიღო, მერა ყველაფერი იმ ერთს მოეკითხება, იმ ერთმა უნდა გაუქლოს ყველაფერს, იმ ერთმა უნდა მოითმინოს, იმან უნდა აპატიოს, ის ერთი უნდა დაინაჯოს ყველას მაგივრად, თვალი არაფერზე უნდა დახუჭოს და ყური არაფერს უნდა წაუყრუოს. იმან უნდა შეამჩნიოს, რომ ბიჭი იარაღით დაღის — სახლში ვერ ხედავენ, იმან უნდა შეამჩნიოს, რომ ჯიბეები ფულით აქვს გამოტანილი, იმან უნდა აღმოაჩინოს, რომ თვალები ამღვრეული აქვს და ვენები დაჩხვლებილი, ყველაფერი მხოლოდ ამ ერთს მოეკითხება. მეტის-მეტი ხომ არ არის?! ა?!

**გურამი:** — არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

**ჯუანხერი:** — მე ვიცი, სამაგიეროდ, ყველაფერი. იცი, რას მივხვდი ამ სიბერეში? შესანიშნავი ანდაზა ყოფილა „ნიახური არა ხარ, რომ მეორედ ამოხვიდო!“ ჰოდა, ერთხელ მეც მიხდა, რომ საკუთარ თავს არაფერზე ვუთხრა უარი. ამის უფლებას ვერავინ წამართმევს, ეს ჩემი გადასაწყვეტია.

გეცოდინება, ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, საჭიროა, გვირი ფული გქონდესო. უფრო ბედნიერი რომ იყო, რა არის საჭირო, გურამ, არც ეს იცი?

**გურამი:** — არ ვიცი.

**ჯუანხერი:** — უფრო მეტი ფული.

**გურამი:** — მერე, იყავი ბედნიერი?

**ჯუანხერი:** — არა.

**გურამი:** — რატომ?

**ჯუანხერი:** — ეს ჩემნაირ კაცზე არ ყოფილა ნათქვამი. ამიტომაც ჩემს თავს მანამდე გამოვუტანე ბანაჩენი, სანამ ისინი გამომიტანდნენ.

**გურამი:** — რა, თავი მოიკალი?

**ჯუანხერი:** — აბა, რა გეგონა?! დედაჩემის სურათი, აი, აქ მივიღე (გულთან აჩვენებს), ოდნავ გამომკარი სასხლეტს და მორჩა.

**გურამი:** — აკი ძალაქბარეთ მანქანაში ჩაცხრილესო.

**ჯუანხერი:** — აქ, ეტყობა, ცუდად მუშაობს თქვენი საინფორმაციო განყოფილება, არა უშავს, მე გამომვსწორებ. გურამ, ბანა ასე ძნელია ცხედრის ძალაქბარეთ გატანა და მერე ექვსი ტყვიის დახლა?! როცა გვირი ფულია, კალიან გვირი ფული, იქ სხვისი სიკვდილის ყიდვაც შეიძლება.

**გურამი:** — ვის სჭირდებაოდა ეს?

**ჯუანხერი:** — ამას, ჩემო კარგო, სანამ თავად იხიცი არ შემოგვიერთდება, „მთავარი“, ვერ გავიგებთ გოლომდე.

**გურამი:** — ვინ არის ის? საიდან მოდის ეს ყველაფერი?

**ჯუანხერი:** — ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იქიდან მოდის, ჩემო გურამ, რაც ევამ კალით შეაჭამა ადამს ვაშლი... აბა?! დამალევიწინეთ რა, რამე, გამიშრა ყელი...

\* \* \*

**მათხოვარი:** — ვიღაც მოდის. ორნი არიან, ქალები, არა, უკან მისამაც მოჰყვებათ, პატარა ბიჭი. ბიბი, შენები არიან, მგონი.

**ბიბი:** — ჰო, არ ველოდებოდი, სოფელში იყვნენ წასული (ბიჭი თოქს მოჰკიდებს ხელს და ისე დადის).

**ცოლი:** — მანდ ნუ დადინხარ, დადიკო, არ შეიძლება.

**ბიბი:** — იაროს (ამბობს და თვითონაც იმ ადგილას ჰკიდებს ხელს თოქს).

**ცოლი:** — გესმის? არ შეიძლება, დათუნა!

**ბიბი:** — შეიძლება (ნიკოლოზიც ახლოს ჩაცუცქდება).

**ნიკა:** — გაზრდილა.

**მათხოვარი:** — იცნობდი?

**ნიკა:** — ჩემი ნათელია. ბიბი ჩაცუცქდება და ლოყას ლოყასთან მიუტანს ნათიას (ცოლს). ნათია იქაურობას ალაგებს.

**ბიბი:** — ნათია... ნათია (ნათია წამით ჩერდება და ისევ აბრძობებს).

**ბიბი:** — რა ტიპები არიან ეს ქალები, ყველგან დალაგებას იწყებენ, ზევით ვერ ავაწვიწინე თავი.

**კახა:** — ლამაზია.

**ბიბი:** — ადრე უფრო ლამაზი იყო, არა, ახლაც კალიან ლამაზია ნათია! ნათია.

**ნათია:** — აქ რომ მოვდივარ, სულ მგონია, რომ მეძახის (ტირის, მებობარი თავზე ხელს გადაუსვამს). დათუნა, ნუ დარბიხარ, დათო!

**კახა:** — ეს ვინ არის?

**ბიბი:** — ჩემი მეზობელია, ერთად გავიზარდეთ (ნათია სიგარეტს ამოიღებს და გააგოლებს).

**ბიბი (ჩაუქრობს):** — ხო იცი, ვერ ვიტან, რომ ეწვი.

**ნათია:** — ჩამიძრა, ასანთიც აღარ მაქვს.

**მეზობელი:** — საცოდავი, რითი მოკვდა.

**ნათია:** — რომელი?

**მეზობელი:** — ნიკას გვერდით რომ ლამაზი ბიჭია.

**ნათია:** — მგონი, ომში (კახას ბიბი წამოარტყამს, კახას გაედღიება მორცხვად. დათუნა ისევ თოქთან დადის. ვინც მოასწრებს, თავზე ხელს უსვამს). — წავედი, ამ ყვავილებს დანარჩენებს დავუწყობ (ნათია ყვავილებს ბიჭებს უწყობს ფეხებთან).

**ბიჭები:** — გააღლობთ, ნათია.

— გააღლობთ.

— დიდი მაღლობა.

**ნათია:** — წავედით (ქალები მიდინან. დათუნა უკან რჩება. ასკინკილით მოჰყვება ქალებს, გიგი თოქს ასწავს და ერთი ნაბიჯით გადმოვა თოქის აქეთ).

**დათუნა:** — დედა, იცი, მე მამიკო დავინახე.

**ნათია:** — შენ შემოგვალოს დედა, კარგი, კარგი, წამოდი.

**დათუნა:** — მართლა დავინახე, გინდა, გითხრა, რა ეცვა.

**ნათია:** — ხო, კარგი, დედიკო.

**მეზობელი:** — ნუ ატარებ ხშირად, ცოფოა.

**ნათია:** — არა, განცდით სულ არ განიცდის, უბრალოდ, მატყუარაა. ტატოს საფლავთანაც მიწოდდა მისვლა, მაგრამ ყვავილები აღარა მაქვს.

**ტატო:** — არ მიწა ყვავილები, ნათია, არ მიწა ყვავილები, მოდი, ცოტა ხნით მოდი, სიგარეტის მოწევა ხომ გინდოდა (დედას ასანთს).

**ნათია:** — ცოტა ხანს მივალ, რაღაც გული არ მითმენს, უი, ასანთი დარჩენი ვიღაცას, მოწევა (მოუკიდებს და ეწევა).

**მეზობელი:** — არ მიყვარს ამ სიარული, გერე მთელი კვირა ცუდად ვარ.

**ნათია:** — ჩემთვის ეს შეხვედრის აღბილია. ჩემი და გიგის შეხვედრის აღბილი.

**გიგი:** — ჩემთვისაც, ნათია.

\* \* \*

ტატო განცალკევებულად დგას. სცენის მარცხენა კუთხეში საოპერაციო მაგიდაზე ვიღაც წევს. ჩანს საოპერაციო ტანსაცმელი ჩაცმული მედიკოსი, რომელიც ხმას არ იღებს. ისმის მხოლოდ იარაღის წკაკი-წკუპი. გულისცემის ხმა... გული ცუდად გუშაობს. დროდადრო ჩერდება. ავადმყოფს ჭანბადას ასუნთქებენ. ვინ არის, არ ჩანს...

სცენის მეორე მხარეს დგას ტატო, რომელიც სულბანაბული, გამხეხული სახით იყურება საოპერაციო მაგიდისკენ. მათხოვარი ტატოსთან მიდის...

**მათხოვარი (ტატოს):** — შენ რაღა დაგეგმართა, ბიჭო, სულ მართო უნდა იყო?

**ტატო:** — ჩემს მდგომარეობაში მყოფს, ძველია, რამის ახსენს ან ვინმეს ნახვის სურვილი ჰქონდა, ისეთი რაღაცეები მესმის საკუთარ თავზე. თავის მართლებას არ ვაპირებ, ამ ბოლო დროს ნაკლებად მაინტერესებს სხვისი აზრი. სხვაზე რა უნდა ვთქვა, როცა ჩემმა დამ, არც კი დაფიქრდა, ისე გამეწირა და გამიმეტა.

**მათხოვარი:** — ვაა, ეგ არ ვიცოდი, მე მეგონა, მე კი არ მეგონა... ამ როგორ მოხვდა... (განიხილავს საოპერაციო მაგიდისაკენ) გადარჩება? როგორ გგონია?

**ტატო:** — უნდა გადარჩეს, ჩემი მშობლები მეტს ვეღარ გაუძლებენ.

**მათხოვარი:** — ოჰ, მამისთანებისთვის გაუძლიათ? აღამიანი, ბიჭო, ძვეზე მამარია, ვეღარ გაიგებთ?! წამოდი, თორემ დახოცეს ერთმანეთი (გურამი, ჯუანხერი, კახა, ნიკა და გიგი ერთად არიან და კამათობენ).

**მათხოვარი:** — აჰა, ესეც მოგიყვანეთ, ერთხელ და სამუდამოდ მორჩით, რა, დავიღალე ამ ამგის ბარჩევით, მეტი აღარ შემიძლია.

**გურამი:** — თავიდან დანიწყე, ჯუანხერი, ამანაც მოისმინოს.

**ჯუანხერი:** — რა იყო, რა ოროსანივით ცხრაჯერ მაყოლებთ, ნიშანს კი არ ვასწორებ (ხითხითებს).

**გურამი:** — გეყოფა, ჯუანხერი, გელოდები, დანიწყე.

**ჯუანხერი:** — დავიწყებ, მაგრამ იცოდეთ, ბოლოჯერ ვყვები, ამის მეტს ჩემგან სიტყვასაც ვერ გაიგონებთ.

**მათხოვარი (გამკრება თოქის იქით):** — ერთი მეც უნდა მოგისმინოთ, თავი-ბოლო ვერ გავუბე ამ ამბავს.

**ჯუანხერი:** — შენღა მაკლდი, რა?!..

**გურამი:** — გელოდები, ჯუანხერი (ბრაზდება).

**ჯუანხერი:** — ზურმუხტის ქვა რომ დავინახე, თვალები დამიბნელდა. სულ ცოტა ნახევარი მილიონი მაინც ეღირებოდა, მსგავსი სილამაზე ცხოვრებაში არ მენახა. მაშინვე მივხვდი, რა განძთანაც

მქონდა საქმე, მაგრამ სიფრთხილე იყო საჭირო, დიდი სიფრთხილე. პატარა ყუთში ჰქონდა ჩადებული, თვითონაც ხელეპი უკანკალებდა, როცა ხსნიდა — შენს მატს ვერავის ვენდობო, ამას მე საზღვარზე არავინ გამათანიებო, არც ამის საფასურ ფულსო. აბა, მე რა შემიძლია-მეთქი. შენ დღესდღეობით ისეთი პალაქენია გაქვს, ყველაფერი შეგიძლიაო. პრინციპში ებრძვ იყო. გაყიდე, შენ შენი წილი აიღე და მეც ჩემი გამომიგზავნეო.

**მათხოვარი:** — სად გამომიგზავნეო?

**ჯუანხარი:** — ოო, ახვევდა რა, ემიგრაციაში მიდიოდა.

**გურამი:** — მერე?

**ჯუანხარი:** — მერე? კარგი-მეთქი ვუთხარი. ნიკას გადავურეკე, შენს ბიჭს. იქ ჩაი მოვითხოვე, დრო ხომ უნდა გამეყვანა, რამე-რუმე, არ იცით, როგორ ხდება? როგორც პროფესიონალს შეეფერება. ნიკაც მოვიდა.

**გურამი:** — ნიკა, შენ გააბრძოლე.

**ნიკა:** — მე ორ წამში იქ გავჩნდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი, ისე მოვიქცევი.

**გურამი:** — იცოდი, რა საქმეზეც მიდიოდი?

**ნიკა:** — არა, მაგრამ რომ ავადი, ვუთხარი, ცუდი ამბავია, სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე-მეთქი.

**გურამი:** — რა ცუდი ამბავი?

**ჯუანხარი:** — არაფერი. ჩვენ ჩვენი პაროლები გვქონდა, მასპინძელმაც მართო დაგვტოვა.

**ნიკა:** — მასპინძელი გავიდა თუ არა, ჯუანხარმა უჯრა გამოაღო, ზურმუხტი ხელში ჩამიღო და მითხრა, ერთ საათში ზუსტად ასეთ ძვას მოიტანო.

**გურამი:** — მერე, მიუტანე?

**ჯუანხარი:** — შენ ვერ გაიგე, რომ ჩემი ბიჭებისთვის გაუკეთებელი საქმე არ არსებობდა. ესეც ერთი მწვანე შუშის შოვნა გაუჭირდებოდათ?

**გურამი:** — გააბრძოლეთ.

**ჯუანხარი:** — დუეტში თუ ცალ-ცალკე?

**გურამი:** — ჯუანხარ!

**ჯუანხარი:** — ოო, წასული საქმეა. რას მაბალაშტებ ამდენს.

**გურამი:** — რა მოხდა მერე, ნიკა?

**ჯუანხარი:** — ორმოც წუთში ჩემი მასპინძლის ყუთში მწვანე შუშა იღო და ჩემს ჯიბეში შვიდკარატიანი ზურმუხტი.

**გურამი:** — ის სადღა გაქრა?

**ჯუანხარი:** — ვინ ის?

**გურამი:** — იუველიერი, ვინც ღამის ორ საათზე ყალბი ზურმუხტი დაგიმზადათ?

**ჯუანხარი:** — ესეც ეგეთებზე ნუღარ დავწვრილმანდებო, რა. მე რა ვიცი, სად გაქრა, ესეთი ვეფხვივით ბიჭები ალბარ არიან, ვილაც იუველიერი ედიკა მე რა ვიცი, „სახლიდან გავიდა და ალბარ დაბრუნებულა“. Чёрт его знает.

**გურამი:** — კარგი, მაგაზე მერე, გააბრძოლე.

**ჯუანხარი:** — მასპინძელს ვუთხარი: მე, ჩემო კარგო, სულ მიშენიაში ვარ, ამიტომ მაგის წასაღებად სხვას გამომგზავნი-მეთქი. კარგიო, — რას მეტყობა, ყალბი ზურმუხტი ისევე რუდუნებით შეინახა ძველ ადგილას, ეჭვიც არ გასჩენია. ისე მაგრად ჰგავდა, არა (ნიკას)?

**გურამი:** — და წამოხვიდე?

**ჯუანხარი:** — არა, რაღაცეები მოვყავით, აქეთური, იქეთური, ხო იცი ჩვენი ქალაქი რა პატარა ქალაქია?

**მათხოვარი:** — ისე რა?!

**ჯუანხარი:** — იცი, როგორ არის? თუ შენ დიდი კაცი ხარ, მაშინ ქალაქი პატარაა, თუ პატარა კაცი ხარ, მაშინ ქალაქი დიდი გეჩვენება.

**მათხოვარი:** — ვაა?

**ტათო:** — ზურმუხტის წამოსაღებად ჯუანხარმა ჯარჯი გაგზავნა, ჯარჯიმ ჩემთან მოიტანა ძვირფასი ძვა, ჩემი სახლი ყველაზე სანიმედო ადგილი იყო.

**მათხოვარი:** — რა ძვირფასი, ეგ ხომ ლიპა იყო?

**ტათო:** — ჩვენ რა ვიცოდით?!

**გურამი:** — იცოდა ვინმემ თქვენ ორს გარდა?

**ტათო:** — კი, ჩემმა დამ, სალომემ. ჩემს დას ყველაფერი ვენდობოდი, იმას მივბარე (სამოპერაციო

მაგიდიდან გადმოდის ახალგაზრდა გოგონა და მაგიდაზეც რჩება, გრძელდება ოკეარაცია, მეტი ქაოსია).

**გურამი:** — სად არის შენი და?

**მათხოვარი:** — ჯერ იძით არის, სიკვდილს ებრძვის საცოდავი, ჰა და ჰა.

**სალომა:** — აქ ვარ. მეორე დღეს გამთენიისას უნდა მოსულიყვნენ და წაეღოთ ზურმუხტი.

**გურამი:** — მოვიდნენ?

**სალომა:** — მოვიდნენ. ორნი. ერთი, ის, ვინც ამაში ფულს გადაიხდიდა და მეორე — ექსპერტი, პატარა ლუპით.

**გურამი:** — ვინ და ვინ იყავით ამ დროს?

**სალომა:** — მე, ჩემი ძმა, გიგი და ჯარჯი. ხელეზი მიკანკალეზდა როცა ზურმუხტი გამოვიტანე.

**გიგი:** — იმ კაცმა — ექსპერტმა კარბა ხანს ატრიალდა ხელში ძვა, სახე თანდათან ეზადებოდა. მერე თქვა, ეს ჩვეულებრივი უბრალო შუშააო. ხმა არავის ამოუღია, ისინი ჩუმად, უხმოვ წავიდნენ. დავრჩით ჩვენ ოთხნი, აღგილიდან არ ვიძროდით, არც ხმას ვიღებდით.

**გურამი:** — ჯარჯი სად არის?

**მათხოვარი:** — ეგ ჯარჯი ვერც აქეთ ვიპოვებ და ვერც იძით, გამოჩნდება, ალბათ.

**გურამი:** — შენ რას იტყვი?

**ნიკა:** — მე თავიდანვე მიგრძნო გულმა, რომ რაღაც ახალი სიბინძურე მზადდებოდა, მაგრამ რა — არ ვიცოდი.

**გურამი:** — გააგრძელე, სალომა.

**სალომა:** — უცებ ჯარჯი გიჟივით წამოხტა და გავარდა.

**ტატო (სალომაზე):** — და ესეც გაეკიდა.

**სალომა:** — გავეკიდე, სხვანაირად არ შემიძლო, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯარჯი არაფერ შუაში არ იყო. ხელს მკრავდა, ყვიროდა, იბინებოდა. მაინც ძალით ჩავუხტი მანქანაში.

**გურამი:** — სად მიდიოდა?

**ჯუანხერი:** — ჩემთან მოვიდნენ... დასაგებელი გიჟი იყო, ცოფიანი. ყველას აბინებდა, იმუქრებოდა, ღრიალებდა.

**გურამი (ჯუანხერს):** — შენ რა უთხარი?

**სალომა:** — ჯუანხერმა მე მკითხა: შენ გჯერა, რომ ჯარჯი მართალიაო? მჯერა-მეთქი. კარგი, ყველაფერი გასაგებიაო. ჯარჯიმ მანქანაში გამომიშვა, თვითონ კი ცოტა ხანს ჯუანხერთან დარჩა. როცა დაბრუნდა, ხმა აღარ ამოუღია, მეც ვერ გავგადა რამის კითხვა. სახლთან მიმიყვანა და მითხრა: აღი და ცოტა ხანში მეც ამოვალ. ოთახში რომ შევედი, გიგი და ტატო იმავე პოზაში ისხდნენ, როგორც დავტოვე. ხმა არ გაუცინათ, არც არაფერი უკითხავთ. ჯუანხერთან ვიყავით-მეთქი, ვუთხარი. ტატომ არ მივახუხა. რეაქცია არ ჰქონია. ეხლა ჯარჯი ამოვა და ყველაფერს ეშველება-მეთქი და კარზე კაკუნიც გაისმა.

**ტატო:** — არც მე და არც გიგი არ განვიკრულებართ, ნაბიჯების ხმა რომ გავიგებთ, მაშინაც არ მიმიხედავს. ასე თუ გავგიგებებოდა, ვინ იფიქრებდა. მე საგი ტყვია მქონდა დახლილი, გიგის ოთხი და ეს ყველაფერი ისე გააქეთა, ნერვიც არ შესტოკებია, არც ჩემს დას ამოუღია ხმა, როცა იარაღიყენებულ ჯარჯის გაულო კარი.

**სალომა:** — არ იყო ის ჯარჯი, არ იყო ჯარჯი!

**ტატო:** — აბა, ვინ იყო?

**სალომა:** — ვერ ვიცანი, არც მანამდე მინახავს (სახეზე ნიღაბი ეკეთა).. უკან მეორეც მოჰყვებოდა, შემოვიდა თუ არა, ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, იარაღის ტარი მთელი ძალით ჩამცხო თავში, მეტი არაფერი არ მახსოვს. ზურგში დანაც მქონია ჩარტყმული, ეტყობა მერა...

**გურამი:** — ვინ იყვნენ, ჯუანხერ, ისინი?

**ჯუანხერი:** — თუ ვიცოდე?.. ახლა ხო არაფრის დამალვას აზრი არა აქვს, წარმოდგენა არა მაქვს, დედანს გეფიცები.

\* \* \*

**ტატო:** — მაკატიე, სალომა, მაკატიე, შენ რა შუაში ხარ... ყველაფერი ჩემი ბრალია. აღრე თუ გვინა ჯარჯიც გამოჩნდება, სად წავა, და ყველას ყველაფერი მოეკითხება აღრე თუ გვინა, მოლაღატის ღალატისათვის...

**სალომა:** — არა, არ უღალატია, დამიჯერე, ტატო, არ უღალატია, დამიჯერე, მე მის შვილს ვატარებ მუცლით, დამიჯერე, გეშუდარები. (ტატოს გააღივება და სალომეს მიიხუტავს.)

**ტატო:** — შე მედია შენა, როგორ ეჭვითაც არასოდეს გამივილია გულში.

**სალომა:** — მაპატიე, თუ რამე ჩემდაუნებურად ჩავიღინე, გეფიცები, არასოდეს ერთი წამითაც, ფიქრშიც არ მიღალატია შენთვის. დამიჯერე, ტატო, ნუ გამიშვებ, დამტოვებ შენთან, აღარ მიწვინი, მიწვინა ყველაფერი დამავინწყდეს, ყველაფერი. ჩემი შიში მიწვინა დავივიწყო ყველა გასროლის ხმაზე, ჩემი კივილი ღამით, ქუჩის ბოლოში შეყრილი ქალების ხავილი და ჩემი სიხარული, რომ ტყვიებისგან ახდელი თავის ქალა არც შენია და არც ჯარჯის... თურმე, ასეთი სიხარულიც არსებობს. დამტოვებ, დამტოვებ, დამიჯერე, ერთი წამითაც ფიქრშიც კი არ მიღალატია შენთვის.

**ტატო:** — დააბრუნეთ, დააბრუნეთ, მეტი აღარ შემიძლია (თვითონ გაჰყავს თოკის იქით).

**მათხოვარი:** — რა ჯანდაბად გინდოდა ეს ზურმუხტი, შე ღორო, შენა, რით ვერ გაქეხი, რა გაკლდა?! ა?! თფუ!...

**ჯუანხერი:** — იცი, არის ისეთი სიმატელე, რომელიც ტყუილს ჰგავს და ჯოჯია, არ თქვა.

**გურამი:** — თქვი ჯუანხერ...

**ჯუანხერი:** — ამ ფულით ეკლესიის აშენება გინდოდა (მათხოვარი ისტირიულ სიცილს იწყებს).

**მათხოვარი:** — ეს ნახეთ, რა, ამას ჰგონია, ეკლესია მართო ფულით შენდება. ვერ არის...

**ჯუანხერი:** — ბიჭო, ტოტოჩა? ტოტოჩაზე თუ გადავიდა ის მაღლი, რომ ღმერთმა ეკლესია ააშენებინა, მაგაზე უარესი ნაღდად არაფერი მიქნია ცხოვრებაში.

**გურამი:** — ტოტოჩას პაპა როგორ მოკვდა, იცი?

**ჯუანხერი:** — დიდი კაცი რომ იყო, ეგ კი მახსოვს. ყველა მაგას ამბობდა, ისეთი წინაპრების შვილი ასეთი ნაგავი როგორ გამოვიდაო.

**გურამი:** — ტოტოჩას პაპის სახლს ბოლშევიკებმა ცეცხლი რომ წაუკიდეს, ხატის გამოსატანად შევარდა, თურმე. მეორე დღეს ხატჩახუტავული, დანახშირავული ჩონჩხი უპოვიათ.

**ჯუანხერი:** — ხატი გადაჩა?

**გურამი:** — მგონი.

**მათხოვარი:** — ჩემო ჯუანხერ, არაფერი არც იმ და არც ამ არ იკარგება. (უცებ განსმება საშინელი სროლის ხმაზე. ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე სახე ჩნდება თოკის იქით.)

**გიგი (ყვირის):** — დააბრუნეთ, სულ ერთი წუთით დააბრუნეთ სალომა.

**სალომა:** — აქა ვარ.

**გიგი:** — რომელი იყო ამათგან, ჩქარა, თქვი, რომელი იყო.

**სალომა:** — არც ერთი.

**მათხოვარი:** — ხომა გითხარით, მგლებივით დაერევიან-მეთქი.

**გურამი:** — ღმერთო, რა საშინელებაა! ღმერთო!

**მათხოვარი:** — საშინელებაა, მაგრამ ამაზე დიდი საშინელებაც არსებობს. გახსოვთ, ომზე რომ ვლაპარაკობდი... ომია ყველაზე დიდი საშინელება. ნახეთ, ჩემი ტოლი თითქმის არავინ არის, ომია ყველაზე დიდი საშინელება (ისმის დაზომავის ხმაზე, თოკი წყდება და აღამიანები აქედან იქით და იქიდან აქეთ ცვივინან). იცით, რა არის ყველაზე დიდი საშინელება? როცა ასეთ დროს, პატარა, უსუსური არსება გიჭირავს ხელში და მას შენი შიშის გამო ეშინია; როცა იმიტომ კივის, რომ შენი სულის ზღავილს გრძნობს; როცა შენ მასზე უსუსური ხდები, როცა ყველაფერი უფასურდება; როცა არსანიდან არის საშველი და ყველაფერი საიდანაც იმართება. და ეს ყველაფერი აღამიანების მოგონილია, ჩვენი...

**თეიმო:** — გაჩუმდი, ერთი სანთელი მაინც დამინთეთ, თორემ უფსკრულში ჩავიჩახები, დამინთეთ ერთი სანთელი, ნუთუ ასე ძნელია. რა დროს ჩხუბია, რა ვერ გაიყავით თქვე ჭინჭველებო, აქედან ყველანი ჭინჭველებს ჰგავხართ, ჭინჭველებს, რომლებიც საკუთარ კუბიკებში გაუთავებლად ეზიდებიან რაღაც სისულელეებს. ამაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, ართმევენ, ატყუებენ, მერე ერთ დღესაც ყველაფერი თავდება და ეს სისულელეები სხვას რჩება. ნახე, როგორ შეგროვილხართ ყველანი ერთად. მე თქვენი წყენინება არ გინდოდა, მომეხმარეთ, დღეს მეორემოცა დღეა, მომეხმარეთ, ამ აღარაფერი ჩანს. ერთი სანთელი, ერთი სანთელი დამინთეთ...

— ბიჭო, სანდრო, ჩემი ბიძაშვილია, ბიჭო, გახსოვს ახალი წლის დილას მთარღნეები რომ დაგაყენე თავზე, მთელი ქალაქი მოიარა, რომ ჩემს გასვენებაში ის მთარღნეები მოეყვანა, ვერ იცოვებ, არა? შე ბოთე, შენა, ცუდად ექვადი. მანდ მაგათ რაღა უნდათ. სამივე ამ არის. აბა, დაუპარით...



— ცეკვით უნდა გავიარო ამ ბენვის ხიდზე. ცოტა განათდა. ჩემს წინ ვიღაც მკვლელს გაუვლია, მე ხომ ჩემი თავის გარდა არავისთვის არაფერი დამიშავებია...

**მათხოვარი:** — ის დედამისის ლოცვამ გაათარა...

**თემო:** — დედამისის ლოცვამ?

**მათხოვარი:** — შენც გაივლი, წესი აგიბეს.

**თემო:** — რატომ, ასეთი რამე რომ არ ხდება?

**მათხოვარი:** — თუ სულის ტკივილმა მიბიყვანა იქამდე, მაშინ შეიძლება.

**თემო:** — ესე იგი, თუ გიჟი ვიყავი?!

**მათხოვარი:** — მოკლედ, დედაშენმა თავის თავზე აიღო.

**თემო:** — ტყუილი უთქვამს? ამ ტყუილისთვის მეც ასინათსჯერ მკაცრად მომეკითხება.

**მათხოვარი:** — შენ არა, ყველა თავისი ცოდვებისათვის ისჯება.

**თემო:** — აბა, მე რა უნდა ვქნა?

**მათხოვარი:** — ილოცე, მე გგონი, ასე უნდა ასეთ დროს.

**თემო:** — ბიჭო, არც ერთი ლოცვა არ ვიცი ზეპირად.

**მათხოვარი:** — მეც ერთი ვიცი მარტო. ერთი ვიცი.

**თემო:** — მასწავლე.

**მათხოვარი:** — მაგამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, მოვედინ სუფევა შენი...

**თემო (იმაორობს):** — თანადადებნი ჩვენნი... (ამ ჩარდება. ისმის საშინელი, გამაყრუებელი სროლის ხმა, ყვირილი, ბინება, ყველანი ერთად არიან. ისეთი განწყობაა, როგორც დიდ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ. ბიჭები ერთმანეთს კოცნიან, იცინიან. ოვაციები, ახალი სახეებიც გამორჩევა. აქვე არიან გურამი და ჯუანშერიც.)

**გურამი:** — რა ხდება? (ჯუანშერი გახედავს და ჩაიციინებს.)

**ჯუანშერი:** — უკვე ყველანი ამ არიან, მეშვიდეც.

**მათხოვარი:** — აჰა, დაწყნარდით, როგორც იქნა, შეიკრიბეთ ერთად? თქვენი...

**ხმაზი:** — ვა, შენც აქა ხარ? აქი საზღვარგარეთ იმალება?

**ტათო:** — ნავედით, ნავედით, სუფრა გაშლილია.

**მათხოვარი:** — მაიცათ, მაიცათ, რომ გარბინართ, უჩემოდ სად მიდინართ (მათხოვარი ბიჭებს გაჰყვება, ხორხორცი ჩაწყნარდება).

\* \* \*

(გურამი და ჯუანშერი ერთმანეთის პირისპირ სხედან. სიჩუმეა.)

**ჯუანშერი:** — „... მე ვერსად ვნახე მართალი კუთხე, ასეთი არც არსებობს. დღიდან დღემდე, საფეხურიდან საფეხურამდე უნდა იყო მართალი... და მაინც მტყუანი დარჩები, რადგან იქ, სადაც ადამის ქე თავისი ადამიანურობით იღვწის, სიმატლად არ არსებობს.“

ეს სიტყვები შენი ბიჭის დღიურში ამოვიკითხე, ჩემი სათქმელიც ეს არის (გაუნდის გურამს ბლოკნოტს).

რამდენი სინასტიკა და სინაპაგლე ჩამიდენია ცხოვრებაში, მაგრამ ისე წამოვედი იმ ქვეყნიდან, ერთ არსებას სიტყვის თქმაც კი ვერ გავუბედე. თურმე, ის, ვინც მართლად გიყვარს, არ ყოფილა აუცილებელი, შენს გვერდით იყოს, შენი ცოლი გახდეს ან საყვარელი, ამაზე უფრო დიდი სიმაღლეებიც არსებობს. ამ ქვესკნელში... (გულზე დაიდებს ხელს) მთელი ცხოვრება მინათო ეს სანთელი, ამ ბრძოლისთვის მინდოდა ამეშენებინა ტაძარი. გახსოვს, მასაც ასეთი ზურგმუხ-ტისფერი თვალები ჰქონდა (ამოიღებს ჯიბიდან და გურამს მიაწვდის).

**გურამი:** — მახსოვს. ჩვენ ორივე ავირეთ მართალი გზების ძებნაში მაშინ, როცა საკვანელი არაფერია, გზა ერთია ჭეშმარიტებისაკენ, ერთადერთი და თუ ამ გზაზე გადაწყვეტ სიარულს, ისე უნდა იარო, რომ ერთი ღერი, ერთი ღერი ბალახიც კი შემთხვევით არ გადათელი.

**ჯუანშერი:** — აქაც ვერ მოეშვი, არა, ამ მაღალფარდოვნებას?! ხო ხედავ, „დიდი იდეები“ ჩვენთან ერთად ჩაღვება აქ. ასეა, ასე.

**გურამი:** — არა.

**ჯუანშერი:** — იძახე ახლა არა, არა. ამგის მომყოლი არავინ დატოვებს და... შვიდივე ამ არის, შვიდივე!

**გურამი:** — ერთ-ერთს ხომ მაინც დარჩავოდა შთამომავალი (მათხოვარი მოიბრუნა).

**მათხოვარი:** — ჰა, ნადით რა, გელოდებიან, ახლაც ხომ ვეღარ იტყვიან?! ახლა რაღა მიზეზი გაქვთ, ყველანი ამ არიან: ზურმუხტის პატრონიც, მომპარავიც, კადელკის გაგკეთებელიც, გამსაღებელიც. მართო ზურმუხტის ძვა არა ჩანს თვითონ (ბურამი მათხოვარს ზურმუხტის ძვას ხელში ჩაუბღებს. ჯუანშერს ხელს გადახვევს და ერთად გადიან. მათხოვარი ძვას დააკვირდება, მერე სინათლეზე გახედავს).

**მათხოვარი:** — როგორ მიხედოდა, თქვენამდე მოგატანა ეს ყველაფერი. რა ვიცი, ან კი სჭირდება ვინმეს?! ამისთვის ხომ არავის სცალია, მოუსმინოს ლოთ მათხოვარს, რომელიც აზრებს თავს ვერ უყრის... სიტყვებს ვერ ვოულოვს. მაგრამ ბანა ვერ ვპოულობ, ეს სიტყვები ჯერ არ გამოუგონიათ, უფრო სწორად, ეს არ ითქმის, არ იწერება, არ იხატება, ეს არც მუსიკაა, ეს არის ის, რაღაც ხელშეუხებელი, რომელიც ნამდვილად არსებობს და ამას მხოლოდ ერთეულები ხედავენ. ამის ხედვა ისეთივე ნიჭია, როგორიც სხვა — ნებისმიერი. ამ ნიჭით ან იხადება ადამიანი, ან არა... ეს არის ის ღერძი, რაზეც დღემდე დგას დედამიწა... და სამყაროც იმ დღეს ამოტრიალდება, როცა ეს ღერძი გამოეცლება.

... მე ამალამ გავიყინები ყველაზე კარგი სიკვდილით — მთვრალი, ძილში. სვალ კი რომელიღაც ჭირისუფალი შემამჩნევს, რომ არ ვსუნ თქავ და მესაფლავებებს ჩემს დასაბარს ფულს მისცემს. მესაფლავები ამ ფულით დათვრებიან და მხოლოდ მესამე დღეს მიგაბარებენ მიწას.

ჯიბებს არავინ ამომიტრიალებს, დარწმუნებული იმასში, რომ ჩემნირ მათხოვარს ჰა, ჰა, ორი გროში ებღოს ჯიბეში. ორ გროზად კი ჭუჭყიან ჯიბეებში ხელის ჩაყოფა დაეზარებათ და ჩემთან ერთად დამარხებენ შვიდკარატიან ზურმუხტს. ამგობენ, ძვირფას ძველს მიწა არ ჭამსო. წლების შემდეგ, ან იქნებ საუკუნეების შემ დეგაც, ვიღაც იპოვის ამ ძვას და ისევ ატყდება ომი და უბედურება. ვიღაცები დახოცავენ ერთმანეთს ამ ერთი ბნო ძვის გულისათვის და ეს ძვა ისევ უამრავ ტკივილს მოიტანს. თუმცა, ვინ იცის?! ზოგჯერ ასეთი ძვირფასი ძველი სასწაულმოქმედ ხატებზეც ხომ ხვდება. არ იცი, როგორ და რა გზით, მაგრამ ხვდება. მერე შემთხვევით თუ გადისწერით ამ ძველებს გადადის მირონი და მაღლი. ისინი იწმინდებიან და ადამიანებისათვის სიმშვიდე, იმედი და სიხარული მოაქვთ... ოღონდ, არ ვიცი, იქამდე როგორ უნდა მოხვდეს ეს ძვა... მე ამას ვერ მოვასწრებ, ვერც ამ ძვის გაყიდვას მოვასწრებ, იმიტომ, რომ უკვე მეძინება, დილაზე კი გავიყინები. სვალ არა, ზებ საღამოს მესაფლავები გათხრინ მიწას და ჩემთან ერთად დამარხება შვიდკარატიანი ზურმუხტი...

ვერაფერი მოვასწარი... ამგობენ: „რაც ძალიან ძვირფასია, იმას მიწა არ ჭამსო...“ მეძინება...

2000 წელი

## პეიზაჟს აკლია სიტვო

მოქმედი პირნი: **მამო, ტასო, ნუცა, მარინა, ტატო, ჰანსი, ლუკა, ქალი**

I მოქმედება

ფეხენებელური აბარაკი, ეზო.

**მამო** — ხმელი, მკაცრი გამომეტყველების, სათვალთ, კოჭებამდე კაბით და თავსაფრით;

**ტასო** — მაღალი, თხელი, „ჰიპურად ჩაცმული“: გახეხილი ჯინსებით, მაისურით და მხარზე გადაკიდებული ფოტოაპარატით.

**მამო** (სკამზე ჩანთას მიაგდება და თვითონაც დაღლილი მიესვენება.): — უჰ... კაია.

**ტასო:** — ამ შეიძლება დავჯდე?

**მამ:** — აბა?! რა თქმა უნდა?!

**ტასო:** — ა?... ხომ (მოლზარტთან მიღის და აკვირდება). აუ, რა მაგარია... გიჟია, ნახე, რაეზს ხატავს? ა?

**მამ:** — არ მინტერესებს.

**ტასო:** — ამასთან არ თქვა, ძალიან გთხოვ, კარგი?!

**მამ:** — მე ვისთან რა უნდა ვთქვა, ჩემი საქმეა.

**ტასო:** — არა, რაზეა ლაპარაკი?!.. თვითონაც ეგებით. იცი, რა მაგარი ტიპია? სხვათა შორის, რაღაცეებში შენ გბავს... გიბავს და ვატოს გეფიცები... იცი, როგორ?!.. სამოცრებაა, მე ეგეთ ქალს არ ვიცნობ.

**მამ:** — კაი, ნუ შემაღონე, სიგარეტი მომეცი (ორივე აბოლებს). გიჟი არ ვარ? სად წამოგყვი, როდის იყოს სხვის საქმეებში ვერემოდი?! ჰე!

**ტასო:** — ხო არის აქაურობა დასაცემი?... შენ იმით უნდა ნახო, რა ხდება, აუუ?! შერხან ვიყავი ზამთარში, დეკემბერში... არა იანვარში... ყინვა... უბედურება. მზე და ქარი ერთად, რასაც ვერ ვიტან ბავშვობიდან. მარტო ქარი მირჩევინია. შენ? უცებ ზაფხულში აღმოვჩნდი — მზე, პალმები, აუზი.

**მამ:** — ქარი?

**ტასო:** — ზამთრის ბაღი აქვთ, იცი, როგორი ბაკეთებუღი?... როგორი გამოვნებით. ერთ მხარეს...

**მამ:** — რომელი საათია?

**ტასო:** — თორმეტი ხდება... მაღე გაიღვიძებს, თორმეტისთვის იღვიძებსო. ახლა არ მითხრა, რომ გეჩქარება!

**მამ:** — ლოცვები მაქვს დასაკითხი.

**ტასო:** — გაიბე, რას გიყვები?! იქ ხომ ქარი არ შემოდის, არც ქარის ხმა. მზე, სითბო, აუზი, ეგზოტიკური ხილი, მე მეტი არაფერი მინდა. ეს არის ჩემი მოცემა.

**მამ:** — შენც, რა თქმა უნდა, აუზში ეგრევე თავით გადაეშვებოდი ან ამდენი ემოციისგან გული წაგივიდოდა.

**ტასო:** — რატომ დამცინი? რა ცუდი გოგო ხარ! საქმეზე ვიყავი, არც ეგრეა, მთავარმა რედაქტორმა გამაფრთხილა... (რეკავს მოკილური.) ამათ ხომ გამიხურეს საქმე?! რა უნდათ, ყველაფერი დავუტოვე... ხო, გური... სამსახურში, სად უნდა ვიყო? გავგიჟდები?! (მოს) ვატოს გადაუსხამს ჩაი, ფეხი აქვს დამწვარიო... ტირისო... ვის ვეუბნები? მამს! ხო, ჩემთან არის, რა.

**მამ:** — მაღამო მაქვს სახლში. მონატრიდან გამომიგზავნეს, ეგრევე მოურჩენს.

**ტასო:** — შენ გაიხარე! მამს ჰქონია მონაზვნების მაღამო.

**მამ:** — მონაზონი კი არა, მორჩილია ნონა. ქმარი რომ მოუკლეს, ყველაფერი დაკარგა. სახლი გაუყიდეს... ნონა?! ჰე! ნონა სხვა სიმალეზეა... მაგის დას კიდევ ქმარი დაუინვალიდდა. ავარიაში მოჰყვა. ულაგაზისი ლალი იოსელიანი ხელით რეცხავს და იმით შოულმოს პურის ფულს.

**ტასო:** — იცი რა?! აუ, მაგარი რაღაც გამახსენდა... სანამ ჩამოვალ, მოაფსმევიდე და ფეხზე დაასხი, ან პირდაპირ ფეხზე დააფსმევიდე... რა? იდიოტი! შემაგინა და დამიკიდა... წარმოგიდგინა?!

**მამ (იცინის):** — როგორ გაკლია?!

**ტასო:** — რა უბედურებაა?!.. შეიძლება ერთი ნუთით... ერთი ნუთი, რა არის... გამოვალ თუ არა სახლიდან, აუცილებლად რაღაც უნდა დამმართოთ. უჰ... დედამს უნდა დავუბრალო. მივიღეს, სანამ ჩავალ (რაღაცას ეძებს ჩანთაში). რას მიყვებოდი?

**მამ:** — ლალი იოსელიანი, გუშინ ვნახე, ხელეტი სულ გადატყავებული აქვს. რეცხვისგან ალერგია ემართება, იმასაც მივუტანე მაღამო.

**ტასო:** — სარეცხი მანქანა არ აქვს?

**მამ:** — არა, სპეციალურად რეცხავს, თანაც, ცივ წყალში.

**ტასო:** — რა, მაზონისტია?

**მამ:** — ჰე, შენ ამას ვერ გაიგებ! მაზონისტი კი არა... იცი, საერთოდ, ვისზე ლაპარაკობ? იცი? ქალს ტვინი გადმოსდის თავიდან.

**ტასო:** — სად ჯანდაბაში წავიდა, ამ მძონდა აშკარად.

**მამ:** — სამი წლით არის ჩემზე უფროსი. ჰე!.. ჯიმი ძურდიანი, მუხრან ენდელაძე... რა ვიცი, კიდევ ვინ არა... ჰე! მაზონისტიო! ლეძებს უწერდნენ და ესე ძირს ეყარნენ... სახლში რომ შესულიყო, კაცებს აბიჯებდა! დიანს!

**ტანო:** — რატომ აბიჯებდა?

**მამი:** — აბა, ფხს ხომ არ დაადგამდა... მაგის მეზობელი?! კატა ვუღცი.

**ტანო:** — ვინა? მგონი, ვიცი კატა... კი.

**მამი:** — რა იცი? გაგიგონია, მე მიკითხავდა ანტიკურ ფილოსოფიას... ახლაც... ეს კატა ვუღცი...

**ტანო:** — ისე, კარგი გამახსენდა, იცი რაა... რას მირჩევ? ცოტა ფილოსოფიაში მოვიკოჭლე... მაინც საჭიროა, არა?! კანტის ჩავუჯდე თუ ფროიდს? ეს უფრო... ა?

**მამი:** — რა უფრო? რა დროს ფროიდი, ფროიდს მე მაშინ არ ვაღიარებდი, გარემო ყველა რომ ეცემოდა. ფროიდი? ჰე!

**ტანო:** — რატომ მე და შენ...

**მამი:** — რა, მე და შენ?

**ტანო:** — სტუდენტობის დროს ფროიდზე რომ ვკამათობდით...

**მამი:** — მე და შენ?! შენ ის დონე არასოდეს ყოფილხარ, რომ მე და შენ ფროიდზე გვიკამათა... რას ეძებ? გავგიჟდი...

**ტანო:** — ტელეფონის ნომერს, დედაჩემის...

**მამი:** — დედაშენის ტელეფონის ნომერს ეძებ? ვაი, ცუდად ვარ, ეს ვინ არის? არ შემიძლია (იციხის), ჰა-ჰა-ჰა.

**ტანო:** — დედაჩემის კი არა, დედაჩემის დაქალის, სადღაც... აქ ჩავდე, ნამდვილად მახსოვს... მივიღოდა, მიხედავდა... იმ ჩემს ბიჭ ძმარსაც დააწყნარებდა... ვაა!

**მამი:** — წმიდა თეკლას სთხოვე და გაპოვნინებ.

**ტანო:** — როგორ უნდა ვთხოვო?

**მამი:** — ჩვეულებრივად.

**ტანო:** — წმიდა თეკლე, უკაცრავად, კიდევ ერთხელ უნდა შეგანუხმო.

**მამი:** — რა დარტყმული ხარ!

**ტანო:** — აბა, როგორ?

**მამი:** — „კიდევ ერთხელ“?! მიღებაზე კი არა ხარ, კაბინეტთან... როგორ გაკლია?!

**ტანო:** — მოკლედ, რაა?! წმიდა თეკლე, დედაჩემის დაქალის, ნუნუს ნომერი სასწრაფოდ გჭირდება!

**მამი:** — აბა, ეგეთები არ იყოს?! ვინ გითხრა, რომ შაყირი შეიძლება ასეთ რამეზე?

**ტანო:** — ცოცხაა? შაყირი არც მიფიქრია...

**მამი:** — წესიერად ითხოვე და მოგეცემა.

**ტანო:** — შეგეშვით შენც და შენი თეკლაც. არსად აღარ ვრეკავ, დიდი ამბავი?! გავშვს ჩაი გადაეხსა, მორჩა, ვითივამ! ინტერვიუზე ვარ, სამსახური! არ ითიშება ეს ოხერი... მოიცა! არ ითიშება, საერთოდ ამ კაცების დედაც... შენ ხარ უმაგრესი ჩემს თვალში. რად მიწოდდა, რას ვთხოვ-დეგოდი?! პრობლემები, პრობლემები, პრობლემები... საერთოდ, ნორმალური კაცი არსებობს? მე არ შეგხვედრია, არც გაგიგონია.

**მამი:** — არიან.

**ტანო:** — სად არიან?

**მამი:** — მოდი ეკლესიაში და ნახავ.

**ტანო:** — ვინაა?! ეგ გამოყ...

**მამი:** — აბა, აბა, ეგეთები არ ბინდა.

**ტანო:** — მოიცა რა, სახეებზე არ ეტყობათ? დავდიოდი ერთი პერიოდი და ვიცი.

**მამი:** — ერთი პერიოდი... ჰე!

**ტანო:** — გეფიცები, სპეციალურად ვაკვირდებოდი კაცებს. იქნებ, ვინმე ცოტათი მაინც, ცოტათი მაინც, რომ ჩემს სიარულს... უფრო ხალისით ვივლიდი, ხომ გახსენა?!

**მამი:** — რა? ეკლესიაში მაგისტრის დადიოდი, რომ ჰე!.. როგორ გაკლია?!

**ტანო:** — მაგისტრის არ დავდიოდი, მაგრამ სამსახურშიც ეგრეა, არა?

**მამი:** — რა არის ეგრე?

**ტანო:** — აუცილებელი კი არ არის, რამე გქონდა? ისე, შენთვის, დილას რომ ადგები, ჩაიცვამ, თმა როგორ დანივარცხნო... აბა? ობიექტი ვიღაც, თუნდაც გამომგონილი, არ უნდა არსებობდეს? ვერ გავთიშე ეს იდიოტური ტელეფონი.

**მამი:** — მომეცი, მომეცი... მართლა როგორ გაკლია... აქ სად აჭერ, ვერ ხედავ, დაბლოკილია.

**ტანო:** — დაბლოკილია? ვინ დამიბლოკა?

**მამი:** — ეტყობა, თითი დაგეჭირა. რად ბინდა შენ მოგილური?

**ტასო:** — იცი, როგორ მჭირდებოდა? დავისვინე... ისე, კი არ დავისვინე, გავწამდი. ახლა ხომ არ დამირეკავდნენ? ვიძნებოდა წყნარად...

**მამო** (მოხილურს აკვირდება): — საიდან?

**ტასო:** — არ მომიყვლია? დედაჩემმა მოიტანა.

**მამო:** — რა არის? ეს ვინი ნომრები გაქვს? ვინ არის „კუკლა მანანა“, რა უბედურებაა!

**ტასო:** — ჩემი არც ერთი არ არის. წაშალე, თუ იცი.

**მამო:** — ყველა?

**ტასო:** — აბა, რად მინდა ვიღაცების ნომრები? შენთვის არ მომიყვლია? ეე... ეს იცი, რა არის?! ეს ფილმია, კომედიაა, არა — ტრაგედია... დიდი ზოლებიანი ჩანთა აქვს... რო დანიწყებს ამოღებებს...

**მამო:** — კანი, რეზს მიყვები... ეს საათი სწორია? არ დამაგვიანდეს, ლოცვები გაქვს წასაკითხი.

**ტასო:** — აუ, შენთვის არ მომიყვლია?! დაცემი ისეთ რაღაცას მოგიყვები... ინყებს ამოღებებს.

**მამო:** — რის ამოღებებს?

**ტასო:** — ხატავურის ნაჭრები, შეიძლება ზოგჯერ ექვსი, შვიდი, რვა ნაჭერი, მაგრამ მთლიანი არ არსებობს.

**მამო:** — რა ხატავურის ნაჭრები?

**ტასო:** — ნარჩენები... მერე ტორტის ნაჭერი, რამდენიმე...

**მამო:** — მთლიანი არ არსებობს.

**ტასო:** — გამორიცხულია! სიბარბის ღერები, კიტრი, ჰომიდლორი, თეფხით ცივი ღოგი, ზოგჯერ შიგ ჩაყინული სულგუნით... რამდენიმე ფერადი ფანქარი ან ფლომასტერი.

**მამო:** — მთლიანი შეკვრა გამორიცხულია.

**ტასო:** — რა თქმა უნდა, რამდენიმე ცალი, ოღონდ ძვირფასი... აი, ასე მათხროვარებით ჩაუწყობს, მილიონერი დაქალი რომ ჰყავს, კლასელი.

**მამო:** — იქნებ თვითონ აწყობს?

**ტასო:** — რა მნიშვნელობა აქვს? ვერ ვიტან! ჩემს ცხოვრებაში თითო არ დამიკარებია, არასოდეს! მეზიზღება! რომ ვკვდებოდა მხიერი... მეზიზღება!

**მამო:** — საჭმელი გეზიზღება თუ დედაშენი?

**ტასო:** — იმ მომენტში ორივე.

**მამო:** — შენებსაც?

**ტასო:** — ჩემებს?! გაგიჟდი? აფრენენ, ამ ჩანთით რომ დანახავენ გეზიზღის.

**მამო:** — მოხილურთან რა კავშირებია, რაც მომიყვები?

**ტასო:** — ჰირდაპირ კავშირები. იმ ზღაპრულ ჩანთაში აღმოჩნდა.

**მამო:** — მოიპარა?

**ტასო:** — ეტყობა, ოჯახის რომელიმე წევრს მოგეზრდა და გადაგდებებს აპირებდნენ. ვერც ამ მოხილურს ვიტან, მაგრამ ახლა ძალიან მჭირდება, სანამ ახალს ვიყიდი, იყოს. აუუ, ესეთი უნდა ვიყიდო (იღებს მათს მოხილურს). საოცრებაა?! თუ გაქვს, ესეთი უნდა გქონდეს, არა?

**მამო:** — ესეთს ვერ იყიდი, სულ ცოტა ათასი დოლარი მაინც ღირს.

**ტასო:** — ეღირობა, ეჭვიც არ მეპარება... სათვალავ ძალიან მაგარია, მაჩვენე. ერთი ეგეთი კლასელი მეც მყოლოდა, რა?!

**მამო:** — რვაას ორმოცდაათი ევრო ენერა...

**ტასო:** — კანი, რა?! გამომგზავნა ფული და იყიდი შენ თვითონ... არ გერჩია?

**მამო:** — არ მერჩია, ფული... მოვიბე! (მოხილურზე თამაშობს) ფული რომ მეთხოვა, ფულსაც გამომიგზავნიდა.

**ტასო:** — რას თამაშობ? დავიჯერო, ფული არ გჭირდება?

**მამო:** — რამდენიც მჭირდება, იმდენი გაქვს.

**ტასო:** — ოო, კანი რაა?!

**მამო:** — არ მჭირდება. რაც გაქვს, ისიც ზედმეტია.

**ტასო:** — ახლა გარუმდი. მაგას ვერ დავიჯერებ. ფული როგორ შეიძლება იყოს ზედმეტი? ტყუილია, ზედმეტი ფული არ არსებობს.

**მამო:** — ნუნუ კლდიაშვილის ქმარმა თავის მიგობართან წამოიყვანა ერთხელ და...

**ტასო:** — რა მაგარი ხარ! ეს რა არის?

**მამო:** — ქულები.

**ტასო:** — აა, ყოჩაღ... მე მაგას ვერ ვინახავდი. როდის ჩამოდის, სარეჟისორს ჩამოგიტანს, არა?

**მამი:** — რას ჩამოვამ. კიდევ ორი მთავარი პარტია მიუცინათ. თანაც ხომ იცი, სად?

**ტასო:** — ვიცი, ძმარი სიმავთიურია?

**მამი:** — სურათებში ჩვეულებრივი კაცი, თხუთმეტი წლით უფროსია (ტასო მამს სათვალეს იკეთებს).

**ტასო:** — იყოს მერე. არ ჯობია, ჩემი ძმარი ჩემზე ოცი წლით უფროსი იყოს და... აი, სათვალე?! უჰ! ჩემი სათვალე რომ მიკეთია, თავბრუ მეხვევა. იცი, რატომ? (რეკავს მამს მოზილურნი.)

**მამი** (ფეხზე წამოდება): — დამლოცეთ, მეუფა... კარგად, თქვენ? როგორ ბრძანდებით? დიას, ბირეკავდით, მეუფა... მართლა?! კი, კი, ღვთის მაღლით (მამი იქაურობას ეცლება). მეუფა, ერთ საკითხზე მიხდოდა თქვენთან კურთხევა ახელო... (ტასო ჩართავს თავის მოზილურს და იწყებს რეკავს, თანდათან ანერვიულდება. მამი ბრუნდება.)

**ტასო:** — ერთი, ჩემთან დარეკე.

**მამი:** — რა იყო?

**ტასო:** — დარეკე, დარეკე.

**მამი** (კრეფს ნომერს და, როგორც ჩანს, ვერ უკავშირდება): — მეუფამ კურთხევა მომცა. დიდად ნუ ჩაერვი სხვის საქმეებში, მაგრამ, რახან უკვე წახვედი, დააწყნარე, სვალ თორმეტ საათზე ტაქარში გველოდება.

**ტასო:** — მე ველოდება?

**მამი:** — შენ რა შუაში ხარ? მე და მაგ შენ ნუცას. ვეღარ გაიღვიძა ამდენ ხანს?

**ტასო:** — აი, ეგ მიხდოდა, მაგისტრის დამოგვიყვანა. უჰ, დავისკენე, აი, ეგ მიხდოდა. რათვალე, რომ შენ შენი მისია შესრულებული გაქვს. რომ არ დამოგვიყვანე? შეიძლება, არ დამოვიდეს, იცი?

**მამი:** — რას ჰქვია არ დამოვიდეს?! ეხლა ეპისკოპოსი მატყუებინა.

**ტასო:** — ყველაფერი მოუყვი?

**მამი:** — მოვუყვი?!.. ჰე! არ დამოვიდეს? ეგ ვინ არის?

**ტასო:** — რა მოუყვი?

**მამი:** — რაც შენ მითხარი, ის მოვუყვი.

**ტასო:** — რა თქვა?

**მამი:** — ხომ მითხარი, სვალ თორმეტ საათზე გველოდება.

**ტასო:** — მე დამოვიდე?

**მამი:** — შენზე არ უთქვამს.

**ტასო:** — მაინც, რა მოუყვი?

**მამი:** — რაც შენ მითხარი... შენ ცოტა ხომ არ...

**ტასო:** — მაკლია! უბრალოდ მაინტერესებს, იმას რა ენაზე ელაპარაკები, ან რამე ხომ არ გამომგჩა. არ შეიძლება?

**მამი:** — ჩემი მებოზრის მებოზარია-მეთქი.

**ტასო:** — სწორი ხარ.

**მამი:** — მე რომ არ ვიცნობ, არ მითქვამს.

**ტასო:** — მოატყუე?

**მამი:** — არ უკითხავს და რა საჭირო იყო?

**ტასო:** — მერე?

**მამი:** — ძმარი ჰყავს, ოჯახი აქვს და ახლა ვიღაც ქალი აჩენს მისი ძმარისგან ტყუპ ბავშვებს-მეთქი.

**ტასო:** — არ უთხარი, რომ დღე-დღეზე?

**მამი:** — მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

**ტასო:** — აბა, რას აქვს მნიშვნელობა? შეიძლება, უკვე გაჩენილებიც არიან. მე არ ვიცი, ნუცას აღგილას... შეიძლება, მე აქვე მოვკვდებოდი, დედას ვფიცავარ, გული გამისკდება და ასპროცენტიანი.

**მამი:** — ისე, რატომ გადაწყვიტე, რომ მაინც შენ გააგებინო. შენზე ახლოპელი არავინ ჰყავს?.. ან მე რა შუაში ვარ საერთოდ? არ ვიცნობ ქალს.

**ტასო:** — იმიტომ, რომ შენ შეგიძლია მერე სხვანაირად დააწყნარო, შენებურად: ნუთისოფელი... აგაოება... რამე...

**მამი:** — ქალიან უყვარს ეს თავისი იდიოტი ძმარი?

**ტასო:** — რა ვიცი, მგონი, არ გიჟდება.

**მამი:** — მაშინ რა პრობლემაა?

**ტასო:** — შეიძლება არც არაფერი, ეგეთი ნიჭიერი და ეგეთი დამოუკიდებელი მე რომ ვიყო... იცი, რა სანიტორებს ვილაცაა? გარეგნობითაც რაღაც ისეთია.

**მამ:** — აქ რატომ ჩამოვიდა? შეიძლება იცის და არ იმჩნევს, თან თუ ეგეთი მაგარია?!

**ტასო:** — არ არსებობს, არაფერიც არ იცის. არ შეიძლება ერთი კვირა მოგახს თავი დააღწიო? ისე ჩამოვიდა, რა?!

**მამ:** — არ შეიძლება!

**ტასო:** — შენ ვინა ხარ?! რატომ არ შეიძლება, ძალი შემოქმედია, უნიჭიერისი. იქნებ, როგორ მოაწვას ეს გუზები. აუცილებლად სახლში უნდა ეგდოს და იმ შენი, რა ქვია, ხელები რომ გადაიტყავა რეცხვისსაგან?

**მამ:** — აბა, როგორ გინდა?! ეგრე სად არის?! თუ ყოფ თავს ამ უღელში, გოლომდე უნდა შეყო! „მოაწვა?!“ თუ მოაწვა, შეიძლება გაეხარდეს კიდეც, მაგის ნაძირალა ქმარი რომ ნავიდეც.

**ტასო:** — არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ შენ მაინც მზად უნდა იყო ყველაფრისთვის.

**მამ:** — მე არ ვიცი, მეუფე ეტყვის. ხვალ თორმეტ საათზე მივალთ და ყველაფერს ეტყვის. თვითონ ჰყავს შვილი?

**ტასო:** — კი, კაცო, ორი ბიჭი ჰყავს — თერთმეტის და ოთხი წლის.

**მამ:** — აქ რა უნდა? საიდან?

**ტასო:** — ამის ცოლის დაქალია. ხომ გითხარი, ვისიც არის ეგ აბარაკი — ჩახტაურის.

**მამ:** — რომელი ჩახტაურის, იმ ჩახტაურის?

**ტასო:** — აბა, რას ბიხსნიდი ამდენ ხანს?

**მამ:** — ნახე, თურმე, სად მიდის ამდენი? ეს მართლა რას ექახინან? — „გრანტივარია“.

**ტასო:** — იცი, რა კარგი კაცია?!

**მამ:** — ხელა არ დამცენტრო!

**ტასო:** — მე კი არ ვიცნობ, ერთხელ ინტერვიუზე ვიყავი და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**მამ:** — ჩახტაურმა დატოვა კარგი შთაბეჭდილება?! აბა, რას იზამდა, ცუდი შთაბეჭდილებით ხომ არ გაუშვებდა შენაირ ძლიავ ჟურნალისტს?! გაჭამა, გასვა და მეტი რა გინდათ ამ ჟურნალისტებსაც, თანაც აუზშიც გაბიცურავს, ჰე!

**ტასო:** — ოო, არ გინდა, რაა.

**მამ:** — იცი, რას გეტყვი?! ეგ თუ მართლა იმ კიკიმორას დაქალია, ჩახტაურის კიკიმორა ცოლის, მე ვერაფერს ვუშვებ. ეგ რომ მცოდნოდა, არც წამოვიდოდი, ფეხსაც არ გაგმობდებოდი.

**ტასო:** — რა, იცნობ?

**მამ:** — ეგლა მაკლია?! ჩემგისთვის არ მცალია. ჩახტაურის გასაცნობად ვივლი... ჰე! ეგ მცოდნოდა. მეუფესთან რომ არ ვიყო შეთანხმებული, სწავროდ ავდგებოდი და ნავიდოდი.

**ტასო:** — გაბიჭდი? კაი, გთხოვ! მასე არ შეიძლება. ნუცას ბაიციანო და მიხვდები, რომ, აი, ეგეთია! ეგეთი აღამიანი... აუუ, ერთი აზრი მომივიდა, მე გგონი გენიალური აზრია, რა თქმა უნდა.

**მამ:** — აბა, ბრძანე.

**ტასო:** — ხო არ ჯობია, ეს ამბავი პირდაპირ მეუფემ შეაპაროს.

**მამ:** — რაა? მეტი დარდი არა აქვს მეუფეს, ვილაც ნუცას თავისი ხურუშინანი ქმრის ამბავი აპაროს. მართლა როგორ გაკლია?

**ტასო:** — პრინციპში, სწორი ხარ!

**მამ:** — ის ძალი ახალგაზრდაა? ვინ არის?

**ტასო:** — არ იცი მარინა? ორი წელია ნუცას სახლში... როგორ გითხრა, მოკლედ ნუში დაჰყავდა სკოლაში, ტენისზე, მოსამსახურის პონტში იყო, რა?! საჭმელსაც აკეთებდა.

**მამ:** — მე მაგას არ გაკითხვები, ახალგაზრდა თუა და ლამაზი?

**ტასო:** — მე რა ვიცი, ორჯერ მყავს ნანახი, ცოცხით ხელში.

**მამ:** — იცი, რას გეტყვი? ის აღამიანი თავისი შრომით შოულოვდა ლუკმავურს და ნუ დასცინი. ახლა ყველაფერი გასაგებია. ჩახტაურის ცოლის დაქალი, ნიჭიერი, ამბიციური... ხედავ, კაცმა ვინ აირჩია? — მოსამსახურე!

**ტასო:** — კარგი ახლა, ნუ გარეკე, ბაიციანო ნუცას და...

**მამ:** — არ მინდა გაცნობა, უკვე ვიცი, ის საწყალი კაცი რა დღეშიც იქნებოდა. მაგიტომაც ნავიდა სახლიდან. თუ ჯერ არ წასულა?

**ტასო:** — რა ვიცი, შეიძლება ნავიდა კიდეც. ისევ არ პასუხობენ, რაღაც მოხდა.

**მამ:** — დაწყნარდი, ნუ ხარ ბიჭი! (რეკავს.)

**ტასო:** — არ იღებენ?

**მამ:** — ჰო, არ იღებენ.

**ტასო:** — მე უნდა ნავიდე.

**მამ:** — აქედან რით ნახვალ, მანქანა საღამომდე არ მოგვპატიხვას.

**ტასო:** — არა, ვერ გავჩერდები, ვარინანტი არ არსებობს, იქ რაღაც მოხდა.

**მამ:** — სუფთა გიჟი ხარ! მაშინ მეც წამოვალ.

**ტასო:** — გული მიგრძნობდა, რომ იქ რაღაც მოხდებოდა... კი! ნეტა ცოცხალი დამხვდეს.

**მამ:** — შენ მართლად სამკურნალო ხარ. რის ცოცხალი, რა ცოცხალი?

**ტასო:** — არა, მაგაში გათანხმები. სამკურნალო ვარ, მაგრამ იქ მაინც რაღაც მოხდა. ჩაი გადაიხსნაო, ისე მითხრა, შეიძლება, შემომავარა, ა?! სინამდვილეში კი...

**მამ:** — დეწყნარდი!

**ტასო:** — ვერ დავწყნარდები... მივდივარ, უნდა ნავიდე.

**მამ:** — მაშინ მეც წამოვალ.

**ტასო:** — არა, გამუდმები, შენ ხომ გინდა, რომ დავწყნარდე? ნუცას დაელოდე, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა.

**მამ:** — რა სისულელეს ამბობ? ძალს სავართოდ არ ვიცნობ, პირველად უნდა შევხვდე და რაღაც მაინცდამაინც მე ვაჯახო. მე რა შუაში ვარ?!

**ტასო:** — კი, გათანხმები, ეს ყველაფერი მე უნდა მეთქვა, მაგრამ, ხო გესმის, ახლა ჩემს თავსაც, მგონი, რაღაც საშინელება ხდება.

**მამ:** — ჰოდა, თუ მასეა, შენთან წამოვალ.

**ტასო:** — აა, არავითარ შემთხვევაში, თანაც მეუფე! ხომ არ დაგავიწყდა მეუფე? კი მაგრამ მეუფეს ატყუებ?

**მამ:** — არ გინდა ახლა, მოკლედ მე მგონია, რომ „ასეთი განსაცდელის ჟამს“ შენს გვერდით უნდა ვიყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იქ ჩავალთ და არც ეგახსოვრებათ, ვის ჩაი გადაიხსნა და ვის...

**ტასო:** — აბა რაა?! მე ვერ დავწყნარდები, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ ვატოს, თორემ, რა თქმა უნდა, აბა რაა?!

**მამ:** — მართლად როგორ გაკლია?!

**ტასო:** — შეიძლება, ოცდაათი წელი მაგ ფრახას ამბობდე და სულ ეჭვი გეპარებოდა?! მაკლია, რა თქმა უნდა, მაკლია.

**მამ:** — არსადაც არ მოვდივარ, ძლივს გამოვცდი იმ მტვერს და გულს.

**ტასო:** — აბა რაა?! ნეტა მე შეამძლოს დარჩენა, ნახე რა საოცრებაა?!

**მამ:** — არავის არაფერსაც არ ვეტყვი, დამიტოვე სიგარეტი?!

**ტასო:** — რა თქმა უნდა (სასწრაფოდ დებს).

**მამ:** — საღამომდე ხომ ჩამოეთრები?

**ტასო:** — აბა, რას ვიზამ?!

**მამ:** — რა ჰქვია იმ შენს დაქალს?

**ტასო:** — ნუცას? ნუცა!

**მამ:** — მე რა შუაში ვარ, მაინც ვერ გავიგე.

**ტასო:** — არაფერ შუაში არ ხარ, მაგრამ, ეტყობა, ასეთიან უფლის ნება, მეუფესაც ვერ გადააბდე?!

**მამ:** — რა უფლის ნება, შენ...

**ტასო:** — არ ვშაყირობ, შენ თვითონ არ ამბობ, ყველაფერი უფლის ნებით ხდებაო.

**მამ:** — მერე, რა გნებავს? დიანაც, ხდება!

**ტასო:** — ჰოდა, ეს მისია მართო შენ დაგეგმისრა, რა ვქნა.

**მამ:** — ოჰ, მეც რას ვნერვიულობ... დავინახავ თუ არა, ბარემ ეგრევე ვაჯახებ, შენმა ქმარმა გიღალატა-მეთქი, რაც მოუვა, მოუვა. თუ ეწყინა, აგერ აუზი და ისევე უქნია, თავით...

**ტასო:** — გაგიჟდი? შენ მაგას არ იზამ! შენ რომ არ ყოფილიყავი, მე შეიძლებოდა...

**მამ:** — თავი მოგეკლა, არა?! ვაი, შენს პატრონს! დიდება უფალს, მე რა შუაში ვარ?

**ტასო:** — დიანაც, შენ გამომიყვანე მდგომარეობიდან. ვატო რომ გავაჩინე, შენი დამსახურებაა, თორემ მე იმ დღეს აპორტს გავიკეთებდი.

**მამ:** — თავი მოგეკლა, არა?! ვაი, შენს პატრონს!

**ტასო:** — ასე რომ არ ვფიქრობდე, უფრო სწორად, დარწმუნებული რომ არ ვიყო, შენ კი არა, მაცოცხალე ნამოვიყვანდი და ახლა უკვე ყველას ყველაფერი ეცოდინებოდა.



**მამ:** — ასეც უნდა მოქცეულიყავი, შეგეხალა არჩევანი.

**ტასო:** — აი, ამ ერთხელ... და მე თუ ჩემს ცხოვრებაში, მე თუ ჩემს ცხოვრებაში...

**მამ:** — ვიცოდე მაინც, რა უნდა გავაკეთო, არაფერზე შევთანხმებულვართ და ახლა...

**ტასო:** — მე ვიცოდი, რომ ასეთი უბედურება დამატყდებოდა? ვიცოდი?

**მამ:** — რა უბედურება?

**ტასო:** — გავშვება ჩი ბადანისა, ადულტული ჩი, ამისათვის არ დამირეკავდა, გენის... ვაიბე?! მანქანის ხმა, არა?! კი! გავიქეცი, თორემ, ვილაც ბადის...

**მამ:** — რა მანქანა? ეს მართლა მიდის?!

**ტასო:** — კი, მანქანა, აბა, შენ იცი, როგორ დაამშვიდე ნუცას. რამე უთხარი, უთხარი, ეს ნუთისოფელია-თქო, მარადიული ცხოვრება იქ იწყება, აქაურს არაფერს ფასი არა აქვს, ამოიბაბა...

**მამ:** — რაა?!

**ტასო:** — ეკლესია, მოქალაქე... გეუფა. ერთი ნუთით დაგელოდეთ, თუ შეიძლება?! (ხელს აუწევს ვილაცას და თავაქუდმოგლებილი გაიქცევა, მამაც დააპირებს, რომ გააქიდოს. დახეული ჩანთას წამოაგლებს ხელს, ჩანთა ვარდება და ყველაფერი ძირს იყრება, დინუებს წამოკრეფას, მამამ მანქანის ჩავლის ხმა გაისმის. ნივთებს ჩანთაში წყნარად ჩააწყობს, მერე საათზე დაინახავს, შეცვება, ლოცვების წიგნს ამოიღებს და იწყებს რუმად ლოცვას.)

\*\*\*

(შემოდის ნუცა, აუზიდან ახალი ამოსულია, თმებს იმგრავებს, ნახატ თან მივა. მამს შეამჩნევს და გაჩერდება. ინტერესით უყურებს დიდხანს, სულგანაბული. მერე ფურცელს აიღებს და რაღაცას ჩინებავს. ამასობაში მამ ლოცვას ამთავრებს, რამდენიმე მუხანისა გააკეთებს და შემოტრიალდება, ნუცას დანახვაზე შეცვება, ნუცა ფუნჯს აიღებს და საკუთარ პერსონალს შეხედავს.)

**ნუცა:** — უკაცრავად.

**მამ:** — არა, რას გრძნობთ, პირიქით.

**ნუცა:** — რაღაც ცუდად დაგადაქით თავზე?

**მამ:** — პირიქით, მე გმონი, მე შემოგაჭარით თქვენს...

**მოსამსახურე** (შემოდის სინით ხელში): — რა მოგართვით? ნაყინს ხომ არ იწებებთ?

**ნუცა:** — მე ყავა თუ შეიძლება და ვისკი.

**მოსამსახურე:** — ახლავე.

**ნუცა:** — შაქარი ნახევარი კოვზი.

**მოსამსახურე:** — ვიცი, მასხროვს, თქვენ?

**მამ:** — ჩი.

**მოსამსახურე:** — რომელი?

**მამ:** — რომელი? ჩვეულებრივი, ოღონდ უშაქრო.

**მოსამსახურე:** — ახლავე მოგართმევთ (ბადის).

**მამ:** — ეს თქვენი ნახატი?

**ნუცა:** — დიახ.

**მამ:** — გასაგებია.

**ნუცა:** — გატონო?

**მამ:** — არაფერი, ისე... ადრე მეც ვხატავდი.

**ნუცა:** — ა? მერე რატომ დაანებეთ?

**მამ:** — სად მცალია, ეს ადრე! ვერტოპოდი.

**ნუცა:** — აა?! კარგია, არა, აა?! ვგიჟდები აქაურობაზე.

**მამ:** — კარგია. დიდი ხანია, რაც აქ ხართ?

**ნუცა:** — ერთი კვირაა დაახლოებით... ჰო, დაახლოებით კი არა, ზუსტად.

**მამ:** — მერე, არ მოგპოვრდებ?

**ნუცა:** — არა, რა უნდა მოგპოვრდეს? ძლივს დავაღწიე თავი იმ საშინელებას.

**მამ:** — საშინელებაში რას გულისხმობთ?

**ნუცა:** — რა ვიცი; სახლი, სამსახური, ძმარი...

**მამ:** — ჰე!.. ბავშვები არ გყავთ?

**ნუცა:** — როგორ არა, ორი. ერთი პირველი ქორწინებიდან, მეორე...

**მამ:** — მეორე — მეორე ქორწინებიდან.

**ნუცა:** — არა, ვერ გამოიცანით... მესამე ქორწინებიდან.

**მამ:** — ყოჩაღ! კარგად მოგიხსენიათ.

**ნუცა:** — რა მოსწრება უნდა?

**მამ:** — რატომაც არა, ზოგი ერთსაც ვერ ახერხებს.

**ნუცა:** — კანი, რაა?! ბათხოვებაზე ადვილი რა არის. თქვენ არა ხართ ბათხოვილი?

**მამ:** — ნწუ, ბავშვები სად არიან ახლა?

**ნუცა:** — ბებინასთან არიან, დედაჩემთან სტუმრად (შემოდის მოსამსახურე და სინით შემოაქვს ჩაი და ვისკი).

**მოსამსახურე (მამს):** — უკაცრავად, თქვენი სახელი არ ვიცი?!

**მამ:** — მამ.

**მოსამსახურე:** — ხომ არ ისაუბრებდით, ძალბათონო მამ?

**მამ:** — არა, არ მშია. გგაღლობთ (მოსამსახურე გადის).

**ნუცა:** — მამ კარგი სახელია. მე ნუცა მძვია.

**მამ:** — ნუცასაც არა უშავს.

**ნუცა:** — აქ რჩებით?

**მამ:** — ჯერ არ ვიცი, ვნახოთ.

**ნუცა:** — ასე ვერსად ვერ ვისვენებ. ყველანაირი პრობლემა მავიწყდება. ერთადერთი, ზედმეტი ყურადღებისგან შეიძლება შენუხდე, ეგ არის.

**მამ (წამოღებუა და ნახატთან მიდის):** — კარგია, მომწონს... მაგრამ თითქოს რაღაც აკლია, თუ დასამთავრებელია?

**ნუცა:** — ჯერ არ ვიცი.

**მამ:** — ყოჩაღ, რომ ამხელა ოჯახის პატრონი ამდენი ხნით განცალკევებას ახერხებთ.

**ნუცა:** — რომ არ წამოვსულიყავი, ალბათ, გავაფრენდი. აი, აქ მძინდა ყველაფერი.

**მამ:** — ძმარიც მოგბეზრდათ?

**ნუცა:** — აბა? პირველ რიგში, მისგან ვისვენებ.

**მამ:** — დავიჯერო, რომ გულწრფელი ხართ, რასაც ამბობთ?

**ნუცა:** — რა არის ამაში დაუჯერებელი?

**მამ:** — წინა ძმარებზე ასე გბეზრდებოდით? უკაცრავად, რომ გაგიშინაურდით.

**ნუცა:** — არა, სულაც არ მიკვირს. ერთი მეგობარი მყავს, ისიც თქვენსავით გასათხოვარია და რაღაცით იმას მაგონებთ.

**მამ:** — თუ განუხებთ, საერთოდ გავჩუმდები.

**ნუცა:** — არა, მართალი გითხრათ, რომ მაღიზიანებდით, პირდაპირ გეტყვოდით. ისე, მე თვითონ მომიხდა, რომ დაგკონტაქტებოდით.

**მამ:** — რატომ, აქაც მოგბეზრდათ?

**ნუცა:** — არა, ისე.

**მამ:** — ესე იგი, ბათხოვება ადვილიაო, არა?

**ნუცა:** — ჰო, რა ვიცი, მე არ გამჭირვებია. ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებთ.

**მამ:** — კანი, რახან უფლება მომეცით, რაღაცეებს მაინც შეგეკითხებით, შეიძლება?

**ნუცა:** — შემთხვევით, ჟურნალისტი ხომ არ ხართ?

**მამ:** — არა, დედაჩემი დამიფაროს, ვერ ვიტან ამ პროფესიას.

**ნუცა:** — აბა?

**მამ:** — არქეოლოგი.

**ნუცა:** — მკითხეთ, რაც გინდათ.

**მამ:** — პირველი ოჯახი რატომ დაგინებრათ?

**ნუცა:** — პატარები ვიყავით, მერე იმას საზღვარგარეთ მოუხდა ცხოვრება. მე კი — არა. მოკლედ, თითქმის უმეტყველოდ და უკონფლიქტოდ დავცვილდით.

**მამ:** — არ გიყვარდათ?

**ნუცა:** — ფაქტი მახსოვს, გრძნობას ვერ ვიხსენებ.

**მამ:** — კარგი, ამას ისევ დავუბრუნდები. მემო?

**ნუცა:** — ავარიანი დაიღუპა.

**მამ:** — უკაცრავად, მაპატიეთ. ალბათ, დიდ დროს ვიხსენებ...

**ნუცა:** — კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ბოლოს თითქმის აღარაფერი გვქონდა, სვამდა ბევრს.

**მამ:** — ახლა გადნიერი ხართ?

**ნუცა:** — ნამდვილად ჟურნალისტი ხართ და...

**მამ:** — დავიფიცო?

**ნუცა:** — თუნდა, ასე იყო. ბოლო ორი წელი ვეუბნებოდი, დავცილდეთ-მეთქი და ვერაფრით დავითანხმე განქორწინებაზე. ბოლოს ორი უცხო ადამიანი ვცხოვროვებდით ერთად.

**მამ:** — მე მესამეა გკითხეთ.

**ნუცა:** — მესამე მემო რას სიცოცხლეში გახდა ჩემი საყვარელი. ამიტომაც, ძმის გარდაცვალება უფრო სინდისის ქნა იყო, ვიდრე ტკივილი.

**მამ:** — ღალატობდით?

**ნუცა:** — თუ ამას ღალატი ჰქვია?.. გარკვევით ვუთხარი, რომ ჩვენ ერთად არასოდეს აღარ ვიქნებოდით და მხოლოდ ამის შემდეგ...

**მამ:** — ესე იგი, ქალიან გიყვართ თქვენი ქმარი (ნუცა სიბარეტს უკიდვებს). რა, არა?

**ნუცა:** — რა ვიცი. ქალიან ცნობისმოყვარე ყოფილხართ.

**მამ:** — რატომღაც დავინტერესდი, შემოძლია გავჩუმდე.

**ნუცა:** — არა, არა, გააბრძლიეთ.

**მამ:** — ისე აღარ გიყვართ?

**ნუცა:** — არ ვიცი, რა ჰქვია ამ მდგომარეობას, მაგრამ აქ მართო კარგად ვარ.

**მამ:** — რა? ერიჰა?!  
**ნუცა:** — რა იყო?

**მამ:** — არაფერი. ესე იგი, როგორც გავიგე, მართო უკეთესად გრძნობთ თავს, ვიდრე ქმართან.

**ნუცა:** — ახლა, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ასეა.

**მამ:** — ქალიან კარგი.

**ნუცა:** — რატომ არის ქალიან კარგი?

**მამ:** — ისე ვთქვი. მე, როგორც განსათხოვარს, რაღაც ჩემი...

**ნუცა:** — განსათხოვარს, თუ ქალიშვილს?

**მამ:** — ამას მნიშვნელობა აქვს?

**ნუცა:** — თუკი ჩემს შესახებ ამდენი რამე გაიგეთ. რა, არ მინდობით?

**მამ:** — დავუშვათ.

**ნუცა:** — ისე გკითხეთ.

**მამ:** — თუ არ გაინტერესებთ, რატომ მიკითხებთ?

**ნუცა:** — ვერ წარმოგიდგინია.

**მამ:** — თქვენ ახლა რას წარმოგიდგინეთ? მე კიდევ ის ვერ წარმოგიდგინია, თუ ქმარი მიყვარს, როგორ უნდა მოგაზრდეს.

**ნუცა:** — იცი, რა?! ქმარი კი არ გზავრდება. როგორ ავიხსნა, ყოველდღიურება გზავრდება, სამზარეულო, წვრილმანები...

**მამ:** — სექსი?

**ნუცა:** — სექსიც.

**მამ:** — იქნებ, ასაკის გრძლია?

**ნუცა:** — მე წინა ორ შემთხვევაშიც იგივე დამემართა.

**მამ:** — არ გეწყინოს, მაგრამ ებეთ ქალს მრუში ჰქვია.

**ნუცა:** — არ მწყინს. თუმცა ვერ ბეთანხმები. მე მრუში ის გმონია, ვინაც უსიყვარულოდ აქვს სექსი.

**მამ:** — მაგაში კომპატიენტური ვერ ვიქნები. ისე, მაინც მოგაზრების მთავარი მიზეზი, როგორც გავიგე, ყოველდღიურებაა, არა?

**ნუცა:** — არა, ეგ მემო რას ხარისხობენია.

**მამ:** — იქნებ ჩემს ენაზე ამიხსნათ?

**ნუცა:** — ამის გაგებას დიდი გამოცდილება არ სჭირდება. აი, დავუშვათ... შენს წარმოსახვაში ხატავ ასე თუ ისე სრულყოფილ ადამიანს. მერე აღმოჩნდება, რომ ეს ზედმეტია, მას არ ეკუთვნის, არც ეს და არც ის. ბოლოს ან რაღაც არ შემდგარი პორტრეტი შეგჩვენა ხელში, ან სულ სხვა, უცნობი

აღამიანი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ პირველთან. აქედან იწყება, როგორ აბიხსნა...

**მამ:** — გულის აცრუება.

**ნუცა:** — თუნდაც.

**მამ:** — ახლა ასე ხართ?

**ნუცა:** — თითქმის.

**მამ:** — აღარ გიყვართ. მხრებს რატომ იჩეჩავთ?

**ნუცა:** — არ მინატრებს.

**მამ:** — ოხ, ამ გადასარევიად ყოფილა საქმე.

**ნუცა:** — ვერ გავიგებ?

**მამ:** — მიყვარს, როცა ძაღვები ტოვებენ კაცებს (შემოდის მოსამსახურე).

**მოსამსახურე:** — ძაღვატონო ნუცა, ექიმი მოგვამდა.

**ნუცა:** — ახლავე მოვა-თქო, გადაეცით.

**მამ:** — ვინ ექიმი?

**ნუცა:** — ოო, ამ სრულყოფილი სერვისია, არ იცოდით? ერთი წამომცდა, ცუდად ვარ-მეთქი და ვეღარ მოვიშორე.

**მამ:** — რა გჭირთ?

**ნუცა:** — არაფერი. ისე, ანალიზები ამიღეს, გამოკვლევას მიტარებენ. რა მინაღვლება, რიგში არ მიწევს დგომა და ფულს არ ვიხდი. ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ. უკაცრავად.

**მამ:** — კი, გატონო (ნუცა გადის. მამ აფორიაქდება და იწყებს მოგილურზე რეკვას. ვერ გადის, ღიზიანდება). ფუ, ნამდვილი დებილია, რა, ეს ტასო, რად უნდა მაგას მოგილური (ისევ აბრძობებს რეკვას. მოსამსახურეს ახალგაზრდა მამაკაცი შემოჰყვას).

**მოსამსახურე:** — აი, ამ დაელოდეთ. მალე გამოვა, ექიმთანაა.

**ტატო:** — რა მოუვიდა? ცუდად არის?

**მოსამსახურე:** — არა, ცოტა წნევა შეაწუხა.

**ტატო:** — დაბალი... ეგ იცის.

**მოსამსახურე:** — ჩვენი სტუმარი, ძაღვატონი მამ. რა მოგართვით?

**ტატო:** — არაფერი. გამარჯობათ, სასიამოვნოა... ტატო (მამ თავს დაუკრავს, ტატო საათზე იყურება, ზოლთან სცემს). დიდ ზოღიშს გიხდით, მაგრამ ცოტა დრო მაქვს და თუ შეიძლება, რომ ნუცასთან ერთი წუთით მართო დამტოვოთ?

**მამ:** — კი გატონო, ხომ მშვიდობაა?

**ტატო:** — არა, ისეთი არაფერი. მე მისი მეუღლე ვარ.

**მამ:** — ა? სასიამოვნოა (გადის, ისევ რეკვას. შემოდის ნუცა).

**ნუცა:** — ოჰ, ამ სანიღან?

**ტატო:** — ახლა მოვედი. რა იყო, ცუდად ხარ?

**ნუცა:** — არა?

**ტატო:** — რაღაც ექიმით...

**ნუცა:** — არა, ისეთი არაფერი. ცოტა წნევა მქონდა.

**ტატო:** — გავშვითან ხომ არ გილაპარაკია?

**ნუცა:** — კი, ამ დღიას.

**ტატო:** — ხო... რაღაც ვერ მოვხერხე დარეკვა.

**ნუცა:** — მითხრა, მაგას ვურეკავ და გამორთული აქვს მოგილური.

**ტატო:** — დღეს დავურეკავ.

**ნუცა:** — რა იყო?

**ტატო:** — არაფერი.

**ნუცა:** — რა არაფერი? ორი დღეა არ დაგირეკავს, მოგილურიც გამორთული გქონდა... ხდება რამე?

**ტატო:** — რა უნდა ხდებოდეს?

**ნუცა:** — რა ვიცი.

**ტატო:** — რახან... მოკლედ... არ გაკადრა, რომ სხვისგან გაგებო.

**ნუცა:** — რაა?

**ტატო:** — ოღონდ ძალიან გთხოვ, ცრემლებს გარეშე...

**ნუცა:** — გისმენ!

**ტატო:** — მოკლედ, მივხვდი, რომ... ჩვენ... მე და შენ... ყველაფერი ხდება...

**ნუცა:** — ვინ არის? ვინცნო?

**ტათო:** — მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

**ნუცა:** — პრინციპში არანაირი. თქვი, რა გინდა? ტირილს არ ვაპირებ. მით უმეტეს, სცენების მოწყობას.

**ტათო:** — ვერ წარმოვიდგინე, თუ ჩვენს შორის ოდესმე ეს საუბარი შედგებოდა. გახსოვს, ერთხელ რაც გითხარი, შენთვის მთავარი შენი საქმეა, მე კიდეც ნივთი არა ვარ — როცა გაგახსენდები?!.. რამდენჯერ გთხოვე, გაგაფრთხილა... მარტო ჩემი ზრალი არ არის.

**ნუცა:** — არც ჩემი.

**ტათო:** — ვიცი, რომ აზრი არ აქვს ახლა...

**ნუცა:** — რა გინდა, მე არ გიჭერ. წადი, სადაც გინდა. ოღონდ ერთს გთხოვ, გავშვთან რაღაც ისე მოაგვარე, რომ... ხომ ხვდები...

**ტათო:** — ვეცდები... კარგი... ნავედი...

**ნუცა:** — ისა... მე სახლის გასაღები არ წამომიღია.

**ტათო:** — ა, ხო, აი... კარგად.

**ნუცა:** — კარგად! (ტათო გადის. შემოდის მამო. ააუზა დიდხანს) იცი, ვინ იყო?

**მამო:** — ვიცი, მითხრა, ჰმ!..

**ნუცა:** — რა გითხრა?

**მამო:** — ნუცას ქმარი ვარო.

**ნუცა:** — მართლა?.. უკვე ყოფილი, რატომ არ გაგიკვირდით... რა, იცოდით?

**მამო:** — კი, სამწუხაროდ. მე ტანოს მეგობარი ვარ. ტანოც ჩემთან ერთად ჩამოვიდა, მაგრამ მერე დაურეკეს და სასწრაფოდ გაიქცა.

**ნუცა:** — აა? სახლში მოხდებოდა რამე უბედურება მაგასთან.

**მამო:** — ჰო, სწორედ ასე იყო! გეტყობა, შენც კარგად იცნობ.

**ნუცა:** — მერე, მერე?

**მამო:** — რა მერე? მერე?

**ნუცა:** — ერთი მომიყვები, შენ რა იცი?

**მამო:** — რაღა მნიშვნელობა აქვს?

**ნუცა:** — როგორ? არ უნდა ვიცოდე, ჩემი შვილის მამა ვისთან მიდის? კაი, მითხარი, რაა?

**მამო:** — შენ, მგონი, მართლა არ გწყენია ეს ამბავი?

**ნუცა:** — ვინ არის?

**მამო:** — ეჭვითაც არ გიფიქრია?

**ნუცა:** — არა. ისე, ამ ბოლო ხანს რაღაც თვალეზვი ვერ მიყურებდა. ალბათ, ის ახალი თანამშრომელი... რაღაცას ამბობდა, იზაბელ აჯანის თვალეზვი აქვსო? გამოვიცანი? მგონი ელა ჰქვია? ჰოო? მაშინვე შევატყვე, ისეთი ალტაცებული ყვებოდა. ერთი ამ ბებრუხანას უყურე? ის ბოგო, მგონი, სტუდენტია, კი — ნამდვილად...

**მამო:** — ნუ!

**ნუცა:** — რაა?

**მამო:** — ვერ გამოიცანი, ფანტაზია არ გეყოფა.

**ნუცა:** — კაი, თქვი, რაა?

**მამო:** — მარინა!

**ნუცა:** — ვინ მარინა?

**მამო:** — ვის იცნობ მარინას?

**ნუცა:** — არ ვიცი. ვერ ვიხსენებ.

**მამო:** — მარინა, მარინა არ ჰქვია, თქვენთან რომ დადიოდა სახლში?

**ნუცა:** — ვინ მარინა, ჩემი შვილის ძიძა? ხომ არ გაგიჟდი?

**მამო:** — დიახ, დიახ, უნდა იცოდეთ, ყველას რომ უშვებთ სახლში! ცოტა ასაკოვანი ძალი მაინც აირჩიეთ.

**ნუცა:** — არ არსებობს, ჯერ ერთი, მარინა 5 წლით უფროსია ჩემზე.

**მამო:** — დიახ, ყველაფერი ვიცი.

**ნუცა:** — თანაც...

**მამო:** — იქნებ ახლა თანაც... თანაც კი დაგანერა ქმარი და...

**ნუცა:** — არ არსებობს, კაი არ გადამრიო (ინწყებს სიცილს).

**მამო:** — იცინე ახლა, რამდენიც გინდა.

**ნუცა:** — აა, ენდე ამ ძალიშვილებს?

**მამ:** — ვინ ქალიშვილებს?

**ნუცა:** — ისიც ასე, შენსავით ამგობდა. ამგობდა კი არა, ტირილით გასკდა, ქალიშვილი უნდა მოვკვდიო... უოჯახოდო.

**მამ:** — არაფერი უოჯახოდ, ბავშვსაც ელოდება თურმე ეგ შენი მარინა...

**ნუცა (ისევ იცინის):** — ტასო მალე მოვა? ახლა მაგარ განცდება იქნება?! არა?!

**მამ:** — აბა?! გული უსკდება, მე არ იცი, რატომ წამოვიყვანა?

**ნუცა:** — რაღაცას გამოიგონებდა.

**მამ:** — თავს რამე არ აუტყოს, შენ შეგიძლია დააწყნარო, ასეთ სიტუაციაში მეტი ვერაფერია უშველისო.

**ნუცა (იცინის):** — კაი, რა?!

**მამ:** — თურმე დასაწყნარებელი იქით ყოფილა ტასო (ხარხარებენ).

**ნუცა:** — ოჰ, რა ვქნა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. მეტი ტვინი თუ არა აქვს, რომ იმ საცოდავ მარინასთან მიდის... ფუუუუ... ყველაფერს წარმოვიდგინდი ამის გარდა... ყველაფერს. მარინა რა შუაშია. ეს არის და...

**მამ:** — რა შუაშია? რა შუაშია? რა შუაშია და, ეტყობა, ტოვებდი ასე კვირამხრით მართო და ისიც კაცია. ვინც მოეფერა და სითბო დაანახა, ის მოუნდა.

**ნუცა:** — კაი რა?! ჩემგან სითბო აკლდა?!

**მამ:** — აბა, ეს ნორმალურება? ქალი ერთი კვირით რომ ქმარს დატოვებ და კარგად გრძნობ თავს, კიდეც კარგი, სანამ ამ ამბავს ბაიბაბი, მანამ მითხარი. ასე არ იყო? ისე, ეტყობა, გრძნობდი?!

**ნუცა:** — არა, დედას ვფიცავარ.

**მამ:** — რატომ, კი მაგრამ?

**ნუცა:** — რა უნდა მეგრძნო, იქით მიწყობდა სცენებს, არ გიყვარვარო, შენ რომ მიღალატო, შენ რომ მიგატოვო. იცი, რა კონცერტების მოწყობა შეეძლო?

**მამ:** — აბა, დაგისვენია. იმ მარინას სათელაბი უნდა დაუნთო, რომ ასე ადვილად გადაგიტყრა ეს პრობლემა. სიბართლე თქვი, შენ ისეთი ხარ, ვიღაც გაყოლება გულში ჩავარდნილი.

**ნუცა:** — არა, გაგიჟდი?! (ისევ იცინის) ვაი, ცუდად ვარ... მარინა?! არ შემიძლია! ფხმამიდაც რომ ყოფილა!

**მამ:** — რა უნდოდა ამ ტასოს, რას მომართებდა? კი, კარგად გავერთე... მე არ მომიტანენ ვისკის, რამე რომ იყო?

**ნუცა:** — კი კაცო. ინგა! ერთი წუთით! (შემოდის მოსამსახურე) თუ შეიძლება, ჩემთვისაც ბაიბაბი ვისკი და მაოსაც მოუტანე.

**მოსამსახურე:** — ახლავე მოგართმევთ.

**მამ:** — ერთი ბუტირბროდიც წამოაყოლე.

**მოსამსახურე:** — რის ბნებათ?

**მამ:** — შენ რაც გინდა, სულერთია.

**ნუცა:** — ჰმ, კარგია! რაც ხდება, ყველაფერი სასიკეთოდ ხდებაო, არა?!

**მამ:** — მე მანყნარებ? გული ხომ არ გწყდება?

**ნუცა:** — არა. ჩვენ, იცი, რა ხუთი წელი გვქონდა? არაჩვეულებრივი. ახლაც კი, სამი თვის უკან, გარმანიაში გამოფენაზე მიმიწვიეს. მანქანა ვიყიდეთ. გზადაგზა სასტუმროებში ვჩარდებოდით. ისეთი დღეები გვქონდა, საქორწინო მოგზაურობაში არ ექნება გვერს. ეტყობა, ეს ჩვენი ურთიერთობის ფინალი იყო. ამოვწურეთ.

**მამ:** — ყველაფერს წარმოვიდგინდი, ამის გარდა. მე გამისკდა გული.

**ნუცა:** — კარგი, რა... ღმერთმა უარესისგან დამიფაროს. რაც მოხდა, მოხდა. ხომ არ გაგვეცურა? თუ ერთიც ჩავარტყათ?

**მამ:** — მოიცა. (მანქანის ხმა) ტასო, კი... ნახე როგორ ითრევეს ფეხს, კვდება.

**ნუცა (იცინის):** — ოჰ-ჰო, მაგის განცდება მომცა ახლა. კაი, მე ერთს გავცურავ და შენ მანამდე იკაიფე ტასოზე (გადის, შემოდის ტასო).

**ტასო:** — რა ხდება? სად წავიდა ნუცა, რატომ გაუშვი?

**მამ:** — ჯერ შენ მოყვი, რა ხდება დამწრობის ცენტრში?

**ტასო:** — იდიოტია ჩემი ქმარი, არც არაფერი! კაი, რა დროს ეგ არის?

**მამ:** — იცის ყველაფერი.

**ტასო:** — ეგ კი ვიცი! ის ვაჟბატონი შემხვდა. მითხრა, მგვიდობით დავცილდითო. სად წავიდა ნუცა?

**მამ:** — გავცურავო.

**ტასო:** — რა ვუთხრა?

**მამ:** — რა უნდა უთხრა, ძალი მშვენიერ ხასიათზეა.

**ტასო:** — სერიოზულად?

**მამ:** — აბა?! მართლა მამბარია... ან არ ვიცი.

**ტასო:** — ხო გუბნებოდი. ახალი ამბავი გითხრა?

**მამ:** — კიდეც, კაცო?

**ტასო:** — ტყუპები შეეძინა, გოგო და ბიჭი.

**მამ:** — რას ამბობ?

**ტასო:** — გარემ ეგვიც უთხარი.

**მამ:** — ო, შენ თუ გგონია, ძალიან ინტერესულს? ფეხებზე ჰკიდია, გგონი, იქით ეცოდება.

**ტასო:** — მიღინხართ სვალ მეუფნებთან?

**მამ:** — თუ გინდა, შენ ნაბიყვან, მაგას არაფერი აქვს დასაწყნარებელი.

**ტასო:** — წარმოგიდგინა, უცებ რომ გავიგო — ჩემი ძმარი?! არა, მე ნამდვილად ვერ გადავიტან, გაგიჟდი?

**მამ:** — მოდის...

**ნუცა:** — ტრამ-ტა-მტა-ტრამ-ტატა (სამგლოვიარო მარხს ღიღინებს და ტასოს უახლოვდება).

**ტასო:** — აი, მაგიტომ მიყვარხარ. შენ ხარ ჯიბარი, უმაგრესი არსება. აუუუ, ეგეთი... მოდი რა, მეც დავლევ, კაცების დედაც ვატირე, უნდა გადააბა ერთად...

**ნუცა:** — სად დამეკარგე?

**ტასო:** — ნახე, რა ფორმაშია?! შენ ახლა ხარ გასათხოვარი და სპერტოდ, ასე არასოდეს მომწონებინარ, ისეთი ხარ.

**ნუცა:** — კანი, კანი, ნუ გარეკე ახლა.

**ტასო:** — თუ რამეს ვაჭარებდე?!  
**ნუცა:** — გაუმარჯოს ჩემს ტატუნას. შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა, კედნიერად იყოს. გოლოს და გოლოს, ჩემი შვილის მამაა. ახლა მალე ჩემს შვილს კიდეც და ან ძმა ეყოლება.

**ტასო:** — ნახე, გავშვებც თანახმა ყოფილა, ამოცეპ.  
**ნუცა:** — გავშვების სანდნაღმდებო ნამდვილად არაფერი მაქვს.  
**ტასო:** — დედას ვფიცავარ, ზოგჯერ თუ არ ვნატრობდე, რომ გური სადმე ნავიდეს ან ვილაც გაიჩინოს.  
**მამ:** — ვაა, ეს რა ბიჭებში მოხვდები?!  
**ნუცა:** — ო, ო, ტექსტები ახლა ნახეთ ჩასაწერი.  
**მამ:** — ბიჭო, რა გინდა, რას ერჩი იმ ანგელოზივით ბიჭს?  
**ტასო:** — აა, აქა მყავს ეგ ანგელოზი.  
**მამ:** — როგორ უყვარს ეს დებილი და ნახე რა?  
**ტასო:** — მეც მიყვარს, მაგრამ ალარ შემიძლია. შეიძლება შვიდი წელი თაფლოებისთვის არ დუშთავრდეს კაცს? აი, აქ მყავს! უჰ, რა კარგი ხარ! ეს რა კარგი გაქვს! ის რა კარგი გაქვს! ხანდახან სარკვეში ვიყურები — რა ნახა, რა მაქვს ამისთანა. მე გგონი, მხედველობა არ უვარება, ისე მართლა ასტიგმატიზმი აქვს. ან დამცინის.  
**ნუცა:** — კარგი, გაჩერდი, ალარ შემიძლია...  
**ტასო:** — კი, ნამდვილად დამცინის. ამას წინათ ასე მითხრა, რა თმები გაქვსო. სადღა მაქვს თმები, გვექაჩლდი! აი, ნახეთ, კანი მიჩანს. მკერდიო?! ნახე, რა, ამაზე იძახის, მკერდიო! ესე იგი, გვერდზე ვერ ჩამივლია შიშით. ახლაც ხომ მივედი სახლში... ხომ გაირკვა, რომ არაფერი ხდება? მეჩქარება-მეთქი, მოიცა საქმე მაქვსო... მე ხო ვიცი, რა საქმეც აქვს?! მაგრამ ვითომ ვერ ვხვდები, თავი მტკიცა, ცუდად ვარ, ხასიათზე არა ვარ, არაფერი არ ჭრის.  
**მამ:** — დებენერატიბ, რეებს ყვება. გაჩუმიდი, გოგო.  
**ნუცა:** — მიდი, მიდი გააბრძელი, ისე არ გამოუშვებდა.  
**ტასო:** — გაკადრება?! მე მაგის ბედი ვინ მომცა? კარგად, დაუხეობინადა. გამაგებინოს, რა უნდა ჩემგან? რა დავაშავე, აქა მაქვს.  
**ნუცა:** — მეტი რაღა უნდა უნდოდეს, მიუღია, რაც უნდოდა.  
**ტასო:** — თან იცი, რეებს მეუბნება? შენნაირი ძალი არ არსებობსო.  
**ნუცა:** — ეტყობა ხარ, რას ერჩი.  
**ტასო:** — მვე?! მვე? ხე და რკინა, მიცვალეზული კუბოში.  
**მამ:** — გააჩუმი ეგ ენა, თორემ რაღაცას ჩაგცხება.

**ნუცა:** — ტასო, გააგრძელე, ჯიბარი ხარ.

**ტასო:** — სერიოზულ დასკვნებს ვაკეთებ, რომ მე მაგის პირველი და უკანასკნელი ქალი ვარ, თორემ ასე გაგიჟება? ასე დაფეთება?!

**ნუცა:** — გაჩუმდი, აღარ შემიძლია (სკდება სიცილით).

**ტასო:** — სხვა რა უნდა ვიფიქრო? რასაც მე ვუძღვებ, ტყუილად არ დაიტრაბახოს არც ერთმა ქალმა... ან როგორ შემრჩა ეს ყველაფერი, რაც მაქვს... რაც მე დღეში ვარ...

**მამ:** — დებენერათო! (ესვრის სიბარათის კოლოფს.)

**ტასო:** — ამაშია საქმე, შენ ამას ვერ ბაიბებ, ჩემო მამო (შემოდის მოსამსახურე).

**მოსამსახურე:** — რა მოგართვით?

**ტასო:** — მოიტანე ყველაფერი, რაც გაქვს.

**მოსამსახურე:** — კი ბატონო. სასმელი?

**ტასო:** — არაყი გეძნებათ.

**მოსამსახურე:** — რომელს იწებებთ?

**ტასო:** — პერცოვკა, ა? გაქვთ?

**მოსამსახურე:** — კი!

**ტასო:** — დაგლიჯა! (მოსამსახურე გადის) უჰ, ესეც ასე (გათიშავს მოპილურს), რამდენიც გინდა, რეკონ, მე ფეხის გამდგმელი აღარა ვარ აქედან. დღეს მაგრა უნდა დავლიო. მამო, შენც ხომ დაღე?

**მამ:** — ეე, როგორ გაკლია!

**ტასო:** — შენ ჩემი ეს მხარე არ იცოდნი. მაკატიე, დედაო... კაი, ხო ევანე ნუცას?! ევანე! ესეც ხომ მაგარი ტიპია? (ნუცას მათუბ) არა, მე ერთი მაგარი ნიჭი მაქვს, ნაღდად ვიცი მემოგზრების ამორჩევა.

**ნუცა:** — რას შვრება გური, გამოდის, გოლო-გოლო, თუ არა ის საქმე?

**ტასო:** — სულ მალე გამოვა... რომ გავიცანი, მაშინაც სულ მალე გამოდოდ. ჩემს ოცნებებში სულ ვაშენებ და ვაშენებ სახლებს, აგარაკებს... ჩახტაურებს დიდი ხანია გავასწარი, ვიცვლი მანქანებს, გოლო მოდებებს, აბა?! ცხრა წელია გამოდის.

**მამ:** — შენ ცხრა წელი გვირე გმონია? ესეთი გამომგონებები საუკუნეში ერთხელ ხდება, დრო სჭირდება.

**ტასო:** — გათანხმები, არ მეჩქარება... წინ კიდევ ოთხმოცდაათი წელი მაქვს, გამოვა, აბა არ გამოვა?!

**ნუცა:** — ისე თვითონაც რაღაც მორიდება.

**მამ:** — ოო, მორიდებაზე სულ ახლახან ისეთი ამბები გასკდა.

**ტასო:** — რას ამბობ, იმას როგორ სთხოვ? ეს როგორ შეიძლება?! ერთხელ ხომ უთხრა?! მაგას რა ჰგონია, იცი? ვინმეს რომ მოუყვება, დარწმუნებულია, რომ მაგის „სინათლის ბატარეის წყაროს“ გარდა სხვაზე აღარაფერზე ფიქრობენ, ელოდება და ელოდება. დიდი მეცნიერი?! ფიზიკის ამომავალი... კაი რაა?! მე ჩამოვფრინდი დიდი ხანია.

**მამ:** — კი მაგრამ, შვეიცარიელებმა ხომ მოკიდეს ხელი? შენ არ მითხარი, სპეციალურად მიკროქარხანას აშენებენო?

**ტასო:** — ფული სად არის?

**მამ:** — რა ფული?

**ტასო:** — ბავშვებს მამ მიკროქარხნით ვერ გამოვკვებავ... ვერც დედაჩემის ზოლებიანი ჩანთით და, საერთოდ, ამ გოლო დროს აღმოვაჩინე, რომ სულაც არ გამიტყდება, ჩემი ქმარი მძლოლი რომ იყოს, ან გაზრობაზე რაღაცას ჩალიჩობდეს.

**მამ:** — კარგი, არ გინდა ახლა.

**ტასო:** — არ მინდა?! მინდა! „მეცნიერი ქმარი“ არაფერში მჭირდება. ამ დიპლომს და გამომგონებას ვერ ვაჭმევ ბავშვებს.

**ნუცა:** — კარგი ახლა, შენ ისე ამბობ, თითქოს სულ მშვირები დადიოდნენ.

**ტასო:** — არ დადინა მშვირები, მაგრამ რის ფასად? სად არის ბებიაჩემის სამკაულები, ან დედამისნი?! ჩვენი ბანქოს მაგიდა და სკამები?

**ნუცა:** — ისიც გაყიდეთ?

**მამ:** — ვგიჟდებოდი იმ მაგიდაზე ბავშვობიდან.

**ტასო:** — დედაჩემი რატომ უნდა უვლიდეს სხვის შვილებს 150 დოლარად, როცა თავისი ორი შვილიშვილი ჰყავს და ჭკუა ეკეთება მათთან ყოფნაზე?

**ნუცა:** — მოიცა, ბავშვები მართო არიან სახლები?



**ტასო:** — არა! გამომგონებელი მაა ც სხლშია. კიდეც კარგი, ეგ მაინც შეუძლია, რომ ხანდახან კომპიუტერს მოსწყდეს და ტელეფონით მაცნობოს, თუ რა ახალი უბედურება დაგვატყდა თავს.

**მამ:** — ხო, კარგი ახლა, არც ასეა... რა ძნას, ვერ გავიგე, მართლა ყველა ნაძირალა ვერ გახდება.

**ტასო:** — რა შუაშია ნაძირლობა?

**მამ:** — იცი, რას გეტყვი? შენ კარგად იცი, მეც ორი დიპლომი მაქვს და ხარისხიც, სხვათა შორის. ორ ინსტიტუტში ორმოცდაექვს ლარს მაძლევენ.

**ტასო:** — შენ გაქვს მაგის უფლება.

**მამ:** — უფლება რა შუაშია?

**ნუცა:** — სწორს ამბობს, შენ შვილები არ გყავს.

**ტასო:** — ჩემო კარგო, გამომვიცხადეს, რომ სხვა სამსახურები მონახეთო.

**მამ:** — რატომ, რა? დონე არ აკმაყოფილებთ?

**ტასო:** — არა, ხურავენ ჟურნალს.

**ნუცა:** — რატომ? მე მგონი, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი კარგი ჟურნალია, ასე არ არის?

**ტასო:** — არ იყიდება. ხალხს სხვა რამე უნდა. შენ გგონია, ვინმეს აინტერესებს ახლა ეს პეიჯაჟი? (ნუცას ნახატში.)

**ნუცა:** — ნაკითხული გაქვს, ჩემზე რა წერილი დანერა?

**მამ:** — კი, წამოსვლის წინ მაჩვენა ჟურნალი.

**ტასო:** — ხომ იცი, ჩემი მებობარი რომ ხარ, მაგიტომ არ დამიწერია. მომწონს, რასაც აკეთებ და იმიტომ გამომვიდა კარგი. ეს არავის აინტერესებს... ახლა ნახე, რა ამბავი ატყდეს, თუ გაიგეს შენი და ტატოს დაცვილების შესახებ.

**ნუცა:** — მე აღარ ვიძლევნი ინტერვიუს.

**მამ:** — ნეტა მართლა ვინმე თუ კითხულობს ამდენ სისულელეს?

**ტასო:** — სისულელეს? ჩვენი მთავარი რედაქტორი უკვე გაუშვეს... ახალი მოგზაუნდა, ისეთი ნაზი ბიჭია, ვრიალ თმებით, ისეთი ტუჩებით.

**ნუცა:** — ვინ არის? რა გვარია?

**ტასო:** — არ გეცოდინება. იცი მურიკო ზიმბარიძე?

**ნუცა:** — ხო, ისე, ისეთ ხალხს ნიშნავენ... ქალაქში ხომ უნდა გმონდეს გაგონილი?

**მამ:** — მერე, მერე რა?

**ტასო:** — შეკითხვები, რომელიც აუცილებლად ყველა რეკომენდებს, ასაკისა და სქესის მიუხედავად, უნდა დავუხვებთ: მოიცა, რამე არ გამომრჩეს... (აიღებს ჩანთას.)

**მამ:** — ოო, ეს რომ ახლა ამ ჩანთაში რამეს იპოვის?!

**ნუცა:** — კარგი, ისე გვითხარი, დაგიწერებთ.

**ტასო:** — მოიცა, გლოკნოტში მიწერია (გადაფურცლავს). აი:

1. სქესის რა სახეობას ანიჭებთ უპირატესობას?
2. რამდენჯერ არის თქვენთვის წორმა დღეში?
3. რა ნიშნით ირჩევთ პარტნიორს სექსში?

**მამ:** — კარგი, გარეშდი, შენი ძირიმი.

**ტასო:** — ხო გასაგებია!? ეს საგი ნაბიკითხეთ და ასეთი... ამის გარეშე მოცი შეკითხვაა.

**ნუცა:** — შენა, შენი ამბავი ხომ არ მოგიყვლია?

**ტასო:** — რა ამბავი?

**ნუცა:** — აი, წელან მე და მამ რომ გაგვაბრუე.

**მამ:** — ნამდვილად მაგასაც მოუყვა და ჩანაწერიც და, აბა რას იზამდა.

**ტასო:** — ეეე, სამწუხაროდ ჯერ ვერ მოვასწარი... ისე, როგორ წარმოგიგებინა, სამოცდაათი წლის მუხრან დიასამიძესთან ან ანანტასინ ბოლქვაძესთან რომ მივდივარ. ეს შეკითხვები რომ დავუხვებ, გამიფანერდა ერთიცა და მეორეც...

**ნუცა:** — აბა, რა უნდა ძნე, თუ კანონი მიიღეს?

**ტასო:** — ორი გზაა: ბინდა — კი, გატონო, არ ბინდა — იქაც, კი, გატონო.

**მამ:** — მესამე გზაც ყველგან არის, არც მთლად ეგრება საქმი (შემოდის მოსამსახურე და საგორავებელი მაგიდით შემოაქვს სასამელ-საჭმელი).

**ტასო:** — ვანიმა?! ეს რაბი მოგვიტანეს?!

**მამ:** — კარგი, დანყნარდი!

**ნუცა:** — გგაძლობთ!

**მოსამსახურე:** — თუ რამე კიდეც...

**ტასო:** — არა, არა, მეტი არაფერი.

**მოსამსახურე:** — მერა ხილსაც მოგართმევთ (გაღის).

**ტასო:** — ხილიც იქნება? ძალიან კარგი, მე მოვრჩი, ჩემი პატრიოტული ვალი მოვიხადა ერის წინაშე, ახლა მგია გიჟივით.

**მამ:** — ისე, მეც მომხივია. რომელი საათია? კარგა დრო გასულა (წამოდგება, ლოცვას ჩუმად იტყვის, მათ და ტასო ჭამას შეუდგებიან. ნუცა სიბარეტს იღებს და მოუკიდებს).

**ტასო:** — არ გვია?

**ნუცა:** — არა!

**ტასო:** — ისე, მართალი გითხრა, გამოგნებული ვარ შენი და ტატოს გამო!

**ნუცა:** — კარგი რა! საერთოდ, გიკვირს კიდეც რამე?

**ტასო:** — ფაქტი კი არ მიკვირს, შენ ხარ ისეთი ტიპი, რომ ვერ წარმოგიდგენია... მოკლედ, შენ რომ მიგატოვებინა, არ გამიკვირდებოდა. პირიქით ცოტა, არ ვიცი!

**მამ:** — ზომჯერ ხომ იცი, როგორც ხდება, დასწრების მომენტიც არის.

**ტასო:** — მაგარი ხარ, დარწმუნებული ვარ, ამისგან რაღაცას იბრძნობდა, არა?! გამოტყდი!

**ნუცა:** — ჩემგან რა უნდა ეგრძნო? სულ ახლახან მანძანა ვაჩუქე.

**ტასო:** — არ იცი, ამის ორი ნახატი გაიყიდა... ისე, იმას როგორ შეელიე?!  
**ნუცა:** — სხვათა შორის, მაგრად განვიცდი, გადავწყვიტე, რომ აღარასდროს აღარ გავაკეთო ასეთი სისულელე.

**ტასო:** — იცი რა? „გე-ემ-ვე“! დაგლიჯა, შენ არ იცი.

**ნუცა:** — ერთი თვე მოვდიოდით გერმანიიდან, გზადაგზა ვჩერდებოდით სასტუმროებში, საძმორწინო მოგზაურობა მოვიწყვეთ.

**ტასო:** — მაინც გული გწყდება, არა? მაგის...

**ნუცა:** — იცი რა? ჩვენ ისეთი ხუთი წელი გვექონდა, ეტყობა, ამოვწურეთ ერთმანეთი...

**ტასო:** — არ გეწყინოს, მაგრამ ცოტა გოღვა ტიპი არ იყო?

**მამ:** — ამას რაღა უნდა ეწყინოს?

**ნუცა:** — არ ვიცი, მაგრამ...

**ტასო:** — იყო, იყო.

**მამ:** — რას გადაეკიდე?!

**ტასო:** — იცი, რა მახსოვს, შენი გამოფენის ბახსნაზე...

**ნუცა:** — რომელზე?

**ტასო:** — ვარდისფერ გალერაში. ტელევიზია, ჟურნალისტები, მეგობრები, მთელი ქალაქი იმ იყო... რაღაც აღნიშვნა გვინდოდა. ჯერ ხო, ისეთი სიფათით იღბა, თითქოს მაგის შემოქმედება ვინმემ მიიტვისა.

**მამ:** — რატომ, რატომ, თვითონაც მხატვარია?

**ტასო:** — არა კაცო, საკმაოდ წარმატებული ექიმი. შეიძლება ახლა დიდი ფული არ აქვს, მაგრამ პატივს სცემენ, პროფესიონალია.

**მამ:** — აა? ახლა გამახსენდა, ნეკროლოგიის ინსტიტუტში, საიდან მეცნობა-მეთქი. დეიდაჩემს გაუკეთა ოპერაცია, ძალიან მაგარია.

**ტასო:** — ჰოდა, რას ვამბობდი, რაღაცა ერთად დაჯდომა გვინდოდა... მე, იცი, რა ბედნიერი ვიყავი? მსგავსი გამოფენა?! არ ვიცი! ჩამოუშვა ცხვირი, დაღლილი ვარო. დროზე, აღარ მორჩება ეს სისულელეო? შენ ვერ იბრძენი?

**ნუცა:** — კი, კი არ მომილოცა... მაგრამ, იცი, რაა? ასეთ დროს მეორე რაღაცით ინყნარებ თავს, რომ ეს მამაკაცის მესაკუთრული მომენტია.

**ტასო:** — ჰო, რომ ეს ნიჭიერი ქალი, ვისზეც ახლა თქვენ ეცემით, ჩემი საკუთრებაა. თუ მინდა, აქვე ჩაგისვრით კარნავალში. რა არის ეს? თვითონ ყველაზე ბედნიერი არ უნდა იყოს ასეთ დროს? არ მესმის. თან, აბერ, შენც ამბობ, ასეთი და ისეთი ექიმო, არა?

**მამ:** — ურთულესი ოპერაცია გაუკეთა, ხუთი წლის წინ, ძალიან მაგარია. მაგრამ ისე, იცი, ოპერაციაში რამდენი გადავიხადეთ ოფიციალურად? გავოგნდი, ოცი ლარი და ორმოცდაათი თეთრი, ასე ღირს თურგა.

**ტასო:** — რა? არ არსებობს!

**ნუცა:** — კი, კი, ხუთი ოპერაცია ასე ღირს.

**ტასო:** — კი, მაგრამ, ისე ხომ იღვას.

**ნუცა:** — არა, ისე არ იღვას.

**მამ:** — მართალი ხარ, არ აუღია. კი, კი, გამახსენდა, მერე რაღაც საჩუქარი გაუქეთეს და ისიც ძლივს, გაგიძევეს იყვნენ. წელან რატომ არ გამახსენდა, აქ რომ იყო?!

**ტასო:** — არ არის ღელს აქ მაგის მაღლოვების დრო. ესე იგი, ფულს საერთოდ არ იღებდა? არ ვიცოდი?!

**ნუცა:** — არა, რაც სიმართლეა, მაგას ვერ წაართმევ.

**ტასო:** — რა? სიმართლეა?

**ნუცა:** — კი, კი.

**ტასო:** — რატომ აიღებდა, აგერ ცოლი თხუთმეტიანსდოლარიან „ბა-ეგ-ვის“ თუ ჩუქნის... თუ არ ეკითხება გავშვებს, რა...

**მამ:** — აუ, შენი ჭირიმა, რა?! ჩაიხვია ამაღ.

**ტასო:** — ჩავიხვია? რატომ ვერ თხოვდავი, იცი, შენ, ჩემო კარგო? იმიტომ, რომ ორმოცდაცხრა ლარი გაძვს და ვერავის შეინახავ.

**მამ:** — რა? შენ მე ვინმეში ხომ არ გეშლება?

**ტასო:** — არავისში არ მეშლება, იმიტომ, რომ შენ არაფერ შუაში არ ხარ.

**მამ:** — აბა, რა შეურაცხყოფაზე გადახვედი? შენ რა იცი, მე ვინ მთხოვლობს და ვინ არა? სულ გარეკე ამ ბოლო დროს, სამკურნალო ხარ.

**ნუცა:** — კარგი, გეყოფათ. ტასო, რა გჭირს?

**ტასო:** — მორჩა! მორჩა! ვიხუმრო, ხმას აღარ ამოვიღებ! (ჩამოახსამს ჭიქებში არაყს.)

**ნუცა:** — რა ამბავია?

**მამ:** — ჰო, გაუჭირდება?! ბალოთეაუღია, იცი, რამდენს სვამს?

**ტასო:** — ვარკვენი? (ჩანთას გახსნის და იქიდან არყის ბოთლს დაანახებებს.)

**ნუცა:** — მოიცა, არაყი ჩანთით დაგაქვს?

**ტასო:** — დიას, მერე რა. ეს აქ იყოს.

**ნუცა:** — ოო, ეს მართლა მისახედი გეყოლია.

**ტასო:** — თქვენ ჩემზე არ იღარდოთ. ნუცა, გაგიმარჯოს, მე ძალიან მიყვარხარ! შენ ჩემთვის... როგორც ბინდა, გაიბე, შენ ჩემთვის ხარ ქალის იდეალი.

**ნუცა:** — ოჰ, კაი, კაი, არ ბინდა. ვერ ხედავ, როგორ მიაგდეს შენი იდეალი.

**ტასო:** — მანდაც რაღაც სხვა ხდება. შენ ხარ რაღაცნაირი. ეტყობა, ასეთ ქალთან ურთიერთობასაც სხვანაირი გაქაჩვა უნდა, დამიჯერე.

**ნუცა:** — კარგი, ხო, ნუ გაუბერე.

**ტასო:** — არ უნდოდა შემოქმედი ცოლი? ახლა მარინა დაუხატავს ასეთ შედეგებს.

**ნუცა:** — გაქაჩვა არაფერ შუაშია, ჩემი ბრალია.

**ტასო:** — შენ ნუ გაქვს მანია, ყველაფერში თავი დაიდანაშაულო.

**ნუცა:** — სულაც არა.

**მამ:** — სხვათა შორის, არაჩვეულებრივი თვისებაა და ეკლესიურადაც დიდი მაღლია, თუ, რა თქმა უნდა, ეს ჰოზა არ არის მხოლოდ.

**ტასო:** — თუ ამდენი რაღაც ჰოზის გამო ხდება, მე ქედს ვიხრი ასეთი ჰოზიორების წინაშე.

**მამ:** — მაგას ნუ იტყვი!

**ტასო:** — რას ნუ ვიტყვი?

**მამ:** — სინაღდე, გულწრფელობა და...

**ტასო:** — სიალალე...

**მამ:** — დიას!

**ტასო:** — სად არის მერე ეს სინაღდე და გულწრფელობა? ჩემი პატარა ოთხი წლის ვაჭო, იცი, რას მეუბნება? დე, წავალ რა ეზოში? — არა! დე, წავალ რა ეზოში? — არა! დე, წავალ რა ეზოში? — არა!

**მამ:** — ისევ ჩაიხვია.

**ტასო:** — დე, მითხარი რა — ჯანდაბაში წასულხარ.

**ნუცა:** — მაგარი ვიღაცაა.

**ტასო:** — სად არის, მამ, ეს სინაღდე, ა? წმინდა თეკლე მავკონინე, შენ თუ ამას მავკონინე, სალოლ რა! ორივე ხელს ვნევ!

**მამ:** — ბითხარი, მე მგონი, ერთხელ უკვე.

**ტასო:** — ერთხელ არა — გვერჯერ, ცოდვია! ვიცი!

**მამ:** — შენ ეშმაკი გაბრძვის!

**ტასო:** — ვიცი!

**მამ:** — ჰოდა, მიხედე შენ თავს, სანამ დროა.

**ტასო:** — სანამ დროა, ვიზრუნო სულის გადასარჩენად! ჰა-ჰა-ჰა, დაგვიანდა.

**მამ:** — გვინან არასოდეს არ არის.

**ტასო:** — თუ ეგეთი მაგარი ხარ და ყველაფერი იცი, ნადი რა... „ნადი მონასტერში ოფელია“.

**მამ:** — ეგ შენი საქმა არ არის!

**ტასო:** — შენი შიშით სიტყვა ვერ მიტყვამს, შავ კაბაში თავსაბურავით რომ დაგინახავ, უფრო დაგიჯერებ.

**მამ:** — მე როდის სად ნავალ, ჩემი საქმა.

**ნუცა:** — ეს დათვრა, მგონი.

**მამ:** — შენ გგონია, რომ მოვიდა, ფხიზელი იყო?

**ტასო:** — მერე არც მიტყვამს, ფხიზელი ვარ-მეთქი. ეს არაფერს ცვლის.

**ნუცა:** — არა, არ ცვლის, ჩემი სადღებრძოლო დაიწყე და აღარ დაამთავრე.

**ტასო:** — ახლა შენსაც კი არა, სულ სხვა სადღებრძოლს დავლევ. აზრზე ხარ, როგორ გაგადნიერდა ტივი? ვილაც საწყალი მარინა, რომელიც ცხოვრებაში ვერც კი იოცნებებდა, რომ ვინმეს მისთვის ცოლი დაეძახა, უცებ ტატო ორჯონიკიძის ცოლი ხდება.

**მამ:** — ო, დიდი ვინმეს ცოლიც ხდება?!

**ტასო:** — ეგ მე ვთქვი პირველმა. რატომ? კარგი ექიმი, პროფესიონალი, აგარ, ყოფილმა ცოლმა მანქანაც აჩუქა, ხომ არ წაართმევ?

**ნუცა:** — გეკადრება?!

**ტასო:** — ის ნაბართმევდა, დარწმუნებული ვარ.

**ნუცა:** — მერე? მერე?

**ტასო:** — მერე ამ ქორწინების შედეგად ჩნდებიან ბავშვები. ისევე, როგორც ჩვენ გავჩნდით ოდესღაც და არც ვიცი, ვის სიხარული მოვუტანეთ ჩვენი ქვეყნად მოვლენით და ვის ტკივილი.

**ნუცა:** — ბავშვების სანინააღმებო, როგორ შეიძლება, რამე მქონდეს, პირიქით.

**ტასო:** — არაფერი გაქვს?

**ნუცა:** — ...რაც განყდა, თორემ მართლა ცხოველი ხომ არ ვარ, ძმრის ნასვლას ასე იოლად შევეგუო. ბერმანი, ეტყობა, ჩვენი ბოლო აკორდო იყო.

**მამ:** — გული არ გწყდება?

**ნუცა:** — რა თქმა უნდა, მაგრამ მე ძალიან გადნიერი ვიყავი ტატოსთან, ამ გრძნობის გადაგვარებას დაკარგვა ჯობს.

**მამ:** — ესე იგი, შეგუებული ყოფილხარ.

**ნუცა:** — სულაც არა... ორი თვის წინ თავს დავდეხდი, რომ ჩვენ სიკვდილის მეტი ვერაფერი დაგვაცილებდა.

**მამ:** — ის გეუბნებოდა?

**ნუცა:** — ხშირად მიმომრებდა და მეც იმავს ვფიქრობდი.

**მამ:** — ესე იგი, მართლა დაუსწრია.

**ნუცა:** — არა, ვერ ვიტყვი, რომ მე რამეს ვაპირებდი. ამაზე ფიქრიც არ გამივლია. ზოგჯერ ურთიერთობაშიც ხომ დგება რთული პერიოდი? მაგრამ ინტუიცია?!

**ტასო:** — რა ინტუიცია?

**ნუცა:** — ინტუიცია არასოდეს მღალატობს. შინაგანად გზად დავხვდი ამ ამბავს.

**ტასო:** — ისე, საკმაოდ კარგად გიცნობ და ვერ გატყობ, რომ ამ სიმშვილეს თამაშობდა.

**ნუცა:** — მე თვითონ მიკვირს, რომ რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ტვირთისგან გავთავისუფლდი.

**ტასო:** — აუ, დაგიჯერე! იცი, რა უნდა გითხრა?.. და სწორად გამიგე. არის ქალების კატაგორია, ვერ დავიჩვენებ, რომ ბევრ ასეთ ქალს ვიცნობ, მაგრამ...

**მამ:** — მოკლედ, თუ შეიძლება, მაგალითების გარეშე.

**ტასო:** — როცა გათხოვილი ხარ, რაღაცნაირად ძლიავდები. თუ რამე კარგი შეგიქმნია, როგორც კი... თქვი, თუ არ არის ეგრე?

**ნუცა:** — არ ვიცი, არ დავკვირებოვარ. ისე, არ არის გამორიცხული, რომ მართალი იყო.

**ტასო:** — შენ ქმარი არ უნდა გყავდეს.

**მამ:** — შენი რეცეპტები არავის სჭირდება.

**ტასო:** — ძალიან მიხარია, რომ ამ ამბავს ასე შეხვდი, გავშვების თემაზე...

**ნუცა:** — გავშვებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი, ეგ თემა ჩათვალე, რომ დახურულია.

**ტასო:** — ესე იგი, ეგეც იცი?

**ნუცა:** — გავშვები...

**ტასო:** — ამ დღიდან იმყოფიარა მარინამ და ტყუპები შეეძინა, ძალ-ვაჟი.

**ნუცა:** — ტყუპები? ვისგან?

**ტასო:** — ახლა შენ ნუ გამაგიჟებ, რაა? აბა, ეს ყველაფერი, რაც ამ წუთას თქვი.

**მამ:** — ისე, რა უცნაურ ამოუქანია ამ მარინას ერთად.

**ტასო:** — შენც წინა გაძვს, მამ, ყველაფერი.

**ნუცა:** — გავშვები? რამდენთვისინაები გაჩნდნენ?

**ტასო:** — რაღაც უცნაურ შეკითხვებს იძლევა, არ მომწონს ეს ამბავი.

**ნუცა:** — რა თქვი? არა, წარმოუდგენელია!

**ტასო:** — რა არის წარმოუდგენელი, გავშვები რის შედეგად ჩნდებიან, არ იცი?

**ნუცა:** — კი მაგრამ, ქოპულეთი? გერმანია? არა, წარმოუდგენელია!

**მამ:** — რა არის წარმოუდგენელი?

**ნუცა:** — დამანებებო თუ არა, გოლოს და გოლოს, თავს.

**ტათო:** — შენ ხომ არ გინდა ეს?

**ნუცა:** — რითი შემიძლია, რომ დაგაჯერო?

**ტათო:** — იმას, ვინც ალბარ აინტერესებთ, არ კლავენ, მით უმეტეს, ყოფილ ქმარს.

**ნუცა:** — იცი, რა?!

**ტათო:** — დავამთავრებ. ძალიან გთხოვთ, შეაღებინებოდა გულწრფელად მივასუხოთ. იქ რომ დაგხვედროდი, მართლა მესროდი?

**ნუცა:** — არ ვიცი...

**ტათო:** — „არ არსებობს!“

**ნუცა:** — განსრულით რომ აუცილებლად გავისროდი, ამაში დარწმუნებული ვარ.

**ტათო:** — არა, ჩემთვის არ გისვრია, უბრალოდ, შური იძიე.

**ნუცა:** — რაღა დროს შურისძიება?

**ტათო:** — ქალები ასეთ რამეს არასოდეს პატიოვენ, ოღონდ, ამ შემთხვევაში მარინაზე და არა ჩემზე.

**ნუცა:** — რას გოდავ?

**ტათო:** — კი, შესაძლებლობა მოგეცა, რომ თუნდაც 2 წუთით უბედურ აღამიანად გექცია და ეს შენსი არ გაუშვი, ხომ მართალი ვარ? შენ ჩემს დავრუნებაზე არ იტყოდი უარს, მაგრამ მე არ დავბრუნდები.

**ნუცა:** — რა დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე?!..

**ტათო:** — ჩემი დავრუნება კი არ გინდა, ეს შენი მეტოქის ჩასაწიხლად გჭირდება.

**ნუცა:** — რაღას ერჩი ამ მარინას. ამდენს თუ ფიქრობ და ზრუნავ, წადით, ორივემ თავი დამანებეთ. მე ხომ არც ერთი შემიწუხებინებთ, რა გინდათ ჩემთან?

**ტათო:** — არა! მე არც აქ დავბრუნდები და არც იქ. იცი, რაშია საქმე? მე მხოლოდ მანამ შემიძლია ურთიერთობა, სანამ ჩემით აღფრთოვანებული არიან. მერე? ნუ.. მე იმ ალბარ დავბრუნდები.

**ნუცა:** — აბა სად? ახალი მისამართი გაქვს?

**ტათო:** — ხომ გითხარი, გაინტერესებს-მეთქი. ვინც არ აინტერესებთ, იმას ასეთ შეკითხვებს არ უსვამენ.

**ნუცა:** — გოლოს და გოლოს, ჩემი შვილის მამა ხარ.

**ტათო:** — და მეტი არავეინ?

**ნუცა:** — რა გინდა, ტათო, რისთვის მოხვედი?

**ტათო:** — ჩემი სავარსი მინდა წავიღო და იარაღი.

**ნუცა:** — ხომ გითხარი, სადაც დევს.

**ტათო:** — ეგ იარაღი. ისიც, მიახლოებით. სავარსი? სავარსი სად არის? მთავარი სავარსია.

**ნუცა:** — რატომ უნდა ვიცოდე მე შენი სავარსი?

**ტათო:** — არ იცი?! რაც მე ნავედი, რამდენჯერმე ხომ დაინახავდი სადღაც, გაგახსენდებოდი. გადააბდე? თუ გადააბდე, თქვი, ყველაფერი ხდება, სიმატელეს არაფერი ჯობია, ასე ამბობენ.

**ნუცა:** — რატომ უნდა გადაამგდო?

**ტათო:** — სრულიად ლოგიკური იქნებოდა, მის დანახვაზე გაბრაზებულიყავი, გადაგებდო, დაგემტვრია. არც ის არის გამორიცხული, რომ სათუთად გქონდეს სადმე შენახული.

**ნუცა:** — ჰე!..

**ტათო:** — ჰო, რას მიყურებ?! ცოტა მოსუქდი, ისე გიხდება.

**ნუცა:** — არაფერიც არ მიხდება. რას აპირებ?

**ტათო:** — რა შუაშია „რას აპირებ“? რა შუაშია? შენ, იმის მაგივრად, რომ პასუხი გამცა, რაღაცეებს ფიქრობ, ხარშავ მამ ტვინში და იქიდან მეკითხები, — „რას აპირებ“?

**ნუცა:** — აუუუ... (გადის და ცოტა ხანში იარაღი და სავარსი მოაქვს, ორივეს წინ დაუდებს ხმაურით.)

**ტათო:** — აი, ხომ ხედავ?! რა მართალი ვყოფილვარ (იარაღს აიღებს და გახსნის). ოჰ, რა სიბოლოური, ერთი ტყვიანა დარჩენილი მხოლოდ... შემთხვევით არაფერი ხდება?! ჰე!..

**ნუცა:** — რაა?

**ტატო:** — რა უცებ შეიძლება გადაიჭრას ყველა პრობლემა, ერთი ხელის გამოკვრით.

**ნუცა:** — ტატო?! (ტატო საფეთქელთან მიიტანს იარაღს.)

**ტატო:** — ტატო, ტა-ტო, ტა-ტო... რატომ მოხვედრი, ტატო, სად მიდიხარ, ტატო... რა ვძნა, იგონისტი ვარ! რა ჩემი ბრალია... რაო, რაო, რას წერდა ის შენი დაცენტრილი დაცალი „ანდერჰი“, ჩემს სახელს ნუ დაარქმევ შვილსო?..

**ნუცა:** — ... არაფერი, სისულელი.

**ტატო:** — არ გინდა ახლა?! რატომ მიმაღავე?

**ნუცა:** — რას გიმაღავე?

**ტატო:** — ფხმამიმაღ რომ ხარ. ძალიან ბთხოვ...

**ნუცა:** — რას მთხოვ?

**ტატო:** — საკმარისი ბავშვები გვყავს, ნეტავ ამათი მიხედვა შემიძლოს. დავიღალე... და-ვი-ღა-ღე...

**ნუცა:** — ნუ ნერვიულობ, მაგ პრობლემას არ შეგიძნენი.

**ტატო:** — ძალიან კარგი, იცოდე, მე გაბაფრთხილე. მეტი აღარ შემიძლია, გაიბეთ, რაა!

**ნუცა:** — გასაგებია.

**ტატო:** — ეეჰ, შენ ვერც ამას გაიბებ და ვერც იმას, რა მნიშვნელობა აქვს ახლა ჩემს საპარსს.

**ნუცა:** — ნუ მაბნევ.

**ტატო:** — ხომ ხედავ, ვერანაირად ვერ გიხსენი. შეიძლება, დაგემტვრიო ჩემი საპარსი ან გადაგებდომ, მაგრამ არ გახსოვს, სად არის? ამაზე დიდი საშინელება არ არსებობს, როცა სულ ერთია...

**ნუცა:** — ტატო...

**ტატო:** — სუუ... ჯოგია, მანამ ნავიდე ამ ძვეყნიდან, სანამ ჯერ კიდევ ინახავენ და პოულობენ ჩემს საპარსს (ახევს იარაღს და საფეთქელთან მიიღებს).

**ნუცა:** — ტატო, რას შვრებნი?!  
**ტატო:** — შენ ხომ გინდოდა ჩემი მოკვლა?

**ნუცა:** — ტატო, გაგიჟდი?! ტატო?!  
**ტატო:** — რატომ? უბრალოდ, რამდენიმე წუთით გადაიწვეს უბედური შემთხვევა, ტრაგედია.

**ნუცა:** — არა, ეს სისულელია, ახლავე დადე იარაღი.

**ტატო:** — „... ახლა ყველაფერი ძლიერ გვინანია...“ (გაიხმის გასროლის ხმა.)

**ნუცა:** — ტატოო! (ნუცა თავს მუხლებში ჩარბავს.)

**ტატო (საპარსს აიღებს):** — ერთით ერთი?!.. რა არის ეს?! ვინმე ხომ არ იხმარა ჩემი საპარსი? ეეე?!  
**ნუცა:** — ნაპირალა! მკვლელი! არაკაცოო?! გაეთრია, ვის რა ჯანდაბად უნდოდა შენი საპარსი?!  
**ტატო:** — ერთი ბავიგო, რაა?! ერთი ბავიგო?! მეტი არაფერი მინდა.  
**ნუცა:** — ნამდვილი ტაქიმასხარა ხარ.  
**ტატო:** — ვარ...  
**ნუცა:** — კარგი, საკმარისია, დავიღალე.  
**ტატო:** — ჩემი დრო ამოიწურა?  
**ნუცა:** — ამოიწურა, კიდევ გინდა რამე?  
**ტატო:** — ისეთი არაფერი, შენნაირი დიდსულოვანი ადამიანისთვის ეს არაფერია (ძირს დაყრილ ფურცლებს აიღებს და ნუცას წინ დაუდებს, მერე სანერ კალამსაც მიანდობს) იქნებ რამეში ნაადგებს იმ გაჭირვებულს (ნუცა ფურცელს დახედავს). რატომ დასცინი, რა ძნას, საყვარელი ადამიანის გადასარჩენად ყველაფერზე მიდიხ. თუ გრამატიკული შეცდომები აქვს, შეგიძლია, ჩაასწორო.  
**ნუცა:** — მაგას არ დავცინი. სად მოვანერო?  
**ტატო:** — აი, აქ.  
**ნუცა:** — აქ?!  
**ტატო:** — აი, აქაც და აქაც. დიდი მაღლობა (სათუთად დაანწყობს ფურცლებს და ფაილში ჩაღებს). რა ბედნიერება იქნებოდა, შენნაირ ქალებსაც რომ შეეძლოთ ასეთი წერილის დანერა. თუმცა შენც ხომ გადამარჩინე ერთხელ სიკვდილს.

**ნუცა:** — მიე? რას გულისხმობ?

**ტატო:** — რას და ომში რომ არ გაგიშვი.

**ნუცა:** — მე არ გაგიშვი ომში?

**ტატო:** — დიხს, დიხს, მე ომში მივდიოდი, გადაწყვეტილი მქონდა უკვე და შენ არ გაგიშვი. ომში რომ წახვიდე, მოკვდები.

**ნუცა:** — ააა?!..

**ტატო:** — მაგრად ვნანობ.

**ნუცა:** — რას ნანობ, ცოცხალი, რომ ვარ?

**ტატო:** — მე რომ ვარ ცოცხალი, იმას ვნანობ. ამდენ ადამიანს აღარ ვატიკენდი... წავედი, წავედი.

**ნუცა:** — საპარსი გრჩება.

**ტატო:** — ვტოვებ... და ერთი ვინმეც ახლოს ხელი (გადის, დიდხანს რეკავს ტელეფონი).

**ნუცა:** — დიხს... დიხს, გისმენთ, დედაო, არა, რას ბრძანებთ, როგორ არ მინდა... ჩემმა მეგობარმა თავე მოიწამლა და... არა, გადარჩა, ახლავე მოვდივარ... (დაკიდებს და ახლა თავად რეკავს) დედა, მე ვერ მოვალ... შენ მოდი და გავშვებოც აქ მომიყვანე... ჩემთან ხატს მოაბრძანებენ, წავედი.

**.2** წლის შემდეგ. მოღვაწეობა ოჯახური პროტრატებზე შემოწყობილი. ნუცას იმიჯი აქვს შეცვლილი, უფრო თანამედროვე და გალამაზებული. ირეკება ზარი და შემოდის ტასო. ტასო აქტიურდება.

**ნუცა:** — რა იყო, რა გჭირს? რა ხდება? ა?!

**ტასო:** — ხდება, ხდება, შენთვის ორი სიურპრიზი მაქვს, ორი მაგარი სიურპრიზი.

**ნუცა:** — ააა, მიდი!

**ტასო:** — ხო, მართლა, ჯერ ეს გომუშაქების ნომერია. სერიოზული შეკვეთაა.

**ნუცა:** — ის გომუშაქები?

**ტასო:** — მთავარია, ცოტა გამხდარი დახატო, როგორც გვიშინებების ოჯახურ პროტრატზე.

**ნუცა:** — როდის უნდათ?

**ტასო:** — დღევანე, ერთ საათში გველოდებიან. კარგად იხდინა, ოღონდ, დღევანე უნდათ, საღამოს წვეულება ჰქონიათ. ჩარჩო ნაყიდი გვაქვსო.

**ნუცა:** — ეს არის შენი სიურპრიზი?

**ტასო:** — სიურპრიზი პირველი! (კარს ალავს და ოთახში ლუკა შემოდის. ლუკა და ნუცა ერთმანეთს გადაკოცნიან, უხმოდ დგანან.)

**ლუკა:** — ეს შენ (ანვდის სუნამოს). ააა, გახსენი.

**ნუცა** (გახსენის, დაყნოსავს): — კი... ის არის, ნამდვილად. სკოლაში რომ მაჩუქე. საიდან?

**ლუკა:** — გავარკვია, დედაჩემი თურმე მართო ამ სუნამოს ხმარობდა. ის ხომ დედაჩემს მოვპარე...

**ტასო:** — ვაიმიე?! რა გულის ამაჩუყებელი სცენაა. ხომ არ დაგტოვოთ?

**ლუკა:** — კარგს იზამ.

**ტასო:** — პატარა სახლშია, თუ სასეირნოდ?

**ნუცა:** — სძინავს.

**ტასო:** — წავალ, დავხედავ.

**ლუკა:** — მიდი, მიდი, კარგს იზამ.

**ნუცა:** — რატომ არ გამაფრთხილე, თუ ჩამოდიოდი?

**ლუკა:** — რა ვიცი...

**ნუცა:** — რა არის ახალი?

**ლუკა:** — ჩემი ყოფილი მეუღლე გათხოვდა.

**ნუცა:** — ჰო, ვიცი. ვისზე?

**ლუკა:** — მამამისის ძმაცაა, ცოტა უფროსია, მაგრამ... მოკლედ, რა... ტატო არ გამოჩენილა?

**ნუცა:** — ნუ.

**ლუკა:** — მას მერე სერთოდ?

**ნუცა:** — არა.

**ლუკა:** — ის ქალი? რა ერქვა? ცოლი?  
**ნუცა:** — მარინას ამნისტია შეეხო და ციხიდან გამოვიდა. შენ?  
**ლუკა:** — მეც მოვიყვანე ცოლი.  
**ნუცა:** — როდის?  
**ლუკა:** — სანამ წამოვიდოდი.  
**ნუცა:** — აქ არის?  
**ლუკა:** — კი, ცირკის მსახიობია, აკრობატი.  
**ნუცა:** — ბილოცავ, ბედნიერი ხარ?  
**ლუკა:** — ბედნიერი?!.. ნავედი, ნავედი.  
**ნუცა:** — სად მიდიხარ?  
**ლუკა:** — ფიჩხის მისათანად.  
**ნუცა:** — რა ფიჩხის?  
**ლუკა:** — როცა ბიძვარს და ცაცხლი დანთებავ, ბედნიერება დანთებავა, მერე სულ ფიჩხი უნდა აყარო და აყარო, რომ არ ჩაძრეს.  
**ნუცა:** — სანდებრემო თეორია!  
**ლუკა:** — ჩემი მოგონილი არ არის. ერთმა თქვა და მომეწონა, ნავედი.  
**ნუცა:** — კარგი, გამაღლობთ...  
**ლუკა:** — ლუკა რატომ დაარქვი ბიჭს?  
**ნუცა:** — ისე.  
**ლუკა:** — შემთხვევით არაფერი ხდება.  
**ნუცა:** — ალბათ.  
**ლუკა:** — რა ბინდა, სამი ბიჭის დედა ხარ. ისე, ალბათ, გომო ბინდოდა.  
**ნუცა:** — არა, პირიქით.  
**ლუკა:** — რატომ?  
**ნუცა:** — კაცი ვიცი, როგორიც უნდა იყოს, ძალს არ ვიცი, რა ვასწავლო. დღემდე ვერ გავიგე...  
**ლუკა:** — მე პირიქით ვარ, ძალი ვიცი როგორიც უნდა იყოს (კოცნის). ნავედი, ნავედი (შემოდის ტანო).  
**ტანო:** — რამ?  
**ნუცა:** — ჯერ შენი მეორე სიუჟეტი მიმეხარა.  
**ტანო:** — დაჯექი. მე გავთხოვდი.  
**ნუცა:** — რაა?  
**ტანო:** — გავთხოვდი. უკვე სამი დღეა ერთად ვართ, მე და...  
**ნუცა:** — ექიმნი? ჰმ!  
**ტანო:** — შენ რას გამოგაპარებ.  
**ნუცა:** — როგორ, გავშვებ?  
**ტანო:** — ჯერ ღამით სახლში მივდივარ.  
**ნუცა:** — მაგას გათხოვება არ ჰქვია, ჩემო კარგო.  
**ტანო:** — იცი, როგორიც ბედნიერი ვარ, ეს სამი დღეა, იცი, როგორიც?  
**ნუცა:** — ისე, თვალები კი გიბრწყინავს! გურამს რას უშვრები მერე?  
**ტანო:** — მე მგონი, არც ექნება რეაქცია. გეფიცები, თუ თვალი მოაშოროს კომპიუტერს ერთი წამითაც, ამ ამბავს რომ გაიგებს. არ გჯერა?  
**ნუცა:** — კანი, კანი, შენც...  
**ტანო:** — ეს შენ, მართლა.  
**ნუცა:** — რა არის?  
**ტანო:** — ლუკამ, გადაეცინო, მე, რომ ნაველო.  
**ნუცა:** — ოო, მაგან ხომ გააჭირა საქმე თავისი სარეჟისორით (გახსენის და გამოხდება) ჩემი პეიზაჟი?! დამიბრუნა?!  
**ტანო:** — ჰო, შენი პეიზაჟი... ასე თქვა, დავითანჯე, ამას რომ ვუყურებ, მგონია, ნუცა ჩემს გვერდით სუნთქავსო.  
**ნუცა:** — თუ ცოლმა აუკრძალა?  
**ტანო:** — ვინ ცოლმა?  
**ნუცა:** — ცირკის აკრობატი.



**ტასო:** — ხა, ხა, ხა, დაიჯიკრა?! რის ცოლი, რა ცოლი, ერთად მოვიგონეთ.

**ნუცა:** — ბავრი იფიქრეთ?

**ტასო:** — აქვს რამე შენსი?

**ნუცა:** — ლუკაზე მიკითხე?

**ტასო:** — ჰო, რა ბინდა, მშვენიერი კაცი დადგა, ფულიც აქვს, თავისუფალია, თანაც ბავშვობიდან იცნობ.

**ნუცა:** — სწორედ მაგაზეა საქმე, რომ ამდენი წელია ვიცნობ და აქ ერთხელაც (მუცელზე მოიხედავს ხელს), როგორც შენ ამბობ, არაფერი მიგრძენია.

**ტასო:** — „მზის წნული?“ ოო, არა, არა, მაგის გარეშე როგორ შეიძლება, არ შეიძლება. ისე, მაინც მიცოდება.

**ნუცა:** — კანი რაა?!.. რაც შენ მოთვალე, ასეთი კაცის შეყვარებას რა უნდა, წესიერი, ფულიანი, თავისუფალი, კარგი გარემოების — უკვე საყვარელია.

**ტასო:** — ახა, როგორი კაცის შეყვარებაა ძნელი? მე გმონი, შენ ის დეგენერატი ტატო ისევ გიყვარს.

**ნუცა:** — იცი, რას გეფიქრებ? აქეთ გამომიხი, მართლა რაღაც საოცრად გიბრწყინავს თვალები, ასეთი არც მინახიხარ.

**ტასო:** — იცი, რა მითხრა? ისეთი გრძობა მაქვს, თითქმის აქამდე სადღაც დავხედავთ მთელი ცხოვრება და ახლა ჩემს სახლში დავბრუნდით. შენ ჩემი პატარა ქონი ხარო, ჩემი თბილი ღულუნა ქონიო, წარმოგიდგინა?!  
**ნუცა:** — ესე იგი, ჩემი თბილი ქონიო... მოდი, მოდი აქეთ.

**ტასო:** — ღულუნაო.

**ნუცა:** — მოიცა, მოიცა (ფუნჯს აიღებს, დაგრუნტულ ტილოს და სახატავად ემზადება). აქეთ დადექი, აქ მეტი შუქი ეცემა.

**ტასო:** — რა ღროს ებ არის? მოგუხამებ? ოჯახური პორტრეტი. ერთ საათში გველოდებიან.

**ნუცა:** — მოგუხამებ მოიცდიან, ეს კი დიდხანს არ რჩება, სანამ აქ არის, უნდა დავხატო.

**ტასო:** — რა, რა?

**ნუცა:** — სხივი, ნაპერწკალი, თუ რაც არის. ზემოთ ავიღეთ, სხვენზე, იქ უკეთესი განათებაა. ჩქარა, ზემოთ (წამოკრეფს საღებავებს, ფუნჯებს, ტილოს და გადის, ტასოც უკან მიჰყვება. ცარიელ ოთახში ისმის ტელეფონის და მობილურის ზარი).

## მარგო, „მოცარტი“, ჰანსანი და

### ორი მტკაველი მინა

(პიესა ერთ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:

**მარგო** — 60 წელს ზემოთ

**ქეთო** — 45-50 წლის

**ჰანსანი** — თურქი ბიზნესმენი 30-35 წლის

**იანონი** — 40 წლამდე

**გაკო** — მარგოს შვილოზილი, 16 წლის

**კიკი** — ქეთოს ძალიშვილი 22-25 წლის

მოქმედება ხდება ზღვისპირას, პატარა ქალაქში. დამეა. ეზოში გაშლილია სუფრა. ახლოდან ისმის ტალღების ხმა. მაგიდან უსხედან ჰანსანი და ქეთო. იქვე შეხლონებში წევს მარგო. ქალები სიგარეტს

აბოლეგენ. ჰასანი ჭამს.

**მარგო:** — ბავშვებს ხედავთ?

**ჰასანი (წამოღებულად):** — არა, არ ჩანან, მაგრამ ხმა ისმის.

**მარგო:** — ხმა მეც გავიგონე.

**ქეთო:** — ქალბატონო მარგო, ნუ ნერვიულობთ, კიკიც და მალხაზიც თევზებივით არიან წყალში.

**მარგო:** — მასე ბაკოც საში წლიდან ცურვამდე დადის, ორ-ორი ტრენერი ჰყავდა.

**ქეთო:** — ყოჩაღ! რაც თქვენ მაგას გადაყვით, ვერც ერთი დედა ამდენს ვერ გაუკეთებდა.

**ჰასანი:** — შვილიშვილია?

**ქეთო:** — ჰასანე? რა შვილიშვილი, ბაკო არის ქალბატონი მარგოს შვილი, არა გრცხვინია?!

**მარგო:** — ამბაკო მამაჩემის სავატივსაცემოდ დავარქვი.

**ქეთო:** — ჰოო, ეს კიდეც...

**ჰასანი:** — მე რა ვიცო, აქ რამდენი მღვმური ჩამოვა, ყველას ამბავი ხომ არ მეცოდინება.

**ქეთო:** — ჰასანე! ქალბატონი მარგო მღვმური არ არის, ჩემი ცხონებული მამამთილის ნახევარდაა.

**ჰასანი:** — ჰო, კარგი, რა ბავშვობებს, ახლა უკვე ვიცო. ხომ არ მიირთმევთ? აი, კარგი ნაჭერია, უჰ, უჰ, უჰ (სთავაზობს სუფრიდან).

**მარგო:** — არა, გმადლობთ, ისედაც ბევრი მომივიდა.

**ჰასანი:** — ჰა-ჰა?! უარი არ შეიძლება.

**მარგო:** — არ მინდა.

**ჰასანი:** — წამო, ჩვენც ჩავიდეთ წყალში, ა, ქეთო?!

**ქეთო:** — ქალბატონ მარგოს მარტო ხომ არ დავტოვებ...

**ჰასანი:** — წამო, რა...

**ქეთო:** — ჰასანე! (პლაჟიდან ბაკო და კიკი ბრუნდებიან.)

**ჰასანი:** — კარგი წყალია?

**კიკი:** — მაგარი.

**მარგო:** — მალხაზი დარჩა?

**ბაკო:** — არა, სახლში წავიდა.

**ქეთო:** — კიდეც კარგი.

**კიკი:** — დედა... მორჩი!

**ქეთო:** — ბაკო, არ მოგვივდა?

**ბაკო:** — გვია.

**კიკი:** — მეც.

**ქეთო:** — დასხედით, ბავშვებო.

**მარგო:** — კარგი გოგოა, შენ გბავს.

**ჰასანი:** — ჰოო, სულ დედამისის ტანი აქვს, მაგრამ ამას უფრო მაღლა აქვს ერთი ადგილი შესკუპებული (წამოარტყამს საჯდომზე ხელს).

**კიკი:** — ააა!

**ჰასანი:** — წამო, გავცუროთ, დედაშენი არ მოდის, შენ მაინც წამოდი.

**კიკი:** — ახლა არ ამოვადი?!.. გიჟია.

**ქეთო:** — გოგო, შენი ტოლია?! როგორ ელაპარაკები?

**კიკი:** — ვაა, დამანებოს თავი.

**ქეთო:** — ჰასანე, მე წამოვალ.

**ჰასანი:** — ვინაც გინდათ, ის წამოდი, ჩემი ხალათი ჩამომიტანეთ (მიდის, ბავშვები თან ჭამენ, თან კარტს თამაშობენ. ყურბაზე ორივეს ყურსაცვამი უკეთია, მუსიკას უსმენენ და სხვადასხვა რიტმში მოძრაობენ).

**მარგო:** — რაღაც ხმა გავიგონე, მგონი, ვიღაც იქახის.

**ქეთო:** — უჰ, მალხაზი იძნება. არ შემაჯამ ამ გიჟმა? კარგი რაა?! კარგი რაა?! ოჯახია, სტუმარია, ხომ არ შეიძლება სულ. მე კი ვიცო, რა ჭიაც ღრღნის და იმაზე უფრო მეშლება ნერვები.

**მარგო:** — კიკი ხომ არ მოსწონს?

**ქეთო:** — მეტი დარდი არ მაქვს, მაგ სოფლებლისთვის მიწვალა, ჰე!

**მარგო:** — რამდენის არის?

**ქეთო:** — რვა წლით უფროსია კიკიზე. კაცი უნდა იყოს უმცროსი, ეგ მე მკითხე. ეჰ, რაც მე დღეები მაქვს

ამ გამომვლილი, კიკის აქაურობისთვის ველარ ბავიშვიტაჲ, როდის ნაბვილბა ზღვა, არ ვიცოდით.

**მარგო:** — ზამთარში იცის მაგარი ღელვა.

**ქეთო:** — აქამდეა ხოლმე მოსული... სად მქონდა ტვინი, სად?! „ეს არ შეიძლება“, „ის არ შეიძლება“, თურმე, მიდი რაა?! „ხალხი ამას იტყვის“, „ხალხი ესა“, „ხალხი ისა“... ეს ხალხი იყო, გოგონი და (ყურში ეჩურჩულება) კიკის რომ...

**მარგო:** — ილაპარაკე ხამამალა, მაგათ მაინც არ ესმით.

**ქეთო:** — რა ვიცი, ველარ შევეჩვიე, მავინწყდება.

**მარგო:** — ეს ჰასანი თურქია?

**ქეთო:** — ჰო, ისე, დიდი ბებია ჰყოლია ქართველი. ჰასანი არის ოქრო, ოქრო, იცი, რა კაცია?! ეს არის ჩემი დეარტი, ეგ რომ არ გამომჩენოდა?! ისე ნავილოდი მიწაში, მეგონებოდა, ეს არის ცხოვრება.

**მარგო:** — ეგეთი მაგარია?

**ქეთო:** — ოოჰ, საში წელია, რაც სასამელი, საჭამელი, ჩასაცმელი, ბევრიც სხვა რამე...

**მარგო:** — ცოლ-შვილი ჰყავს?

**ქეთო:** — კი... შოთაც, — ჩემი ქმარი მაგის ბიზნესშია, თითქმის სულ იქ არის, აბა... უსაქმოდ იჯდა მთელი ცხოვრება და გაჰყურებდა ზღვას... ახლა თვითონაც კარგად არის, ჩვენც ხანდახან რაღაცას...

**მარგო:** — სახლიც თითქმის გადიდავული მჩვენება.

**ქეთო:** — ეს ჰასანმა მოამატა შარხან, ზაფხულში. ხომ არ გეწყინათ, შვილიშვილიო, ბაკოზე რომ თქვა? სიბნელეში კარგად ვერ დაგინახეთ.

**მარგო:** — არც არის საჭირო, არა, რა სისულელეა.

**ქეთო:** — ისე, უკვე მთავრდება, ხო, თქვენი პროცედურა?

**მარგო:** — ხვალდან შემიძლია დღის სინათლეზე გამოსვლა.

**ქეთო:** — ჰოდა, ძალიან კარგი, თქვენებურად გამოიკრანჭებით. როგორ მინტერესებთ?

**მარგო:** — ერთ ჩემს ახლობელს ჰყავდა თურქი საყვარელი, არა, მეშლება, თურქი კი არა, ირანელი და დღემდე აბოლებს. რაც იმის ხელში კაცებმა გამოიარეს, მაგრამ იმაზე რომ დინწყებს ლაპარაკს, ახლაც...

**ქეთო:** — კი, კი, მოწიე (ისევ ყურში ეუბნება რაღაცას). იცოდეთ.

**მარგო:** — კი, ეგ ცნობილია.

**ქეთო:** — კიდეც, იცი, რა?! (ყურში ეჩურჩულება. ამ დროს შემოდის ორმოცი-ორმოცდახუთი წლის მამაკაცი ხელში ნაჭრის ჩანთით, ახალგაზრდები გართულები არიან კარტის თამაში. მიესალმება, მაგრამ ისინი ყურადღებას არ მიაქცევენ.)

**იასონი:** — აბია, ა?!... ხომ ვიცანი მაინც, ეს კაკლის ხეც... ა, სასწაული თუ გინდა.

**ქეთო:** — ვინ გნებავთ? ადგილი მხოლოდ ორი დღით მაქვს, დანარჩენი დაკავებულია.

**იასონი:** — ორით არა, ბათონო, ერთ ღამეს თუ გამათენებინებთ, თქვენს სისხლს და ხორცს, იასონ გალოგრა (გაუნფდის ხელს).

**ქეთო:** — გალოგრა დღემთილი იყო ჩემი, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

**იასონი:** — მაკრინე?!

**ქეთო:** — დიახ.

**იასონი:** — მაკრინე გალოგრას უფროსი ძმის შვილიშვილი გახლავართ. ერთი ოცდაათი წლის წინ ბაბუაჩემმა რომ ჩამომიყვანა თავის დასთან, ამ ხის კენწეროზე ავკვერი, ნამეტანი მაკვარანცხი ბაღანა ვიყავი და რომ ვზღურთე ძირს თავით, ერთი კვირა აბერ ამ ვინძეძი, ამ კაკლის ძირში, აბა! დავინახე თუ არა, მაშინათვე ვიცანი აქაურობა, თქვენ?!

**ქეთო:** — მე ქრისტიანს რძალი გახლავართ, — ქეთო.

**იასონი:** — ფრიად სასიამოვნო, მაშინ ქრისტიანს ქმარი ჰყავდა, მარა შვილი არ ჰყავდა ჯერ...

**ქეთო:** — ჩემს ქმარს არ იცნობთ?

**იასონი:** — ა, ასე ბავიდა მთელი ცხოვრება, თქვენ ნარმოიდგინეთ. ოჰ, უკაცრავად, ქალბატონო (გაუნფდის ხელს მარგოს), თქვენ?

**მარგო:** — მარგო, დაბრძანდით.

**იასონი:** — დიდი მადლობა, თქვენც ნათესავი ხართ თუ...

**მარგო:** — ნათესავი, ოღონდ მაგის მხრიდან.

**იასონი:** — კეთილი, ბათონო.

**იასონი:** — ეს ჭლურჭულა გოგონები?

**მარგო:** — ერთი ბიჭია.

**იასონი:** — ა? უკაცრავად.

**ქეთო:** — უი, ხალათი სულ დამავიწყდა... (გაიძვება პლაჟისკენ, ცოტა ხანში ხალათში მოხვეულ ჰასანთან ერთად ბრუნდება უკან).

**იასონი:** — ეს ჩემი მამიდაშვილია, სომ, შენი ძმარი?

**ქეთო:** — არა, ბათონო, ეს ჰასანია, ჩვენი ოჯახის მემოზარი, თურქი ბიზნესმენი.

**იასონი:** — აბაშენათ ღმერთმა (ხელს გაუწვდის).

**ჰასანი:** — სალაში.

**ბაკო:** — მალხაზი რატომ არ მოდის?

**ქეთო:** — დიდალა, შვილო, ალბათ, მალხაზი მუშაობს, დილას ადრე მიდის.

**იასონი:** — ეს არის თქვენი?

**ქეთო:** — არა, მეორე.

**იასონი:** — მოჰ, გამარჯობათ, ბიძიკოებო, რა ვაჟკაცია (კიკიზა. ბაკო და კიკი მძვინკურად ართმევენ ხელს).

**იასონი:** — მამიდაშვილი სად ბრძანდება ჩემი?

**ქეთო:** — შოთა? შოთა ჰასანის ბიზნესშია. ახლა აქეთ არ არის. თურქეთშია წასული.

**იასონი:** — ბიზნესში. ძალიან კარგი. ბიზნესმენები მჭირდება ახლა სწორედ.

**ჰასანი:** — რაში გჭირდება?

**იასონი:** — უნდა დავასაქმო.

**ჰასანი:** — შენ?

**იასონი:** — აბა!

**ჰასანი:** — დალევ რამეს?

**იასონი:** — ვგავარ ავადმყოფს რამეთი?

**მარგო:** — ავადმყოფს კი არა, ასეთი აჟუჟუნებული კაცი კარგა ხანია აღარსად შემხვედრია.

**მარგო:** — სად ცხოვრობთ?

**იასონი:** — საჭვრიტინო გაბიგონიათ სოფელი?

**მარგო:** — საჭვრიტინო? არ გაბიგონია. სად არის?

**იასონი:** — სად და აქეთ, მთის წვერი რომ ჩანს, ხვალ დილით დაგანახებთ. იმ მთის წვერიდან, სხვათა შორის, მთელი სანაპირო: ეს მხარეც, ის მხარეც და თურქეთის სანაპიროებიც, კარგ ამინდში ხელისგულივით მოჩანს.

**ჰასანი:** — ზედ მთის წვეთზე ცხოვრობ?

**იასონი:** — არა, ბათონო, წვეთზე რავე ვიცხოვრებთ. იმ რომ ახვიდე, მეორეს მხარეზე უნდა დაადგა... ცოტა ქვემოთ, მთის მეორე მხარეს.

**მარგო:** — საჭვრიტინო?!

**ქეთო:** — გაბიგონიათ?

**იასონი:** — ათი წლის წინ მეწყერი ჩამოწვა და მთელი სოფელი ძირს ჩაიტანა.

**ქეთო:** — ეგ რაღაც მეც გამახსენდა, თითქოს.

**მარგო:** — ხალხი ბევრი დაიღუპა?

**იასონი:** — ხუთი კომლი ვიყავით და ხუთივე ჩვენი სახლებიანად ჩაგვანსრიალბ ტყის პირას. ცოტა კი მიგვანჯღრ-მოგვანჯღრია, მარა... მეტი არაფერი.

**ქეთო:** — ბედი არ გინდა?!

**იასონი:** — ერთი-ორჯერ გადმოგვიძროლეს ვერტმფრენით, იფიქრეს, ალბათ, სოფელი ტალახმა დაფარაო. მას მერე კაცი აღარ ამოსულა საჭვრიტინოში. აღარც გზა გვაქვს, ვართ ასე, მოწყვეტილი დანარჩენ ქვეყანას.

**კიკი (მოიხსნის ყურსაცვამს):** — რა სუნია?!

**ქეთო:** — რა სუნია?

**კიკი:** — ვერ გრძნობ?

**ბაკო:** — კი, მე ვგრძნობ.

**ქეთო:** — სუნენ?... არ ვიცი, გაჟჟურა გამოვრთე.

**კიკი:** — არა, რა გაჟჟურა, სხვა სუნია.

**ბაკო:** — აქ არის? მოიცა! (მძვინკური ძაღლივით დაიწყებს ძებნას.)

**კიკი:** — მოიცა, მგონი...

**ბაკო:** — აქედან არის, ეს ვინაა? (დააღებს ცხვირს იასონის ჩანთას.)

**იასონი:** — ეეს? ჩემია, რა ვიცი, ჩემმა ცოლმა რაღაცეები ჩააწყო... რა ვიცი, გადააგდეთ იქით, თუ განუხებთ.

**ბაკო:** — რამე ესენცია გიღვეთ?

**იასონი:** — არა, ბიძიკო, რანის ესენცია?

**ბაკო:** — შეიძლება გავხსნა?

**მარგო:** — ბაკო?

**იასონი:** — განხენით, ბიძიკო, რა ჩაღო ამისთანა?!.. (ბაკო განხენის და ცხვირს ჩაყოფს, კიკიც მას მიგაძახებს.)

**ბაკო:** — აუუ!

**კიკი:** — აუუ! რა მაგარია?!... ნახეთ რა, ერთი ჩასუნეთ...

**იასონი:** — რაშინა საქმე? (კიკი ჩანთას მარგოს მიუტანს, მარგოც ჩაყოფს ცხვირს. მერე თვალებს დახუჭავს და თავს უკან გადააგდებს. დიდხანს არის ასე.)

**მარგო:** — გავფრთხილდები. სადღაც შორს გადავვარდი.

**ქეთო:** — მეც ვნახავ, რა არის ამისთანა?!

**იასონი:** — გადავირიე კაცი, ასეთი არაფერი გამიგია, ხომ არ შემიცვალეს რამე... (მეცა და თვითონაც ჩაყოფს ცხვირს.)

**მარგო:** — შეიძლება ამოვალაგოთ?

**იასონი:** — რას ჰქვია, მაგას კითხვა უნდა? ეს ჩემმა მიუღწეველმა, რაც მოგვეპოვებოდა... მიირთვით.

**ქეთო:** — ესე იგი ჩემთან გამოგატანა.

**იასონი:** — ასე ვთქვათ (ქეთი ჩანთიდან ვაშლებს, თხილს, ყველს, პამიდორს და მწვანელებს ამოიღებს და გაგიღაზე დააწყობს. სუფრის ნივთები სათითაოდ იღებენ და ხელიდან ხელში გადადის იასონის პროდუქტი).

**ბაკო:** — აუ, ეს ნახე, შამგუნე მაქვს, ზუსტად ასეთი სუნი აქვს.

**იასონი:** — გოღივი მომითხოვია, მარა, დამცინით თუ რაშინა საქმე?

**ჰასანი:** — ვაჰ, ვაჰ, აი პამიდორი, ნახე გემო, ნახე, რა არის ქეთო?!.. (ჩააქვინს.)

**იასონი:** — ვერაფერი გამიგია.

**ჰასანი:** — აბა ნახე, ეს და ეს ერთია? (აიღებს იასონის ჩანთიდან პამიდორს და თავის პამიდორს) ჰა, შეაღარე...

**იასონი:** — რატომ, შესახებად არც ეს არის ურიგო.

**მარგო:** — ვერ ხედავ, პლასტმასისას რომ გავს?! არც გემო, არც სუნი. ადრე ერთ ვაშლს შევჭამდი და მთელი დღე რკინასავით ვიყავი.

**იასონი:** — მაგი მართალია, ვაშლი რკინა გვერია, ჩემი შვილებიც დილას რომ აქვრებიან ვაშლის ხეზე, გოღივი მომითხოვია და, სანამ მუცლები არ დაუსკდებათ, ვერ ჩამოვრეკავ.

**ჰასანი:** — აი, თხილი. ეს გვერე მაქვს? ასეთი თხილი კარგ ფასში მიღის. აი, ესეც მიირთვით, ქალბატონო მარგო.

**იასონი:** — მაგი თავისით მრავლდება, ერთ წელს რომ ხუთი ძირია, მეორეს ათი და თხუთმეტი დაგხვდება. ამკრეფი და წამომღები ვინაა, თორემ თხილს მიაქვს იქაურობა.

**მარგო:** — მწვანე ნახეთ, ეს რა არის?

**ქეთო:** — ეს მე ვიცი, გებიაჩემი უშვრებოდა...

**იასონი:** — ლობიოში, შუშხანა ჰქვია მაგას.

**მარგო:** — შუშხანა? რა სუნი აქვს?!...

**იასონი:** — კი (ჰასანი პირში გაიქანებს და სახე დაემანჭება).

**ჰასანი:** — ფუუ! ეს რა ყოფილა, მთელი პირი მომიწამლა.

**იასონი:** — მოგშუშხა. მაგი არ მოგწამლავს, მარა მასე უმად არ იჭმევს.

**ჰასანი:** — წაიღე, მოაშორე, ეს იცი, როგორია?... ფუუ! ზეთისხილი მოგიწყვითათ ხიდან?

**მარგო:** — ვინ ჭამს ზეთისხილს ხიდან.

**ჰასანი:** — არ ვიცოდი და იქაც ეგრე მომივიდა, მაიცა, რამე არ არის, მივაყოლო?

**იასონი:** — ყველაფერი ამოალაგეთ მაგ ჩანთიდან?

**ქეთო:** — რაც იჭმება — კი, დანარჩენი, მგონი, საცვლებია.

**იასონი:** — ჰოდა, მაგ საცვლებშია განვიუღი, რომ არ გამტყდარიყო (დადგამს მაგიდაზე გოთლით

ღვინოს). აბა ერთი ამას გაუსინჯეთ, რომ იტყვიან, ჭაშნიკი და მერე ვილაპარაკოთ, ასეთი ღვინო თუ დაგიღვინათ სადმე?

**ჰასანი:** — ჰოო, კაი რაა?! მე ღვინო დამიღვინა, გოთლი სამასი დოლარი ღირდა.

**ქეთო:** — სად, ჰასან?

**ჰასანი:** — „იმის“ დაცვაში რომ ვმუშაობდი, ჯერ მე ვსინჯავდი საჭმელს, სასმელს და მერე ჩემი უფროსი მიირთმევდა.

**ქეთო:** — კარგი იქნებოდა, არა, ჰასან?

**ჰასანი:** — ეე... ასევე კილო გავხდი.

**ქეთო:** — რას ამბობ?

**მარგო:** — მასე ათასდოლარიანი შამპანური მაქვს გასინჯული, მაგრამ რომ ბითხრათ, გადავირი-მეთქი... კარგი იყო.

**იასონი:** — რაა? (იასონი ჭიქას აავსებს.)

**ჰასანი:** — შავია?

**იასონი:** — ერთი წვეთი, ერთი წვეთი რომ დაგიცეს ტანსაცმელზე, მეორე ღვინოზემდე რაცხვავი რომ დახიო, ვერ მოაცილებ, აბა?!..

**ჰასანი:** — აბა, ვნახო, რა არის.

**იასონი:** — მოიცათ, ჯერ ერთი დამალოცინეთ ეს ჩემიანები.

**ჰასანი:** — რა სძელი ღვინოა, რა ძვია?

**იასონი:** — მაგი მოდის მარტო ჩვეთაან. იცით, რაფერი ვაზია? ხესავით აქვს ტოტები. გურგუნდი, გურგუნდი ძვია ვაზსაც და ღვინოსაც.

**ჰასანი:** — გურგუნდიდან იქნება ჩამოტანილი.

**იასონი:** — არა, ბათონო, იმ ტყეში, სადაც ამ ყურძენს ვკრავთ, გურგუნდიელი კი არა, პირველი ჩემი მეზობელი კონია შვინდა. მისი ნაჰოვია.

**მარგო:** — კონია? ვინ არის კონია.

**ჰასანი:** — ქართველებს რომ ჰკითხო, პირველი ყველაფერი ამათ მოიგონეს.

**მარგო:** — ძალიან ბევრი რამ, სხვათა შორის.

**ჰასანი:** — აბა ვინ მეტყვის, ჩურჩხელა ვინი მოგონილია?

**იასონი:** — ოჰ, ჩურჩხელა, შე კაცო, ქართველი მომგონისთვის არის შექმნილი, შორ გზაზე კალორიები რომ არ დაეკარგა, თან არ ფუჭდებოდა.

**ჰასანი:** — სუ, სუ, არ გინდა, თქვენ რას იტყვით, ძალბათონო მარგო?

**მარგო:** — გივასუხათ აბერ ამ კაცმა.

**ქეთო (კისკინებს):** — უთხარი, ჰასან, ერთი უთხარი.

**ჰასანი:** — იცი, რას გეყვით? მეც ეგრე მეგონა, ვიფიქრე, მაგარი ბიზნესი შეიქმნება აქედან, გავიტან ევროპაში, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური, შენახვის ვადა — რამდენიც გინდა...

**იასონი:** — გშვენიერი იდეა მოგსვლიათ.

**ჰასანი:** — ჰო, არა?! ეგ თქვენი ჩურჩხელა კვიპროსზე მეტროპოლიტო იყიდება, რაფერი გინდა, რა სისძის, რამდენი მეტრი, რამდენი სანტიმეტრი.

**ქეთო:** — ჰა-ჰა-ჰა!..

**იასონი:** — მაგი არ ყოფილა ჩურჩხელა. ჩურჩხელა იქით იყოს და, ახლა ამ ოჯახის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ.

**მარგო:** — თავბრუ დამესხა, ცუდად ვარ.

**ქეთო:** — რა მოგივიდათ, ძალბათონო მარგო? ვაიბე, ჩქარა, ჰასან, მიშველე.

**იასონი:** — თავი, თავი დაუჭირეთ, ენა არ გადაყლაპოს.

**ქეთო:** — ბაკო! ბაკო! ხელი მოკიდე, იასონ (ბაკოს და კიკის არ ესმით, ჰასანს ნახევრადგულწანსული მარგო უჭირავს, ქეთო წყალს აპკურებს, იასონი, როგორც იქნა, გამოსხადებს ბაკოს და კიკის, ბაკო გადის და წნევის აპარატით ბრუნდება).

**ბაკო:** — მაღალი გაქვს (მისცემს აბს და ისევ ძველ ადგილს უბრუნდება).

**იასონი:** — ძალიშვილის ფასი არაფერია (ბაკოზე).

**ქეთო:** — სად მიდისხარ?

**ბაკო:** — ძლიერი პრეპარატი, უცებ დაუნევის.

**ქეთო:** — ძალბათონო მარგო, ცოტა უკეთ ხართ? (მარგო თავს დაუქნევს.)

**ჰასანი:** — სახე დაუბრუნდა, უკეთ ხართ, ხო?

**იასონი:** — გული გადაგიქანდა.

**მარგო:** — ამან მიქნა (ღვინოზე).

**ქეთო:** — რა დალიეთ, რა?

**მარგო:** — ორი ყლუპი.

**ჰასანი:** — მართალს ამოვს. მე ხო საერთოდ დაბალი წნევა მაქვს, ცოტა ვერ ვიყავი, ერთი ჭიქა დავლიე და, იცი, როგორა ვარ? ჩიტივით გავხდი.

**ქეთო:** — აბა, შენთვის ნამალი ყოფილა.

**ჰასანი:** — მაშ, მაშ, აბა ერთი მეც გაგიზომე, შევამოწმე (ქეთო გაუზომავს წნევას).

**ქეთო:** — ას ათი ოთხმოცზე.

**ჰასანი:** — მართლა ნამალია. ეს მე უნდა ვიყიდო. გაქვს კიდევ ერთი-ორი ზოთლი ასეთი ღვინო? დილაობით ერთ ვატარა ჭიქას ჩავარტყამდი.

**იასონი:** — თან მეტი არ ნამომიღია, ამოგრძანდით, ჩემო ბატონო, და ორ ზოთლს კი არა, ორ ზოტას გამომატანთ.

**ქეთო:** — აჰა, ეს ხვალ თან წაიღე (ქეთო იასონის ზოთლს თავს დაახურავს).

**ჰასანი:** — ისე, სწორი ხარ, გემზე უფრო მივარდება წნევა.

**მარგო:** — საით მიემგზავრებით?

**ჰასანი:** — უკვე გამგზავრებული ვარ, ამ ორი დღე გავჩარდი და შემოვიარე, ამათ დავხედე.

**მარგო:** — რას საქმიანობთ?

**ქეთო:** — შავი ზღვის მთელ სანაპიროზე ქვიშას აგროვებენ.

**მარგო:** — რაა?

**ჰასანი:** — ნაპირზე კი არა, ზღვაში. ზემოდან რაც ქვა არის, ის იტვირთება და მერე სხვა ქვეყნებში ყიდიან, ახლა ძირითადად ისრაელში გააქვთ.

**იასონი:** — აშენებენ, ალბათ, რამეს, ხომ?

**ჰასანი:** — არა, რას აშენებენ. იმ ქვას თავისი ქვიშით სიცოცხლე ჰქონია, ქვირითი, მცენარეები, ფლორა, ფაუნა... რა ვიცი.

**მარგო:** — გასაგებია. ახლა საით მიემგზავრებით?

**ჰასანი:** — ვნახოთ, რას გადაწყვიტენ. სატვირთო გემი კი არ არის, იმ სერიოზული ბიზნესმენები არიან.

**მარგო:** — თურქები?

**ჰასანი:** — თურქებიც, ძირითადად ებრაელები და ფრანგები...

**მარგო:** — რომელი გემია?

**ჰასანი:** — „მოცარტი“. ახალია, მოცარტის იუბილესთვის აშენდა.

**მარგო:** — „მოცარტი“ ამ პორტშია ახლა?

**ჰასანი:** — მაშ! ხვალ გადის, ორი დღით შემოვადით.

**ქეთო:** — ჰასან, წამიყვანე რა, მეც რამეზე გამაფორმე. როგორ მიწდა?!

**ჰასანი:** — სად არის ადგილი, ბილეთი ოცდახუთი ათასი დოლარი ღირდა და უკვე აღარ არის...

**იასონი:** — ოჰო, ოჰ, ოჰ... რას არ განიგებს კაცი?!... ე. ი. მიგრძანდებოდა აბა, როდის ამოხვალთ ღვინის წასაღებად.

**ჰასანი:** — სად არის შენი სოფელი?

**იასონი:** — აქეთ ა, რომ გათენდება, დაბანახებთ, მთის წვერს, — „საჭვრიტინო“.

**ჰასანი:** — მთის წვერზე რომელი მანქანით ამოვალ?

**იასონი:** — მანქანით — გოღიში. მანქანა რომ ამოდიოდეს, მაშინ ამ კი არ ვიჭდებოდი ახლა.

**ქეთო:** — უკვე კარგად ხარ, ხომ, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — კი, კი... გმადლოებთ. რა იყო ეს?

**ქეთო:** — ზღვაზე ხომ არ გაგვესიერნა? მოგიხდებათ...

**იასონი:** — ოჰ, დიდებული აზრია.

**მარგო:** — რა ვიცი, წავიდე.

**ქეთო:** — ჰასან, არ ნამოხვალ?

**ჰასანი:** — ხო ვიყავი, მე ამ დავრჩები (ჰასანი მარგოს ადგილს იკავებს შეზღონება, ქეთო, მარგო და იასონი გადიან).

**ჰასანი (კიკის):** — მოდი აქ.

**კიკი:** — რა გინდა?

**ჰასანი:** — მოდი-მეთქი.

**კიკი** (მიდის, ჰასანი ყურსაცვამს მოხსენის): — ოო, გეყოფა!

**კიკი:** — ნელა, რა?!.. (ბანიზომოკება, ჰასანი დროს იხელთებს და უჩქმებს.) — ხელეპი! (ჩანცხებს.)

**ჰასანი:** — ჰა, ჰა...

**ბაკო:** — ალარ თამაშობ?

**კიკი:** — ალარ მიწდა, მიდი, კომპიუტერი ჩამოიტანე (ბაკო გადის).

**ჰასანი:** — ებ რამდენი წლის არის?

**კიკი:** — ხუთი წლით ჩემზე პატარაა.

**ჰასანი:** — მოკლედ, ეს დედაშენი სულ პატარაზე რატომ გიქდება?

**კიკი:** — დედაჩემი რა შუაშია?

**ჰასანი:** — მაგისგან კაცი არ დადგება.

**კიკი:** — ვითომ რატომ, ყველა შენნაირი ხომ არ უნდა იყოს. როდის მიდინარ?

**ჰასანი:** — დამირეკავენ, ალბათ, ხვალ. გინდა, წავიყვანო? მთელ ევროპას ნახავ.

**კიკი:** — მოიცა, რა?!..

**ჰასანი** (ამოიღებს ახ დოლარს): — აჰა, გამომართვი. აჰა, ოღონდ ჯერ... (მიუშვირს ლოყას. კიკი დაიხრება, მაგრამ უკონცნელად წაართმევს ფულს და კისკინით განიქცევა.)

— უჰ, შენი კარგი, დამაცადე?! (ჩამოდის ბაკო, კომპიუტერს მაგი დაზე დადებს.)

**ბაკო:** — მაღსაზი რატომ არ მოვიდა?

**კიკი:** — მე რა ვიცი, ნერვებს მიშლის ებ მაღსაზი.

**ბაკო:** — რატომ, კარგი ბიჭია.

**კიკი:** — რაღა ბიჭია, შვიდი წლით ჩემზე უფროსია.

**ბაკო:** — მერე რა, შენც ჩემზე უფროსი ხარ.

**კიკი:** — ერთი ამ საიტზე შედი, რა?!

**ბაკო:** — რა ხმაა?

**კიკი:** — ცხოველს ჩაეძინა (ჰასანზე).

**ბაკო:** — აი, სურათები რომ გადაგიღეთ...

**კიკი:** — ვაა, რა მაგარია! მაღსაზი ნახე, რაა?! კინოვარსკვალავს ჰგავს აქ.

**ბაკო:** — მაგარი სხეული აქვს, ნავარჯიშები.

**კიკი:** — მაგის მეთს არაფერს აკეთებს და...

**ბაკო:** — ხელი გაწიე, რა?!..

**კიკი:** — რა ლამაზი თმები გაქვს?!..

**ბაკო:** — ოო, არ მიყვარს, თმებზე ხელს რომ მკიდებენ.

**კიკი:** — როდემდე რჩები?

**ბაკო:** — როგორც ბებერი მძორი გადაწყვეტს.

**კიკი:** — მარგოზე ამგოზ? არ გიყვარს?

**ბაკო:** — რატომ უნდა მიყვარდეს, ფული დაენანა და აქ წამომიყვანა.

**კიკი:** — მერე რა, ცუდია აქ?

**ბაკო:** — ააა, კარგია?

**კიკი:** — მე ვიცი, აქ რატომაც ჩამოვიდა.

**ბაკო:** — მოგატყუებდა რაღაცას.

**კიკი:** — არა, კანს იცვლის.

**ბაკო:** — რაა?!

**კიკი:** — კანს იცვლის სახეზეც და მთელ სხეულზე.

**ჰასანი:** — კანს იცვლის რა, გველია?

**კიკი:** — შენ თუ არ უსმენ, მომეცი რა?!

**ჰასანი:** — მოდი და მოგცემ.

**კიკი** (ჰასანს): — არ მიწდა, არა, გძონდეს. (ბაკოს) ვერ ხედავ, მარტო ღამე რომ გამოდის გარეთ?

**ბაკო:** — ებ რას ნიშნავს?

**კიკი:** — მზის სხივი არ უნდა მოხვდეს, თორემ ახალი კანი აუჭრელდება. ისე, მაგარი რაღაც ყოფილა, ოცი წლით გაახალგაზრდავდება.

**ბაკო:** — ფუუ...

**კიკი:** — არ იცოდი?



**ბაკო:** — ვიცოდნი. აგას ისევ ჩაეძინა.

**კიკი:** — შენთან ჩამოვიდე?

**ბაკო:** — როგორც ბინდა.

**კიკი:** — რა მანძანა გყავს.

**ბაკო:** — ჟ, აი... (აჩვენებს).

**კიკი:** — ვაა, აბა სახლიც მაჩვენე.

**ბაკო:** — სახლი არ გადამიღია.

**კიკი:** — კარბად ატარებ?

**ბაკო:** — მე არ ვატარებ, მძღოლს დაჰყავს.

**კიკი:** — ბინდა, გასწავლო ტარება?

**ბაკო:** — არა.

**კიკი:** — რატომ?

**ბაკო:** — არ მინტერესებს.

**კიკი:** — მარგოს ძალიან ბევრი ფული აქვს?

**ბაკო:** — მე რა ვიცი.

**კიკი:** — ეტყობა, ყველაფერზე ეტყობა.

**ბაკო:** — რა ეტყობა. აქ მათხოვარს დაემსგავსა.

**კიკი:** — ისვენებს და კანს იცვლის, ხომ გითხარი.

**ბაკო:** — რაა? ეს არის დასვენება?

**კიკი:** — ეე... შენ ქალებივს რას გაიგებ. ეგ ისეთია, თუ მოინდომა, გვერ ახალგაზრდას ახლაც აჯობებს.

**ბაკო:** — მაგაზე არ გაქამათები.

**კიკი:** — ზოგჯერ ქალები ბანებზე ბანქაბიან, რომ მერე ეფექტი მოახდინონ. ისე, რამდენი წლის იქნება?

**ბაკო:** — ჩვენს წელთაღრიცხვამდეა დაგადებული.

**კიკი:** — რა ბოროტი ხარ?! ასე გეზიზღება?

**ბაკო:** — ვინ გითხრა, რომ მიზიზღება, უბრალოდ, ხანდახან ნერვებს მიშლის... აი, ისევ მაღხაზი...

**კიკი:** — რამდენი ოთახი გაქვთ?

**ბაკო:** — არ ვიცი. მგონი რვა... თუ შვიდი.

**კიკი:** — ბინდა, ბარში წავიდე?

**ბაკო:** — არა.

**კიკი:** — მაშინ გავისეირნოთ სადმე.

**ბაკო:** — მაღხაზს გავუაროთ.

**კიკი:** — მაღხაზს, ალბათ, სძინავს.

**ბაკო:** — იქნებ არ სძინავს.

**კიკი:** — კარგი, გავიაროთ (ბაკო და კიკი გადიან, მარგო და ქეთო გრუნდებიან ვლახიდან, ჰასანი ისევ ხვრინავს).

**ქეთო:** — რა ტანი ჰქონია ამ დასაღუბავ იასონს? შეამჩნიეთ?

**მარგო:** — აკოლონივით არის.

**ქეთო:** — ისე, ჰასანასაც კარგი ტანი აქვს.

**ქეთო:** — გავშვები წასულან.

**მარგო:** — ამ ბაკომ სულ გადამრია, სულ უკმაყოფილოა.

**ქეთო:** — ახლა ეგ ისეთ ადგილებში გყავთ მიჩვეული, იმასთან აქაურობა რას მოეწონებოდა?!

**მარგო:** — ოჰ, აქ კი არა, ორი თვის წინ ნიცაში მყავდა და იქაც ასე ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი. რაც ბინდა, გაუკეთე...

**ქეთო:** — მაგას სხვა რაღაც აწუხებს, ქალბატონო მარგო, ქალი უნდა, ქალი. უნდა მისცე ფული და გაუშვა. მაგ ასაკში უკვე აუცილებელია.

**მარგო:** — წავიდე მერე, ვინ უშლის.

**ქეთო:** — ერთი თქვენნაირი დედამთილი ჩემს კიკისაც შეხვდებოდა, სულ მაგის ლოცვაში ვარ.

**მარგო:** — მორწმუნე ხარ?

**ქეთო:** — მაგარი. სახლში რაც ბინდა დამრჩეს, თუ გავიდი, უკან ვერ მომავრუნებ. ისე, ხო კარგი გოგო გყავს?

**მარგო:** — მშვენიერი.

**ქეთო:** — ხუთი-ექვსი წელიც რა არის, პრინციპში, არა?

**მარგო:** — მე სანინალმდებო არაფერი მაქვს. ეს ბიჭი ისე გავზარდე, არაფერი მაგისტრის არ დამიშლია და არ დავუშლი. „არ შეიძლება“ არ მითქვამს.

**ქეთო:** — ყოჩაღ, ყოჩაღ! აბა საცოდავი ჩემი კიკი, რაც ჩვენ გაჭირვება გვაქვს გამომვლილი, სიცოცხე, აქ რამდენი ღამე გაგიტენებია, ჩახუტებულნი მყავდა ხოლმე, რომ ზღვას არ წავებოთ. ექვ, ვინ მოთვლის.

**მარგო:** — მეც ასე ვიცხოვრე. ჩემი თავისთვის არაფერზე არ მითქვამს უარი.

**ქეთო:** — ყოჩაღ. მაინც, ეს... არ გეწყინოთ, მაგრამ სოფელში ხომ დავიბადეთ?

**მარგო:** — მაგიტომაც გავქეციე აქაურობას, — „ეს არ შეიძლება“, „ის არ შეიძლება“, რატომ? ვინ მოიგონა?

**ქეთო:** — თქვენზე ისეთ ლებენდას ყვეგოდნენ, იმდენ რამეს, ალბათ, ნახევარი ტყუილია, მაგრამ... შაჰისთვის ცოლობაზე უარი აქვს ნათქვამი, გაფიცვა.

**მარგო:** — არა, ეგ ტყუილია, ისე, შაჰის კარზეც მიცეკვია და დიდი საჩუქარიც მიმიღია.

**ქეთო:** — ბაღატსაც ცეკვავდით, ხომ?

**მარგო:** — არა, მე მარტო აზიურს ვცეკვავდი.

**ქეთო:** — აბა, ჩემი ცხოვრება და თქვენი ერთია? კიდევ კარგი, ეს ჰასანი გამომიგზავნა ღმერთმა, თორემ?.. მაინც, როგორ ახერხებდით იმ დროში.

**მარგო:** — სულ ჩუმად, სულ მალულად. სულ მოკარული.

**ქეთო:** — ისე, მოკარული უფრო გემრიელია, არა, რას იტყვი?

**მარგო:** — აბა რა ვიცი, მე სხვანაირად არ მიცხოვრია. ჩემგამა კი შემაქციეს ზურგი და ამომგაღეს ცოცხლების სიდიდან, მაგრამ მე მაინც ძებნის სახელს ვუფრთხილდებოდი, როგორც შემაქლო.

**ქეთო:** — მერა ხო ყველას მოუხდო, ფული როცა იშოვებ?

**მარგო:** — ეგ ჩვეულებრივი ამბავია.

**ქეთო:** — ჩვენს ქორწილში რომ ჩამოხვედით, როდის იყო? ოცდახუთი წლის წინ. სუფრა ხელუხლებელი დარჩა, პირდაღებული ყველა თქვენ შემოგცქეროდათ. მერა, რომ იცეკვებო? ეს, ეს ხომ?!..

**მარგო:** — ექ, ოცდახუთი წლით უკან დამნია ახლა და მე ვიცი, რასაც ვიზამდი!

**ქეთო:** — ახლაც მშვენივრად გამოიყურებით, მართალია, ამ ჯერზე წესიერად ვერ დაგინახეთ, მაგრამ...

**მარგო:** — ხვალ უკვე შემიძლია დღის შუაზე გასვლა.

**ქეთო:** — მართლა, რა კარგია?!.. ესე იგი მე როგორც გავიგე, გაკომ გინდ დღევანე რომ მოიყვანოს ცოლი, არ დაუშლით?

**მარგო:** — ოღონდ ეგ ხასიათზე მოვიდეს და თუ გინდა...

**ქეთო:** — არ გეწყინება, სიმართლე მითხარი, კიკიზე რას იტყვოდი?

**მარგო:** — ვერ გაიგე? სულერთია ჩემთვის.

**ქეთო:** — კარგი, თუ ასეა, მე ვიცი, რაღა ვიღაც ოხერი შემოვიდეს ამ საათივით აწყობილ ოჯახში.

**მარგო:** — რაც გინდა, ის გიქნია, ოღონდ მე თავი დამანებეთ... ისე, სად არიან ამ შუალამისას, სად წავიდოდნენ.

**ქეთო:** — ნუ ნერვიულობ, კიკი კარგად ატარებს მანქანას, ორი წელია, რაც ჰასანმა აჩუქა. დედა კი უტირა, მაგრამ ტარება, რაც მართალია, მართალია, კარგად ისწავლა. ნიჭიერია, სწავლობდა ქალიან ნიჭიერია (შემოდის იასონი თმების მშრალებით).

**იასონი:** — ზღვის ფასი არაფერია, არა, გატონო ჰასან? (ჰასანს ეღვიძება.)

**ჰასანი:** — მოხვედით? კარგი წყალია?

**იასონი:** — დიდებულნი, ნამდვილად დიდებულნი. კაცო, ეს ზღვა არ მახსოვს ასე ახლოს... თუ ვცდები?

**ქეთო:** — არ ცდები, არა! ეს ტომრები აქ ამისთვის ალაგია (იასონი ხელს კიდებს ტომარას).

**იასონი:** — ძვიშაა შიგ?

**ქეთო:** — შემოდგომა დადგება თუ არა, ამ ტომრებს ვანყოფთ სახლის გარშემო, რომ გაქცევა მაინც მოვასწროთ.

**იასონი:** — რას მელაპარაკებო?!

**ქეთო:** — შარხან ეს დრო იყო, უცებ ჩამოხვედა. ავიხედე და ზღვის კედელი დამცქერის თავზე.

**მარგო:** — რა საშინელებაა?!

**ქეთო:** — ორი მტკაველი იყო დარჩენილი სახლამდე.

**მარგო:** — გააუხარე ამოგება, ზღვამდე რომ მივსულიყავით, სპეციალურად სკამი გვქონდა ბლის

ხისგან გამომჩორკნილი, რომ გზაზე შეგვესვენაო.

**ჰასანი:** — ეეე, ამსიპორეზე იყო?

**მარგო:** — მთელ ამ ტერიტორიაზე ზღვაზე ბრინჯი ყოფილა დათესილი.

**ქეთო:** — ბრინჯი კი არა, ბოსტანი აღარ დამიტოვა. მიაქვს და მიაქვს... ახლა ჩვენ მოგვადგა.

**მარგო:** — რა ცურვა გცოდნია, ბიჭო?!

**ჰასანი:** — ცურვა კი არა, რაო, რას ამბობდი, რაღაც ბიზნესმენები უნდა დავასაქმოო?

**ქეთო:** — იცოდეთ, მე წილში ვარ.

**იასონი:** — არა, არაფერი.

**ქეთო:** — როგორ არაფერი, მეც გავიგონე.

**მარგო:** — გვიმალავ თუ გადაიფიქრე?

**იასონი:** — მართალი გითხრათ, არ მეგონა, ჩემი ბიძაშვილი თუ არ დამხვდებოდა შინ.

**ქეთო:** — მოიცა, ვერ გავიგე, მე რა, შენი ბიძაშვილის ცოლი არ ვარ თუ?!

**იასონი:** — რავე გაქაღრებათ?!

**ქეთო:** — როგორ, მაშ, აქ რა გინდა? თუ მდგომარეობა ხარ? მე აღბილი არ მაქვს მდგომარეობისთვის, ყველა დაკავებულია.

**იასონი:** — ჰა-ჰა-ჰა, გამაბრუნეთ.

**ჰასანი:** — მიდი, მიდი, თუ დანიწყა, თქვი, აღარ გაბიჭა.

**მარგო:** — რა არის ისეთი, ჩვენთან რომ არ ითქმება?!

**იასონი:** — კარგი, რახან ასეა?!... მიწა მიწა გავყიდო.

**ქეთო:** — მიწა?

**იასონი:** — დიას, მიწა, დიდი, უშველებელი, სავსე ხეხილით.

**მარგო:** — ქალაქში ავირებთ გადმოსვლას?

**იასონი:** — არა, მაგაზე არ მიფიქრია, მეორეც მაქვს, სადაც სახლი მიღვას, ეს გვერდითა.

**ჰასანი:** — მერე, რამდენად ყიფი მაგ შენს მიწას?

**იასონი:** — ალბათ, ასე, ათას დოლარად...

**ქეთო:** — მოიცადე, ამბობენ, უფრო გაქვირდებაო.

**იასონი:** — საქმეც მაგაზეა, რომ ვერ მოვიცდი.

**ქეთო:** — ასეთი რა ცაცხელი გიქილია?

**იასონი:** — ვაი, რომ მიქილია.

**მარგო:** — რატომ, რა გჭირთ?

**იასონი:** — ცოლი მყავს ფეხმძიმედ... წინა მშობიარობას კინაღამ გადაჰყვა... თუ დროზე არ მოიპორა, მეშინია, ვინც მყავს, ისინი არ დამიოტლებენ...

**მარგო:** — რამდენი შვილი გყავს?

**იასონი:** — სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი.

**ჰასანი:** — თქვენთან შუქი არ არის, ეტყობა.

**იასონი:** — რა ბრძანეთ?

**ქეთო:** — ჰასან?!.. არაფერი, ისე (იასონს).

**მარგო:** — მერე, რა პრობლეაა.

**იასონი:** — აქ რომ წამოვიყვანო, ტრაქტორი უნდა დავიქირავო, მანქანა, უკვე მოგახსენეთ, ჩვენთან ვერანაირი ვეღარ ამოღის. გავიკითხე და ორას დოლარზე ნაკლებად კაცი არ მომყვება... მერე ექიმებსაც... მოკლედ სამასი დოლარი ახლა, როგორც წყალი, ისე მჭირდება...

**ქეთო:** — ჰოო!

**მარგო:** — შენი ქონების ჰატრონს სამასი დოლარის შოვნა არ გაგიჭირდება. შენ რომ ეს პროდუქტი, რაც გაქვს, ქალაქში ჩამოიტანო, ხელიდან გამოგტაცებენ. თანაც შორსაც არ ყოფილხარ.

**იასონი:** — არა, შორს არ ვარ, რომ გათენდება, დაბანახებთ მთას, აგერ, მთის უკან. შორი როგორაა, მაგრამ გზა არ გვაქვს, გზა. მსურველი თუ გამოიჩინდა, ნაკლებადც მივცემდი...

**ქეთო:** — ეჰ, მიწა, ჩემო კარგო, მეც მაქვს ნაფიქრთარი და იმისათვის ვერ მომივლია.

**ჰასანი:** — შენ მიწას თავი დაანება, სწორი გითხრა ამ ქალბატონმა, პროდუქტი ჩამოიტანე, პროდუქტი, ყველაზე კარგად ეგ მიღის.

**იასონი:** — ე, ბიჭო, ეს პროდუქტი იმ მიწაზე არაა მოყვანილი?!.. რამხელაა იცი?

**ჰასანი:** — რამდენი კვადრატულია?

**იასონი:** — კვადრატულივით არ გაიზომია, რაც არის, გავყიდი მთლიანად. ხილი არ არსებობს, იმ რომ

არ მოდიოდეს. გაღნარია. იმისთანაა, ხელი რომ არ გაანძვრიო, მართო რვა ძირი კაკლის ხე მაქვს დარგული; თხილია და ისე მრავლდება, აჩვენას ვერ მოასწრებ, რომ განსავლელი ადგილი დატოვო; ზონტნეულის ორ მოსავალს ვიღებთ. იმის იქითაც მიიმატა და მიიმატა რამდენიც გინებო.

**ჰასანი:** — მიიმატა, ეგრე სად არის, ვიღაცის ხო არის?

**იასონი:** — არავის მინა არ არის ის, შვილებს გეფიცებით, ათი წელია მეწყერის შემდეგ კაცი აღარ ამოსულა ჩვენთან.

**ჰასანი:** — ვიცე მე ქართველების ამგავი, მერა ყველაფერს გამოუჩნდება პატრონი.

**ქეთო:** — კი კაცო!.. აბერ ორი მტკაველი მიწისთვის ჩემ გვერდით ქებება კინაღამ დაკლეს ერთმანეთი.

**ჰასანი:** — ისე, რა მანძილზეა, მაინც, ეგ შენი მიწა?

**იასონი:** — როცა გზა გვქონდა, ორ საათში ჩამოვდიოდით ფეხით.

**მარგო:** — სულ ახლოს ყოფილა.

**იასონი:** — აბერ გათენდება და გამოჩნდება, ამ მთის უკან.

**ჰასანი:** — რა ვიცე, ჩართავ ტელევიზორს და „ეს ჩვენი მიწა იმან ნაგვართვა!“... „ამან ნაგვართვა“, — „აბა მიდიო! არ დაუთმოო!“ „ჰაი! ჰუი!“ „აი, ამდენი მიწა აქვს კაცს, მიდიო!“

**ქეთო:** — იმ ახლა გზა არ არის და...

**ჰასანი:** — ოო, კარგი რა, გაზეთები წაიკითხე, ლამის ტუფლებში გაცვალონ მთელი სოფელი.

**მარგო:** — ჰა-ჰა-ჰა... ისე, ჯონ ლენონის კოლეგებიდან აუქციონზე თხუთმეტი ათასად გაიყიდა ფეხსაცმელი.

**ჰასანი:** — ჰა, ესეც მე ვარ...

**ქეთო:** — თხუთმეტი ათასად ესენი მთელ სოფელს გაყიდნიან, არა, იასონ?

**იასონი:** — მავისთანა ცხოვრება ჩვენთან როცა მოვა, მაშინ მიწასაც ექნება ფასი.

**ჰასანი:** — ელოდე, ელოდე... ქართველებს რაც აქვთ, ებეც უნდა წაართვა.

**იასონი:** — რა ბრძანეთ?

**ქეთო:** — ჰასან, რატომ ამგოვ მაგას? ისე, ამასაც ხო ქართული სისხლი ურევიან და გული შესტკივან.

**ჰასანი:** — რაც სიზარმაცე მაქვს, სულ ეგ სისხლია.

**მარგო:** — ამ კაცს ეგ არ ეხება, ვერ ხედავ, ედემის ბაღი ჰქონია.

**ჰასანი:** — ამასაც ეხება, არ არის ეგრე?

**იასონი:** — რაშია საქმე, გატონო ჰასან?

**ჰასანი:** — ათი წელია ხო, რაც გზა არ არის? ეგრე არ თქვი?

**იასონი:** — გათერთმეტი დაიწყო, მერა?!

**ჰასანი:** — ათი იყო. რამდენი კაცია შენს სოფელში, ჯანზე ვინც არის?

**იასონი:** — ასე, ცხრანი ვიქნებით.

**ჰასანი:** — მერა, თითო დღეში ერთი მატრი რომ გაგეგმინდათ, ათ წელიწადში?!

**იასონი:** — ვინ იფიქრებდა, რომ ეს ყველაფერი ამდენხანს გაგრძელდებოდა.

**მარგო:** — სათქმელად აღვილია, მიდი აბა, ცარიელი ხელებით, ტექნიკა ამათ არა აქვთ და არაფერი. შენ გზის გაყვანას ეხუმრები?

**იასონი:** — მასე ჩვენც კი მოვჩინებთ რაცხა, მარა ეს არ კმარა... ამიტომ არ მიწოდდა ამ საკითხზე თქვენთან...

**ქეთო:** — იასონ, ჰასანს გული შესტკივან და ასე იმითომ ამგოვს, არა, ჰასან?

**მარგო:** — რით დაგეხმაროთ, ჩემო კარგო, მე მიწა ნამდვილად არ მჭირდება, ჩემს შვილს საჭვრიტინო კი არა, საერთოდ აღარ უნდა ამ ქვეყანაში ცხოვრება.

**ჰასანი:** — ტყუილია, მერა?! ჭკვიანი ყოფილა.

**იასონი:** — კი, მაგრამ, თუ ასე დაქცეულები ვართ, თქვენ თავად აქ რატომ ირჯებით?

**ქეთო:** — მერა ვინ გითხრა, რომ ეს აქ ცხოვროვს?! თქვენი ერთხელ ან ორჯერ რამდენიმე დღით თუ ჩამოვა საქმეზე. აქ რა უნდა, იმხელა სახლ-კარი აქვს, ცხენი გაჭინდება.

**იასონი:** — ღმერთმა მშვიდობაში მოახაროს, ვინ ართმევს მერა.

**მარგო:** — მერამდენა თქვენი თქვენი ცოლი?

**იასონი:** — ჯერ ახალი ამგავია მისი ფეხმძიმობა.

**ქეთო:** — უიი... ეს რა მაგარი რაღაც გამახსენდა?! გინდა, მაგ სამას დოლარს ერთი წელიც მივუწეროთ და მაგდენი ფული გაუმოვინო?

**იასონი:** — მესუმრებით?

**ქეთო:** — ჰასან (ყურში ეჩურჩულება ჰასანს რაღაცას).

**ჰასანი:** — ფატიხა ამგომ? სალო! მიდი, შენ უთხარი.

**ქეთო:** — ჰა, გინდა თუ არ გინდა, სამი ათასი დოლარი, შეიძლება თავის ფეხქაპითაც?

**იასონი:** — რას გვთავაზობთ?

**ჰასანი:** — შენი ცოლი ლამაზია?

**იასონი:** — ჰე! ლამაზია, მერა?

**მარგო:** — ამისთანა ვაჟკაცს ლამაზი ცოლი რომ ეყოლება, კითხვა რად უნდა?

**ჰასანი:** — მაშინ, შვილებიც ლამაზები ეყოლებათ.

**იასონი:** — გამაბეპინეთ, რა გინდათ?

**ჰასანი:** — გაყიდე ეგ ბავშვი.

**იასონი:** — რომელი ბავშვი?

**ჰასანი:** — აი, ჯერ რომ არ დაბადებულა, ხო მაინც არ გინდათ?!

**ქეთო:** — შენც ცოლსაც ჩამოგაყვანივებს, კარგს აჭმევინ, კარგს ჩააცმევინ.

**მარგო:** — ამაზე კარგს რას აჭმევინ, ეს რომ აჭმევს?

**ქეთო:** — რას ამგობთ, ძალბათონო მარგო, იცით, ეს რა ოჯახია?! არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენზე ბევრად შეძლებული.

**მარგო:** — მე რატომ უნდა მეწყინოს?

**ქეთო:** — ეგ ერთი ჰროვლემა აქვთ, რომ შვილი არ ჰყავთ.

**ჰასანი:** — არა, ახლა გაზრდილ შვილს გიჟის მეთი ვინ მისცემს სხვას, მაგრამ თუ შენ მაინც არ გინდა, შენც იხეირა, სხვაც ახეირა. თხუთმეტი წელია შვილი არ ჰყავთ.

**ქეთო:** — ამასაც უჭირს, თორემ ამხელა მიწას ათას დოლარად რატომ გაყიდდა. ეჰ, ყველას ჩვენ-ჩვენი გაჭირვება გვაქვს.

**მარგო:** — მერა თხუთმეტი წელი, შე კაი კაცო, ამხელა ქონების პატრონი თუა, ბავშვი რომორ ვერ იშვილა?

**ჰასანი:** — საქმაც ისაა, რომ ყველასი არ უნდა. დედაც უნდა ნახოს, მამაც და თანაც აიჩემა — ძარტველიო. თქვენი მოლა კიდევ ძარტველი ბავშვების გაშვილებას უკრძალავს ყველას.

**მარგო:** — ჩვენ მოლა არ გვყავს.

**ჰასანი:** — ვინც არი, შენ ხო იცი, ვიზეც ვამგომ, ქეთო?

**ქეთო:** — როგორ არ ვიცი, ვინ არ ჩაუსაფრდა. ზოგმა რა დანერა, ზოგმა უჩივლა, შარი მოსდო, მაგრამ ყველგან გამართლდა.

**მარგო:** — შენ საიდან იცი?

**ქეთო:** — აბარ, ეს ჩვენი მეზობელი მალხაზი ხომ იმასთან მუშაობს მომარაგებაში.

**მარგო:** — დიდი ხანია?

**ქეთო:** — რაც ეგ ბავშვთა სახლი გახსნა, ესეც იმ არის. ისეთ პირობებში ყოფილან ბავშვები, უკეთესს ვერ ინატრებო.

**ჰასანი:** — რაღაც მოთვერნობას მაინც ეძნება ადგილი.

**ქეთო:** — მალხაზი ამგობს, არაო.

**ჰასანი:** — მაიცა რა, მაშინ მამას რა ხეირი?

**მარგო:** — მართო ხეირისთვის ხომ არ არის ყველა, დიდი საქმე ნამოუწყია. რამდენი ბავშვი ჰყავს?

**ქეთო:** — ასამდე. მოვლილები, ნასნავლები, ისეთი ლამაზები არიან, თურგამ.

**მარგო:** — ასაკი? რა ასაკის არიან?

**ქეთო:** — სულ ახალშობილებიდან დაწყებული თორმეტ-ცამეტი წლამდე, მერა სასნავლებლად უშვებს, ზოგიც მშობლებს მიჰყავთ.

**ჰასანი:** — ჰო, კაი, ის როგორ იყო, ავადმყოფი ბავშვი რომ უნდოდა ვილაც ფრანგს? ისიც არ მისცა.

**ქეთო:** — აბა?! დამგლა აქვსო, მალხაზი ყვეგოდა.

**ჰასანი:** — ეს ევროპელები ხო გიჟები არიან, სხვისი ავადმყოფი რად უნდათ, არ მესმის.

**მარგო:** — ხო ხედავთ, თქვენ ბევრი რამ არ გეხდით, იმ კაცს თავისი პრინციპები აქვს. თავად აიღო, ეტყობა, პასუხისმგებლობა და ბოლომდე ეძევა ამ ტვირთს.

**ჰასანი:** — კაი, ვინაც მშობელი ჰყავს, გაუზარდოს, ვინაც არა? ეგ როდემდე იძნება ცოცხალი, მერა ცოდო არ არიან ის ავადმყოფი ბავშვები?!

**მარგო:** — ავადმყოფების გაშვილებაზე აქაურობსაც უარს ეუბნება?

**ქეთო:** — ოჰ, ახლოს ვერ მიეკარები, თუ ბაიგო, ვინმე აზორტის გაკეთებას აპირებს, ეუბნება, „თუ საშუალება არ გაქვთ, მე გაგიზრდით, განათლებასაც მივცემ, როცა საშუალება მოგიცემათ,

მაშინ წაიყვანეთო“. აქაური ეპისკოპოსია.

**ჰასანი:** — მაგას რაღაც ხეირი აქვს, თორემ ისე, ტყუილად არ იქნება. მანდ დიდი ქაღალის თაპია დამარხული. რაღაცას ჩალიჩობს ებ თქვენი მოლა.

**ქეთო:** — ჰასან? ხო ბითხრეს, ჩვენ მოლა არ გვყავს.

**ჰასანი:** — ვინც არი, რა (იასონი ხმას არ იღებს. ჩუმად გამოცლის ღვინით სავსე ჭიქას და წამოღება. ონკანთან მივა და წყლით გაავსებს).

**ქეთო:** — აი, თქვენც ვერ დაიჯერეთ, ხომ, ქალბატონო მარგო, რომ გავშვი ვერ იშოვთ ამდენი ხანი?

**მარგო:** — არა, მჯერა, დაუჯერებელი არაფერია... (იასონი მიუახლოვდება, ისინი გაჩერდებიან.)

**იასონი:** — მე შვილს არ გავყიდი, ამაზე ალარ დამელაპარაკოთ (იტყვის და ჭიქით წყალს აავსებს).

**ქეთო:** — ოჰ, კაი კაცო, არ გაყიდი და წადი იმ შენს საჭვრიტინოში და გვიჭვრიტინე იქიდან (იასონი წყალს დალევს). რა ქენი?

**იასონი:** — რა ვქენი?

**ქეთო:** — წყალი დალიე?

**ჰასანი:** — ბიჭო, ონკანის წყალი დალიე?

**მარგო:** — ჩქარა, რამე უშველით.

**ჰასანი:** — ვერ ხედავ, აქ ბოთლებით რატომ ალაგია „წყაროს წყალი“?

**ქეთო:** — ვინღა სვამს ამ წყალს.

**მარგო:** — ჩქარა, რამე ვუშველოთ, თორემ მოინდამლება.

**ქეთო:** — გული ხომ არ გერევა?

**იასონი:** — რა მოხდა, აგერ, ამ ონკანიდან დავლიე.

**ქეთო:** — არ ისმება, არა, სადღა მოდის ონკანში დასალევი წყალი, არიქა, რამე ვუშველოთ.

**მარგო:** — რქე მივაყოლებინოთ.

**იასონი:** — რქე ჩემს ცხოვრებაში არ დამიღვებია.

**ჰასანი:** — მაშინ სპირტი. შეგიძლია?

**იასონი:** — კი ბატონო, რახან ასეა (ქეთო ბოთლით სპირტს მოარბენინებს). რამდენი დავლიო?

**ჰასანი:** — რაც გვერის, მით უკეთესი, რომ გაანეიტრალოს (იასონი ბოთლს მოიყუდება და ბოლომდე ჩატლის).

**ქეთო:** — რას შვრები, სუფთა სპირტია (იასონი ხელს ჩაიქნებს, შემორბიან კიკი და ბაკო). რა იყო, თქვენ რაღა მოგივიდათ?

**ბაკო:** — მარგო, მიდი რა, დროზე?!..

**კიკი:** — ბაკო რომ ექვება, ისეთი მოგილური აღმოაჩინა.

**ქეთო:** — სად, ბაკუნა?

**კიკი:** — ვორტთან, ახალ მაღაზიაში.

**მარგო:** — იმ სიშორეზე რამ წაბიყვანათ?

**ბაკო:** — ოო... ჩქარა რაა?

**მარგო:** — კეისი ჩამომიტანე, თუ დამრჩა მაგდენი, თუ არა და სვალ გამომიტან განკიდან.

**ბაკო:** — ოო, რა სვალ?!

**ჰასანი:** — კი, ოცდამთხი საათი მუშაობს, ვიცი ებ მაღაზია.

**ქეთო:** — რა ღირს?

**კიკი:** — ათას ორასი დოლარი.

**იასონი:** — მოდი ბიძიკო აქ, ეს არის ჩემი სისხლი და ხორცი. ვენაცვალე (ხელს მოხვევს კიკის). ვაჰკაცი, უჰ...

**ჰასანი:** — შენ არ ბინდა?

**კიკი:** — რატომაც არა.

**ჰასანი:** — მერე, რა პრობლემაა, კარგად თუ მოიძვევი... შენც გექნება.

**კიკი:** — ოო... (მოიშორებს იასონს.)

**ქეთო:** — სვალ წასულიყავით?!

**მარგო:** — ის არ მოახვედებს, ბაკო, ვერა ნახე?..

**ქეთო:** — კიკი, იქ დარჩით, ვორტის სასტუმროში, ნუ დაგოდიალობთ წინ და უკან.

**კიკი:** — რაა? მერე ფული?

**ქეთო:** — ჰასან! (მიდის და ყურში რაღაცას ეუბნება.)

**ჰასანი:** — მე მაგას უკვე მივეცი... ეხლა, ეხლა ჰო...

**კიკი:** — ეს რას მეყოფა?

**ქეთო:** — მოიცა, არ წახვიდე (შერბის ფულის გამოსატანად).

**იასონი:** — ბიძიკო, ნამდვილი სახელი მითხარი ერთი შენი...

**კიკი:** — მაკრინე.

**იასონი:** — მაკრინე? მაკრინე?.. ჰმ! (იასონს სასმელი მოჰკიდებია) მაკრინე გალოგრა.

**ქეთო:** — კიკი! კიკი! მოვდივარ, დამელოდა (ქეთო ჰავშვების მიმართულებით გაიქცევა. მარგო, იასონი და ჰასანი ჩუმად არიან).

**ჰასანი:** — ქალბატონო მარგო, ქეთომ მითხრა, ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ ცხოვრობდამო, ჰომო?

**მარგო:** — ვცხოვრობდი.

**ჰასანი:** — მაინც სად?

**მარგო:** — ყველაზე დიდხანს ირანში ვიყავი, თითქმის ხუთი წელი, სამი წელი ამერიკაში.

**ჰასანი:** — ეგ როდის?

**მარგო:** — ოცი წლის წინ... ირლანდიაში, იაპონიაში, რა ვიცი, ყველგან.

**ჰასანი:** — ისეთ დროს როგორ გიშვებდნენ, აქედან რომ სადმე წასულიყავი?!

**მარგო:** — მიშვებდნენ, ბევრი ვერ გადიოდა, რაღაც მცირე ნაწილს უშვებდნენ. მოცეკვავე ვიყავი, თან ძალიან მაგარი და მიშვებდნენ.

**ჰასანი:** — მერე, ამ დამხალ ქვეყანაში რაღამ დაგაბრუნათ?

**იასონი:** — ეე, ბიჭო, შენ რაღაცა რამსები გაქვს არაქული (სწვდება ჰასანს კისერში და მაღლა ასწევს).

**ჰასანი:** — რა გინდა, კაცო?

**იასონი:** — ვის ასწავლი შენ ჭკუას, ვინ გკითხავს შენ, ვინ სად წავა და ვინ სად დარჩება, აა?

**ჰასანი:** — რა იყო, რა მოგივიდა? ხელი გამიშვი.

**მარგო:** — იასონ, შენი ჭირიმა...

**იასონი:** — ვინ რას გაყიდის და ვინ რას იყიდის, რა შენი საქმეა?! (გიაყენებს კედელთან.)

**ჰასანი:** — არ გინდა, კმაო, დაწყნარდი, რა გინდა ჩემგან?!

**იასონი:** — რა გინდა და, ლამაზია შენი ცოლი? მიპასუხე!

**მარგო:** — სად წავიდა ის ქალი? ქეთო?! იასონ!

**ჰასანი:** — რაა?

**იასონი:** — შენი ცოლი ლამაზია-მეთქი?!.. თქვი, თორემ გაგათავა ადგილზე!

**ჰასანი:** — რომელი?

**იასონი:** — რას ჰქვია, რომელი? (მოუჭარს კისერზე ხელს.)

**ჰასანი:** — მიშველეთ!

**იასონი:** — კიდეც დამცინი, ხომ? შენი... მიგახრჩობ.

**მარგო:** — არ დაგცინის, მაგათთან დაშვებულია მრავალცოლიანობა, გაუშვი ხელი, გაეშდარები, შენი ჭირიმა. ქეთო, მიშველეთ!

**იასონი:** — ჰოდა, ნათქვამს იქ, სადაც დაშვებულია, რა უნდათ, რას შეგვჭამეს!!! (ყვირის. შემორბის ქეთო.)

**ქეთო:** — ვაიგი, რა ხდება? იასონ, არ დამღუპო, შენი ჭირიმა (ქალები იასონს ხელეზზე ჩამოეკიდებინან. იასონი ერთი ხელის კვრით მოიშორებს ორივეს და ჰასანს მოისვრის). რა იყო, ჰა... ჰა... ჰა... რა ხუმრობაა, ერთი წუთით დაგტოვეთ.

**მარგო:** — იასონ, წამოდი ახლა, გვინან არის, მოვისვენოთ.

**იასონი:** — თქვენთან ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, მე მაპატიეთ...

**მარგო:** — არაფერი არ გაქვს საბოდიშო, წამოდი, წამოდი.

**ქეთო:** — მარგო, ქალბატონო მარგო, აქეთ, აქეთ, ჰო, მაგ ოთახში (რჩებიან ჰასანი და ქეთო). რა მოუვიდა, მაჩვენე, რამე ხომ არ გატკინა.

**ჰასანი:** — შემეშვი, რაა?! (ხელს ჰკრავს და ისიც გადის. ქეთო მარტო რჩება და მოვილურს ამოიღებს.)

**ქეთო:** — კიკი, მე ვარ, იშოვებთ ნოვარი?... ჰო, გითხარი. ერთიც როგორ იშოვებთ, მიკვირს... ჰო, კარგი, კარგი... როცა გინდათ, მაშინ მოდით, ოღონდ ჭკვინად (ქეთო შალს მოიხურავს, მოეწყობა და კმაყოფილს ჩაეძინება.)

(თენდება. შემოდის მარგო, გვირად ახალგაზრდა და ლამაზი, ძვირფას ტანისამოსში.)

**მარგო:** — აბა შემომხედე, ღირდა ათი ღლის წვალეა? (ქეთო თვალეას გაახელს და ღიღხანს უყურებს მარგოს.)

**მარგო:** — ხმა ამოიღე, რა გჭირს?

**ქეთო:** — ზუსტად ისეთი ხართ, როგორიც მაშინ, პირველად რომ გნახეთ ჩემს ქორწილში.

**მარგო:** — რას ამბობ, მაშინ ხომ...

**ქეთო:** — გეფიცები, კიკის სიცოცხლეს გეფიცები, თუ რამეს ვამატებდე (შემოდის ჰასანი, რომელიც მარგოს დანახვაზე აღვიწყებდა).

**ქეთო:** — ა, ჰასან, მართალი ვიყავი, რასაც ვამბობდი, თუ არა?

**ჰასანი:** — ქალბატონო მარგო, თქვენ... დღე... მართლა... ვანი?!

**ქეთო:** — თვალწინ დამიდგა ჩემი ქორწილი და ის ცეკვა, შინდისფერი კაბა გაცვამთ, ოქროსფერი რაღაცეები ჰქონდა ამაზე.

**მარგო:** — ა, ჰო, მექსიკაში ვიყიდე, კი, გამახსენდა, მეც მიყვარდა ის კაბა.

**ჰასანი:** — მექსიკაში?

**ქეთო:** — რო გზრიალებდი, ქვემოთ იასამნისფერი მაქმანი მოჩანდა.

**მარგო:** — როგორ, ასე? (დატრიალდება.)

**ქეთო:** — მე ასეთი არაფერი მინახავს ჩემს ცხოვრებაში, ამ გრძელ თითებს სახესთან რომ მიიტანდით და...

**მარგო:** — როგორ, ასე? (იწყებს ცეკვას, ჰასანი პირდაპირი შესცქერის.)

**ჰასანი:** — ეს მართლა ის არის, აქ რომ იწვია? (მარგო ცეკვას ამთავრებს, ქეთო ტაშს უკრავს და ჩაეხუტება, ცრემლებს ინდნდს, ჰასანი დაიჩოქებს და ხელზე აკოცებს.)

**ქეთო:** — აი, ამიტომ იყო, უკანასკნელ კაპიკებს კიკის ცეკვაში რომ ვიხდიდი, რა ლამაზია ეს კაბა, ულამაზესი.

**მარგო:** — ჰა-ჰა-ჰა, როგორც ვხედავ, ეფექტი მოვახდინე (ისმის სველების ხმა). ამას დაგიტოვებ, შენი იყო.

**ქეთო:** — გაიღვიძა ვაჟბატონმა, გამოგრაძნდეს ერთი...

**მარგო:** — სუუ, აბა, ხმა, კრინტი! გუშინდელზე ხმა არ ამოიღოთ, შეიძლება არც ახსოვს (შემოდის იანონი).

**იანონი:** — დილა მშვიდობისა... ქალბატონო მარგო?!..

**მარგო:** — ჰა, თქვი ახლა, ჩემისთანა ქალები თუ დადინან საჭვითინოში.

**იანონი:** — საჭვითინოში კი არა, საჭვითინოდან რაც მოჩანს, იქაც ვერ მოიქცევა (იანონი ზღვისკენ ზურგით დადგება). ნისლია, გაღივლის და დაგანახვებთ. აბერ, აქ არის.

**ქეთო:** — დღეს ცუდი ამინდია.

**მარგო:** — მე ასეთი ამინდი მაწყობს, მზეს მაინც მოვერიდები.

**იანონი:** — წუხელ ქან დავთვერი, ალარაფერი მახსოვს, ვინმეს რამე თუ განყენინეთ (შეხედავს ჰასანს).

**ჰასანი:** — არა, კაცო, ვის არ დაუღვივია, შენ კარგად იყავი.

**იანონი:** — დამალვივით ერთი, რომელ წყალს სვამთ, გამიშრა პირი.

**ჰასანი:** — აი, „წყაროს წყალი“ აწერია.

**იანონი (წარწერას ნაიკითხავს, ჭიქაში ჩამოსხამს და დალევს):** — ეს არის, ბიჭო, წყაროს წყალი?!

**ჰასანი (დაიხსამს და დალევს):** — ჰო, ეგ არი, აბა!

**იანონი:** — ფუუ, შეგირცხვამთ ნამუსი, „წყაროს წყალი“ კი არა, „გუბის წყალი“ უნდა ეწეროს. ნავედი, ნავედი ჩემს საჭვითინოში, წყალს მაინც დავლევ ნესიერს.

**ქეთო:** — რა ვქნათ, ვერაფერი ვატივი გეცით.

**იანონი:** — თქვენ იყავით კარგად, როდის ჩამოდის ჩემი შოთიკო?

**ქეთო:** — რას გაიგებ იმისას.

**იანონი:** — ქალბატონო მარგო, თქვენც მიღინხართ?

**მარგო:** — წავალ, ისედაც ღიღხანს მომიტანა აქ დარჩენა.

**ქეთო:** — ეჰ, ნეტა თქვენისთანა სტუმარი...

**იანონი:** — ერთი გზა არ გვექნება, მარა სადამდეც უფლებას მომცემთ, იქამდე მაინც მიგაცილებთ, ცოტა ხანს მაინც გავივლი ამაყად გზაზე.

**მარგო:** — კი, ბატონო (გამოსდებს ხელკავს).



**ქეთო:** — სად მიდიხარ, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — ცოტას გავინსიერნებ.

**იასონი:** — დიდი მაღლობა, ქალბატონო ქეთევან.

**ქეთო:** — რინი მაღლობა, ხელი ვერაფრით მოგიმართეთ.

**იასონი (ჰასანს):** — კარგად, ჩემო ქამიკო, გუშინ ცოტა მეტი მომივიდა და თუ რაიმე შემიშალა, მაპატიე, ეს პატარა წუთისოფელი არ ღირს იმად, რომ ვინმეს გული ატკინო.

**ჰასანი:** — რას ამბობ, შენ ბენეცვალე, არა გრცხვინია (ბადაკოცნიან ერთმანეთს. იასონი მარგოს ხელკავს გამოსდებს და განსაცვლელად ემზადებიან).

**მარგო:** — რომელ სასტუმროში გაჩერდნენ გავშვები?

**ჰასანი:** — „სავანეში“, იქვეა ჰორტთან.

**იასონი:** — აბა, კარგად მეყოლეთ, შენ ღვინოს რომ შეგვირდდი, არ დამვიწყებია, აქ დავტოვებ.

**ჰასანი:** — მართლა? დიდი მაღლობა.

**იასონი:** — გშვიდობით, კარგად მენახეთ.

**ჰასანი:** — ერთი წუთით, რა, ერთი წუთით, სულ რაღაც მიტრიალებდა ამ თავში და ახლა გამახსენდა, ბიჭო, მომისმინე კარგად, თქვენთან თუ არის ისეთი ადგილები, სადაც არც ხეხილია, არც ბოსტანი, მარტო შავი მიწაა და გალახი?

**იასონი:** — მაგის მეტი რა არის.

**ჰასანი:** — რა ჰქვია მაგას? ისა... უჰ... მოიცა რა ცოტა ხანი.

**მარგო:** — ნეშომავლა... ჰუმუსზე ამბობ?

**ჰასანი:** — ჰო, აი თქვენ გაცოდინებათ, მომისმინე, იასონ, შენი არაფერი მიღის, ერთ მტკაველს იქით გადაზომავ, ერთ მტკაველს — აქეთ, კვადრები რომ გამოვიდეს, მერე ისე, დანით შემოხაზე და მოჭერი.

**მარგო:** — მაგას სპეციალური იარაღით ჭრიან.

**ჰასანი:** — კი, მაგრამ ის იარაღი ფესვებსაც ჭრის, თითქმის ამოღებული უფრო ძვირად ფასობს.

**იასონი:** — რა, კაცო, მიწა?

**ჰასანი:** — გეფიცობი შვილებს, ახლა ამ ძვირს და ზღვის კენჭებს რომ მოვრჩებით, მიწის გატანა უნდა დავიწყოთ. რაღა სხვაგან ვეძებოთ, ესე მცდაათ სანტიმეტრზე ერთი მტკაველი იქით, მეორე მტკაველი აქით, შუა-შუა ქალაქები დაუფინე და სანამ მე ჩამოვალ, ქეთოსთან დავტოვებ. ლაგორატორიაში ნახავენ და თუ კარგია...

**ქეთო:** — კარგი იქნება, აბა რა იქნება. იცოდეთ, მეც წილში ვარ.

**ჰასანი:** — კარგი იქნება, მაგრამ წესია, ლაგორატორია უნდა ჩამოაყალიბოს, რა რას შეიცავს და ფასიც იმის მიხედვით დაეღება. ეს რომ თავის მიწა-წყალს ჰყიდის, ათჯერ იმაზე მეტს აიღებს.

**იასონი:** — მოიცა, კარგად გამაგებინე.

**ჰასანი:** — რა უნდა, კაცო, ერთი მტკაველი მიწა აქეთ, მეორე იქით და მოჭერი ფილებივით.

**მარგო:** — წამო, წამო, მე აგისხენი.

**ჰასანი:** — შევთანხმდით? მე გბონი, ეს საქმე გამოვა.

**იასონი:** — შენ კარგად იყავი და თუ არ გამოვა, ორ მტკაველ მიწას დაგამადლი?

**ჰასანი:** — მოიცაღე ერთი წუთით, კალიან გეჩქარება?

**იასონი:** — არა, არც ისე.

**ჰასანი:** — ჩემს ნახვლამდე რომ მოგეწოდებინა ეს მიწა?!..

**იასონი:** — როდის მიემგზავრებით?

**ჰასანი:** — „მოცარტი“ ხვალ, გამთენიისას უნდა გავიღოს ჰორტიდან.

**იასონი:** — ვინო, რა ბრძანეთ?

**მარგო:** — მოცარტი, კომპოზიტორი იყო ასეთი.

**იასონი:** — რა საქმე მაქვს მე კომპოზიტორთან?

**ჰასანი:** — გეგი, გეგი... იცი რაა?!.. იქნებ მართლა ჩამოგატანა, მოგვესწრო, ა?

**იასონი:** — ოჰ, ტრაქტორი რომ იყო, ორი საათიც არ მიწდა იქით-აქით.

**ჰასანი:** — ქეთო, ჩემი ის მომიტანა...

**ქეთო:** — იასონ, გბონი, გეშველა, რა გული გაქვს, ჰასან, რა გული?!..

**ჰასანი:** — დროზე რაა (ქეთო გაღის).

**იასონი:** — ახლა ერთი კარგად ამიხსენით, როგორ იჭრება ეს მიწა.

**ჰასანი:** — წამო, მოდი აბერ (ჰასანს იასონი გაჰყავს, ქეთო ბრუნდება ჰასანის კინსით).

**ქეთო:** — სად წავიდნენ?.. არა, ჰასანი არის ოძრო, ოძრო... მე ხო ვამბობ.

**მარგო:** — ესე იგი, დილას მიემგზავრება?

**ქეთო:** — ზუსტად მაგანაც არ იცის, ხან მასე იტყვის და ზომჯერ ორი-სამი დღე აბვიანდებამთ, ამინდი, ზღვა... (იასონი და ჰასანი ბრუნდებიან. იასონს ხელში მოჭრილი მიწა უჭირავს.)

**იასონი:** — ა, ეს ყოფილა მოჭრილი მიწა.

**ქეთო:** — ძელია?

**იასონი:** — არა, ძელი რავაა, რა ვუყო ახლა ამას?

**ჰასანი:** — ეს თან წაიღე, რომ არვიწყო, რომორ კეთილბა, დღეს გვიან ღამემდე თუ მომანოდებ, ჩამხე იყოს. შეიძლება საქმე წინ წავიბდომთ (ჰასანი კეისს გახსნის და ფულს ამოიღებს).

**ჰასანი:** — ეს ტრანსპორტის ფული. იქით-აქით ხომ ეყოფა?

**იასონი:** — კი კაცო.

**ჰასანი:** — ესეც შენ.

**იასონი:** — ეს რაღაა?

**ჰასანი:** — იმ ხალხს ფული არ უნდა?!

**იასონი:** — ვის?

**ჰასანი:** — შენი მეზობლები თუ ნათესავები, ვინც მოგხმარება.

**იასონი:** — ამდენი?

**ჰასანი:** — კაცო, მე შენ ამდენს გააღებ და შენ რომორც ბინდა, ისე გაანადილე.

**იასონი:** — მაინც, რამდენი გჭირდებათ?

**ჰასანი:** — რამდენსაც შეძლებთ.

**იასონი:** — მაშინ ბავშვებსაც მოვიხმართ, ამას რა უნდა, საღამომდე იმდენს მოვჭრით, მარა, მაინც რამდენია საჭირო, ჯოჯია...

**ჰასანი:** — ბინდა მთელი მთა იყოს.

**იასონი:** — ჰოდა, თუ მასეა, წავედი მაშინ, დროს აღარ დავკარგავ.

**ჰასანი:** — ახლა ტრანსპორტს სად იშოვი?

**იასონი:** — მაგი არაა პრობლემა. აბერ, სადგურთან დგანან, ფული იყოს, თორემ...

**ჰასანი:** — იასონ, მომისმინე, რომც ვერ შეგხვდები ახლა, თუ რამე ხელი შეგიშალა, ეგ არ ფუჭდება, შენ, მთავარია, ჩამოიტანე.

**იასონი:** — თუ ბინდა, აბერ დავაწყობ, ეზოში.

**ჰასანი:** — არა, აჰ... ხომ არ გაგიძლი, აჰ შეიძლება ისეთი ზღვა მოვარდეს, რომ შენი მიწა სულ თან წაიღოს, პირდაპირ პორტში მიიტანე და ეგრევე დამიკავშირდი.

**იასონი:** — ეგრე იყოს.

**ჰასანი:** — ისე, რაც მაღე, ჯოჯია.

**იასონი:** — აბა, დროებით (ხელს ჩამოართმევს). არ გემშვიდობებით, საღამოს აჰ ვარ. ქალბატონო მარგო, თქვენ ჯერ ხომ არ მიემგზავრებით?

**მარგო:** — არა, არა, არა მგონია (ხელკავს გამოსდებს), წამო, მეც იქით მაქვს გზა.

**ჰასანი:** — იასონ, აბა, შენ იცი.

**იასონი:** — რას ძვია, ამისთანა საქმეზე? გაკადრებათ? (იასონი და მარგო გადიან, ანუ წინ გაემოდინან, ავანსცენაზე.)

**მარგო:** — რომორ თქვი, საჭვრიტინოდან ხელინგულივით მოჩანს მთელი სანაპირო?

**იასონი:** — თურქეთის ნაწილიც, ოღონდ, მთლად წვერზე უნდა დადგი.

**მარგო:** — იმ სიმაღლეზე რომორ აღიან?

**იასონი:** — ერთი კაცი დგას და მეორე მხრებზე აღგას, ერთის აღგილია მარტო.

**მარგო:** — თუ მეორე ქალია?

**იასონი:** — მაშინ მარტო უნდა აბოჯღდე და მერე ქალი აიყვანო.

**მარგო:** — ესე იგი თავი უნდა განირო.

**იასონი:** — საყვარელი ქალისთვის რას არ გააკეთებ? აიყვან, ჩაიკრავ გულში და ერთ სულ და ერთ ხორცად გადაიქცევი, იმ მარტო ერთი აღამიანის დასადგომია, ქვემოთ კი თვალუწვდენელი უფსკრული...

**მარგო:** — თუ იქამდე ააღწიე, დაანახებ ამ დიდებულ სანახაობას და ეტყვი: — აჰა, ყველაფერს შენ გჩუქნი, სხვა არაფერი გამაჩნია... არა?!..

**იასონი:** — არ ვიცი, მე იმ ქალთან ერთად ასვლას ვერ გავგედავდი.

**მარგო:** — გაუბედავს კი ვინმეს ოდესმე?

**იასონი:** — კი, ერთმა, კონია გაბედა მხოლოდ.

**მარგო:** — ვინ არის ასეთი ეს კონია, სულ რომ კონიას ბაიძახი?

**იასონი:** — ოჰ, კონია ბრძენი კაცია, კონია თუ იტყვის, იმას წყალი არ გაუვა.

**მარგო:** — მაინც, რას ამბობს ასეთს?

**იასონი:** — თქვენ წარმოიდგინეთ, ასე გვეუბნება, ეს ადგილი დარჩა მარტო, დანარჩენი ჯოჯოხეთიანო.

**მარგო:** — ბევრს მოგზაურობს?

**იასონი:** — რას ბრძანებთ, იქიდან ფეხი არ გაუდგამს, მარა, რასაც ამბობს, კი მართლდება ყველაფერი.

**მარგო:** — მაინც?

**იასონი:** — საიდან ხვდება, ვერ გეტყვით, სად რა დავთესოთ, სად რა მოვიყვანოთ... რამდენი არ დავუჯერეთ, იმდენი ცხვირი მოვიმტვრიეთ, ეგ არის ჩვენი მამაც, თავკაციც და წინამძღოლიც (მარგო ჩაფიქრებული, ერთ წერტილში იყურება).

**იასონი:** — ხომ კარგად გრძნობთ თავს, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — ესე იგი, კონიამ აიყვანა იმ მთის წვერზე, ხომ, ქალი?!.. რა... რა თქვი?... რა აჩუქაო? მთები, ზღვა... მზე...

**იასონი:** — ეს მე არ მითქვამს, ეს თქვენ თქვით, ქალბატონო მარგო.

**მარგო:** — მე ვთქვი, ჰო, სწორი ხარ, მე ვთქვი.

**იასონი:** — ალბათ ასეც იქნებოდა, ალბათ ასეც იქნებოდა, მარა კონიამ არ იცის ასეთ რამეებზე ლაპარაკი, სიტყვაჟუნია.

**მარგო:** — ქალი ვინ იყო, ის გედინიერი?

**იასონი:** — ქალი არ ვიცი, ჩვენაგური არ ყოფილა, დიდი ხნის წინ იყო ეს.

**მარგო:** — ალბათ, ეგონა, სხვაგან უკეთესი მზე დახვდებოდა.

**იასონი:** — ალბათ, ალბათ.

**მარგო:** — კატარა იყო მაშინ ის გოგო.

**იასონი:** — რა იცით თქვენ ეს, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — იასონ, ის ქალი მე ვარ.

**იასონი:** — თქვენ?... რას ამბობთ?!

**მარგო:** — რომ დაბინახე, მას მერე ვიმტვრევდი ტვინს, საიდან, საიდან?... კაკლის ჩრდილში იწევი დიდხანს, განძრევა არ შეიძლებოდა.

**იასონი:** — კაცს არ ეგონა თურმე, თუ გადავრჩებოდი.

**მარგო:** — გვერდით გეჯექი ხოლმე და ზღაპრებს გიყვებოდი.

**იასონი:** — რაღაც მეც მახსენდება, მაგრამ... სიზმარში ნანახივით. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ?

**მარგო:** — ბევრი, ქალიან ბევრი.

**იასონი:** — გაგიჟდება კონია, არ დამიჯერებს...

**მარგო:** — იასონ, ნუ გაყიდი იმ შენს საჭკრიტინოს. იცოდა, არც იმ ზღვის და არც იმ მთის იქით უკეთესი არაფერი არ არის.

**იასონი:** — თქვენმა მონათხრობმა ისე დამაბნია, მთვრალივით ვარ, გაგიჟდება კონია, ამ ამბავს რომ გაიგებს.

**მარგო:** — ამას არასოდეს გააკეთებ.

**იასონი:** — რას ბრძანებთ?

**მარგო:** — არა, ამაზე ხმა, კრინტი, ჩემი გახსენება მხოლოდ ჭრილობას განუახლებს, ისე, როგორც მე დამემართა.

**იასონი:** — ესე იგი, მაინც ნანობთ გულის სიღრმეში... სიღრმეში, ხომ?

**მარგო:** — ახლა სინაწულს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, მაგრამ!..

**იასონი:** — რა მაგრამ?

**მარგო:** — ეს ის წმინდა გრძნობაა, რომელსაც ვერაფერი აამღვრავს ვერასოდეს... მომეცი პირობა, რომ ამ საიდუმლოს სიკვდილამდე შემიინახავ.

**იასონი:** — მომიკვდეს ხუთივე შვილი, თუ ჩემს ცოლთანაც კი დავძრა კრინტი.

**მარგო:** — სხვა რამის შიში მაქვს.

**იასონი:** — რისი?

**მარგო:** — იმაურება მეც კარგად მახსოვს, ახლა სურათივით განმიახლდა ყველაფერი, კიდევ არ განემორღვეს მენყარი.

**იასონი:** — კონია აგზობს, საშიში არაფერიაო.

**მარგო:** — შენი შვილების გარდა, სხვა ბავშვებიც ხომ არიან?

**იასონი:** — რავა არა, თქვენმატი ბავშვია სულ.

**მარგო:** — ჰოდა, შევლა უნდა ყველას, ისედაც თითოეუმი დასათვლელი დავრჩით, ხომ ხედავ?

**იასონი:** — სიზმარია თუ ცხადი ეს ყველაფერი, უყურე შენ კონიას?

**მარგო:** — ეს გამომართვი (კონვერტს გაუნვდის იასონს).

**იასონი:** — ეს წერილია?

**მარგო:** — არა, ეს ფულია, ვყიდულობ შენს სამოსახლოს, ოღონდ, ჩვენი პირობა არ დავივიწყო, მე ღალატს და ტყუილს არავის ვაპატიებ.

**იასონი:** — დავიფიცო?

**მარგო:** — ფიცია არ მინდა, მჯერა ადამიანების.

**იასონი:** — როდისთვის გელოდოთ, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — ეგ მთელი ცხოვრება მე თვითონაც ვერ გამიგია, სად როდის ვარ... იმედი მაქვს, რომ იმ ბაღნარს ისეთივეს დამახვებდნენ.

**იასონი:** — მაგას რად უნდა თქმა, თქვენ ოღონდ... ტირით, ქალბატონო მარგო?

**მარგო:** — ჰე!.. არაფერია.

**იასონი:** — თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ და სადღაც ალბათ ნანობთ, მე ასე მომეჩვენა.

**მარგო:** — არა, იმ მე ვერაფერი დამაპავებდა. ტყუილად გულს ვატკენდი, ვუღალატებდი მაგ შენს კონიას.

**იასონი:** — ოჰ, არა, კონიას ღალატი რავა შეიძლება.

**მარგო:** — კარგი იასონ, მშვიდობით, აღარ დამაპავებ.

**იასონი:** — მშვიდობით, მშვენიერო ქალბატონო, მაპატიეთ, მაგრამ ვერ მოვისვენებ, ერთი რამე რომ არ გკითხოთ.

**მარგო:** — გკითხა.

**იასონი:** — რატომ ყიდულობთ ჩემს კარ-მიღამოს?

**მარგო:** — რატომ?... ჰე! სადღაც მეც მინდა მქონდეს ჩემი ორი მტკაველი მინა (იასონი ხელზე კოცნის, მარგო ტრიალდება და მიდის. იასონიც გზას გაუდგება).

\* \* \*

(შემოდის კიკი.)

**მარგო:** — კიკი!..

**კიკი:** — დიას.

**მარგო:** — დილა მშვიდობისა.

**კიკი:** — დილა მშვიდობისა.

**მარგო:** — ბაკო სად არის?

**კიკი:** — სასტუმროში.

**მარგო:** — რას აკეთებს?

**კიკი:** — სძინავს.

**მარგო:** — ღამე არ ეძინა?

**კიკი:** — არა.

**მარგო:** — რატომ, რას აკეთებდა?

**კიკი:** — ტელევიზორს უყურებდა.

**მარგო:** — შენ?

**კიკი:** — რა მე?

**მარგო:** — შენ რას აკეთებდი?

**კიკი:** — მე ვინაძი, იმ მეთი საწოლი არ იყო, ნომერიც არ ჰქონდათ.

**მარგო:** — გეძინა?

**კიკი:** — ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა?

**მარგო:** — მნიშვნელობა ყოველთვის ყველაფერს აქვს.

**კიკი:** — შეიძლება ნავიდე?

**მარგო:** — რა თქმა უნდა, ნაწყენი ხარ ვინმეზე?

**კიკი:** — არა.

**მარგო:** — კიკი, ნუ დაუჯერებ სხვას, თუნდაც ეს... ეს სხვა შენი უახლოესი ადამიანი იყო, შენი ცხოვრება შენი ასარჩევია, იცოდე.

**კიკი:** — თქვენ დაგიჯეროთ?

**მარგო:** — რა თქმა უნდა, არც მე... მხოლოდ იმის თქმა მიწოდდა, რომ სხვის გამო ჩადენილ შეცდომებს არ ვატიმოვნ, საკუთარს ყველა ივიწყებ. მთავარია, საკუთარ თავთან იყო მართალი და სწორად იცხოვრებ.

**კიკი:** — რა არის სწორად ცხოვრება, მონასტერში წავიდე?

**მარგო:** — წასვლა არ არის აუცილებელი. ეკლესია შიგნით უნდა გქონდეს, გულში.

**კიკი:** — გმადლობთ.

**მარგო:** — სამაგლობელი ჯერ არაფერი ჩამიღვინა. თუ გინდა, წამოდი ჩემთან, ამოგზავნე, კარგი მოცეკვავეაო, რაღაცას გამოგიჩვენებ.

**კიკი:** — არა, გმადლობთ.

**მარგო:** — რატომ?

**კიკი:** — იმ ზღვა არ არის, მე ზღვის გარეშე არ შემიძლია.

**მარგო:** — სავსებით, არც ეგ არის პრობლემა, უნდა შეგეძლოს ისე იცხოვრო, რომ როცა ზღვა მოგენატრება, ზღვაზე იყო, ზაფხული იქნება თუ ზამთარი.

**კიკი:** — ეგ ვერ შემიცვლის მონატრებას, ზღვის ხმა უნდა მესმოდეს სულ, სხვანაირად არ შემიძლია (შემოდის ქეთო).

**ქეთო:** — რა არის, მოხდა რამე?

**მარგო:** — არაფერი, რა უნდა მომხდარიყო?

**ქეთო:** — ბაპო სად არის?

**მარგო:** — სასტუმროშია, სძინავსო.

**ქეთო:** — რაზე გეუბნებოდა, არ შემიძლიაო?

**მარგო:** — ჩემთან წამოსვლა შევთავაზე.

**ქეთო:** — მერე რა, უარი გითხრა? ეგ ხომ არ გაგიჟდა, ვუთხრა ერთი ჰასანს?!..

**მარგო:** — დანებდა თავი მამ ჰასანს, თორემ მართლა ეგონება, რომ საყვარელ მხსნელად მოგვევლინა.

**ქეთო:** — ჰა-ჰა-ჰა, ისე, რა გინდათ, იასონს ხომ გაუმართა ხელი, თანაც იმდენი ფული მიხცა.

**მარგო:** — რა არის იმდენი? რა არის იმდენი?!.. იცი შენ, რას ნიშნავს მიწის მოჭრა? არ გესმით, ეს რას ნიშნავს. საუკუნეები დასჭირდება მერე, რომ იქ თავიდან გაჩნდეს სიცოცხლე.

**ქეთო:** — კარგი რა, ძალბატონო მარგო, რომელ საუკუნეებზე მელაპარაკებო?

**მარგო:** — იმ საუკუნეებზე მელაპარაკებო, ამ მიწაზე ბალახი რომ ამოსულიყო და ხეს რომ ნაყოფი გამოეხსა.

**ქეთო:** — რა, მართლა ეგება, დავიჯერო?

**მარგო:** — ეგება, ეგება, დღეს მიწა მიაქვთ, ხვალ ქვიშა, წყალი...

**ქეთო:** — არ მითხრათ ახლა, ჰაერსაც ნაიღებენო.

**მარგო:** — ჰაერი თვითონ გაჰყვება ამ ყველაფერს.

**ქეთო:** — რა ვიცი, რა ვიცი, მე ისე მაქვს გული გატეხილი... მაქსიმუმ თხუთმეტი წელი და აქაურობას ისევ... ისევ ზღვა დაფარავსო... რა მნიშვნელობა აქვს.

**მარგო:** — თუ მართლმდებელი დღით ვცხოვრობთ, მაშინ — არავითარი.

**ქეთო:** — ეჰ, ეგ ყველაფერი ადრე რომ მცოდნოდა.

**მარგო:** — რას იზამდი, არ მოაჭრავინებდი იასონს იმ მიწას?

**ქეთო:** — მე რა უფლება მაქვს, ის მიწა ჰასანის არის.

**მარგო:** — როდინდან გახდა ჰასანის?

**ქეთო:** — მე ასე ვიცი, ვინც იხდის, საქონელიც მისია.

**მარგო:** — ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს! (მარგო ხელს ჩაიქნევს და მიდის. შემოდის ჰასანი. მიეპარება კიკის და საჯდომზე უჩემეტს, კიკი გამხრავული ეცემა და უკბენს.)

**ჰასანი:** — აა! (დაიღვრილებს, კიკი გარბის.)

**ქეთო:** — რა გჭირს?

**ჰასანი:** — რა ძაღლივით იკბინება, კინაღამ ხორცი მომაჭამა, ამის...

**ქეთო:** — ალბათ ღირსი იყავი, ტყუილად არ გიზამდა, ასეთი რა გაამხარა?

**ჰასანი:** — მე რა შუაში ვარ, თვითონ მოვიდა გამნარეზული, ეტყობა ჩანსვარა სასიძომა, მიმიღე ღამე ჰქონდათ.

**ქეთო:** — მორჩი, ბეყოფა, არ გაიგოს.

**ჰასანი:** — გაიგოს, მაგისგან კაცი არ დადგება.

**ქეთო:** — რაეზს ზოდავ!

**ჰასანი:** — მორჩი, არ გინდა, ვერაფერს გამომავარებთ, ის მარგო არ არის?

**ქეთო:** — ხო.

**ჰასანი:** — რა უნდა მაღსაზთან?

**ქეთო:** — მე რა ვიცი? რა უნდა უნდოდეს?! შეხვდა ალბათ და ლაპარაკობენ.

**ჰასანი:** — არა, პირველად არ ვხედავ, წავიდი.

**ქეთო:** — რას დასდევ კუდში ამ მარგოს, მართლა ახალგაზრდა ხომ არ გგონია, გეგიაშენის ხნის არის.

**ჰასანი:** — რას ამგოვ, ქალო, გაგიჟდი?!

**ქეთო:** — ხო იცი, მეც ვერაფერს ვერ გამომავარებ.

**ჰასანი:** — ქეთო, არა გრცხვინია შეენ? უი, წავიდი, თორემ დამაგვინდა.

**ქეთო:** — საით?

**ჰასანი:** — წავალ ვორტში, გავივლი.

**ქეთო:** — მაღე მოდი რა, ქალიან გთხოვ, არ დააგვინანო.

**ჰასანი:** — რა გინდა ჩემგან?

**ქეთო:** — ეს ტომრები გადმომათრავინე, თორემ დავრჩები მერე მარტო და...

**ჰასანი:** — რა ღროს ტომრებია, ჯერ... (მიდის.)

\* \* \*

(ღამდება. ტალღების ხმა ახლოდან ისმის. ზღვა გრგვინავს.)

**ქეთო:** — კიკი, კიკი, ამოდი... გესმის, ამოდი! კიკი! სად წავიდა ეს ხალხი? კიკი! (კიკი პირსახოცზემოსხვეული შემოდის.)

**კიკი:** — რა იყო?

**ქეთო:** — სად არიან?

**კიკი:** — ვინ?

**ქეთო:** — იქნებ დაურაკო, არც მარგო ჩანს, არც ჰასანი. ეს ბაკო? იჩხუბათ? სად არის ბაკო?

**კიკი:** — არ ვიცი.

**ქეთო:** — რატომ არაფერს მეუბნები, მოხდა რამე?

**კიკი:** — რა უნდა მომხდარიყო?

**ქეთო:** — ქალიან კარგად იცი, რასაც გეკითხები.

**კიკი:** — რა უნდა მომხდარიყო, ბაკოს ქალები არ აინტერესებს.

**ქეთო:** — რაა?

**კიკი:** — თავი დამანება, რა!

**იასონი:** — შეიძლება?(განსმება ხმა.)

**ქეთო:** — მოზრქანდით, იასონ, თქვენ ხართ?

**იასონი:** — მე გახლავართ.

**ქეთო:** — მეგონა, დღეს ვეღარ ჩამოხვიდოდით.

**იასონი:** — რას ამგოვთ, კაცს სიტყვა მივეცი და...

**ქეთო:** — ჩამორითანე მიწა?

**იასონი:** — ჩამოვითანე და ყველაფერი ისეა, როგორც წესი და რიგია.

**ქეთო:** — ჰასანი სად არის?

**იასონი:** — მე აქ მეგონა. ჰასანი თვითონ ვერ ვნახე, მარა მისი გამოგზავნილი ხალხი... ეს რა ხალხი ჰყოლია?! იქ ამოვიდნენ, ხო იცი.

**ქეთო:** — აბა, მე რას ვამგოვდი?

**იასონი:** — რა იშუშავებს, ეს რა ვნახე? მთაზე გალახი ალარ დატოვეს, განუფთავებულა, ოთხი გზოვა მოახრეს, გაშიშვლებულა მთა.

**ქეთო:** — კაი კაცო?! მოეწონათ, ხომ?

**იასონი:** — გაგიჟდნენ, უკვე გამზა დატვირთული ყველაფერი.

**ქეთო:** — რას ამბობ?! მერე, მე არ მაკუთვნის მაღარიჩი?

**იასონი:** — ყველაფერი იქნება. ყველაფერი.

**ქეთო:** — როდის გამაცნობ ახლა შენს ცოლს?

**იასონი:** — ჩამოვიყვანე.

**ქეთო:** — სად არის მერე?

**იასონი:** — იმათთან დავტოვე, ჰორტში მელოდება, ვიფიქრე, ჰასანს ვნახავდი.

**ქეთო:** — არა, ჰასანს მეც ველოდები.

**იასონი:** — აუცილებლად უნდა ვნახო, თორემ ხელცარიელი ვერ დავბრუნდები უკან.

**ქეთო:** — ხომ გადაგინახდა ფული?

**იასონი:** — ის ავანსი იყო, ტრანსპორტსაც არ იყო, თანაც ერთის მაგივრად ხუთი გზოვა ჩამოვიტანეთ.

**ქეთო:** — თქვენ იცით თქვენი საქმის.

**იასონი:** — ერთი რამე უნდა გითხრა, მაგრამ, რომ გამცე?

**ქეთო:** — ჰო, რა იყო?

**იასონი:** — იცოდა, ეს რომ ჩვენგან გავიდა..

**ქეთო:** — კიკის გეფიცები.

**იასონი:** — კონიას და მარგოს სიყვარულის ამბავი თუ იცოდი?

**ქეთო:** — რომელი კონიასი?

**იასონი:** — კონია, ჩემი მეზობელი... იცოდა, მოგკლავს მარგო, არ მავატიებს.

**ქეთო:** — საიდან?

**იასონი:** — მარგომ მომიყვა თვითონ.

**ქეთო:** — არ გადამრიო, მერე, მერე...

**იასონი:** — მიხედა, კონიაც გამომეტანა, მარა სიტყვა-კრინტი ვერ დავაჰკრევი, გოლმს ისეთი ყვირილი ამიტანა, რის მარგო, რა მარგო, მაგით უფრო მივხვდი, რომ პირდაპირ ჭრილობაზე წავაყარა მარელი.

**ქეთო:** — ეს რა მისმის?! ცოლ-შვილი ჰყავს?

**იასონი:** — კონიას? რას ამბობ, ასე დაბერდა უშვილკიროდ მარგოს სიყვარულში.

**ქეთო:** — ეს კია ვარდით და... რა არის ცხოვრება?!

**იასონი:** — აბა, ახლა გვერდით რომ დაუყანო, შვილად შეეფერება კონიას.

**ქეთო:** — შენ რომ მაგის ცეკვა გენახა... კიდეც ბევრს დააბერებს.

**იასონი:** — ისე, რა ქალია მართლა?! ხო იცი, კონია ისე გადაირია, მიწას არ გვაჭრევიდებდა.

**ქეთო:** — ეე, რას ძვია არ გაჭრევიდებდათ, ამდენ ფულს იხდის კაცი, მაღლოვის მაგიერია? მიწის მეტი რა არის?!

**იასონი:** — რას ამბობ, კონიას ვინღა უსმენდა... ა, ამოდონა გაღებიც ასე ჰორტყნიდნენ მიწას, რომ გაიგას, ამაში ფულს გადაგვიხდინანო. ახლა დგანან ალბათ და პირდაუჩენილები გაჰყურებენ გზას, როდის ჩავალ და ჩავუტან დაპირებულ ფულს.

**ქეთო:** — იმ კონიამ რა თქვა საბოლოოდ?

**იასონი:** — ჩაიკეთა სახლში და ხმას აღარ სცემდა არავის. ალბათ, მარგოს განსენებამ...

**ქეთო:** — შემოანვა ალბათ, საცოდავი.

**იასონი:** — ნავედი ახლა მე, ჰასანი თუ გამოჩნდეს, ან შენ დაგიტოვოს ფული, ან დამელოდოს.

**ქეთო:** — კარგი.

**იასონი:** — აბა, დროებით (იასონი მიდის, კიკი ისევ ზღვისკენ აპირებს წასვლას).

**ქეთო:** — კიკი.

**კიკი:** — რა გინდა?

**ქეთო:** — არ მეტყვი, რა მოხდა?

**კიკი:** — სად?

**ქეთო:** — იცი, რასაც გეკითხები, სასტუმროში.

**კიკი:** — არაფერი.

**ქეთო:** — როგორ თუ არაფერი, მე უნდა ვიცოდა.

**კიკი:** — ვერ გაიგე? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, ქალები არ აინტერესებს ამ შენს ბაკოს, რას გადაგიქიდა! (გზას აბრძელებს.)

**ქეთო:** — აბა, რა აინტერესებს?

**კიკი:** — სხვა უყვარს.

**ქეთო:** — ვინ სხვა?

**კიკი:** — მაღხაზი უყვარს.

**ქეთო:** — ჩვენი მაღხაზი?

**კიკი:** — ღაწყნარდი? იქნებ ახლა მაინც დამანებო თავი.

**ქეთო:** — მოიცა, რაღაც მინდა გითხრა.

**კიკი:** — მითხარი.

**ქეთო:** — მომისმინე, ნაჰყავი ჰასანს... თვითონ მითხრა.

**კიკი:** — როდის გითხრა?

**ქეთო:** — რა მნიშვნელობა აქვს, როდის. შენ თავს ვფიცავარ, მითხრა.

**კიკი:** — მერე რა ვთქვა, რა ვარ მამ ცხოველის-მეთქი?

**ქეთო:** — ღარწმუნებული ვარ, რომ გადნიერი იქნები, ჰასანი ნამდვილად კარგი კაცია.

**კიკი:** — მორჩი?

**ქეთო:** — დამაცადე, თვითონ მითხრა, ცოლად მოვიყვანდი, რომ... თუ რჯულს შეიცვლისო.

**კიკი:** — მერე, შენ თანახმა ხარ?

**ქეთო:** — ჩემთვის მთავარია, შენ იყო გადნიერი.

**კიკი:** — ესე იგი, მე თუ რჯულს შევიცვლი, ჰასანი ჩემი ძმარი იქნება?

**ქეთო:** — ჰო.

**კიკი:** — შენ ვინ იქნები ჩემი?.. (ქეთო არაფერს ვასუსობს. ბანისმის ბემის საყვირის ხმა. ორივე ზღვისკენ განიხილავს.)

**ქეთო:** — ეს რომელი გემია?

**კიკი:** — მოცარტია... ნავილა ჰასანი.

**ქეთო:** — როგორ ასე... მარგო? მარგო სადღაა. მოიცა... (შევირდება გოგოს ოთახში და იქიდან განვიღებულნი სახით გრუნდება. ხელში მარგოს ის კაბა უჭირავს, ცეკვის დროს რომ ეცვა.) — მარგოც ნასულა, ყველაფერი ნაშლია. როდის?..

**კიკი:** — ეს დარჩა სიჩქარეში?

**ქეთო:** — ამაზე თქვა, კიკის ვჩუქნიო.

**კიკი:** — მზე? ჰა-ჰა (იციინის და ზღვისკენ მიდის, ქეთო ჩამოჯდება, გამოგებული დასცქერის მარგოს კაბას, კიკი მიდის, შემოდის ცხვირპირდასისხლიანებული ჰასანი).

**ქეთო:** — ჰასან, რა მოგივიდა?! რას გავხარ?!

**ჰასანი:** — ჩქარა, წყალი, ჩქარა!

**ქეთო:** — დაჭრილი ხარ? (ჰასანი თავს გააქნევს უარის ნიშნად.)

**ქეთო:** — ჩემი სიკვდილი, რა დღეში ხარ, დაგაყარაღეს?!

**ჰასანი:** — ჰო.

**ქეთო:** — მანქანა რა უყავი?

**ჰასანი:** — არ ვიცი (ქეთო სისხლს სწმენდს, წყალს მოუტანს).

**ქეთო:** — ასე ვინ გაგიმტა?

**ჰასანი:** — ააა! ააა!

**ქეთო:** — გტკივა, რა გჭირს, რატომ? რატომ?

**ჰასანი:** — არ ვიცი, არაფერი ვიცი, ძურგები გადაკეტილია, სამხედროები, მილიცია.

**ქეთო:** — შენგან რა უნდოდათ?

**ჰასანი:** — ყველაფერი წამართვეს — ფულიც, საბუთებიც.

**ქეთო:** — გული რაღაც ცუდს კი მიგრძნობდა, ასე რომ დაავიანა.

**ჰასანი:** — აქეთ, აქეთ მოვდიოდი და მაშინ... არ ვიცი, რამდენ ხანს ვებდე, გონება დავკარგე.

**ქეთო:** — თავი მაჩვენე... გატეხილი ხომ... (უსინჯავს) რას გაიგებ...

**ჰასანი:** — აა... აი, მანდ მტკივა.

**ქეთო:** — ვინ იყვნენ? რა უნდოდათ შენგან?

**ჰასანი:** — არ ვიცი, არაფერი ვიცი. სახეებიც არ დამინახავს, წამაქციეს და მერე ფეხებით შემდგნენ. დღე იყო... ეგ კი მახსოვს, ჯერ...

**ქეთო:** — მოკლედ პატრონი არ ჰყავს ამ ქვეყანას.

**ჰასანი:** — ის დაუჭვრიათ... რა ჰქვია, თქვენი მოლა.

**ქეთო:** — ევისკოპოსი? არ გადამრიო! როდის?



**ჰასანი:** — აი, ახლა ამგობდნენ, რაღაც მაძინაციებშია გახვეული, სო ვამგობდი...

**ქეთო:** — მაგიტომაც არ გამოჩენილა ეს მალხაზი მთელი დღეა... ჯანდაბამდე გზა ჰქონია, შენ არ მოგსვლოდა ეს საქმა.

**ჰასანი:** — მობილურიც ნაუღიათ.

**ქეთო:** — არაფერს აღარ ვდარდობ, რახან ცოცხალი ხარ, აღარაფერს... იასონი გელოდებოდა, კარგა ხანს იქაც ვერ ვნახეო.

**ჰასანი:** — ვინ იასონი?

**ქეთო:** — მთიდან მიწა რომ ჩამოიჭანა.

**ჰასანი:** — უკვე ჩამოიჭანა?

**ქეთო:** — როგორ, ჰასანის კაცები ამოვიდნენ და იმათ ნამოიღესო?

**ჰასანი:** — ვინ ჩემი კაცები?

**ქეთო:** — მე რა ვიცი, გადავიჩივე ახლა.

**ჰასანი:** — ჩემი კაცები?

**ქეთო:** — უკვე დატვირთესო, გემზე ანიჭანესო, კი, ასე მითხრა ნამდვილად.

**ჰასანი:** — ეგ სომ არ გაგიჟდა, ვინ ჩემი კაცები?! მე არავინსთვის არაფერი მითქვამს.

**ქეთო:** — რას ამგობ, გელოდებოდა, რომ ფული მიგაცა.

**ჰასანი:** — ეგ სომ არ გაგიჟებულა, ვინ კაცები, რა ფული... (შემოდის გაცოფებული იასონი, მოვარდება და პირდაპირ კისერში სწვდება ჰასანს.)

**ქეთო:** — იასონ! იასონ! რა დაგემართა?

**ჰასანი:** — რა გინდა?! რა დაგიშავა?!  
**იასონი:** — მოგკლავ, შე დამავალო, შე დედა... სად არის ჩემი ცოლი? სად არის მედიკო, სად?

**ჰასანი:** — მე რა ვიცი, შენი ცოლი. თვალთ არ მიწახავს.

**იასონი:** — რას ჰქვია არ გინახავს, მე იმ ხალხს ჩავაბარე, იმ კაცებს.

**ჰასანი:** — არავითარი ხალხი არ ვიცი, ამათ ვის გადავეყარა.

**იასონი:** — აბა, დაეხიზმრათ იმათ, სომ, საჭვრიტინო? იცოდა, ცოცხალს არ დატვირთავ, ჩქარა, ფული!

**ქეთო:** — ვერ ხედავ, რა დღეშია?! გაქარცვეს.

**იასონი:** — მაგი არ არის ჩემი საქმა, აქვე დავკლავ ღორივით.

**ჰასანი:** — მიდი, ჩქარა, გამოიჭანე, რაც გაქვს.

**ქეთო:** — შენ სულ წაიღე, ჰასან?!  
**იასონი:** — ნამოეთრიე ჩქარა და მომაკებინე ის ხალხი, თორემ აღარ მიკითხება, იცოდა, ჭკუა.

**ქეთო:** — იასონ, იქნებ დაბრუნდა უკან, სოფელში, ვერ გნახა და დაბრუნდა.

**იასონი:** — ფული, სად არის ფული? (იასონი ნაჯახს ნამოავლებს ხელს.)

**ჰასანი:** — არ მოგკლა... მოვდივარ... სადაც გინდა, იმ ნამოგყვები, მე არ მომიტყუებინარ! (ჰასანი ლასლასით გავა ეზოდან.)

**იასონი:** — რატომ არ დაიძვა ის დღე, აქ რომ შემოვდგი ფეხი (ქეთო მარტო რჩება).

**ქეთო:** — კიკი! კიკი! მაკრინე, სადა ხარ? ჩქარა, ამოდი, ამოდი, საქმა მაქვს, გენმის?! (მოდის ბაკო.)

**ქეთო:** — სად ხართ ამდენ ხანს? ტელეფონიც არ ვიცოდი... სად დაიკარგეთ?

**ბაკო:** — მარგოს რაღაც საქმეები ჰქონდა (ბაკო ჩანთას იღებს და მიდის).

**ქეთო:** — მიდინარ?

**ბაკო:** — ჰო, სახლში ვბრუნდები.

**ქეთო:** — მარგო სად არის?

**ბაკო:** — მარგო ნავიდა გემით, კრუიზში.

**ქეთო:** — შენ?

**ბაკო:** — მე და მალხაზი სახლში ვბრუნდებით.

**ქეთო:** — მალხაზი?

**ბაკო:** — სო, ჩვეთთან მოდის, მარგომ ხელფასი დაუნიშნა.

**ქეთო:** — სულ ამერიე ტვინში ყველაფერი. ასე უცებ რატომ გადაწყვიტა ნასკვლა?

**ბაკო:** — ეგ სულ მასე წყვეტს ხოლმე. თანაც სთხოვეს. უდებამო ბავშვებს აგზავნიან სამკურნალოდ, იმათ გაჰყვა. ის სომ ქველმოქმედია.

**ქეთო:** — შენ რატომ არ ნაბიყვანა?

**ბაკო:** — მე არ მიწოდდა. კარგი, ნახვამდის.

**ქეთო:** — კარგად. მოიცა, მოიცა, რომელი გემით ნავიდა?

**ბაკო:** — ამაღეუსით.

**ქეთო:** — ამაღეუსი? (ბაკო მიდის, ქეთო ჩაჯდება და თავს მუხლში ჩარბავს, ტირის, შემოგოგლდება ჰასანი ზღუქუნით.)

**ქეთო:** — გასულა გემი, იცოდი?

**ჰასანი:** — ვინა ხართ, ვინ? რა გინდათ ჩემგან? რომელს შემოგივარდით ქალით, რომელს წაგართვით რამე... რომელს შეგვირდით და მოგატყუეთ, აქეთ დამდევთ, აქეთ მთხოვთ, აქეთ მეხვეწებით... უარესი ღირსი ვარ, რომ ჭკუა ვერ ვისწავლა. შურით და ბოღმით დატენილებო, დაუნახავებო, უვარგისებო, არც შიში გაქვთ, არც სიყვარული, ეშმაკი გყავთ ყველას სულში ჩაბუდებული, სად არის თქვენი ღმერთი, სად გყავთ ღმერთი, მიგატოვათ, თქვე საცოდავებო, და ვერ გაგიგიათ... (ჰასანი ლოცვას იწყებს თავის ენაზე წამღერებით, მუხლებზე დამსობილი, უცებ გაჩერდება.)

**ჰასანი:** — ეე, ეე, სად არის?

**ქეთო:** — რა?

**ჰასანი:** — მთა სად არის, აკი აქ მთა იყო, ის რომ ამგოგდა.

**ქეთო:** — მერა?

**ჰასანი:** — მერა გადავიდა ნისლიც, სად არის მთა, მაგის აწერისტი... ჰე!..

**ქეთო:** — რა მთა იყო, აქ წამდვილად იყო მთა.

**ჰასანი:** — ქალო, შენ ხომ არ აუკრია?! აქ საერთოდ არსად არ არის არცერთი მთა... ამათი გიჟი...

**ქეთო:** — ჰასან, მოიცა, სად გარბინხარ, დაგელაპარაკო...

**ჰასანი:** — რა დროს ლაპარაკია, სად არის ის კაცი... (ჰასანი გარბის, ქეთო დიდხანს დგას და ზემოთ იყურება, შემოდის კიკი).

**კიკი:** — რაღა გინდა, რა, ვერ გაიგე?! რატომ მეძახი?

**ქეთო:** — მოიხედე აქეთ! (კიკი ტრიალდება) აქ მთა გახსოვს?

**კიკი:** — რაა?

**ქეთო:** — აქ იყო მთა?

**კიკი:** — არ ვიცი.

**ქეთო:** — აბა, ის კაცი რომ ამგოგდა, ამ მთაზე ვცხოვროვო?

**კიკი:** — ვინ კაცი?

**ქეთო:** — შენი ნათესავი. აი, გადავიდა ნისლი და აქ მთა არ არის, მოიტყუა.

**კიკი:** — რა გინდა, დედა, ჩემგან?

**ქეთო:** — ის კაცი — იასონი ხომ ამგოგდა, აქ მთა არისო?!

**კიკი:** — არ ვიცი, ჩემთვის არ უთქვამს (ამგობს კიკი და მიდის).

**ქეთო:** — რისთვის დასჭირდა ასეთი ტყუილი, მეც ვერ ვიხსენებ, მეც აღარ მახსოვს. მთელი ცხოვრება მარტო ზღვისკენ ვიყურებოდი. არა, აქ მთა იყო, წამდვილად იყო თუ არა? კი იყო, თუ არა (ქეთო მარტო რჩება, ტალღების ხმა სულ უფრო მათულოვს, ქეთო იწყებს ტომრების გაამთრევას, ტალღების ხმა უფრო ახლოს ისმის).

**ქეთო:** — კიკი! კიკი! სად არის ეს გოგო?! (ყვირის და ორ-ორ ტომარას მოათრევს. ვეღარ ერება ტომრებს, ტალღების ხმა ძლიერდება, მუხლებზე დაეცემა.)

**ქეთო:** — კიკი! კიკი! კიკი! მაკრინაეე! მაკრინაეე!!! მიშველეთ, ხალხო მიშველეთ, მაკრინაეე!!! ღმერთო, გადამიჩინე, ღმერთო!!!

(დაეჭიდება ძვიშას ბლავილით, თავს ჩარბავს მიწაში, ზღვის ხმა სულ უფრო ახლოვდება, გამოჩნდება კიკი სტიქიანთან ნაბრძოლი, თითქმის შიშველი, ამოგოგლდება ტომრებთან. ქეთოს ზღვის ხმა ურში არ ესმის მისი მოსვლა, არ ინძრება, კიკი იქვე დაგდებულ მარგოს დანატოვარ კაბას აიღებს და გადაიცვამს, მერა ქეთოს ხელს მოჰკიდებს, ქეთო თავს წამოწევს, პირჯვარს გადაიწერს, ტალღები სულ უფრო ახლოს, წინ მოიწევს, დედა-შვილი უკან-უკან მიდის, ქეთო ახლავა შეამჩნევს კიკის კაბას, კიკი გაუღიმებს და იწყებს ცეკვას.)